

გომიგო ანჩაბაძე

ქართულ-აფხაზური
კითხვების
სახეობები

II

Георгий Анчабадзе

ВОПРОСЫ
ГРУЗИНО-АБХАЗСКИХ
ВЗАИМООТНОШЕНИЙ

F 04.182
3



გიორგი ანგაბაძე
ქართულ-აზნაზური
შრტიერტობის სკპიტხეპი



GEORGE ANCHABADZE

**THE ISSUES
OF GEORGIAN-ABKHAZIAN
INTERRELATIONS**

II

ΣΚΟΛΑΣΙΣ
Publishers

გიორგი ანჩაბაძე

ქართულ-აფხაზური
ურთიერთობის საკითხები

II

ГЕОРГИЙ АНЧАБАДЗЕ

ВОПРОСЫ
ГРУЗИНО-АБХАЗСКИХ
ВЗАИМООТНОШЕНИЙ



International Alert.

Understanding conflict. Building peace.

წიგნი გამოცემულია პროექტის “სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა ადამიანის უსაფრთხოებისათვის” ფარგლებში ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის “საერთაშორისო განგაშის” (International Alert) თანადგომითა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტების აცილების ფონდის (Conflict Prevention Pool of the British Government) დაფინანსებით

Книга издана в рамках проекта «Поддержка гражданских инициатив по человеческой безопасности». Выпуск книги стал возможен благодаря поддержке британской неправительственной организации “Международная Тревога” (International Alert) и финансировании со стороны Фонда по Предотвращению Конфликтов правительства Великобритании (Conflict Prevention Pool of the British Government)

ISBN 978-99940-67-05-3 (ორივე წიგნის)

ISBN 978-9941-0-3266-0 (მეორე წიგნის)

© ვიორჯი ანჩაბაძე, 2011



ს ა რ ჩ ე პ ი
СОДЕРЖАНИЕ

წინათქმა..... 7
Предисловие..... 8

სტატიები
Статьи

K 282-026
3

ქართული სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან..... 10
К проблеме происхождения княжеского рода
Шервашидзе-Чачба..... 21
შერვაშიძეთა გვარის წარმოშობის შესახებ 29
წიგნიდან: “საქართველოს ისტორია” 42
From the book: “History of Georgia” 59
1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და
აფხაზეთის აჯანყება 71
აფხაზები 87
XVIII საუკუნის ორი ოსმალური დოკუმენტი
სოხუმის ციხის შესახებ 109
ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარების ძირითადი
ეტაპები უძველესი დროიდან ერის ჩამოყალიბების
სტადიამდე..... 118
Principal Stages of Ethnical Development of the Georgian Nation
from Ancient Times to the Phase of Nation Formation 143
მდინარეების “ეგრისწყლისა” და “დრაკონის”
იდენტიფიკაციისათვის..... 158
Князья Мачабели 165
Грузия и Абхазия: утраченные возможности 177
Mass terror in the USSR: The Story of One Family 182
Массовый террор в СССР. История одной семьи 190
Грузия-Абхазия: Историография и конфликт..... 198

ინტერვიუები
Интервью

<i>Г. Калатозишвили.</i> «В истории грузин и абхазов много общего, причем такого, что составляет предмет национальной гордости для обоих народов»	216
<i>К. Бенделиани.</i> Ресурс реального диалога между грузинами и абхазами не исчерпан.....	220
<i>М. Хубуа.</i> «В жизни выбираю сложные пути».....	225
Справка из материала «Царское венчание»	229
<i>კ. კვაშილაძე.</i> არსებობს კი პერსპექტივა?	231
<i>ლ. პაპასქიოი.</i> “აფხაზეთისადმი რუსეთის ინტერესს ხშირად ქართველი პოლიტიკოსები და დიპლომატებიც აძლიერებდნენ”	238

წინათქმა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს “ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხების” მეორე კრებულს. პირველი გამოქვეყნდა 2006 წელს. მასში თავმოყრილია 1990–2006 წლებში სხვადასხვა გამოცემებში დაბეჭდილი აფხაზეთის ისტორიისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ამსახველი მასალები (სამეცნიერო და პოპულარული ხასიათის სტატიები, ინტერვიუები, აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად შედგენილი კოლექტიური წერილები და მიმართვები).

მეორე წიგნი შეიცავს ძირითადად 2006 წლის შემდეგ გამოქვეყნებულ სტატიებს, რომლებშიც კვლავ განხილულია როგორც ისტორიული, ასევე ისეთი ხასიათის პრობლემები, პირდაპირ რომ ეხმიანება თანამედროვე კონფლიქტს. ჩემი აზრით მათი გაცნობა ობიექტურ მკითხველს გარკვეულ დახმარებას გაუწევს სწორი შეხედულებების ჩამოყალიბებაში აფხაზეთა წარსულისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ. გარდა ამისა, წიგნში შეტანილია ქართველი ჟურნალისტების მიერ ჩემგან აღებული რამდენიმე ინტერვიუ, რომლებიც ნათელს ხდიან თუ მთლიანობაში ქართულ-აფხაზური ურთიერთობების რა საკითხები აინტერესებს ქართულ საზოგადოებას.

და, ბოლოს, სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის “საერთაშორისო განგაშის” (International Alert) პარტნიორული თანადგომა ამ წიგნების გამოცემაში.

ვიორჯი ანჩაბაძე

Предисловие

Предлагаемая вниманию читателя книга представляет собой второй сборник «Вопросов грузино-абхазских взаимоотношений». Первый, изданный в 2006 году, содержит разнообразные материалы (научные и популярные статьи, интервью, коллективные письма и обращения), опубликованные с 1991 по 2006 год и посвященные широкому кругу проблем грузино-абхазских отношений.

Настоящая книга включает в основном статьи, опубликованные после 2006 года, и отражающие те или иные моменты истории Абхазии и грузино-абхазских отношений, касающиеся как событий минувших веков, так и напрямую связанные с нынешним конфликтом. По мнению автора, они должны помочь непредубежденному читателю в формировании правильных взглядов об абхазах и грузино-абхазских отношениях.

Кроме того, в книге представлено несколько интервью, взятых у меня грузинскими журналистами. Они в целом отражают вопросы, которыми и сегодня интересуется грузинская общественность в связи с грузино-абхазским конфликтом.

Наконец, считаю своим приятным долгом отметить партнерское содействие британской неправительственной организации «Международная тревога» (International Alert) в публикации вышеназванных книг.

Георгий Анчабадзе

სტატიები

СТАТЬИ

ქართული სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან ("შიდა სპა", ანუ "შიდა ლაშქარი")

ტერმინი "შიდა სპა" ("შიდა ლაშქარი") ორჯერ გვხვდება "ქართლის ცხოვრებაში". პირველად 1047 წლის ამბების გადმოცემისას, როდესაც ბაგრატ IV ლიპარიტ ბაღვაშს ებრძოდა. "მატიანე ქართლისა" ამ ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს ასე აღწერს: "მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს; გარდამოიტანა თანა შუდასი კაცი და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა; და ამათ ვარანგთა მესხნი ვერღარა მოილოდინნეს, მივიდეს, და შეიბნეს თავსა სასირეთისა ჭაღისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი ვერღარა უძღეს ბრძოლად ვარანგთა"¹.

მეორედ ეს ტერმინი ("შიდა სპის" სახით) დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აქვს ნახმარი. მისი ცნობით, ქორონიკონსა 336 (1116 წ.) "ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, ვინათგან ზამთრისა სიფიცხესა და მთათა სიმაგრეთა მიენდვნეს. ხოლო მეფემან მოიჴელოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა და თვით ქუთათისს გარდავიდა, რომლითა უეჭუელ ყვნა ივინი. და თუესა თებერვალსა აცნობა ქართუელთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თუთ შიდათა სპითა ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო. და შეკრბეს ერთად, და უგრძნეულად დაესხნეს მათ ზედა, უშიშად გულდებითა მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარნიფორისად"².

სხვა ცნობები "შიდა ლაშქრის" შესახებ საისტორიო წყაროებს არ შემოუნახავთ.

საქართველოს ისტორიის მკვლევარებს სხვადასხვანაირად ესმით ამ ტერმინის მნიშვნელობა. ყველაზე გავრცელებული შეხედულებით, "შიდა ლაშქარი" შიდა ქართლელი მეომრებისაგან შედგებოდა. ეს აზრი ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილისაგან მოდის. იგი სასირეთის ბრძოლაზე საუბრისას "შიდა

¹ მატიანე ქართლისა. - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 301.

² დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. - ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 333.

ლაშქრის” მაგივრად წერს “შიდა ქართველნი”, რაც მის საკუთარ კომენტარს წარმოადგენს³.

როგორც ჩანს, ამ ტერმინის მნიშვნელობა XVIII ს-ში უკვე აღარ ახსოვდათ.

“შიდა ლაშქარი” შიდა ქართლს დაუკავშირეს აგრეთვე მ. ბროსემ და ნ. მარმა. ბროსემ ეს ტერმინი ფრანგულად თარგმნა როგორც “შიდა ქართლის ძალები” (Forces du Chida-Karthli) და “შიდა ქართლის არმია” (l'armée du Chida-Karthli)⁴. ნ. მარმაც, ვ. ვასილევსკის ცნობილი ნაშრომის მე-9 თავის დამატებაში, სადაც მოთავსებულია “მატიანე ქართლისას” ნაწყვეტის მარისეული თარმანი ვარანგების შესახებ, “შიდა ლაშქარი” განმარტა შიდა ქართლიდან გამოყვანილ მხედრობად («С востока, из Внутренней Карталинии»)⁵.

“შიდა სპის” მნიშვნელობის გარკვევას სპეციალური წერილი მიუძღვნა კ. გრიგოლიამ. მისი დასკვნით, შიდა სპა “სხვა არავინ შეიძლებაოდა ყოფილიყო, თუ არა შიდა ქართლის სპა, შიდა ქართლის ლაშქარი, რომელსაც ერთიანობის ხანაში მეფის ხლების საპატიო მოვალეობა წესითა და ადათით ჰქონდა დაკისრებული... შიდა ლაშქარი შიდა ქართლიდან გამოდიოდა და შიდა ქართლის მხედრობას წარმოადგენდა”. მას, მკვლევარის აზრით, “ლეიბ-გვარდიის საპატიო მოვალეობა” ჰქონდა დაკისრებული ერთიანი ფეოდალური მონარქიის ხანაში⁶.

“შიდა ლაშქარი” შიდა ქართლის მხედრობადაა ახსნილი აგრეთვე “მატიანე ქართლისას” ვ. დონდუასა და მ. ლორთქიფანიძის რუსულ თანგმანთა შენიშვნებში. პირველ შემთხვევაში ტერმინი განმარტებულია, როგორც – “местным, картлийским вой-

³ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 147; ნ. ბერძენიშვილი, რეცენზია ი. ცინცაძის წიგნზე: ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.) // საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 203.

⁴ Histoire de la Géorgie, traduite du géorgien par M. Brosset, I, 1849, გვ. 321.

⁵ В.Г.Васильевский. Варяго-русская и варяго-английская дружина в Константинополе XI-XII вв. Т. I. СПб., 1908, გვ. 316.

⁶ კ. გრიგოლია. “დავითის ცხოვრებაში” დამოწმებული ერთი ტერმინის განმარტებისათვის // “ქართული წყაროთმცოდნეობა”, III, თბ., 1971, გვ. 122.

ском”⁷, ხოლო მეორე შემთხვევაში – “войско из Шида Картли”⁸. “მატიანის” უკანასკნელ რუსულ გამოცემაში “შიდა ლაშქარი” თარგმნილია ასე: “войско из внутренней части своего царства”, კომენტარების გარეშე⁹.

“შიდა ლაშქრის” შიდა ქართლთან დაკავშირების სისწორეში პირველად ეჭვი შეიტანა ნ. ბერძენიშვილმა. მისი თქმით, “თავისთავად “შიდა ლაშქარი” სრულიად არ ნიშნავს მაინცა და მაინც “შიდა ქართველს”, ის ასევე შეიძლება “აფხაზეთის” ე. ი. ლიხთ იქითის ლაშქარს ნიშნავდეს”¹⁰. მაგრამ შემდგომში მკვლევარს ეს აზრი აღარ განუვითარებია.

“შიდა ლაშქრის” რაობას არკვევს აგრეთვე ქ. ჩხატარაიშვილი. მან ჯერ კიდევ 1966 წ. გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს იყო სამეფო დომენის მოლაშქრეებისაგან შემდგარი რაზმი, იგივე რაც XII ს-ის “სამეფოს სპა”, “ხასნი”, “ხასაგანიანი”¹¹. შემდეგ ქ. ჩხატარაიშვილმა ამ საკითხს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა. მან “შიდა ლაშქარში” სავსებით სამართლიანად დასავლეთ საქართველოს მხედრობა დაინახა, ოღონდ არა მთელი დასავლეთ საქართველოსი, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილის, სამოქალაქოსი, რომელიც მკვლევრის ვარაუდით, ჯერ აფხაზეთის, შემდეგ კი გაერთიანებული საქართველოს სამეფო დომენი იყო¹². ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, “შიდა სპის”, – სამოქალაქოს ტერიტორიაზე მდებარე სამეფო მამულებიდან გამომავალი მხედრობის, – გადმონაშთს წარმოადგენდა გვიანდელი “ფიცის კაცების” ინსტიტუტი იმერეთის სამეფოში¹³.

ამრიგად, ისტორიკოსები განსხვავებული შეხედულებებისა არიან “შიდა სპის” რაობაზე. ზოგი მას შიდა ქართლს უკავშირებს (ვახუშტი, მ. ბროსე, ნ. მარი, ვ. დონდუა, კ. გრიგოლია,

⁷ Хрестоматия по истории СССР, М., 1960, გვ. 352.

⁸ Матиане Картлиса. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тб. გვ. 85.

⁹ Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тб., 1982. გვ. 69.

¹⁰ ნ. ბერძენიშვილი. რეცენზია... გვ. 203.

¹¹ ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII ს-ის საქართველოს ლაშქარში. კრებულში: საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ., 1966, გვ. 162.

¹² ქ. ჩხატარაიშვილი. ქართული ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან (“შიდა ლაშქარი”) // “მაცნე”, ისტორიის სერია, 1971, 4, გვ. 132, 134.

¹³ იქვე, გვ. 138.

მ. ლორთქიფანიძე), ზოგი – დასავლეთ საქართველოს (ნ. ბერძენიშვილი, ქ. ჩხატარაიშვილი). კ. გრიგოლიას და ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, რომლებმაც ეს საკითხი საგანგებოდ შეისწავლეს, “შიდა სპა” განსაკუთრებული, რჩეული ნაწილი იყო – “სამეფო სპა” (ქ. ჩხატარაიშვილი) ანუ “ღეიბ-გვარდიაა” (კ. გრიგოლია).

როგორც ვხედავთ, ამ ტერმინმა მეცნიერთა საგანგებო ყურადღება მიიპყრო და სავსებით სამართლიანად. როგორც ქ. ჩხატარაიშვილი აღნიშნავს: “შიდა სპის”... რაობის დადგენა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის შესწავლისათვის აუცილებელი რამაა¹⁴.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ “შიდა ლაშქარი” ანუ “შიდა სპა” უთუოდ დასავლეთ საქართველოს მხედრობას წარმოადგენდა. ეს თვითონ “ქართლის ცხოვრების” ტექსტიდან მოჩანს. “მატიანეს” ცნობით, ქართლში სასირეთის ბრძოლის წინ ლიპარიტა გაბატონებული. მის მხარეზეა ბევრი ქართველი აზნაური, მის განკარგულებაშია “ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი”. მხარს უჭერენ კახნი და ტაშირის მეფე. “და განძლიერდა იგი ძალითა მათითა ამას კერძოსა ქართლისასა”¹⁵. ასეთ ვითარებაში ბაგრატს საშუალება არ ექნებოდა შიდა ქართლში მნიშვნელოვანი ლაშქარი შეეკრიბა. გაძლიერებულ ლიპარიტს იგი დასავლეთ საქართველოდან უტევს დასავლეთ საქართველოს მხედრობით. იქიდანვე “გარდმოიტანა თანა” მეფემ 700 ვარანგი¹⁶.

¹⁴ იქვე, გვ. 132.

¹⁵ მატიანე ქართლისა, გვ. 300-301.

¹⁶ იქვე, გვ. 301. საკითხი, ვის მხარეზე იბრძოდნენ ვარანგები, დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ ბაგრატის მოკავშირეებად მიიჩნევს (ვახუშტი, მ. ბროსე, მ. ჯანაშვილი, დ. ბაქრაძე, ი. ცინცაძე და სხვ.), მეორენი კი – ლიპარიტის (ნ. მარი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, ვ. კოპალიანი, მ. ლორთქიფანიძე, ვ. გოილაძე და სხვ.). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვარანგები ბაგრატის მოქირავნეები იყვნენ. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბაშში დაბანაკებული უცხოელები საომრად ქართლში გადმოჰყავთ, ბრძოლის შემდეგ კი ისინი კვლავ ლიხს იქით გადადიან (“მატიანე ქართლისა”, გვ. 301). ი. ცინცაძე სამართლიანად თვლის, რომ აფხაზეთში ვარანგების დასაყენებლად ლიპარიტს ხელი არ მიუწვდებოდა (ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1956, გვ. 30). ნ. ბერძენიშვილი, რომელიც ეკამათება ი. ცინცაძეს ამ საკითხში, წერს: “ვინა სთქვი და სად, რომ ლიპარიტ-დემეტრეს დას. საქართველოში (“აფხაზეთში”) მომხრენი არ ჰყოლიათ?... ანაკოფის ციხეში მყოფი დემეტრეს გააფეხა “გულს ედვა” არა ერთ აზნაურს. დასაშვე-


ბია განა, რომ დემეტრეს მომხრე ეს აზნაურები ყველა აღმოსავლეთ საქართველოდან იყვნენ?” (ნ. ბერძენიშვილი. რეცენზია... გვ. 201).

ჩვენი აზრით, 1047 წლისათვის შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია და მოვლენების მთელი შემდგომი განვითარება საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველო ძირითადად ბაგრატის მხარეზე და მისი ხელისუფლების ქვეშ იყო. რა თქმა უნდა, დემეტრესა და ლიპარიტს შეიძლებოდა ლიხს იქითაც პყროლოდათ ცალკეული ფარული თუ აშკარა მომხრეები, მაგრამ, მაინც, მათი ბანაკიდან, ვინც კი ვიცით, ყველანი აღმოსავლეთ ან სამხრეთ საქართველოდან არიან. “აფხაზეთის” ლაშქარი კი ყოველთვის ბაგრატის მხარეზე მოჩანს (ანაკოფიის ბერძნებისათვის გადაცემა არ ეწინააღმდეგება ამ აზრს, რადგან სანაპირო ციხეში მტრის შეშვება მარტო ციხისთავსაც შეუძლია. მით უფრო არ გაუჭირდებოდათ ამისი გაკეთება ციხის მპყრობელ უფლისწულსა და მის დედას).

ვინც ვარანგებს ბაშში, სატახტო ქალაქის, - ქუთაისის მახლობლად უმტიკიენულოდ აყენებს და მათ ნაწილს საომრად ქართლში წაიყვანს, იგი უდავოდ დასავლეთ საქართველოში მეტად მტიკივე პოზიციების პატრონია. დიხთ-იმერეთი მისი საიმედო ზურგია. ასეთი კი მხოლოდ ბაგრატი იყო. სხვანაირი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება ისტორიული წყაროებიდან. დასავლეთ საქართველოს მხედრობით ებრძვის იგი ანაკოფიისა და ხუფათის ბიზანტიურ გარნიზონებს, უეჭველად დასავლეთ საქართველოს ლაშქარი მიიყვანა მან არყის ციხესთან, საბერძნეთიდან დაბრუნებულ მეფეს “ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა” ეგებება სიხარულით, მემატინე დაბეჯითებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ “ბაგრატს აქუნდა ლიხს ქუემოთი კერიძი” (გვ. 304). ქართლსა და მესხეთში მეფეს მრავალი მომხრე ჰყავდა, მაგრამ მისი მთავარი დასაყრდენი მაინც დასავლეთ საქართველო იყო. როგორც წესი, აფხაზეთიდან იწყებდა ბაგრატი ახალ შეტევებს და დამარცხების შემთხვევაშიც კი იქ იხიზნებოდა. 1047 წელსაც აფხაზეთიდან გადმოიყვანა მეფემ “შიდა ლაშქარი” და ვარანგები, მაგრამ დამარცხდა და ისევ დასავლეთ საქართველოს შეაფარა თავი. იქით გაბრუნდნენ ვარანგებიც, რომლებმაც “შიდა ლაშქრის” გაქცევის შემდეგ ბრძოლა ვეღარ გააგრძელეს (შესაძლებელია, ქვეითი ვარანგები, უკან დახევისას, ჩამორჩნენ “აფხაზებს”, რომლებიც მეტწილად ცხენოსნები იქნებოდნენ, და მარტონი აღმოჩნდნენ ლიპარიტის ლაშქრის წინაშე). გამორიცხული არ არის, რომ კლდეკარის ერისთავმა უფლებლად გაუშვა ისინი და საგზლითაც მოამარაგა იმ პირობით, რომ მის წინააღმდეგ მახვილს აღარ აღმართავდნენ. მსგავსი მაგალითები ისტორიაში ბევრია. ამის შემდეგ ქრება ყოველგვარი ხსენება ვარანგებისა “ქართლის ცხოვრებაში”. სავარაუდოა, რომ ბაშში დაბრუნებული ჩრდილოელები ჩახსდნენ თავიანთ ხომალდებში და სამუდამოდ დაემშვიდობენ საქართველოს.

“შიდა ლაშქარი” რომ სწორედ ლიხთიქითური მეომრებისაგან შედგებოდა, კიდევ უფრო ცხადად მოჩანს “დავითის ცხოვრებაში”. 1116 წლის დამდეგს მეფე ქუთაისში გადადის. იქიდან ქართლები და მესხები კლარჯეთში დაიბარა და თვითონ “შიდითა სპითა” ხუფათის მხრიდან დათქმულ ადგილზე ამოვიდა. ისტორიკოსი ვარკვევით განასხვავებს ერთმანეთისაგან ქართლებს, რომლებიც მესხებთან ერთად კლარჯეთში მტკვრის აუზიდან გადავიდოდნენ, და “შიდა სპას”, რომელსაც იმუშამად იმერეთს მყოფი დავითი ედგა სათავეში და კლარჯეთს საწინააღმდეგო მხრიდან მოადგა.

საქართველო XI - XII საუკუნის დასაწყისში



ზემოთ აღნიშნული იყო, რომ კ. გრიგოლიამ და ქ. ჩხატარაიშვილმა, რომლებმაც ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლეს, “შიდა სპა” საქართველოს სამეფო ლაშქრის რჩეულ, გვარდიულ ნაწილად მიიჩნიეს, ოღონდ კ. გრიგოლიას აზრით, ეს გვარდია

შიდა ქართლის, ხოლო ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, სამოქალაქოს მაცხოვრებლებისაგან შედგებოდა.

რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?

ჩვენი აზრით, არ არსებობს არავითარი საბუთი იმისათვის, რომ “შიდა ლაშქარი” – “გვარდიად”, ან სხვა რაიმე განსაკუთრებულად გამორჩეულ ნაწილად ჩაითვალოს. კ. გრიგოლია “შიდა სპას” აიგივებს ერთიანი საქართველოს ლაშქრის მეოთხე (მეფის) დროშასთან, რომელიც ქართლელებისაგან შედგებოდა და, მკვლევრის სიტყვით, “ღეიბ-გვარდიის საპატიო მოვალეობა აქონდა დაკისრებული”.

უნდა აღინიშნოს, რომ მეფის დროშა ქართული ლაშქრის ისეთივე საორგანიზაციო-ტაქტიკური ერთეული იყო, როგორც მეწინავე, მემარჯვენე ან მემარცხენე დროშები და არსებითად მათგან არ განსხვავდებოდა, განსაზღვრული ადგილი ეჭირა საბრძოლო წყობაში. არც იმისი თქმა შეიძლება, რომ მეფის დროშაზე ხლება განსაკუთრებული პატივი იყო. რამდენადაც ცნობილია, არა ნაკლებ პატივად ითვლებოდა მეწინავეობა¹⁷.

ჩვენი აზრით, არ შეიძლება აგრეთვე, რომ “შიდა ლაშქარი” მხოლოდ სამეფო დომენს – სამოქალაქოს დაეუკავშიროთ. ჯერ ერთი, ზუსტად არ არის ცნობილი, თუ სად მდებარეობდნენ იმ დროს სამეფო მამულები. განა შეგვიძლია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ XI-XII სს-ში სამოქალაქო მთლიანად მეფის დომენი იყო, ან სამეფო მიწები დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებს არ მოიცავდნენ? ბაგრატ IV-ის დროს მოხსენიებული “ქუთაისისა სამოქალაქოსა ლაშქარი”, ჩვენი აზრით, ისეთივე ცალკე სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის (საერისთავოს?) ლაშქარი უნდა იყოს, როგორც იქვე ნახსენები “აფხაზეთისა ლაშქარი” (იგულისხმება აფხაზეთი ვიწრო გაგებით, აფხაზი ხალხით დასახლებული მხარე) ან “გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი”¹⁸. არც “ფიცის კაცების” ჩათვლაა სწორი “შიდა სპის” გადმონაშთად. მასალები ამ ჩვენთვის საკმაოდ ბუნდოვანი ინსტიტუტის შესახებ მხოლოდ XVIII ს-დან გვაქვს და ამიტომ ძნელია მისი ფესვების XI-XII სს-ში ძებნა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ “შიდა ლაშქარი” იყო მთელი დასავლეთ საქართველოს, ყოფილი აფხაზთა სამეფოს, მხედრობა.

¹⁷ იხ. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ., 1959. გვ. 249, 499.

¹⁸ მატიანე ქართლისა. გვ. 299.

K182-026
3

ამას გვიჩვენებს ის გარემოება, რომ ორივე შემთხვევაში, როდესაც ეს ლაშქარია მოხსენიებული, კონტექსტი გულისხმობს აქციაში მთელი ღიხთიმურეთის ძალების მონაწილეობას.

1047 წ. მეფის წინააღმდეგ აჯანყებულ ლიპარიტ ბაღვაშს გარდა საკუთარი მხედრობისა და დემეტრეს მომხრე ქართველი აზნაურებისა, ესმარებიან კეისრის მიერ გამოგზავნილი ლაშქარი, კახეთისა და ტაშირ-ძორაგეტის სამეფოები. ასე გაძლიერებულ მტერსა და სახელგანთქმულ სარდალს ბაგრატ IV შეეცდებოდა მთელი თავისი ძალებით დაპირისპირებოდა. “შიდა ლაშქარი” რომ მხოლოდ დომენის მხედრობა ყოფილიყო, საკმაოდ მცირერიცხოვანი იქნებოდა და ასეთი მცირე ჯარითა და ვარანგების 700-კაციანი რაზმით ბაგრატი ლიპარიტის წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა. კლდეკარის ერისთავთან საბრძოლოდ შეფემ, უეჭველია, დასავლეთ საქართველოს მთავარი ძალები დაძრა. ქართლში მას დამატებით უნდა შეერთებოდნენ ლიპარიტის მოწინააღმდეგე მესხ ფეოდალთა რაზმები, მაგრამ ლიპარიტმა დაასწრო და მეფეს შესხების მოსვლამდე აჰკიდა ბრძოლა.

1116 წელსაც, თუკი დავით აღმაშენებელმა ტაოში ჩამომდგარი თურქების დასარბევად საჭიროდ ჩათვალა ქართლელებიც წაეყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ქართლი ჯერ სელჩუკთაგან გაწმენდილი არ იყო და მისი ძალების ტაოში გადასროლა, ადგილზე, ბუნებრივია, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას შეასუსტებდა, იგი მით უმეტეს წაიყვანდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მთელ იმ მხედრობასაც, რომლის ველზე გამოყვანა იქნებოდა შესაძლებელი, ვინაიდან, ქართლისაგან განსხვავებით, იმერეთს საგარეო საფრთხე არ ემუქრებოდა. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც “შიდა სპის” ქვეშ მთელი დასავლეთ საქართველოს ლაშქარი იგულისხმება.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ტერმინი “შიდა ლაშქარი” (“შიდა სპა”) XI-XII სს-ის ქართულ ნარატიულ წყაროებში დასავლეთ საქართველოს მხედრობას აღნიშნავს. ეს იყო ყოფილი აფხაზთა სამეფოს ლაშქარი, რომელიც ბაგრატ III-მ, “ანოსიანთა” სამეფო გვირგვინთან ერთად, მემკვიდრეობით მიიღო.

აფხაზეთის სამეფოს ისტორია ბაგრატიონი უფლისწულის ქუთაისში გამეფებით არ დამთავრებულა. თანამედროვეთათვის 978 წელს მოხდა მხოლოდ აფხაზთა მეფეების ტახტზე ბაგრატ ბაგრატიონის ასვლა, რომელიც ამ დროისათვის მათი ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო, თუ არ ჩავთვლით მის ბიძას – უსინათლო და უშვილო თეოდოსის. ივანე მარუშის ძე და მისი თანამოაზრე ფეოდალები ბაგრატის გამეფებით ახალი სახელ-



მწიფოს შექმნას კი არ ცდილობდნენ, არამედ ზრუნავდნენ იმავე აფხაზეთის – დასავლეთ საქართველოს სამეფოს – ინტერესებისათვის. იმ სამეფოსი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ჰეგემონი იყო. მაგრამ X ს-ის 60-იანი წწ. დასასრულიდან, გიორგი II-ის (922-957 წწ.) შვილებს შორის ატეხილი ბრძოლის შედეგად დასუსტდა (“განი-რყუნა ქუყყანა იგი და შეიცვალა ყოველი წესი და განგება, პირ-ველთა მეფეთაგან განწესებული”¹⁹) და პირველობა ტაო-კლარ-ჯეთს დაუთმო. შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად აფხა-ზეთის სამეფოს მესვეურებმა ტახტზე დასვეს ბაგრატ, რომე-ლიც დედის მხრივ აფხაზთა მეფეების შთამომავალი იყო და ამავე დროს გააჩნდა ლეგიტიმური უფლებები ქართლსა და ტაო-კლარჯეთზე. დასავლეთ საქართველოს ფეოდალები ამ ახალ-გაზრდა მეფის წინამძღოლობით აპირებდნენ ამიერკავკასიაში პირველობისათვის ბრძოლის განახლებას, რასაც ობიექტურად საქმე საქართველოს გაერთიანებამდე მიჰყავდა²⁰.

ლიხთიმურეთში ფეხმოკიდებულმა ბაგრატონებმა თანდა-თანობით შემოიბტკიცეს დანარჩენი ქართული მიწები და ასე შე-იქმნა ერთიანი საქართველოს სამეფო²¹. ეს პროცესი საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და საბოლოოდ დასრულდა დავით აღმაშენებლის ეპოქაში. ბაგრატ III-ის და მისი უახლოესი მემკვიდრეების მთავარი დასაყრდენი გარეშე მტრებთან ომებში და ქართველი დიდებულების პარტიკულარიზმთან ბრძოლაში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა და მისი სამხედრო ორ-განიზაცია იყო²². XI ს-ში, როდესაც მიმდინარეობს ქართული მიწების შეკრების ინტენსიური პროცესი და ყალიბდება ერთიანი სახელმწიფო, მისი გული, - მთავარი შემადგენელი ნაწილი, - რომელიც, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ყველაზე კარგად არის დაცული საგარეო საფრთხისაგან და რომლის მოსახლე-ობა ყველაზე მეტად ინარჩუნებს ერთგულებას სამეფო ხელისუ-

¹⁹ იქვე, გვ. 275.

²⁰ იხ. გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერ-თიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარე-ბის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973. გვ. 24.

²¹ საქართველოს სამეფო კარზე კარგად ახსოვდათ, რომ ერთიანი სა-ხელმწიფოს სათავეში ჩადგომამდე ბაგრატონები “აფხაზთა” მეფეები იყვნენ. “ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა”, - წერს ამის შესახებ ლა-შას მემატიანე (ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 369).

²² შდრ. გ. მელიქიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

ფლებებისადმი, - ლიხთიმერეთია. იგი ამ პერიოდში მტკიცე ზურგია გამაერთიანებელი მეფეებისათვის, სახელმწიფოს ცენტრალური ნაწილი, რომელსაც ყვრდნობიან ისინი შეტყვევითი ოპერაციების წარმოებისას და თავს აფარებენ მარცხის შემთხვევაში. ამას კარგად ხედავდნენ უცხოელებიც. ამიტომ, ზოგიერთი თანამედროვე ბიზანტიელი ავტორი დასავლეთ საქართველოს უწოდებს “შიდა (უშინაგანეს) იბერიას”²³. ქართული წყაროებიც, ალბათ ანალოგიური მოსაზრებით, ლიხთიმერეთის მხედრობას ზოგჯერ “შიდა ლაშქარს” ანუ “შიდა სპას” უწოდებენ. ეს ტერმინი, შესაძლებელია ჯერ კიდევ ძველ აფხაზთა სამეფოში წარმოიშვა და აღნიშნავდა სახელმწიფოს ისტორიული ბირთვის, ლიხთიმერეთის, ლაშქარს, განსხვავებით, მოგვიანებით შეერთებული ოლქებიდან (ქართლი და სხვ.) გამომავალი რაზმებისაგან.

XI ს-ის ქართველი მეფეების ლაშქარში საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები მსახურობდნენ. გვხვდებიან აგრეთვე მეზობელი კავკასიელი ხალხებისაგან შემდგარი კონტინგენტებიც. მაგრამ მათი სამხედრო ძალების ბირთვი “შიდა ლაშქარი” იყო - სამეფოს ცენტრალური ნაწილის ფეოდალური მხედრობა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტერმინი “შიდა ლაშქარი” იხმარებოდა XII ს-ის 20-იანი წწ. დასაწყისამდე, ე. ი. მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საქართველოს გაერთიანება. ეს პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, საბოლოოდ დასრულდა დავით აღმაშენებლის დროს. დედაქალაქის თბილისში გადმოტანის შემდეგ, ლიხთიმერეთი მალე გადაიქცა გაზრდილი სახელმწიფოს განაპირა მხარედ. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებასაც, რომ იგი, როგორც ჩანს, ადრეც, რამდენაღმე ჩამორჩებოდა ქართლსა და სამცხე-ტაო-კლარჯეთს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით, დავით აღმაშენებლის დროიდან კი ქვეყნის პოლიტიკურმა და სამხედრო ცენტრამაც აღმოსავლეთში გადმოინაცვლა. შესაბამისად, შემცირდა ლიხთიმერეთიდან გამომავალი ლაშქრის ხვედრითი წონა ქართულ შეიარაღებულ ორგანიზაციაში. თუ ადრე “შიდა სპა” ქვეყნის სამხედრო ძალების მთავარ ნაწილს წარმოადგენდა, თამარის დროს “აფხაზნი და იმერნი” უკვე მხოლოდ ერთ სადროშოს შეადგენდნენ, რაც ქართული ლაშქრის, დაახლოებით, 1/4-ს უდ-

²³ იოანე ზონარა. გეორგია, VI. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1966. გვ. 233-234.

რიდა. ტერმინი “შიდა ლაშქარი” დავიწყებას მიეცა. თუ “მატიანე ქართლისას” ავტორი და დავითის ისტორიკოსი ყოველგვარი კომენტარის გარეშე ხმარობენ მას, რაც იმის მაუწყებელია, რომ თანამედროვეთათვის კარგად იყო ცნობილი შიდა ლაშქრის, ანუ შიდა სპის, მნიშვნელობა, ვახუშტიმ მის შესახებ უკვე ადარაფერი იცოდა.

ზემოთქმულის შეჯამებით გამოგვაქვს შემდეგი დასკვნები:

1. “შიდა ლაშქარი” ანუ “შიდა სპა” მთელი დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ მხედრობას აღნიშნავს;
2. ეს ტერმინი იხმარებოდა დაახლ. X ს-იდან XII ს-ის 20-იან წლებამდე.
3. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში “შიდა ლაშქარი” ცენტრალური ხელისუფლების მთავარი სამხედრო ძალაა.

*პირველად დაიბეჭდა ჟურნალში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის “მაცნე”. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბ., 1987, №1.
გაფართოებული ვარიანტი – სამეცნიერო ჟურნალში “სამხედრო თეორია”. თბ., 2009, №1.*

К проблеме происхождения княжеского рода Шервашидзе-Чачба

Род князей Шервашидзе (груз. *Шарвашидзе*; абх. *Чачба, Ачачба*), один из древнейших на Кавказе. Уже в XII веке представители этого рода занимали высокую должность цхумских *эриставов*, в военно-административном подчинении которых находилась почти вся Абхазия, входившая тогда в состав Грузинского царства. Первое упоминание об этом содержится в летописном своде «Картлис Цховреба», где при описании событий середины 1180-х годов, среди эриставов, утвержденных на своих должностях знаменитой царицей Тамар, упомянут и Отаго (Дотагод) Шарвашидзе, эристав цхумский.

Древние фамильные документы рода Шервашидзе не сохранились и поэтому трудно установить истоки его происхождения. Акад. С.Н. Джанашиа допускает, что позднейшие князья Шервашидзе генеалогически могут быть не связаны с древнейшими носителями этой фамилии, наподобие мегрельских князей Дадиани, древнее фамильное имя которых, превратившись в титул *дадиани*, означавший правителя Мегрелии, присваивалось другими феодальными родами, захватывавшими власть в этом краю. Однако нужно отметить, что случаи перехода фамильного имени от одного рода к другому, хотя и известны в истории, но всё же – исключение из правил. Относительно рода Шервашидзе (начиная от его первого представителя, упомянутого на страницах письменного памятника, эристава Отаго) нет никаких данных, ни письменных, ни устных, которые бы указывали на прерывание генеалогической линии.

Дошедшее до нас историческое предание связывает выдвигание рода Шервашидзе с именем грузинского царя Давида IV Строителя (1089-1125). Предание, в частности, гласит, что царь Давид поставил во главе Абхазии принца из дома ширваншахов, правившим областью Ширван, на западном берегу Каспийского моря (северо-восток нынешнего Азербайджана). Потомками этого царевича являются Шервашидзевы – владетельные князья Абхазии. Исходя из этого предания, Д.И. Гулиа называет Шервашидзе «князьями из рода потомков Ширван-Шаха». Действительно, встречающееся в грузинских памятниках XII-XIII вв. родовое имя «Шарвашидзе» (такова ранняя форма этой фамилии, от которой происходят более поздние формы – «Шарвашидзе», «Шервашидзе») буквально означает «сын ширваншаха» (груз. *шарваши+дзе*). Ширванское государство было тесно связано с Грузией как в политическом (ширваншахи около 100 лет были вассалами грузинских царей),

так и в культурно-экономическом отношении. Поэтому, наличие такого имени у одного из виднейших феодальных родов Грузинского царства не может быть случайным и должно указывать на связь абхазских князей с ширванским домом.

Некоторые авторы, как, например, Д.И.Гулиа, прямо пишут о происхождении Шервашидзе от ширваншахов. К этой версии, фактически, склоняется и З.В.Анчабадзе, в своей монографии «Из истории средневековой Абхазии». Однако, существуют и другие мнения. Так, акад. Н.А.Бердзенишвили высказал предположение, что фамилию Шервашидзе (в частности, абхазскую ее форму – Чачба) можно увязать с именем военачальника Куабулел-Отаго Тчатчас-дзе, который упоминается в летописи под 1045 год, как командующий абхазскими подразделениями грузинской армии.

Аргументами в пользу этой версии являются как определенное сходство между онимами «Тчатчас-дзе» и «Чачба», так и то, что упомянутого предводителя абхазских отрядов звали Отаго, как и жившего полтора века спустя цхумского эристава (как известно, в феодальных родах нередко из поколения в поколение повторялись одни и те же имена). Однако в таком случае непонятно, почему грузинский летописец написал «Тчатчас-дзе» (ჭატჩას ძე), а не «Чачас-дзе» (ჩაჩას ძე), что было бы более правильным переводом на грузинский лад абхазской фамилии Чачба; и откуда у Чачбовых появилось новое родовое имя – Шарвашидзе, столь прозрачно указывающее на Ширван.

В последнее время версию Н.А.Бердзенишвили о генеалогической связи между онимами «Тчатчас-дзе» и «Чачба» поддержал Г.В.Цулая, по мнению которого «титул шарваша (ширваншах – Г.А.) вполне мог лечь в основу второй фамилии и пожалован кому-нибудь из, естественно, главных представителей рода Чачас-дзе (Тчатчас-дзе – Г.А.), столь рьяно послуживших в Абхазии знаменитому деду Давида IV Строителя – Баграту IV». Однако, Автор не объясняет каким образом титул правителя Северо-Восточного Азербайджана мог быть пожалован абхазскому феодалу.

Поэтому, нельзя категорически утверждать о происхождении рода Шервашидзе от военачальника XI века, хотя эта версия и может рассматриваться в качестве одной из гипотез.

Менее убедительным кажется предположение акад. Н.Я.Марра о возможной связи фамилии Шервашидзе с именем некоего властителя Баграта Шаройского (груз. *Шароели*), который вскользь упоминается в агиографическом сочинении X в. «Житие св. Григория Хандзтийского». Автор предлагает остроумную, но совершенно лишнюю доказательств версию, будто от родового имени «Шароели», независимо от того, оно

фамильного или географического происхождения, через промежуточную мегрельскую форму *Шароши*, с раздвоением «о» на «ва» (как в абхазском) и получением грузинского придатка *дзе*, могла получиться фамилия «Шарвашидзе».

Ничем не подтверждается, также мнение Т.Гванцеладзе, будто в основе грузинской формы – Шарвашидзе, лежит сванское мужское имя *Шавери*.

К версии чисто абхазского происхождения рода Шервашидзе склонялся историк К.Д.Кудрявцев. Основываясь на фонетическом сходстве фамильных имен Чачба и Гечба (знатный род из Малой Абхазии, или Джигетии, расположенной между реками Бзызьб и Сочи) он допускал возможность происхождения рода Чачба-Шервашидзе от Гечбовых.

Этому же автору принадлежит и другое мнение о происхождении князей Шервашидзе. Так, он считал возможным, что фамилия Чачба (Шервашидзе) является генетически родственной княжескому роду Ачба (Анчабадзе) и они оба происходят от разных линий абхазской царской династии, правившей с конца VIII в. по 978 г.

Версия о родстве между фамилиями Ачба и Чачба как будто находит подспорье в преданьях народов Северо-Западного Кавказа. Так, согласно одной черкесской легенде, дворянские роды адыгейских (западчеркесских) племен произошли от двух братьев, имена которых были Аче и Чаче (Ач и Чач). Разумеется, тут нельзя не вспомнить абхазские княжеские фамилии – Ачба и Чачба. От этих фамильных наименований, несомненно, идут также имена легендарных абазинских князей, братьев Аше и Шаше (Аш и Шаш), которые упоминаются в сочинении кабардинского просветителя Шоры Ногмова – «История адыгейского народа», составленном по преданиям кабардинцев.

Вероятно, легенда о братьях Аче и Чаче возникла в северокавказской среде под влиянием феодальной Абхазии, где знатнейшими родами считались Ачба и Чачба. При этом знаменательно, что абазины – выходцы из Абхазии, переселившиеся на северную покатость Кавказских гор после XIII века, а адыгейские племена впитали в средние века немало элементов западноабхазского происхождения. Возможно, феодальная знать этих народов, создавая легенды о своем происхождении от древних и знатных родов, пыталась, тем самым, повысить свое общественное значение среди соплеменников. Такие примеры широко известны из генеалогий феодальных родов разных стран. Однако полностью отрицать историчность этих сведений нельзя. Например, известно, что некоторые родовитые фамилии Северо-западного Кавказа генетически связаны с абхазскими родами Ачба, Маршан, Гечба и др.

По мнению З.В.Анчабадзе, «положение о чисто абхазском про-

исхождении рода Шервашидзе может подвергнуто сомнению по следующим соображениям. Грузинские формы абхазских дворянско-княжеских фамилий, как правило, непосредственно исходят от соответствующих абхазских фамилий. Примеры: Маршания – Амаршан, Иналишвили – Иналипа, Анчабадзе – Ачба, Дзяпшишвили – Дзяпшипа, Маргания – Маан и т.д. Что касается фамилии Шервашидзе, то она составляет исключение из этого правила. Абхазская форма этой фамилии (Ачачба-Чачба) ничего общего не имеет с грузинской ее формой – Шарвашидзе. Зато она кажется тесно связанной с фамильным наименованием Ачба: Ачба – Ачачба». Далее З.В.Анчабадзе, ссылаясь на автора XIX века А.Н.Введенского, сообщающего, что по утверждениям абхазов, Ачба на старом их языке значит «князь», а Чачба – «над князем князь», пишет: «Исходя из этого, народное представление о «Чачба» как «князь над князем» может быть объяснено следующим образом. Родовое имя Ачба, поскольку представители этого рода (по народному преданию) главенствовали в Абхазии, могло со временем приобрести смысл титула, соответствующего званию «владельца». Такого рода примеры известны из истории феодальной Грузии: фамилия мегрельских мтаваров Дадиани осмысливалась как титул – «дадиан» (ср. выражение исторического источника: «Умер *дадиан* Манучар и вместо него *дадианом* стал сын его Леван»); то же самое произошло и с фамильным именем *Гуриели*. Вполне допустимо, что и в Абхазии фамильное наименование Ачба могло подобным же образом осмысливаться как титул владельца («князя»). В конкретной форме это могло выразиться в дополнительном наращении именной основы фамильного названия «Ач», в результате чего образовалась форма Ач-ач-ба (Чачба), где «ба» является озвонченной формой слова «а-па» – «сын». (Подобная форма соответствует, к примеру, грузинскому слову «эриставт-эристави», т.е. «эристав над эриставами».) Не исключено, что такое образование могло возникнуть при наличии нового эристава Абхазии другой (и, возможно, не абхазской) фамилии».

Тесная связь между родами Ачба и Чачба прослеживается в абхазских преданиях и поговорках. Она, несомненно, определена той ролью, которую эти фамилии играли в истории страны. Яркое свидетельство тому, тот факт, что абхазские языческие «жрецы» во время своих молений, завершали обряд жертвоприношения примерно следующими словами: «Боже, пожалей нас и избавь от всякого зла и несчастья, пошли нам милость твою: дай плодородие земле, чтобы мы с женами и детьми нашими не знали бы ни голода, ни холода, ни горя, до тех пор, пока я этими кусочками печени и сердца и этим вином не накормлю досыта всех Ачба и Чачба!».

Ш.Д.Инал-ипа, описывая этот обряд, отмечает, что смысл заключительной части молитвы состоит в том, что представителей фамилий Ачба и Чачба везде так много, что возможность насыщения всех их продуктами от одного жертвоприношения исключается, а, следовательно, и вымаливаемое у божества благополучие должно быть вечным. Кроме того, как пишет автор, здесь род Ачба упоминается первым потому, очевидно, что первенство в управлении страной принадлежало его представителям¹. Действительно, в глухих воспоминаниях о периоде раннесредневекового Абхазского царства, объединенных в цикле преданий об *апсха* – царе абхазов, на первое место выступает род Ачба. По одной из версии сам апсха был из рода Ачба; по другой версии, апсха – иноземец, который вынужден покинуть Абхазию и оставить свои владения братьям Ачба, выходцам с Северного Кавказа. Что касается фамилии Чачба, то согласно этим сказаньям, его родоначальник поселился в Абхазии в период ачбовского правления. Поэтому по единоголосному свидетельству абхазских народных преданий, первыми правителями Абхазии являлись Ачба, которых позже сменили Чачба (Шервашидзе). Существует и характерная поговорка: «Не сказав об Ачба, не скажешь о Чачба».

Исходя из этих данных, многие авторы (А.Введенский, Д.Гулиа, К.Туманов, Ш.Инал-ипа, Д.Чачхалиа и др.) считают, что абхазские цари VIII-X вв. были из рода Ачба, боковая ветвь, которой, видимо, некоторое время продолжала управлять Абхазией (уже в качестве царских наместников – эриставов) и в начальный период существования объединенного грузинского государства во главе с династией Багратионов.

В письменных исторических источниках не сохранились сведения о том, когда и каким образом верховная власть в Абхазии перешла к роду Чачба-Шервашидзе. Ясно только то, что это случилось не раньше 978 г., когда окончилось правление абхазских царей-Леонидов², и не позже середины 80-х гг. XII века, когда на страницах летописи уже упоминается эристав Отаго Шарвашидзе. Смутные сообщения о смене владельческой династии встречаем лишь в устной традиции. Например, С.Н.Джанашиа в 1929 г. на Северном Кавказе, среди проживающих там абазин записал довольно туманное выражение: «Ачбовы поссорились и Чачбовы поднялись», являющееся, по мнению ученого, отголоском той борьбы, которая некогда имела место между родами Ачба (Анчабадзе) и

¹ В другом месте автор приводит также слова проклятия: «Да обрушится на тебя гнев того, кто оберегает Ачба и Чачба»

² Условное названия абхазской царской династии, принятое в научной литературе по имени его первого представителя Леона II (конец VIII в.).

Чачба (Шервашидзе). Может быть, измененным вариантом данного выражения является поговорка «Ачаа еимакны – Чачаа еифафеит» («Иза Ачбовых – Чачбовы поссорились»), которую автор этих строк слышал от представительницы зарубежной абхазской диаспоры госпожи Рейхан Ажюнха (Званба).

В одном из абхазских преданий говорится, что правление князей Ачба в Абхазии носило деспотический характер, они продавали людей в рабство, и население восстало против них. Повстанцы обратились за помощью к иранскому царю, который прислал им владетелем *Шах-Шаруна*. Тот полюбил Абхазию и остался здесь. Он и его потомки стали известны под именем Чачба (по аналогии с фамилией бывшего владельца – Ачба). Первыми поддержали Чачбу бзыбцы (жители Западной Абхазии), и он правил у них, а абжуйские общины (в Восточной Абхазии) долго не признавали Чачбу.

Это предание, записанное Ш.Д.Инал-ипа в 1966 г. от 90-летнего жителя с. Араду Очамчирского района, частично напоминает сообщение византийского историка Прокопия Кессарийского (VI в.) о восстании древнеабхазского племени абазгов против своих царей, практиковавших продажу собственных подданных в Константинополь. Однако если даже сочинение Прокопия и оказало какое то влияние на рассказ информатора, всё ж таки нет оснований приписывать преданию целиком книжное происхождение; работорговля на кавказских берегах Черного моря, в которой участвовали представители местной знати, происходила с древнейших времен до XIX века. Заслуживает также интерес сообщение, будто «Шах-Шарун» и его потомки вначале утвердились в Бзыбской области, что перекликается с другими легендами, в которых говорится, что родоначальник фамилии Чачба, поселившийся в Абхазии в период правления князей Ачба, получил от них во владение землю в районе р. Бзыбь. Кроме того, вышеприведенное предание явно увязывается с легендой о происхождении князей Шервашидзе (Чачба) от ширваншахов («Шах-Шарун»). Однако, в период, когда род Шервашидзе утвердился в Абхазии (между 978 и 1185 гг.) ни о каком влиянии там Ирана или какой-нибудь другой восточной державы не могло быть и речи. Абхазия входила в состав объединенного грузинского государства, правители которого, носившие титул царей абхазов и картвелов, были достаточно могущественны, чтобы не допустить в своих владениях чужих ставленников. Поэтому, если эта легенда, основана на каких то подлинных событиях, что вполне возможно, то правителем, посадившим в Абхазии представителя ширванской династии, был царь из рода грузинских Багратионов.

На роль такого государя больше всего подходит Давид Строитель,

твердой рукой отстранявший от власти не только неугодных эриставов, но и упразднивший ряд государств, в частности, Кахето-Эретское царство (1103), Лорийское царство (1118), Анийский эмират (1124), государство ширваншахов (1124), территории которых присоединил к своим владениям.

Если первого Шервашидзе правителем Абхазии действительно назначил Давид Строитель, то это событие, скорее всего, могло иметь место или в начале 1121 г., когда после набега на Ширван, царь отправился в Абхазию и, по сообщению летописца, дойдя до Пицунды, «управился делами тамошними: достойных милости – наградил, а провинившихся – захватил и наказал»; или же в 1124 г., после занятия Давидом всего Ширвана (к последней дате, в частности, склоняется К.Д.Кудрявцев).

Возможно в 1120-1121 гг. в Абхазии произошло выступление части феодалов во главе с местным правителем против политики централизации, осуществляемой Давидом IV. Подавив выступление, царь сместил традиционно правящий род (Ачба-Анчабадзе?), тысячами «нитей» связанный с местным дворянством, и назначил эриставом представителя ширванского дома, человека не менее знатного, но выходца из отдаленного прикаспийского края и, посему, не имеющему прочных связей с феодальной знатью Абхазии, а также Западного Кавказа в целом. Новый эристав, не имеющий опоры в местном обществе, был бы целиком зависим от царя. Кроме того, привлекая к себе на службу ширванскую знать, Давид мог преследовать цель еще более укрепить грузинское влияние в Ширване. Такая задача стала бы особенно актуальной после присоединения Ширвана (1124), в результате чего, правившая там в ту пору династия Кесранидов, фактически, оказалась не у дел³. Полностью отстранить от политической власти Кесранидов, с которыми находился в родстве (одна из дочерей царя была замужем за ширваншахом Манучехром II), Давид не мог, и, вероятно, этим тоже объясняется назначение одного из них правителем Абхазии.

Таким образом, версия о происхождении рода Шервашидзе от ширванской династии Кесранидов, выглядит вполне вероятной⁴. Вместе

³ Ширванское государство было восстановлено в период правления сына Давида Строителя, царя Деметре I (1125-1156) и Кесраниды снова утвердились в нем в качестве вассалов грузинских царей.

⁴ Рассматривая эту версию как главную, интересно проследить и происхождение династии ширваншахов-Кесранидов (1027-1382). Установлено, что Кесраниды являлись прямыми потомками наследственных арабских наместников в Закавказье – Йазидидов, которые с 861 г., после ослабления Багдадского халифата,

с утверждением в Цхумском эриставстве Шервашидзе приняли православие и, видимо, скоро обабахизались в этническом отношении, что выразилось, в частности, также в появлении у них местной фамилии – Чачба (Ачачба)⁵.

З.В.Анчабадзе в связи с этим пишет: «по своему социальному облику феодальный род Шервашидзе, как и некоторые другие абхазские дворянские роды того времени, принадлежал к феодальному классу Грузинского царства, и в этом отношении Дотагод Шарвашидзе по существу мало отличается от названных рядом с ним Барама Варданидзе, Кахабери, Аманелидзе или Бедиани. Вместе с тем это положение отнодь не исключает того обстоятельства, что вскоре после своего утверждения в Абхазии Шервашидзе становятся такими же абхазскими феодалами, какими Варданидзе были сванскими или Бедиани мегрельскими феодалами».

*Впервые напечатано в газете:
«Кавказский Акцент», №16 (89). 16–31 авг. 2003 г.*

самостоятельно управляли Ширваном, приняв древний местный титул «ширваншах». Основатель этой генеалогической линии, Йазид ибн Маз'яд, происходил из родовой знати клана Шайбан, арабского племени Раби'а. Впервые правителем «Арминии» (областей Закавказья, находившихся под властью арабов) он был назначен в 785-786 гг.

⁵ Второй представитель рода Шервашидзе, упоминающийся в исторических источниках, уже прямо именуется «абхазом». Это Дардин Шервашидзе, который командовал армией сельджукского султана Кей-Хюсрева II в битве с монголами в 1243 г. В частности, анонимный грузинский летописец XIV в. пишет о нем: «[Султан] поставил во главе войск Шарвашидзе, по имени Дардина, абхаза, крепко державшегося [православной] веры, и весьма возвеличенного султаном из-за его доблести». В ожесточенном сражении у горы Кесэ-даг сельджуки были разбиты. «И убит был прославленный Шарвашидзе Дардин, абхаз, их полководец». Возможно, имя полководца – «Дардин» – грузинская транскрипция старинного абхазского имени «Дадын».

შერვაშიძეთა გვარის წარმოშობის შესახებ

თავადი შერვაშიძეების გვარი (ადრინდელი ფორმა: *შარვაშის ძე, შარვაშიძე*, აფხაზურად: *ჩაჩბა, აჩაჩბა*) ერთ-ერთი ყველაზე ძველია საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში. ჯერ კიდევ XII ს-ში ამ საგვარეულოს წარმომადგენლებს ცხუმის ერისთავთა მაღალი თანამდებობა ეკავათ. ეს ფაქტი, როგორც ცნობილია, დადასტურებულია თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში, სადაც 1180-იანი წლების შუა პერიოდის აღწერისას, ცხუმის ერისთავად მოიხსენიება *ოთაღო შარვაშის ძე*¹.

სამწუხაროდ, შერვაშიძეთა უძველესი საგვარეულო დოკუმენტები არ შემონახულა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ამ ფეოდალური სახლის წარმოშობისა და აფხაზეთში გაბატონების დროისა და პირობების გარკვევას. ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია არა ერთი ჰიპოტეზა (მეტწილად ერთმანეთის გამომრიცხავი), თუმცა ამ ჰიპოტეზათა ავტორების უმრავლესობა მაინც გაკვრით შეეხო პრობლემას. როგორც პირველი სპეციალური გამოკვლევა შერვაშიძეთა გვარის წარმოშობის შესახებ, შეიძლება დავასახელოთ ზურაბ ანჩაბაძის

¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ., 1959. გვ. 33-34. — აკად. ს. ჯანაშიას დასაშვებად მიაჩნია, რომ მერმინდელი შერვაშიძეები გენეალოგიურად დაკავშირებულნი არ იყვნენ ამ გვარის უძველეს მატარებლებთან. “ფეოდალური ძალმომრეობის ხანაში რა გასაკვირი იქნებოდა, რომ მთავრის უფლება ერთი საგვარეულოდან მეორეში გადასულიყო თვით “შარვაშიძის” გვარის სახელთან ერთად, რომელსაც ამ შემთხვევაში სამთავრო ტიტულის მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ მოვლენას მეზობელ სამეგრელოშიაც ვხედავთ, სადაც გვარის სახელი “დადიანი” ოდიშის მფლობელის წოდებად იქცა და სადაც დადიანობას სხვადასხვა გვარი ითვისებდა” (ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი // შრომები. VI. თბილისი, 1988. გვ. 28). ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საგვარეულო სახელის გადასვლის ფაქტებს ერთი გვარიდან მეორეზე თუმც კი ჰქონია ხოლმე ადგილი ფეოდალურ ხანაში (როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ), მაგრამ მაინც გამონაკლისს წარმოადგენდა. შერვაშიძეთა გვარის შესახებ (დაწვებული ისტორიაში ცნობილი მისი პირველი წარმომადგენლებიდან) არ გვაქვს არავითარი ცნობა, არც წერილობითი, არც ზეპირი, რომელიც შეიძლება მიუთითებს გენეალოგიური ხაზის წყვეტაზე.

მონოგრაფიის – “Из истории средневековой Абхазии” – ერთ-ერთი ქვეთავი – “К вопросу о происхождении феодального рода Шервашидзе (Чачба)”, რომელიც მთლიანად აღნიშნულ საკითხს ეძღვნება².

როგორც აღვნიშნეთ, შერვაშიძეთა საგვარეულოს ფეოდალური აფხაზეთის სათავეში მოქცევის ამსახველი წერილობითი წყაროები არ შემონახულა, მაგრამ არსებობს ზეპირი ტრადიცია, რომელიც ამ ამბავს დავით აღმაშენებელის ეპოქას უკავშირებს. კერძოდ, ამ გადმოცემის მიხედვით, დავით მეფემ აფხაზეთის სათავეში შარვანელი უფლისწული დააყენა, რომლის შთამომავლები არიან აფხაზეთის შემდეგდროინდელი მთავრები – შერვაშიძეები.

ამ თქმულებიდან გამომდინარე, დ. გულია შერვაშიძეებს შარვანშაჰის საგვარეულოდან წარმომდგარ მთავრებს უწოდებდა («князя из рода потомков Ширван-Шаха»)³. მართლაც XII-XIII სს-ის ქართულ წერილობით წყაროებში დადასტურებული უძველესი ფორმა ამ გვარის სახელისა – *შარვაშის ძე* – სიტყვასიტყვით შარვანშაჰის (*შარვაშას*) ძეს ნიშნავს⁴. შარვანის სამეფო, როგორც ცნობილია, მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან როგორც პოლიტიკურად (შარვანშაჰები დაახლოებით 100 წლის განმავლობაში აღიარებდნენ საქართველოს მეფეთა უზენაესობას), ასევე კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ამიტომ ასეთი სახელის ტარება საქართველოს ერთ-ერთი უწარჩინებულესი ფეოდალური გვარის მიერ, არ შეიძლება შემთხვევითი ყოფილიყო და მიუთითებს ცხუშის ერისთავთა კავშირზე შარვანის მმართველ დინასტიასთან.

შერვაშიძეთა შირვანშაჰებისაგან წარმოშობის ვერსიას არაერთი ავტორი იზიარებს⁵. ამ ვერსიისაკენ იხრება აგრეთვე ზ.

² *З.В.Анчабадзе*. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959. С. 190-195.

³ *Д.И. Гулиа*. История Абхазии. Т.1. Тифлис, 1925. С. 138.

⁴ *З.В.Анчабадзе*. დასახ. ნაშრ. გვ. 192.

⁵ იხ. მაგალითად: Абхазия // Энциклопедический словарь / Под ред. проф. И.Е.Андреевского. Т.1. Издатели: Ф.А.Брокгауз, И.А.Ефрон. Санкт-Петербург, 1890. С. 48; *მ. ბროსე*. საქართველოს ისტორია. ნაწ. II. ტფილისი, 1900. გვ. 167; *А.Н. Дьячков-Тарасов*. Абхазия и Сухум в XIX столетии // Известия Кавказского отдела Русского географического общества. Т. XX, №2. Тифлис, 1910. С. 150; *Д.И. Гулиа*. დასახ. ნაშრ. გვ. 138, 208; История Абхазии. Учебное пособие. Гудаута, 1993. С. 100.

ანჩაბაძე, თუმცა იგი თავს იკავებს ამის კატეგორიული მტკიცებისაგან.

შერვაშიძეთა წარმომავლობის შესახებ არსებობს მეორე საინტერესო მოსაზრებაც. კერძოდ, აკად. ნ. ბერძენიშვილმა დასაშვებად მიიჩნია, რომ ამ გვარსახელის, უფრო ზუსტად, მისი აფხაზური ფორმის, ჩაჩბას, სახელნაცვალდი იყოს XI ს-ის მხედართმთავრის – *ქუაბულელ ჭაჭას ძე ოთაღოს* სახელი, რომელიც 1045 წ. ანაკოფიის ალყის დროს მეთაურობდა ქართული ლაშქრის აფხაზურ კონტინგენტებს⁶. ამ ვერსიის სასარგებლოდ თითქოს მეტყველებს როგორც გარკვეული ფონეტიკური მსგავსება ონიმებს შორის – *ჭაჭას ძე* და *ჩაჩბა*, ასევე ის, რომ ანაკოფიასთან მდგარი აფხაზური რაზმების სარდალი ატარებდა იმავე სახელს, ოთაღოს, რასაც ზემოხსენებული ცხუმის ერისთავი – შარვაშის ძე (როგორც ცნობილია, ფეოდალურ გვარებში თაობიდან თაობაში ხშირად მეორდებოდა ერთი და იგივე სახელი). მაგრამ ასეთ შემთხვევაში გაუგებარია რატომ იხმარა მემტკიცანემ ფორმა *ჭაჭას ძე* და არა *ჩაჩბას ძე*, რაც აფხაზური ჩაჩბას უფრო ზუსტი “გადმოქართულება” იქნებოდა. გარდა ამისა, იბადება კითხვა, საიდან გაუჩნდათ ჩაჩბებს ახალი გვარსახელი – “შარვაშის ძე”, რომელიც ასე ღიად მიუთითებს შარვანზე.

ნ. ბერძენიშვილის ჰიპოტეზა ჭაჭას ძისა და ჩაჩბას შორის გენეალოგიური კავშირის შესახებ, ბოლო დროს გ. წულაიამ გაიზიარა. მისი აზრით: “შარვაშის ტიტული საეხსებით შეიძლება ბოდა საფუძვლად დადებოდა მეორე გვარს და ბოძებოდა ჭაჭას ძეთა რომელიმე <...> წარმომადგენელს”⁷, მაგრამ ავტორი აღარ ხსნის, როგორ უნდა მიეღო აფხაზ ფეოდალს შარვანის მმართველის ტიტული.

ამიტომ ოთაღო ჭაჭას ძისაგან შერვაშიძეთა გვარის წარმოშობის კატეგორიული მტკიცება არ შეიძლება, თუმცა ეს ვერსია შეიძლება განვიხილოთ როგორც ამ საკითხთან დაკავშირებული ერთ-ერთი საყურადღებო ჰიპოტეზა.

ნაკლებად სარწმუნო ჩანს აკად. ნ. მარის მახვილგონივრული, მაგრამ ყოველგვარ მტკიცებულებას მოკლებული მოსაზრება, თითქოს შერვაშიძეთა გვარი დაკავშირებულია “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” მოხსენიებულ *ბაგრატ შაროელ* ხელმწიფესთან (IX ს.). მეკლევარის ვარაუდით, გვარსახელი “შაროე-

⁶ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990. გვ. 605.

⁷ Г.В.Цулая. Абхазия и абхазы в контексте истории Грузии (Домонгольский период). Москва, 1995. С.132.

ლი”, განურჩევლად იმისა იგი საგვარეულო სახელიდან წარმოდგება თუ გეოგრაფიულიდან, შუალედური მეგრული ფორმის – *შაროში*-ს მეშვეობით, აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი “ო” ბგერის “ვა”-დ გარდაქმნისა და ქართული “ძი”-ს დამატებით, შეიძლებოდა “შარვაშიძედ” გადაქცეულიყო⁸.

არაფრით არ არის გამაგრებული აგრეთვე თ. გვანცულაძის ვარაუდი, თითქმის შარვაშიძის გვარს საფუძვლად ედოს სვანური მამაკაცის სახელი *შავერშ*.

შერვაშიძეთა სუფთა აფხაზური წარმოშობისაკენ იხრებოდა ისტორიკოსი კ. კუდრიავცევი. ფონეტიკური მსგავსებიდან გამომდინარე, მან ივარაუდა ჩაჩბა-შერვაშიძეების წარმოშობა *გეჩბას* გვარიდან, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული იყო ჯიქეთში¹⁰. გეჩბების სამფლობელო მდ. ფსოუს შესართავთან მდებარეობდა.

ამავე ავტორს ეკუთვნის მეორე ჰიპოტეზაც შერვაშიძეების წარმოშობის შესახებ. კერძოდ, მან დასაშვებად ჩათვალა, რომ ჩაჩბა-შერვაშიძე გენეტიკურად აჩბა-ანჩაბაძის მონათესავეა და ეს ორივე გვარი მომდინარეობს VIII-X სს-ის აფხაზთა სამეფო დინასტიის სხვადასხვა შტოებიდან¹¹.

ვერსიას ანჩაბაძეებისა და შერვაშიძეების ნათესაობის შესახებ თითქოს ზოგიერთი ჩრდილოკავკასიური გადმოცემაც ამაგრებს. მაგალითად, ჩერქეზული ლეგენდის თანახმად, დასავლეთ ადიღური ტომების აზნაურული გვარები არიან ორი ძმის ჩამომავლები, რომელთა სახელები იყო *აჩე* და *ჩაჩე*¹². ამ ლეგენდამ არ შეიძლება არ გავგახსენოს აფხაზეთის ორი ფეოდალური გვარი – აჩბა და ჩაჩბა. უეჭველია, მათგან მოდის, აგრეთვე, პირიქითელი აფხაზების (აბაზების) ლეგენდარული მთავრების სახელები – *აშე* და *შაშე*, რომლებიც იხსენიებიან XIX ს-ის ყაბარღოელი განმანათლებლის შორა ნოგმოვის თხზულებაში –

⁸ *Георгий Мерчул*. Жизнь св. Григория Хандзтийского. Введение, издание, перевод Н.Марра // *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии*. VII. С.-Петербург, 1911. С. LVII.

⁹ თ. გვანცულაძე. ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის // *აფხაზეთის ისტორიის პრობლემები*. თბ., 1998. გვ. 56.

¹⁰ *К.Кудрявцев*. Сборник материалов по истории Абхазии. Сухум, 1922. С.128.

¹¹ იქვე. გვ. 121.

¹² *Ф.Сталь*. Этнографический очерк черкесского народа // *Кавказский сборник*. Т. XXI. Тифлис, 1900. С.67.

«История адыгейского народа», რომელიც ყაბარდოელთა ისტორიულ გადმოცემებზეა აგებული¹³.

როგორც ჩანს, ლეგენდები აჩესა და ჩაჩეს შესახებ ჩრდილოკავკასიურ სამყაროში წარმოიშვა ფეოდალური აფხაზეთის გაგენით, სადაც აჩბა და ჩაჩბა უწარჩინებულეს გვარებს წარმოადგენდნენ. ამასთან აღსანიშნავია, რომ აბაზები ისტორიული აფხაზეთიდან არიან გადასულები ჩრდილო კავკასიაში XIII ს-ის შემდეგ, დასავლეთ ადიღურ (კაბაზურ) ტომებში კი (აბაძახები, შაფსულები, ბზადულები და სხვ.) გვიანი შუა საუკუნეების მანძილზე ბევრი აფხაზური ელემენტი გაითქვიფა. შესაძლოა, ამ ხალხების სოციალური ზედაფენა თანამეტომეთა შორის საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამადლების მიზნით თხზავდა ლეგენდებს თავისი წარმოშობის შესახებ ძველი და სახელდებული გვარებიდან. ამის მაგალითები მრავლად გვხვდება ფეოდალური სახლების გენეალოგიაში. მაგრამ ამ გადმოცემათა სრული იგნორირებაც არ შეიძლება. მაგალითად, ცნობილია, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ზოგი ფეოდალური საგვარეულო გენეტიკურად უკავშირდება აფხაზურ გვარებს – აჩბას, მარშანს, მაანს და სხვ.

ზ. ანჩაბაძის აზრით, “შერვაშიძეთა გვარის სუფთა აფხაზურ წარმოშობაში შეიძლება ეჭვი შევიტანოთ შემდეგი მოსაზრებების გამო: აფხაზური თავად-აზნაურული გვარების ქართული ფორმები, როგორც წესი უშუალოდ სათანადო აფხაზური გვარებიდან არის ნაწარმოები. მაგალითად: მარშანია – ამარშან, ინალიშიელი – ინალიფა, ანჩაბაძე – აჩბა, ძიფშიშიელი – ძიფშიფა, მარლანია – მაანი და ა.შ. რაც შეეხება შერვაშიძის გვარს, იგი ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს. ამ გვარის აფხაზურ ფორმას (აჩაჩბა–ჩაჩბა) არაფერი საერთო არა აქვს მის ქართულ ფორმასთან – შარვაშიძე. სამაგიეროდ, იგი მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს გვარსახელთან აჩბა: აჩბა – აჩაჩბა”¹⁴.

შემდეგ ზ. ანჩაბაძე იხსენებს XIX ს-ის ერთი რუსი ავტორის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ აფხაზთა მტკიცებით, მათ ენაზე აჩბა ნიშნავს “მთავარს”, ხოლო ჩაჩბა – “მთავართა მთავარს”¹⁵ და წერს: “აქედან გამომდინარე ხალხური წარმოდგე-

¹³ Ш.Б.Ногмов. История адыгейского народа. Нальчик, 1958. С. 108, 112.

¹⁴ З.В.Анчабадзе. დასახ. ნაშრ. გვ. 194.

¹⁵ [А.Н.Введенский]. Абхазцы (Азег). По поводу сочинения г. Дубровина «Очерк Кавказа и народов, его населяющих» // Сборник сведений о кавказских горцах. Т. VI. Тифлис, 1872. С.30.

ნა “ჩაჩბაზე”, როგორც “მთავართა მთავარზე” შეიძლება ასე აიხსნას. საგვარეულო სახელს აჩბა, ვინაიდან მისი წარმომადგენლები (ხალხური გადმოცემით) პირველობდნენ აფხაზეთში, დროთა განმავლობაში შეეძლო მიეღო “მთავრის” ტოლფასი ტიტულის მნიშვნელობა. ამის მაგალითები ცნობილია ფეოდალური საქართველოს ისტორიაში: სამეგრელოს მთავრების დადიანების გვარი აღიქმებოდა როგორც ტიტული – დადიანი (შდრ. ისტორიული წყაროს გამოთქმა: “ნადირობასა შინა ხრომან ირმისამან წარიტაცა დადიანი მანუჩარ და მოკლა იგი < ... > და დასუეს ძე მისი ლევან დადიანად”¹⁶). იგივე მოხდა გვარსახელ გურიელთან დაკავშირებით. საკვებით დასაშვებია, რომ გვარსახელი აჩბაც აფხაზეთში აღქმულიყო როგორც მთავრის ტიტული. კონკრეტულად ეს შეიძლება გამოსახულიყო დამატების გაჩენით გვარის ფუძეზე “აჩ”, რის შედეგად მივიღეთ ფორმა აჩ-აჩ-ბა (ჩაჩბა), სადაც “ბა” არის მჟღერი ფორმა სიტყვისა “ა-ფა” – “ძე”. (მსგავსი ფორმა, მაგალითად, შეესაბამება ქართულ სიტყვას “ერისთავთ-ერისთავი”) გამორიცხული არ არის, რომ ასე მომხდარიყო აფხაზეთში ახალი (და, შეიძლება, არააფხაზური) გვარის ერისთავის დაჯდომის შემდეგ¹⁷.

აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში მჭიდრო კავშირი ვლინდება აჩბასა და ჩაჩბას საგვარეულოებს შორის. ეს ფაქტი განპირობებული უნდა იყოს იმ როლით, რომელსაც ეს გვარები ასრულებდნენ ქვეყნის ისტორიაში. მაგალითად, აფხაზი “ქურუმები” ტრადიციული ღოცვების დროს მსხვერპლშეწირვის ცერემონიას შემდეგი სიტყვებით ამთავრებდნენ: “ღმერთო, შეგვიწყალებ და გვისხსენ ბოროტისაგან, მოგვფინე მაღლი შენი, მიეც ნაყოფიერება მიწას, რათა ჩვენ, ჩვენი ცოლ-შვილით, დაზღვეულნი ვიყოთ შიმშილის, სიცივისა და ყოველგვარი უბედურებისაგან, მანამდე, სანამ გულ-ღვიძლის ამ ნაჭრებითა და ამ ღვინით შეველა აჩბასა და ჩაჩბას არ დავაპურებ”¹⁸.

¹⁶ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973. გვ. 824.

¹⁷ З.В.Анчабадзе. დასახ. ნაშრ. გვ. 195.

¹⁸ სხვადასხვა წყაროებიდან. მაგალითად: Ш.Д.Инал-ипа. Абхазы (Историко-этнографические очерки). Сухуми, 1965. С. 533, 560; А.Б. Крылов. Религия и традиции абхазов. Москва, 2001. С. 232, 246, 251, 269 და სხვ. – შ. ინალიფას ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში მოტანილია წყევლის სიტყვებიც:

აფხაზოლოგოურ ლიტერატურაში არ არსებობს დამაჯერებელი განმარტება იმის შესახებ, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს ზემომოყვანილი სალოცავი ტექსტის უკანასკნელი ნაწილის არსი, თუმცა ამ ფორმულაში აჩბების პირველ ადგილზე მოხსენიებას ხსნიან იმითი, რომ პირველობა ქვეყნის მართვაში უფრო ადრე მათ ეკუთვნოდათ¹⁹. კერძოდ, ადრეული შუა საუკუნეების აფხაზთა სამეფოსთან დაკავშირებულ ბუნდოვან მოგონებებში, რომლებიც ერთიანდებიან აფხაზთა მეფის – *აფხას* – შესახებ არსებული თქმულებების ციკლში, პირველ ადგილზე აჩბას გვარი იკვეთება. ერთი ვერსიით აფხა თვითონ იყო აჩბა, მეორე ვერსიით კი – აფხა უცხოელი იყო, რომელიც იძულებული გახდა თავისი სამფლობელოები ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული აჩბებისათვის დაეთმო²⁰. რაც შეეხება ჩაჩბების (შერვაშიძეების) გვარს, ამ ლეგენდებით მათი წინაპარი აფხაზეთში აჩბების მმართველობის დროს მოვიდა²¹. ამიტომ აფხაზური ზეპირგადმოცემების ერთსულოვანი მტკიცებით, აფხაზეთის უძველესი გამგებლები აჩბები იყვნენ, რომლებიც შემდეგ ხანებში ჩაჩბებმა შეცვალეს. არსებობს ანდაზაც: ჯერ აჩბა ახსენე და შემდეგ ჩაჩბაო²².

ამ მონაცემებიდან გამომდინარე ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ VIII–X სს-ის აფხაზთა მეფეები აჩბათა საგვარეულოდან იყვნენ²³, რომლის გვერდითი შტო, როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდი აგრძელებდა საკუთრივ აფხაზეთის მართვას

“შეგრისხოს მან, ვინც აჩბასა და ჩაჩბას მფარველობს” (*შ.დ.ინალ-იპა*. Антропонимия абхазов. Майкоп, 2002. С.173.).

¹⁹ *შ.დ.ინალ-იპა*. Страницы исторической этнографии абхазов. Сухуми, 1971. С. 251.

²⁰ იქვე გვ. 243-245.

²¹ იქვე გვ. 234, 242.

²² *ს. ჯანაშია*. დასახ. ნაშრ. გვ. 28; *შ.დ.ინალ-იპა*. Страницы исторической этнографии абхазов. С. 250-251.

²³ იხ. მაგალითად: [A.Н.Введенский]. С. 29-30; *Д.И.Гулия*. Указ. соч. С.207-210; *შ.დ.ინალ-იპა*. О содержании термина «апсха» - царь Абхазии // Труды абхазского института языка, литературы и истории им. Д.И.Гулия. Вып. 33-34. Сухуми, 1963. С. 175; *Studies in Christian Caucasian history. Cyril Toumanoff*. Georgetown University press. 1963. P. 269, 256, 530; *Allen W.E.D. A History of the Georgian People*. London, 1971. P. 81, 84; *შ.დ.ინალ-იპა*. Страницы исторической этнографии абхазов. С. 229, 250-252. – არსებობს აგრეთვე არაპირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზთა მეფეებს აჩბათა გვარის წარმომადგენლებად მიიჩნევდა ივ. ჯავახიშვილიც (იხ. *Г.Гулия*. Дмитрий Гулия: повесть о моем отце. Москва, 1965. С. 181).

(უკვე ერისთავთა რანგში) გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეების დროსაც²⁴.

წერილობით წყაროებში არ შემონახულა ცნობები იმის შესახებ თუ როდის და რა პირობებში მოხდა აფხაზეთში უზუნაესი ხელისუფლების გადასვლა ჩაჩბა-შერვაშიძეთა ხელში. ცხადია, მხოლოდ, რომ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო 978 წელზე უფრო ადრე, როდესაც დამთავრდა “ლეონიდების” მმართველობის ხანა²⁵, და XII ს-ის 80-იან წლებზე უფრო გვიან, როდესაც “ქართლის ცხოვრებაში” უკვე მოიხსენიება ერისთავი ოთაღო შარვაშისძე. ბუნდოვანი გადმოცემები გაბატონებული დინასტიის შეცვლის შესახებ შემოინახა მხოლოდ ზეპირმა ტრადიციამ. მაგალითად, ს. ჯანაშიამ 1929 წელს ჩრდილო კავკასიაში, ადიღეს ავტონომიურ ოლქში მცხოვრები აბაზეისაგან ჩაიწერა უკვე საკმაოდ დამახინჯებული გადმოცემა აჩბებსა და ჩაჩბებს შორის მომხდარი ბრძოლის შესახებ, რომლის აზრი მიახლოებით ასეთია: “აჩბები წაიკიდნენ და ჩაჩბები აიშაღნენო”²⁶. მეცნიერის ვარაუდით, ეს და სხვა ფაქტები საგულგებელს ხდიან, რომ ჩაჩბებზე ადრე “შარვაშიძეობა” ანჩაბაძეთა საგვარეულოს ხელში უნდა ყოფილიყო²⁷.

ერთი აფხაზური თქმულება მოგვითხრობს, რომ აჩბების მმართველობა აფხაზეთში დესპოტურ ხასიათს ატარებდა. ისინი ქვეშევრდომებს მონებად ჰყიდდნენ, რამაც მათ წინააღმდეგ ხალხი ააჯანყა. აჯანყებულებმა ირანის შაჰს მიმართეს დახმარებისათვის, რომელმაც მათ ვინმე შაჰ-შარუნი გამოუგზავნა წინამძღოლად. შაჰ-შარუნს ისე შეუყვარდა აფხაზეთი, რომ სამუდამოდ აქ დარჩენა გადაწყვიტა. მან და მისმა შთამომავლებმა მიიღეს გვარი ჩაჩბა (ყოფილი მმართველი დინასტიის – აჩბას – ანალოგიით). ჩაჩბებს პირველად ბზიფელები მიემხრნენ და დასავლეთ აფხაზეთში აღიარეს მთავრებად, აბუყელთა თემები კი

²⁴ К.Кудрявцев. დასახ. ნაშრ. გვ. 127, 129; Ш.Д.Инал-ипа. Страницы исторической этнографии абхазов. С. 252.

²⁵ აფხაზეთის სამეფო დინასტიის პირობითი სახელწოდება, მიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

²⁶ შესაძლოა, რომ ამ გამოთქმის შეცვლილი ვარიანტია ანდაზა: “აჩაა ეიმაქნე – ჩაჩაა ეიბაძეით” (“აჩბების გამო ჩაჩბები წაიკიდნენ”), რომელიც ჩვენ შეგვატყობინა ამჟამად ლონდონში მცხოვრებმა თურქეთის აფხაზური დიასპორის წარმომადგენლმა – ქნმა რეიჰან აჟაუშვამ (ზვანბამ).

²⁷ ს.ჯანაშია. დასახ. ნაშრ. გვ. 28.

(აღმოსავლეთ აფხაზეთში) დიდხანს არ ცნობდნენ ჩაჩბებს და ისევ თავის ძველ ბატონებს ემორჩილებოდნენ²⁸.

ეს გადმოცემა, რომელიც შ. ინალ-იფამ ჩაიწერა 1966 წ. სოფ. არადუში (ოჩამჩირის რ-ნი) 90 წლის გლეხისაგან, ნაწილობრივ მოგვაგონებს ბიზანტიელი ისტორიკოსის, პროკოპი კესარიელის (VI ს.) მოთხრობას იმის შესახებ, თუ როგორ აუჯანყდნენ აბაზგები საკუთარ მეფეებს, რომლებიც ქვეშევრდომებს მონებად ჰყიდდნენ კონსტანტინოპოლში. მაგრამ პროკოპის თხზულებამ კიდევ თუ მოახდინა რაიმე გავლენა ინფორმატორის მონათხრობზე, მაინც საფუძველს მოკლებულია, რომ გადმოცემა მთლიანად ლიტერატურული წყაროდან წარმოშობილად ჩავთვალოთ. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ტყვის სყიდვას, რომელშიც ადგილობრივი სოციალური ზედაფენის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, ადგილი ჰქონდა უძველესი დროიდან XIX ს-მდე. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოებაც, თითქოს “შაჰ-შარუნმა” და მისმა შთამომავლებმა პირველად ბზიფის აფხაზეთში მოიკიდეს ფეხი. ეს ცნობა სხვა გადმოცემებს ეხმიანება, რომელთა მიხედვით ჩაჩბას გვარის ფუძემდებელმა, რომელიც აფხაზეთში აჩბების მმართველობის დროს მოსულა, მთავრისაგან დასასახლებლად მიწა მიიღო მდ. ბზიფის რაიონში²⁹.

გარდა ამისა, ზემოვანხილული გადმოცემა პირდაპირ უკავშირდება ლეგენდას ჩაჩბა-შერვაშიძეთა გვარის წარმოშობის შესახებ შარვანშაჰების სახლიდან (“შაჰ-შარუნი”). მაგრამ იმ ხანებში, როდესაც შერვაშიძეთა აფხაზეთში დაფუძნება იგულისხმება (978-1185 წლებს შორის), დასავლეთ საქართველოს საქმეებზე არავითარი გავლენა არ ჰქონია არც ირანს და არც სხვა რომელიმე აღმოსავლურ ქვეყანას. აფხაზეთი ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, რომლის ხელმწიფეები, რომლებიც აფხაზეთა და ქართველთა მეფის ტიტულს ატარებდნენ, საკმაოდ ძლიერნი იყვნენ იმისათვის, რომ თავის სამფლობელოებში არ დაეშვათ სხვათა მიერ დაყენებული მმართველები. ამიტომ ზემოხსენებული ლეგენდა თუ მართლაც რაიმე ისტორიული ფაქტის გამოძახილია, რაც სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, უნდა ვიფიქროთ, რომ ხელმწიფე, რომელმაც აფხაზეთის მმართველად შარვანელი უფლისწული დააყენა, ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი იყო.

²⁸ Ш.Д. Инал-ица. Страницы исторической этнографии абхазов. С. 242.

²⁹ იქვე. გვ. 234, 242.

საქართველის ისტორიაში ასეთი მეფის როლს ყველაზე მეტად დავით აღმაშენებელი ესადაგება, რომელსაც მტკიცე ხელით შეეძლო არა მარტო ურჩი ერისთავების გადაყენება, არამედ რამოდენიმე სახელმწიფოც კი გააუქმა, კერძოდ, კახეთ-ჰერეთის სამეფო (1103), ლორე-ტაშირის სამეფო (1118), ანისის საამირო (1124), შარვანშაჰთა სახელმწიფო (1124), ხოლო მათი ტერიტორია თავის სამფლობელოებს შემოუერთა.

თუ პირველი შერვაშიძე აფხაზეთის მმართველად მართლაც დავითის დაყენებულია, სავარაუდოა, რომ ეს მოხდა მისი მეფობის ბოლო წლებში. ან 1120/1121 წლის ზამთარში, როდესაც შარვანის მორბევის შემდეგ დავით მეფე “ჩავიდა აფხაზეთს ბიჭუნტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი: ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და წუართნა”³⁰; ან კი 1124 წელს, დავითის მიერ მთელი შარვანის შემოერთების შემდეგ³¹.

შესაძლოა, 1120 წელს აფხაზეთში ადგილი ჰქონდა ფეოდალთა ნაწილის გამოსვლას დავით IV-ის ცენტრალიზაციური პოლიტიკის წინააღმდეგ. გამოსვლის ჩახშობის შემდეგ მეფემ შეცვალა ძველი მმართველი საგვარეულო (აჩბა-ანჩაბაძე?), რომელიც ათასი “ძავით” იყო დაკავშირებული სხვა აფხაზ აზნაურებთან, და ერისთავად დანიშნა შარვანის “სახლის” წარმომადგენელი, რომელიც გვარიშვილობით არ ჩამოუვარდებოდა ძველ მმართველს, მაგრამ როგორც შორეული კასპისპირეთიდან გამოსულს, არ ექნებოდა მტკიცე კავშირები აფხაზეთის ფეოდალურ კლასთან. ადგილობრივ დასაყრდენს მოკლებული ერისთავი პირველ ხანებში მაინც მთლიანად მეფეზე იქნებოდა დამოკიდებული. გარდა ამისა, შარვანული არისტოკრატიის სამსახურში მიღებით დავითი, შესაძლოა, შარვანში ქართული გავლენის გაძლიერებასაც უწყობდა ხელს. ეს ამოცანა განსაკუთრებით აქტუალური უნდა გამხდარიყო 1124 წლისათვის, როდესაც შარვანის შემოერთების შემდეგ, იქაური ქისრანიდების³² მმართველი

³⁰ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955. გვ. 339.

³¹ შერვაშიძეების აფხაზეთში დამკვიდრების თარიღად კ. კუდრიავეცივი ვარაუდობს 1124 წელს (იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 127).

³² დინასტიური სახელი “ქისრანიდი” დაკავშირებულია XI ს-ის დასაწყისში გაჩენილ ფსევდოვერსიასთან, რომლის თანახმად შარვანშაჰებმა, მუსლიმურ აღმოსავლეთში იმხანად არსებული მოდის მიხედვით,

დინასტია “უტახტოდ” დარჩა³³. სავარაუდოა, რომ დავითს არ სურდა (ან, არ შეეძლო) მთლიანად ჩამოეცილებინა პოლიტიკური ძალაუფლებისაგან ქისრანიდები, რომლებთანაც მას ნათესაური ძაფები აკავშირებდა (მეფის ერთ-ერთი ქალიშვილი შარვან-შაჰ მანუჩარ II-ის მეუღლე იყო), და ამიტომ ერთ-ერთი მათგანი აფხაზეთის ერისთავად დასვა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, შერვაშიძეთა შარვანული წარმომშობის ვერსია საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება.

აფხაზეთის ფეოდალური საზოგადოების სათავეში მოსული შერვაშიძეები მალე ეთნიკურადაც გააფხაზდნენ, რისი ერთ-ერთი გამოხატულება გახდა მათი გვარის ადგილობრივი ფორმა – ჩაჩბა (აჩაჩბა). გარდა ამისა, ამ ფაქტზე უნდა მიანიშნებდეს აგრეთვე “ქართლის ცხოვრებაში” დაცული სიძველით მეორე ცნობა შერვაშიძეთა შესახებ, სადაც ამ გვარის წარმომადგენელი უკვე პირდაპირ აფხაზად არის წოდებული. მხედველობაში გვაქვს “ჟამთააღმწერლის” სიტყვები: “შარვაშის ძე აფხაზი, სახელით დარდინ”, რომელიც, როგორც ცნობილია, 1243 წლის ამბებს ეხება³⁴. მემატიანის მიერ ამ ისტორიული პიროვნების აფხაზად მოხსენიება და საკუთარი სახელი “დარდინ”, რაც ალბათ ვარიანტია ძველი აფხაზური სახელისა – *დადინ* (*dadyń*), იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ შერვაშიძეები ამ დროისათვის უკვე გააფხაზებულნი არიან.

ამასთან, როგორც სამართლიანად შენიშნავს ზ. ანჩაბაძე, “თავისი სოციალური იერით შერვაშიძეთა ფეოდალური გვარი, იმ პერიოდის ზოგი სხვა აფხაზური წარჩინებული გვარის მსგავსად, საქართველოს სამეფოს ფეოდალური კლასის ნაწილს წარმოადგენდა, და ამ მხრივ დოთალოდ შარვაშისძე (ცხუმის ერისთავი. – გ. ა.) არსებითად არაფრით განირჩევა მის გვერდით დასახელებული ბარამ ვარდანისძის, კახაბერის, ამანელისძისა და ბედიანისაგან. თუმცა ეს გარემოება სულაც არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ აფხაზეთში დამკვიდრების შემდეგ, მალე, შერვაში-

თავისი წარმომშობა დაუკავშირეს სასანიან ხელმწიფეებს (ქისრა=ხოსროვ ანუ შირვანი).

³³ შარვან-შაჰთა სახელმწიფო აღდგენილი იქნა დავითის გარდაცვალების შემდეგ დემეტრე I-ის დროს და ქისრანიდები კვლავ დაუფლნენ შარვანის ტახტს ქართველ მეფეთა ყმადნაფიცობის პირობით.

³⁴ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბ., 1959. გვ. 192.

ძეები ისეთივე აუხაზი ფეოდალები გახდნენ, როგორებიც იყვნენ ვარდანისძეები სვანი, ხოლო ბედიანები მეგრელი ფეოდალები”³⁵.

დასასრულს, თუ გავიზიარებთ შერვაშიძეთა შარვანიდან გამოსვლის ვერსიას, ინტერესმოკლებული არ იქნება თვალი გაავადენოთ შარვანშაჰთა წარმოშობასაც.

როგორც დადგენილია, IX-XVI სს-ის შარვანშაჰთა დინასტიური ხაზები (იაზიდიდები/მაზიდიდები, ქისრანიდები, დერბენდი) გენეალოგიურად მომდინარეობენ ამიერკავკასიაში ბაღდადის ხალიფათა ნაცვლების – იაზიდიდებისაგან³⁶. სახალიფოს დასუსტების შემდეგ იაზიდიდები უკვე დამოუკიდებლად მართავდნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, 861 წელს კი მათ მიიღეს ძველი ადგილობრივი ტიტული “შარვანშაჰი”. ამიერკავკასიაში ამ გენეალოგიური შტოს დამაარსებელია მამაცი სარდალი იაზიდ იბნ მაზიადი (VIII ს-ის მეორე ნახევარი), რომელიც ჩრდილოარაბული ტომის შაიბანის წარჩინებული გვარის წარმომადგენელი იყო³⁷.

Origin of the clan of shervashidze

Summary

The representatives of feudal clan of Shervashidze (the ancient form: *Sharvashidze*, in Abkhazian: *Chachba*, *Achachba*) in the XII century already had the post of Tskum (modern Sokhumi) eristavi (ruler) in Georgian kingdom and almost the whole Abkhazia was administratively subordinated to them.

Ancient family documents of the clan of Shervashidze are not preserved and therefore it's difficult to establish the sources of its origin, however according to the historical legend that has reached us – advancement of this clan is closely connected with the Georgian king David IV (1089-1125). In particular, the legend says that king David put at the head of

³⁵ *З.В.Анчабадзе*. დასახ. ნაშრ. გვ. 195.

³⁶ *В.Ф.Минорский*. История Ширвана и Дербенда X-XI веков. Москва, 1963. С. 176 и сл.

³⁷ არაბული ეთნოისტორიული ტრადიციით, ბანუ-შაიბანი ეკუთვნის არაბთა ტომების *ადნანის* შტოს რაბიიტულ ჯგუფს. როგორც ისლამამდელ ხანაში, ასევე მუჰამედის შემდეგ, შაიბანის ტომი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არაბეთის ცხოვრებაში. ამ ტომის საგვარეულო არისტოკრატის წრიდან გამოსულა არაერთი მხედართმთავარი, ადმინისტრატორი თუ პოეტი.

Abkhazia the prince from the House of Shirvanshahs ruling over Shirvan – the region in the north-east of the present Azerbaijan. The descendants of this prince are Shervashidze, sovereign princes of Abkhazia. Really, the clan name (Sharvashidze), found in Georgian literary texts of the XII-XIII centuries, is the early form of this surname, from which arise the later forms – “Sharvashidze”, “Shervashidze” – and literally it means “The son of Shirvanshah”. Shirvan was closely connected with Georgia in political as well as in cultural-economical relations. And so, presence of such a name by one of the distinguished feudal clans of Georgian kingdom can't be accidental and is to indicate the link between Abkhazian princes and shirvan dynasty.

Appointment of shirvan prince as a ruler of Abkhazia evidently took place in 1121-1124. After getting the post of Tskum Eristavi, Shervashidze converted to Orthodoxy and soon they became ethnical Abkhazians; and it manifested itself in appearing a local surname – Chachba.

The dynasty of shirvanshahs, from which it is to be supposed to arise the clan of Shervashidze, originates in hereditary Arab governor-generals in Transcaucasia – Iazidids who independently governed Shirvan from 861 after weakening of Baghdad caliphate.

*პირველად დაიბეჭდა:
ქართული წყაროთმცოდნეობა XI. თბ., 2006*

წიგნიდან: “საქართველოს ისტორია”

საქართველო 1946–1992 წლებში.
კომუნისტური სისტემის კრიზისი.
სსრ კავშირის დაშლა და საქართველოს
დამოუკიდებლობის აღდგენა

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საქართველოს ეკონომიკამ რამოდენიმე წელიწადში ომამდელ დონეს გადააჭარბა. მწყობრში ჩადგა ახალი მსხვილი საწარმოები, ჰიდროელექტროსადგურები, შახტები, სარწყავი არხები და სხვ. მაგრამ ამასთან ერთად ხელისუფლება კვლავ მძიმე იდეოლოგიური პრესის ქვეშ ამყოფებდა საზოგადოებას. ისევ იწყება რეპრესიების ახალი ტალღა, რომელიც მხოლოდ სტალინის სიკვდილმა შეაჩერა (1953).

ახალმა საბჭოთა ხელმძღვანელობამ, რომელსაც სათავეში ედგა ნ. ხრუშჩოვი, შეარბილა შიდაპოლიტიკური რეჟიმი, ხოლო 30–40–იან წლებში ხელისუფლების მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული მარტო სტალინს დააბრალა. არაფერი ითქვა თვით საბჭოური სისტემის მანკიერებაზე. კომპარტიის XX ყრილობაზე 1956 წლის თებერვალში სტალინის პიროვნების კულტის მხილება არსებითად სტალინის წინააღმდეგ პირად ანგარიშსწორებაში გადაიზარდა. ანტისტალინური კამპანია იღებდა ისეთ შეფერადებას, თითქოს მის რეპრესიულ აქციებს, გარკვეულწილად, დიქტატორის ქართული წარმომავლობა განაპირობებდა.

სტალინის კრიტიკა განსაკუთრებით მწვავედ განიცადა ქართველმა ახალგაზრდობამ, რომელსაც მანამდე ოფიციალური იდეოლოგია სტალინისადმი ფანატიკურ თაყვანისცემას აჩვენებდა. ამასთან შეურაცხყოფილი იყო ქართველთა ეროვნული გრძნობებიც. 1956 წლის 3 მარტს თბილისის უმაღლეს სასწავლებელში დაიწყო მანიფესტაციები, 5 მარტისათვის კი სიტუაცია ქალაქში უმართავი გახდა. ეწყობოდა დემონსტრაციები და მიტინგები, სადაც შეკრებილნი აკრიტიკებდნენ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და მოითხოვდნენ სტალინის რეაბილიტაციას. ამ გამოსვლებში არაფერი იყო ანტისაბჭოური, მაგრამ ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო ეგზალტირებული ახალგაზრდების პროტესტი. 9 მარტს საბჭოთა ჯარებმა თბილისის ცენტრში მომიტინგეებს ცეცხლი გაუხსნეს. დაიღუპა 100–ზე მეტი და დაიჭრა 300–მდე ადამიანი (ზუსტი ციფრები უცნობია).

მარტის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებმა, ფაქტობრივად, დაკარგეს კომუნისტური იდეოლოგიის რწმენა. 60-იან წლებში საბჭოთა კავშირში დაიწყო ეპოქა, რომელსაც შემდეგ “უძრაობის” პერიოდი ეწოდა. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ მიმდინარეობდა “კომუნიზმის” განდიობის მშენებლობები, სხვადასხვა რანგის პარტიული და სახელმწიფო ფუნქციონერები უპატაკებდნენ ზემდგომ ორგანოებს ახალ-ახალი მიღწევების შესახებ, სინამდვილეში მათი სიტყვები საქმის რეალურ მდგომარეობას სულ უფრო ცილდებოდა. გაიზარდა კორუფცია. ოფიციალური პროპაგანდისა უკვე აღარავის სჯეროდა.

სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აყვანილი თვალთმაქცობა და სიყალბე მორალურად რყენიდა საბჭოთა საზოგადოებას. 60-იანი წლებიდან საქართველოში, ისევე როგორც სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ფართოდ იკიდებს ფეხს ე.წ. “ჩრდილოვანი ეკონომიკა”, რაც ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ქვეყანაში ეკონომიკის ობიექტური კანონების უგულვებელყოფის შედეგი იყო.

არსებული სისტემის წინააღმდეგ საზოგადოების მოწინავე ნაწილის პროტესტის ყველაზე რადიკალური გამოხატულება იყო დისიდენტური მოძრაობა, რომელიც საბჭოთა კავშირში 60-იანი წლებიდან იწყება. ქართველი დისიდენტებიდან აღებული კურსის ერთგულებითა და სულიერი სიმტკიცით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მერაბ კოსტავა (1938–1989). იგი არაერთხელ იყო დაპატიმრებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ, სასჯელს იხდიდა რუსეთის შორეულ ბანაკებში.

80-იანი წლების დამდეგისათვის უმრავლესობისათვის უკვე ნათელი იყო, რომ ძირმომპალ საბჭოთა წყობილებას მომავლის პერსპექტივა არ ჰქონდა. 1985 წელს ქვეყნის სათავეში მოსულმა მ. გორბაჩოვმა სცადა რადიკალური რეფორმების გზით დაეძლია კრიზისი. დაიწყო ე.წ. “გარდაქმნა”, მაგრამ ამ პროცესთან დაკავშირებული ლიბერალიზაცია და საჯაროობა საბჭოთა კავშირისათვის ბოთლიდან ამოშვებული ჯინი აღმოჩნდა. გარდაქმნის არქიტექტორებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ რკინითა და სისხლით ნაგებ საბჭოთა სისტემას დემოკრატიული თავისუფლებებისადმი იმუნიტეტი არ გააჩნდა და, როგორც შედეგი, დაიწყო ამ სისტემის სწრაფი რღვევა.

საქართველოში გარდაქმნა, პირველ რიგში, ეროვნული მისწრაფებების გაძლიერებით გამოვლინდა. 1987 წელს შეიქმნა პირველი ლეგალურად მომუშავე ნაციონალისტური პოლიტიკური

ორგანიზაცია – ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. მოკლე ხანში სხვა მსგავსი ორგანიზაციებიც ჩამოყალიბდნენ. ეროვნულ მოძრაობას, რომელმაც 1988 წლისათვის ფართო მასშტაბები მიიღო, სათავეში ჩაუდგნენ ციხეებიდან განთავისუფლებული ქართველი დისიდენტები. მალე დაუფარავად იქნა წამოყენებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ლოზუნგი. საბჭოთა ხელმძღვანელობამ, რომელიც გარდაქმნის მიუხედავად პერიოდულად ისევ ცდილობდა ძალისმიერი მეთოდებით მართვას, თბილისის ცენტრში შეკრებილი მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ჯავშანტექნიკა და ჯარები გამოიყვანა. 1989 წლის 9 აპრილს, ღამით, მიტინგი გარეკეს. მოკლული იქნა 20 ადამიანი, მათ შორის უმრავლესობა ქალები. აღსანიშნავია, რომ 9 აპრილის ანგარიშსწორება მოხდა იმ ადგილას, სადაც 1956 წლის 9 მარტს დაიდვარა პირველი სისხლი.

მაგრამ 1989 წელს საერთო სიტუაცია სსრ კავშირში უკვე სრულიად სხვა იყო. 9 აპრილის სისხლიანმა აქციამ ალაშოვთა არა მარტო მთელი საქართველო, არამედ რუსეთის მოწინავე საზოგადოებაც, რომელმაც მტკიცედ გაილაშქრა მომხდარი ფაქტის წინააღმდეგ. საქართველოში იმ დღეებში ადგილი ჰქონდა გასაოცარ ეროვნულ ერთიანობას. ხელისუფლება იძულებული გახდა უკან დაეხია.

9 აპრილის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ რესპუბლიკაში ყოველგვარი გავლენა დაჰკარგა. ეროვნული მოძრაობა გახდა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა. სამწუხაროდ, ამ მოძრაობის ლიდერთა შორის ერთსულოვნება არ იყო. მ. კოსტავა, რომელიც ცდილობდა ეროვნულ ძალთა ერთიანობის შენარჩუნებას, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მისი სიკვდილის შემდეგ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები საბოლოოდ გაიყვნენ ორ ბანაკად, რომელთაგან მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერით, პირველ რიგში, სარგებლობდა პოლიტიკური ბლოკი “მრგვალი მაგიდა”. ამ ბლოკის აღიარებული ლიდერი იყო ყოფილი დისიდენტი, სპეციალობით ფილოლოგი ზვიად გამსახურდია (1938–1993). სწორედ მისმა პირადმა პოპულარობამ საზოგადოების გარკვეულ წრეებში განაპირობა მრგვალი მაგიდის დამაჯერებელი გამარჯვება (ამომრჩეველების ხმათა 62%) 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში (პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში 1921 წლის შემდეგ). ასე მშვიდობიანად მოეღო ბოლო საქართველოში კომუნისტების მმართველობას.

ბ. გამსახურდია მალე ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, მაგრამ მისი მმართველობის პერიოდში შიდაპოლიტიკური სიტუაცია რესპუბლიკაში სერიოზულად დაძვინდა. გამსახურდიას მოუქნელი, ამბიციური პოლიტიკის გამო უკიდურესად გამწვავდა ურთიერთობა ხელისუფლებაში მოსულ მრგვალ მაგიდასა და ეროვნულ მოძრაობის ოპოზიციაში დარჩენილ ნაწილს შორის. დაიძაბა ვითარება ავტონომიებშიც, განსაკუთრებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ეთნიკური უმცირესობები შეშფოთებულნი იყვნენ გამსახურდიას ნაციონალისტური ფრაზეოლოგიით. თუ აფხაზებთან მოხერხდა ნაწილობრივი კომპრომისის მიღწევა 1991 წელს, ოსებთან კონფლიქტი შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამისი საბაზი გახდა საქართველოს პარლამენტის მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება, რაც, თავის მხრივ, პროვოცირებული იყო ოსების მიერ, ცალმხრივად, ავტონომიური ოლქის რესპუბლიკად გამოცხადებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი პერიოდის საქართველოში განვითარებული ეთნოკონფლიქტების (და ასევე თვით ქართულ ეროვნულ მოძრაობაში მომხდარი განხეთქილების) ერთ-ერთი მიზეზი, ადგილობრივ რადიკალთა ქმედებების გარდა იყო, როგორც ჩანს, საკავშირო სპეცსამსახურების შენიღბული საქმიანობა, რომლებიც იყენებდნენ ნაცად იმპერიულ მეთოდს – “divide et impera”.

საბჭოთა ცენტრთან ურთიერთობაში გამსახურდია საქართველოს დამოუკიდებლობის კურსს ადგა. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია, მაგრამ ამ აქტმა, როგორც ცალმხრივად გამოცხადებულმა, მაშინ საერთაშორისო აღიარება ვერ მოიპოვა.

1991 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირებამ ფეთქებად დონეს მიაღწია. დეკონატორის როლი შეასრულა 2 სექტემბერს თბილისში პოლიციის მიერ ოპოზიციის არასანქცირებული მიტინგის დარბევამ. განხეთქილება მოხდა თვით გამსახურდიას უახლოეს გარემოცვაშიც. პრეზიდენტს განუდგა მისი ძირითადი ძალოვანი სტრუქტურის – ეროვნული გვარდიის – დიდი ნაწილი. 1991 წლის 22 დეკემბერს ამბოხებულ გვარდიასა და პრეზიდენტის სასახლის დაცვას შორის სამხედრო მოქმედებები დაიწყო. “თბილისის ომი” 6 იანვრამდე გაგრძელდა და დასრულდა გამსახურდიას საქართველოდან გაქცევით. შეიარაღებულმა ბრძოლამ, რომლის დროსაც მხარეები არტილერიასა და რეაქტიულ ჭურვებს იყენებდნენ, საგრძნობლად დააზიანა ქალაქის ცენტრალური უბანი.

სანამ თბილისში ეროვნული მოძრაობის ორი ფრთა ერთმა-

ნეთთან ანგარიშსწორებით იყო დაკავებული, მსოფლიოში დიდ-მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა: დაიშალა საბჭოთა კავშირი და მსოფლიომ de facto, შემდეგ კი de jure აღიარა მასში შემავალი რესპუბლიკების დამოუკიდებლობა.

საქართველოს იურიდიული აღიარება აქ მომხდარი არეულობის გამო შედარებით გაჭიანურდა. მაგრამ ამ მხრივ გარღვევა მოხდა ქვეყანაში ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსის, ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ (1992 წლის მარტი). ე. შევარდნაძე 1972-1985 წლებში საქართველოს ხელმძღვანელი იყო, კარგად იცნობდა ადგილობრივ სიტუაციას. სამშობლოში მისი დაბრუნება საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს იმედს უნერგავდა, რომ ბოლო მოეღებოდა გაჭიანურებულ ანარქიასა და ქვეყანა სტაბილიზაციის გზას დაადგებოდა. შევარდნაძემ მართლაც მალე მოახერხა რუსეთის შუამავლობით ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის შეჩერება, მაგრამ მდგომარეობა აფხაზეთში და დასავლეთ საქართველოს ზოგ რაიონში, სადაც მოქმედებდნენ გამსახურდიას მომხრეთა შეიარაღებული რაზმები, დაძაბული რჩებოდა.

ე. შევარდნაძის საქართველოში დაბრუნება და გარდამავალი პერიოდის დროებითი უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოს – სახელმწიფო საბჭოს - სათავეში ჩადგომა, მსოფლიოსათვის გახდა სიგნალი იურიდიულად ეცნოთ ქვეყნის დამოუკიდებლობა. უკვე 1992 წლის 23 მარტს ეს გააკეთეს ევროკავშირის ქვეყნებმა, იმავე წლის 31 ივლისს კი საქართველო მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მის 179-ე სრულუფლებიან წევრად. ამრიგად, საქართველო კვლავ ჩადგა თავისუფალ სახელმწიფოთა რიგებში. აღსრულდა ის, რაზეც ოცნებობდნენ ქვეყნის საუკეთესო შვილები XIX და XX სს-ის უდიდეს მონაკვეთზე.

საქართველო პოსტსაბჭოურ ხანაში (1992-2003 წწ.)

სახელმწიფო საბჭომ ვერ უზრუნველყო ქვეყანაში მშვიდობის დამყარება. მდგომარეობა სამეგრელოს რეგიონში, რომელიც გამსახურდიას მომხრეთა ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა, არასტაბილური იყო (თვითონ ყოფილი პრეზიდენტი ჩეჩნეთში აფარებდა თავს და იქიდან მოუწოდებდა მოსახლეობას დაუმორჩილებლობისაკენ), ხელისუფლების მოუხეშავმა ცდებმა კი ძალისმიერი მეთოდებით დაემყარებინა წესრიგი, ფაქტობრივად, უკუშედეგი გამოიღო. მაგრამ სახელმწიფო საბჭოს ყველაზე დი-

დი შეცდომა, რომლის შედეგები საქართველოსათვის დღესაც ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს, იყო აფხაზეთში ჯარების შეყვანა.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეროვნებათშორისი ურთიერთობები თანდათანობით იძაბებოდა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, განსაკუთრებით, მოყოლებული 40-იანი წლებიდან. ამის ძირითადი მიზეზი იყო კომუნისტების მანკიერი საშინაო პოლიტიკა (საკადრო, დემოგრაფიული, სასკოლო და ა.შ.), თუმცა ეთნიკურ დაპირისპირებას, როგორც ჩანს, ზოგჯერ სპეციალურადაც აღვივებდნენ საბჭოთა ცენტრის გარკვეული სამსახურები, რათა ამითი აფხაზეთი და, მთლიანად, საქართველო უფრო ძლიერი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ.

აფხაზეთა გამოსვლები სხვადასხვა მოთხოვნებით პერიოდულად მასობრივ ხასიათს იძენდნენ (1956, 1967, 1978). ამ მოთხოვნებში ზოგჯერ ჟღერდა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის ლოზუნგიც, რაც ქართველთა საპროტესტო აქციებს იწვევდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყოფით დონეზე ქართულ-აფხაზეთური დაპირისპირებას მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში არ მიუღია ეთნიკური ანტაგონიზმის ხასიათი, რაზეც მოწმობს თუნდაც შერეული ქორწინებების სიმრავლე. საქართველოს სსრ მრავალეროვანი მოსახლეობიდან ქართველებს ყველაზე მეტი კულტურული სიახლოვე აფხაზეთთან და ოსებთან ჰქონდათ.

ქართულ-აფხაზეთი ურთიერთობები ძალიან დაიძაბა 1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლების კრიზისის პერიოდში, როდესაც საქართველოსა და აფხაზეთში ჩამოყალიბდნენ და გავლენა მოიპოვეს ეროვნულმა მოძრაობებმა. ნაციონალისტური მიმართულებების ორგანიზაციათა აქციები და მოთხოვნები, როგორც წესი, რადიკალურ ხასიათს ატარებდნენ. 1989 წლის გაზაფხულზე აფხაზეთმა მხარემ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დონეზე კვლავ დააყენა საქართველოდან გამოყოფის საკითხი. მდგომარეობის დამძიმებას ხელი შეუწყო, აგრეთვე, კომპარტიის ხელმძღვანელობის პოლიტიკამ, რომელიც ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით სისხლისღვრის პროვოცირებასაც არ ერიდებოდა. ეთნოპოლიტიკურმა დაპირისპირებამ ავტონომიურ რესპუბლიკაში ტრაგიკული ფორმა მიიღო იმავე წლის ზაფხულში, როდესაც ქართველებსა და აფხაზებს შორის პირველი სისხლიანი შეტაკება მოხდა. დაიღუპა 14 ადამიანი.

ზ. გამსახურდიამ, როგორც აღინიშნა, გარკვეულ კომპრომისს მიაღწია აფხაზეთთან, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღ-

ღეს საკანონმდებლო ორგანოში – უზენაეს საბჭოში – კვოტების დაშვებით, რომლის თანახმად აფხაზებს, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობის 18 პროცენტს შეადგენდნენ¹ სადეპუტატო მანდატების 43 პროცენტი ერგოთ, მაგრამ სხვა სფეროებში დაპირისპირება გრძელდებოდა. აფხაზი ხალხის ნებისმიერი წარმომადგენლის, მიუხედავად მისი პოლიტიკური ორიენტაციისა, წყენასა და გულისწყრომას იწვევდა ქართულ პროპაგანდისტულ მასალებში გაბატონებული აზრი იმის შესახებ, თითქოს თანამედროვე აფხაზები სულ რაღაც 200-300 წლის წინ ჩამოსახლდნენ შავი ზღვის სანაპიროზე და პირდაპირი კავშირი არა აქვთ ამ ადგილების ძველ მოსახლეობასთან. ეს არასწორი თეორია, რომელსაც მანამდე სერიოზული მეცნიერები არ იზიარებდნენ, ქართული მხარის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი გახდა 1989 წლიდან დაწყებულ საინფორმაციო ბრძოლაში.

გამსახურდიას დამხობის შემდეგ სახელმწიფო საბჭომ არ მიიღო აფხაზთა წინადადება საქართველოს ფედერალიზაციის შესახებ, სადაც აფხაზეთი ფედერაციის სუბიექტის სახით იქნებოდა წარმოდგენილი. ქვეყანაში არსებული სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე, თბილისსა და სოხუმს შორის დაიწყო “კანონების ომი”, რამაც, ფაქტობრივად, მინიმუმამდე დაიყვანა საქართველოს იურისდიქცია ამ ავტონომიურ ერთეულში.

საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების შემდეგ თბილისის პოლიტიკურ წრეებში განმტკიცდა აზრი, რომ აფხაზეთში საქართველოს სრული იურისდიქციის აღდგენისათვის ყველაზე მოკლე გზა არის “სეპარატისტებისათვის” ძალის ჩვენება. ავტონომიაში ცენტრის სასარგებლოდ სიტუაციის დარეგულირების არჩევანს ძალისმიერი მეთოდით პირდაპირ უბიძგა 1992 წლის ზაფხულში რუსეთის მიერ საქართველოსათვის იარაღის დიდი პარტიის (მათ შორის ტანკებისა და სხვა მძიმე ტექნიკის) გადაცემა. სავარაუდოა, რომ რუსეთის მხარემ ეს მიზანმიმართულად მოიმოქმედა, რათა საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაფლობით შეენარჩუნებინა ამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე თავისი გავლენის ბერკეტები.

1992 წლის 14 აგვისტოს ქართულმა სამთავრობო ჯარებმა (ეს არ იყო რეგულარული არმია, რომელიც საქართველოს მაშინ, ფაქტობრივად, არ ჰყავდა. აფხაზეთში გავზავნილი იქნა პო-

¹ აფხაზეთის მოსახლეობაში ეთნიკური აფხაზების ხვედრითი წონის სიმცირე, ოსმალეთის იმპერიაში XIX-ის 60-70-იან წლებში მათი მასობრივი ემიგრაციის შედეგი იყო.

ლიციის კონტინგენტები და, განსაკუთრებით, სხვადასხვა გასამხედროებული ფორმირებები, რომლებსაც საბრძოლო გამოცდილება მიღებული ჰქონდათ სამოქალაქო ომსა და ქართულ-ოსურ კონფლიქტში) გადალახეს აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი და ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში – სოხუმში შევიდნენ. ამავე დროს ქვეყნის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ქ. გაგრასთან, გადასხმული იქნა საზღვაო დესანტი, რომელმაც გადაჭრა აფხაზეთის რუსეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო და სარკინიგზო ხაზები.

სახელმწიფო საბჭომ ეს ოპერაცია გამოაცხადა როგორც აფხაზეთზე გამაგალი რკინიგზის დასაცავად დაგეგმილი, მაგრამ სოხუმში შეჭრილი ჯარისკაცების ქმედებები ნაკლებად წააგავდა სატრანსპორტო მაგისტრალების დამცველთა საქმიანობას. ერთ-ერთი პირველი აქცია, რაც მათ ქალაქში მოიმოქმედეს, იყო მთაერობის სახლის სახურავიდან აფხაზური დროშის გადმოვდება, რომელსაც თბილისი არ ცნობდა, და მის ადგილზე ქართული დროშის აფრიალება.

ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის აფხაზურმა ნაწილმა, რომელმაც ქ. გუდაუთაში გადაინაცვლა (ეთნიკური აფხაზებით მჭიდროდ დასახლებული რაიონის ცენტრში) წინააღმდეგობისაკენ მოუწოდა თავის ხალხს. ვერ ვიტყვით, რომ აფხაზები არ ელოდნენ მოვლენების ასეთ განვითარებას. მათ შექმნილი ჰქონდათ ძალოვანი ინფრასტრუქტურა (თუმცა არ გააჩნდათ იარაღის საკმარისი რაოდენობა) და კავშირში იყვნენ ჩრდილო კავკასიის ეროვნულ მოძრაობებთან, რომლებიც იმ დროს რუსეთის სამხრეთ ნაწილში მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდნენ.

კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის (შექმნა 1991 წელს ქ. სოხუმში) ლიდერებმა საქართველოს ხელისუფლებას ულტიმატური ფორმით მოთხოვეს აფხაზეთიდან ჯარების გაყვანა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე მოხალისეების გამოგზავნით დამოუქრნენ. შევარდნაძემ შემოთავაზებული თამაშის წესები მიიღო და განაცხადა, რომ თავდაცვის რაზმებში, რომელთა შექმნა მთელ საქართველოში დაიწყო კონფედერატთა ულტიმატუმის საპასუხად, უკვე 30 ათასზე მეტი ადამიანი იყო გაერთიანებული. ამრიგად, ამოქმედდა ომის მექანიზმი და საქართველო ერთ წელიწადზე მეტ ხანს შეიარაღებული ბრძოლის ქარცეცხლში იყო ჩაბმული.

აფხაზეთში სამხედრო მოქმედებების დაწყებით, უფრო აშკარად გამოიკვეთა მოსკოვის როლი ამ კონფლიქტში. ქართველუ-

ბიცა და აფხაზებიც საბჭოთა იარაღით იბრძოდნენ და მათი არსენალების შევსების მთავარი წყარო რუსეთი იყო. როგორც ჩანს, იარაღისა და საბრძოლო მასალების მიწოდება დაპირისპირებული მხარეებისათვის ხდებოდა როგორც მიყიდვით, ასევე პირდაპირი გადაცემის გზით.

მცირერიცხოვან აფხაზებს² მნიშვნელოვანი მორალური და პრაქტიკული მხარდაჭერა აღმოუჩინეს ჩრდილო კავკასიის ეთნიკურად და კულტურულად მონათესავე ხალხებმა (ყაბარდოელებმა, ადიღეელებმა, ჩერქეზებმა, ჩეჩნებმა, აბაზებმა და სხვ.) და ახლო აღმოსავლეთის აფხაზურ-ჩერქეზულმა დიასპორამ. მარტო 1992 წლის შემოდგომაზე აფხაზეთში მთიელთა კონფედერაციის 4-დან 7 ათასამდე მებრძოლი ჩავიდა. ამის გარდა, აფხაზთა მხარეზე იბრძოდა ბევრი სლავური ეროვნების პირი, განსაკუთრებით კაზაკთა გასამხედროებული ორგანიზაციებიდან. ამ არაერთგვაროვან ძალებს სხვადასხვა მოტივი ამოძრავებდათ ქართულ-აფხაზურ ომში, მაგრამ, მთლიანობაში, მათი მონაწილეობის ფაქტორმა გამარჯვების სასწორი აფხაზთა მხარეს გადახარა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებთან ბრძოლაში მთავარი დატვირთვა მაინც ეთნიკურ აფხაზებს დააწევათ. აფხაზური ფორმირებები წარმოადგენდნენ ქართველთა მოპირისპირე ძალების ძირითად ბირთვს.

1992 წლის ოქტომბერში აფხაზებმა გაგრა აიღეს, რითიც აღდგა უშუალო კავშირი რუსეთსა და გუდაუთას შორის. სახელმწიფო საბჭოს ჯარების ხელში ამის შემდეგ, პრაქტიკულად, დარჩა აფხაზეთის მხოლოდ ის ნაწილი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ. ქართველთა მთავარი საყრდენი პუნქტი აფხაზეთში ქ. სოხუმი იყო.

1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რამაც ლეგიტიმურობა შესძინა ქვეყნის ფაქტობრივ ხელისუფლებას. იმავედროულად ე. შევარდნაძე არჩეული იქნა პარლამენტის თავმჯდომარედ და მალე აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურად. ჩეჩნეთში მყოფმა გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა არ ცნეს ოქტომბრის არჩევნების კანონიერება. სამეგრელოს რეგიონში კვლავ დაუფარავად მოქმედებდნენ ექსპრეზიდენტის მხარდამჭერი ძალები.

² სსრ კავშირის მოსახლეობის უკანასკნელი აღწერით (1989 წ.) ამ სახელმწიფოში აფხაზური ეროვნების 105 ათასი ადამიანი იყო. მათგან საქართველოში ცხოვრობდა 96 ათასი ეთნიკური აფხაზი, ხოლო უშუალოდ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 94 ათასი.

ასეთ პირობებში საქართველოს გაუჭირდა ბრძოლის წარმოება აფხაზეთში, მითუმეტეს, რომ ქართული საზოგადოებისათვის ბოლომდე გაურკვეველი დარჩა ამ ომის ხასიათი და მთავარი მოწინააღმდეგე. ასეთად კი ცხადდებოდა ხან აფხაზური სეპარატიზმი, ხან რუსეთი, ხან ისლამური “ფუნდამენტალიზმი”(?)!

გაგრის დაკარგვის შემდეგ ქართული არმია, რომელიც, ფაქტობრივად, სხვადასხვაგვარი რაზმების მექანიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა, ძირითადად თავდაცვაზე გადავიდა. 1993 წლის პირველ ნახევარში მოგერიებული იქნა აფხაზთა რამოდენიმე შეტევა სოხუმზე, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმალღეები ქალაქის მისადგომებთან აფხაზთა ხელში გადავიდა. ასეთ ვითარებაში 1993 წლის 27 ივლისს რუსეთის შუამავლობით მიღწეული იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციასა და აფხაზეთის კანონიერი სახელისუფლებო ორგანოების აღდგენისათვის საჭირო პირობების შექმნას. აფხაზეთში განლაგებულ რუსეთის ჯარის ნაწილებს ევალებოდათ მკაცრი ნეიტრალიტეტის შენარჩუნება. რეგიონში წესრიგის დასაცავად აფხაზეთის მკვიდრთაგან უნდა შექმნილიყო პოლინაციონალური მილიცია და შინაგანი ჯარი, რომელშიც გაერთიანდებოდა აფხაზური პოლკი და ქართული ქვედანაყოფი. სხვა ქართული ფორმირებები, ისევე როგორც აფხაზთა მოკავშირე რაზმები, გაყვანილი უნდა ყოფილიყვნენ აფხაზეთის ტერიტორიიდან ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ არა უგვიანეს 10-15 დღის განმავლობაში.

ქართული მხარე შეუდგა სოხუმიდან მძიმე ტექნიკის გაყვანას, რომელშიც მანამდე გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ცოცხალი ძალის გაყვანის საქმე შეფერხდა, ვინაიდან ამ დროისათვის აფხაზეთში მყოფი ქართული საჯარისო დაჯგუფება უკვე მნიშვნელოვანწილად ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან შედგებოდა და მათი რეგიონიდან გაყვანა ან განიარაღება, ცხადია, იოლი საქმე არ იყო.

აფხაზებმა ეს შეთანხმების დარღვევად ჩათვალეს და 16 სექტემბერს მოულოდნელად განაახლეს სოხუმზე შეტევა. მძიმე ბრძოლა 12 დღე გრძელდებოდა და დასრულდა ქართველების მიერ ქალაქის დატოვებით (1993 წლის 27 სექტემბერი). აფხაზეთის ტერიტორიიდან თბილისმა შეინარჩუნა მხოლოდ ძნელად მისადგომი ხეობა მდ. კოდორის სათავეებში. ჯარებთან ერთად აფხაზეთის დატოვება მოუხდა მისი ქართული მოსახლეობის (245 ათასი ადამიანი) დიდ ნაწილსაც. დღეს ეს ხალხი ლტოლვილია საკუთარ სამშობლოში.

ერთწლიანმა ბრძოლამ ძალიან დაახარალა აფხაზეთი, ეს ულამაზესი მხარე. დაიღუპა ათასობით ადამიანი. კრიზისული სიტუაცია შეიქმნა მთელს საქართველოში.

ამ ვითარებაში ზ. გამსახურდია შეეცადა დაებრუნებინა ხელისუფლება. სექტემბერში იგი სამშობლოში ჩამოვიდა და სათავეში ჩაუდგა თავის მომხრეთა შეიარაღებულ ფორმირებებს. ექსპრეზიდენტმა სცადა სამეგრელოდან ლაშქრობა წამოეწყო თბილისზე, მაგრამ დამარცხდა და დაიღუპა გაურკვეველ ვითარებაში (1993 წლის 30 დეკემბერი). გავრცელებული ვერსიით გამსახურდიამ თავი მოიკლა.

აფხაზეთში დამარცხების მიუხედავად, 1993 წლის შემდეგ შევარდნაძის ხელისუფლება საქართველოში მნიშვნელოვნად განმტკიცდა. მოსახლეობის დიდი ნაწილს ჯერ კიდევ სჯეროდა გამოცდილი ლიდერისა და იმედოვნება, რომ სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ დაიწყებოდა ეკონომიკური აღორძინება და მოხდებოდა მსოფლიოში საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქციის ზრდა. ეს იმედი ძირითადად ემყარებოდა ქვეყნის სატრანსპორტო დერეფნად გადაქცევის გეგმებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რომლის შესახებ მაშინ ძალიან ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ. ამასთან მომავალი მიღწევების რეალიზაცია საზოგადოების თვალში (ძირითადად ისევ ოფიციალური პროპაგანდის გავლენით) უკავშირდებოდა ედუარდ შევარდნაძის სახელს, მის პირად კავშირებსა და გავლენას მსოფლიო პოლიტიკურ კლასზე.

90-იანი წლების შუა ხანებში თანდათანობით კვლავ მოძლიერდა წინა პერიოდებში მორყეული სახელმწიფო აპარატი. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველომ მიიღო ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნის კონსტიტუცია (სიმპტომატურია, რომ ამ აქტს დაემთხვა ტერორისტული თავდასხმა შევარდნაძეზე, სახელმწიფოს მეთაური და მანქანაში მასთან ერთად მსხდომი პირები სასწაულებრივ გადაურჩნენ სიკვდილს), ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, აღადგინეს პრეზიდენტის პოსტი, რომელიც გამსახურდიას დამხობის შემდეგ დროებით გაუქმებული იყო³.

³ 1995 და 2000 წლებში საქართველოს პრეზიდენტად არჩეული იყო ედუარდ შევარდნაძე.

პრეზიდენტი შევარდნაძე ახალ საქართველოს აშენებდა თავისი ძველი გამოცდილებითა და ძველი კადრების დახმარებით. სახელისუფლებო სტრუქტურებში დიდი რაოდენობით დაბრუნდნენ ყოფილი პარტიული და კომკავშირელი ფუნქციონერები, რომლებმაც თითქმის მთლიანად შეცვალეს აქ “გარდაქმნის” ხანის ანტისაბჭოური მოძრაობის წიადიდან გამოსული პირები. მაგრამ შევარდნაძემ დაიახლოვა აგრეთვე ზოგიერთი ახალგაზრდა პოლიტიკოსიც, რომელიც არ იყო დაკავშირებული ყოფილ პარტიულ ნომენკლატურასთან. მათი ყოფნა ხელისუფლებაში შევარდნაძეს უმტკიცებდა დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსისა და რეფორმატორის იმიჯს. ამ ახალგაზრდებს შორის იყო მწვანეთა პარტიის ლიდერი ზურაბ ჟვანია, რომელმაც 1995 წელს 32 წლის ასაკში დაიკავა პარლამენტის სპიკერის პოსტი. შევარდნაძის პოლიტიკური დასაყრდენი გახდა მის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაცია - “საქართველოს მოქალაქეთა კავშირი”, რომელმაც 1995 წლის არჩევნებით პარლამენტში ადგილთა უმრავლესობა მოიპოვა. “მოქალაქეთა” რიგებში გაწევრიანდა ათასობით ადამიანი, რომელთაგან ბევრი, არც თუ უსაფუძვლოდ, საპრეზიდენტო პარტიის “ჭერქვეშ” პირადი კარიერის მოწყობას ისახავდა მიზნად. სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზაცია და ამ ფაქტთან დაკავშირებული კორუფციის ზრდა, შევარდნაძისეული ეპოქის დამახასიათებელი ნიშანი გახდა.

ეკონომიკური ზრდის ტენდენცია, რომელიც თითქოსდა ჩაისახა აფხაზეთის ომის მომდევნო პერიოდში, 90-იანი წლების ბოლოსათვის სრულიად გაქრა. საქართველოში, ფაქტობრივად, არ მოქმედებდნენ კანონები. მაგალითად, როგორც აღნიშნავდნენ, სასამართლოს ყოველი ოთხი დადგენილებიდან არ სრულდებოდა სამი. ცუდად ფუნქციონირებდნენ სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების წყაროები (ზოგიერთი ცნობით, ხაზინაში შედიოდა საგადასახადო შემოსავლების მხოლოდ 1/7). დასავლეთის ქვეყნების მიერ საქართველოს დასახმარებლად გამოყოფილი უზარმაზარი თანხების მნიშვნელოვან ნაწილს მმართველი ფენა იტაცებდა. რეგულარული ხასიათი მიიღო ისედაც მცირე ხელფასებისა და პენსიების დაგვიანებით გაცემამ. მოქალაქეთა კავშირის 1995 წლის წინასაარჩევნო დაპირება, შეექმნათ 1 მილიონი სამუშაო ადგილი, სრული ფიქცია აღმოჩნდა. ასობით ათასი საქართველოს მკვიდრი იძულებული იყო სამუშაოს საძებნელად ქვეყნის ფარგლებს გარეთ წასულიყო. საგრძნობი რეზულტატი არ მოუტანია არც რეკლამირებულ საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებს, მიუხედავად იმისა, რომ 1999 წელს ამოქმედდა სა-

ქართველოზე გამავალი პირველი ექსპერიმენტული ნავთობსადენი და სუფსის ტერმინალი (ქ. ფოთის სამხრეთით), რომლითაც აზერბაიჯანული ნავთობი მიეწოდება ინდუსტრიულ სამყაროს. საზოგადოებისათვის თანდათანობით ნათელი გახდა, რომ პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული რეფორმები და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ფორმალურ ხასიათს ატარებდნენ. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას იწვევდა აგრეთვე გაზისა და ელექტროენერჯის პერმანენტული გამორთვები.

შევარდნაძემ ვერ შეძლო გადაეღაზა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური ჩიხი. თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები არ ცნობენ საქართველოს იურისდიქციას. საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო) და “მეგობარი სახელმწიფოების” (აშშ, რუსეთის ფედერაცია, დიდ ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია)⁴ შუამავლობით დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესი, მაგრამ მას რაიმე საფუძვლიანი შედეგი არ მოუტანია; მხარეები კვლავ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციებზე რჩებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ აღმოფხვრილი არ არის ცეცხლის განახლების საშიშროება.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოუგვარებლობა უშუალო ზეგავლენას ახდენს აგრეთვე მრავალრიცხოვან ლტოლვილთა ბედზე, რომელთა ყოფნით ქვეყანაში კიდევ უფრო იძაბება არსებული მდგომარეობა.

შექმნილი ვითარებით გამოწვეული მოსახლეობის უკმაყოფილების ფოკუსში კვლავ შევარდნაძის პიროვნება აღმოჩნდა (ისევე, როგორც ადრე, ფაქტობრივად, მხოლოდ მისგან ელოდნენ ძირითადი ეროვნული პრობლემების მოგვარებას). ასეთ პირობებში ჩაიარეს 1999 წლის საპარლამენტო და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა. გაიმარჯვა ისევე მოქალაქეთა კავშირმა, მაგრამ საზოგადოებაში უკვე ფართოდ გავრცელდა ხმები არჩევნებში დიდი ფალსიფიკაციების შესახებ ხელისუფლების სასარგებლოდ.

შევარდნაძის უთუო დამსახურებაა ის სრული სიტყვის თა-

⁴ ამ მხრივ გამოსაყოფია რუსეთის ფედერაციის როლი, რომლის ჯარებიც, სამშვიდობო ძალების სტატუსით, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ზონებში იმყოფებიან (შესაბამისად 1992 და 1994 წლებიდან). საქართველოში ამას ბევრი აღიქვამს, როგორც ფარულ ექსპანსიას.

ვისუფლება, რომელიც საქართველოში სუფევდა მისი პრეზიდენტობის წლებში. მრავალრიცხოვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ფართოდ განიხილავდნენ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას და მათი კრიტიკის სიმძაფრე ხელისუფლებისა და პირადად პრეზიდენტის მიმართ ხშირად ცდებოდა კორექტულობის საზღვრებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი თავისუფლებაც კი უკვე ასლობდებოდა იმ ტოტალურ თავაშვებულობასა და დაუსჯელობასთან, რაც ქვეყანაში მეფობდა.

2001 წლის ოქტომბერში ქართულმა ძალოვანმა სტრუქტურებმა ჩეჩენტა რაზმის დახმარებით განახორციელეს შეიარაღებული შეჭრა აფხაზეთში, რომელიც სერიოზული მარცხით დასრულდა. როგორც ჩანს, მთავრობის ეს მორიგი წარუმატებლობა მოსახლეობის უკმაყოფილების მასობრივი გამოვლინების მიზეზად იქცა. დეტონატორის როლი შეასრულა ხელისუფალთა მიერ დამოუკიდებელ ტელეკომპანია “რუსთავი-2“-ზე უხეში დაწოლის მცდელობამ. 2001 წლის ნოემბერში პარლამენტისა და სახელმწიფო კანცელარიის წინ გაიმართა სტიქიური საპროტესტო აქციები; შეკრებილი ხალხი შევარდნაძის პოსტიდან გადაღობას მოითხოვდა.

ამ პერიოდში უკვე აშკარად გამოიკვეთა განხეთქილება პრეზიდენტსა და მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდა “მედსავლეთებს” შორის. სპიკერის პოსტი დატოვა ზურაბ ჟვანიამ. ოპოზიციის ამ ახალი ფრთის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო იურისტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც პარლამენტში პირველად ყურადღება მიიქცია კრიტიკული გამოსვლებით მაღალჩინოსანი მოხელეების წინააღმდეგ. სააკაშვილის სახელს უკავშირდება აგრეთვე სასამართლო სისტემის რეფორმირება საქართველოში. 2002 წელს სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა.

ჟვანიას შემდეგ სპიკერის პოსტი დაიკავა ნინო ბურჯანაძემ, რომელიც თავდაპირველად კომპრომისულ ფიგურად აღიქმებოდა პრეზიდენტის გუნდსა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის, მაგრამ ბურჯანაძეც მალე ოპოზიციისაკენ გადაიხარა.

ამ დროისათვის შევარდნაძის ავტორიტეტი უკვე საკმაოდ შერყეული იყო საქართველოს დასავლელი მეგობრების თვალში, რომლებიც ქვეყანაში შექმნილ ვითარებას აკვირდებოდნენ. იმავესაც ამბობდნენ, რომ დასავლეთის პოლიტიკური წრეები დადებითად აღიქვამდნენ სააკაშვილსა და ჟვანიას.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის საქართველოს პოლიტიკური ძალები განსაკუთრებული გულმოდგინებით ემზა-

დებოდნენ. ამბიციური პოლიტიკური ლიდერები ამ არჩევნებს განიხილავდნენ როგორც ეტაპს 2004 წლის საპრეზიდენტო ბრძოლისათვის, როდესაც უნდა დამთავრებულიყო ხელისუფლების სათავეში შევარდნადის ყოფნის უკანასკნელი ვადა.

დაიწყო საარჩევნო ბლოკებისა და ალიანსების ჩამოყალიბება. მალე გაირკვა, რომ სახელისუფლო პარტიიდან გასული პოლიტიკოსების მიერ შექმნილი გაერთიანებებიდან, რომლებსაც ზოგი სხვა პოლიტიკური ძალაც შეუერთდა⁵, ფართო გავლენით სარგებლობდნენ: 1) “ნაციონალური მოძრაობა”, რომლის სათავეში იდგა მ. სააკაშვილი, და 2) “გაერთიანებული დემოკრატების კავშირი” (ლიდერები - ნ. ბურჯანაძე და ზ. ჟვანია). უკვე წინასწარჩევნო კამპანიის დროს ამ ოპოზიციური ბლოკების სახელწოდებებში პოპულარულ ლიდერთა გვარებიც გამოჩნდა – “სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა” და “ბურჯანაძე-დემოკრატები”, ვინაიდან საქართველოში რიგითი ამომრჩეველი ჯერ-ჯერობით ხმას უფრო აძლევს ცალკე აღებულ ლიდერს, და არა პოლიტიკურ ორგანიზაციას მთლიანობაში.

2 ნოემბრისათვის დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში 24 საარჩევნო სუბიექტი მონაწილეობდა. შევარდნაძემ, რომელსაც პრაქტიკულად დაეშალა საყრდენი პოლიტიკური ორგანიზაცია - მოქალაქეთა კავშირი, - რომელიც ყველაზე ძლიერმა პოლიტიკურმა ფიგურებმა დატოვეს, ჩამოაყალიბა საარჩევნო გაერთიანება “ახალი საქართველოსათვის”. ეს სახელისუფლებო ბლოკი, როგორც მას უწოდებდნენ, განსაკუთრებული ეკლექტიზმით გამოირჩეოდა. მასში შემაჯავალ არაერთგვაროვან ძალებს, ფაქტობრივად, აერთიანებდათ მხოლოდ საპრეზიდენტო “ქოლგის” ქვეშ პარლამენტში მოხვედრის სურვილი.

არჩევნების წინა პერიოდში მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მეოხებით ცნობილი გახდა, რომ მზადდებოდა საარჩევნო სიების მასობრივი გაყალბება: ხმის მიძემთა სიებში მოხვედრილი არ იყო პოტენციური ამომრჩევლების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ ნაცვლად კი სიებში პოულობდნენ წლების წინ გარდაცვლილი ადამიანების სახელებს. ამ ნაკლის გამოსწორება დიდი ხმაურის მიუხედავად ვერ მოხერხდა, ვინაიდან არჩევნების გაყალბებით გავლენიანი ძალები იყვნენ დაინტერესებულნი.

⁵ კერძოდ, ნაციონალურ მოძრაობაში გაერთიანდნენ აგრეთვე პოლიტიკური ორგანიზაციები: “საქართველოს რესპუბლიკური პარტია” და “ეროვნულ ძალთა გაერთიანება”, ხოლო გაერთიანებულ დემოკრატებთან ბლოკში შევიდა “ტრადიციონალისტთა კავშირი”.

2 ნოემბრის არჩევნები მოსახლეობის დიდი აქტიურობით ჩატარდა. ხალხს კარდინალური ცვლილებები უნდოდა ქვეყანაში, რისთვისაც საყოველთაო აზრით საჭირო იყო არსებული ხელისუფლების შეცვლა. მაგრამ არჩევნების ოფიციალური შედეგებით, რომლებიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) გამოაქვეყნა, გამოვიდა, რომ პირველ ადგილზე გასული იყო სახელისუფლებო ბლოკი “ახალი საქართველოსათვის”, ხოლო მეორე ადგილზე – “დემოკრატიული აღორძინების კავშირი”, რომლის ლიდერია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე. ამავე მონაცემებით საარჩევნო ბლოკს “სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა” მხოლოდ მესამე ადგილი ერგო, “ბურჯანაძე-დემოკრატებს” კი - მეხუთე ადგილი.

საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში მრავალი ადგილობრივი თუ უცხოელი დამკვირვებელი ესწრებოდა. არასამთავრობო ორგანიზაციები აწარმოებდნენ ხმების პარალელურ დათვლას. მათ მიერ მიღებული შედეგი საგრძნობლად განსხვავდებოდა ცესკოს მონაცემებისაგან. კერძოდ, ალტერნატიული წყაროების მიხედვით პირველ ადგილზე გავიდა ბლოკი “სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა”, მეორე ადგილზე – სახელისუფლებო ბლოკი. გაერთიანება “ბურჯანაძე-დემოკრატებს” წილად ხვდა მეოთხე ადგილი, “აღორძინების კავშირს” - მეხუთე.

“ნაციონალურმა მოძრაობამ” და “ბურჯანაძე-დემოკრატებმა” არ ცნეს ცესკოს მიერ გამოცხადებული შედეგები და 4 ნოემბერს დედაქალაქის ქუჩებში საპროტესტო აქციებით გამოვიდნენ. მათ მრავალი ათასი თბილისელი და საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ადამიანი შეუერთდა. 20 დღის განმავლობაში თბილისის ქუჩები სავსე იყო მანიფესტანტებითა და პოლიციის ქვედანაყოფებით, ხოლო სიტუაცია ხშირად უახლოვდებოდა ფეთქებად დონეს.

2003 წლის ნოემბრის მოვლენებმა ცხადყვეს რა არაპოპულარული იყო შევარდნაძის მმართველობა საქართველოში. მას, პრაქტიკულად, საზოგადოებაში მხარდამჭერი აღარ ჰყავდა, გარდა სახელისუფლებო ბლოკის გარშემო გაერთიანებული ჯგუფისა, რომელმაც ამ კრიტიკულ დღეებში კონსტრუქციული მოქმედების სრული უუნარობა გამოამჟღავნა.

მიუხედავად ამისა, 22 ნოემბერს შევარდნაძე შეეცადა გაეხსნა ცესკოს მონაცემთა მიხედვით შედგენილი პარლამენტის პირველი სხდომა, მაგრამ დარბაზში მოულოდნელად შეჭრილმა სააკაშვილმა და მისმა მომხრეებმა პრეზიდენტს ამის საშუალე-

ბა არ მისცეს⁶. დემონსტრანტებმა დაიკავეს პარლამენტისა და სახელმწიფო კანცელარიის შენობები. დაიწყო ხალხის მხარეზე პოლიციისა და შეიარაღებული ძალების გადასვლა.

მეორე დღეს, 23 ნოემბერს, შევარდნაძე, რომელსაც, ფაქტობრივად, მთელმა მსოფლიომ ზურგი შეაქცია⁷, იძულებული გახდა განცხადება გაეკეთებინა პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შესახებ.

საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდა გამარჯვებული ოპოზიცია, რომელიც ქართული საზოგადოების გარკვეული უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს. “ნაციონალური მოძრაობისა” და “ბურჯანაძე-დემოკრატების” ლიდერებმა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც 2004 წლის 4 იანვარს გამართულ ვადამდე საპრეზიდენტო არჩევნებში სრული გამარჯვება მოიპოვა (ამომრჩეველთა ხმების 96,7%). მოსახლეობის ასეთი მხარდაჭერა ხელისუფლებას სერიოზულ შანსს აძლევს განახორციელოს ქვეყანაში ეფექტური ეკონომიკური და სოციალური რეფორმები, რათა XXI საუკუნის დასაწყისში საქართველო მტკიცედ დაადგეს აღმავლობის გზას.

*პირველად დაიბეჭდა წიგნში:
გ. ანჩაბაძე. საქართველოს ისტორია (მოკლე ნარკვევი).
თბილისი, 2005.*

⁶ აღსანიშნავია, რომ სხდომათა დარბაზში შესულ სააკაშვილს ხელში ვარდი ეკავა, რის გამოც ნოემბრის მოვლენები საქართველოში “ვარდების რევოლუციად” მოინათლა. ეს იყო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობიანი, უსისხლო გადატრიალება, მიუხედავად იმისა, რომ მასში ათეულგობით ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

⁷ პრესაში გამოქვეყნებული მასალებით, შევარდნაძე ამაოდ ცდილობდა მიეღო პოლიტიკური მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის მხრიდან. სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივანმა ჯერ კიდევ 20 ნოემბერს განაცხადა ბრიფინგზე, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა არჩევნების ფაქტობრივად და შეერთებული შტატების ხელმძღვანელობის სახელით ღრმა იმედგაცრუება გამოხატა საქართველოს მოქმედი ხელისუფლების მიმართ. დასავლეთის სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ არ აპირებენ საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევას. მსგავსი ხასიათის განცხადება გააკეთა აგრეთვე საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდლობამ.

From the book: "History of Georgia (short sketch)"

Georgia in 1946-1992. Crisis of Soviet System.

Decomposition of Soviet Union and Revival of Independence of Georgia

After the World War II, economy of Georgia in several years became higher than it was before the war. New enterprises, water power stations, mines, irrigating channels etc were arranged. But the government kept the society under the heavy ideological pressure. The new repression wave appeared again, which was ceased only after the death of Stalin (1953).

The new Soviet government, the leader of which was N. Khrushchov, softened the inner political regime. Besides, in the 30-40s Stalin was accused of every crime, committed by the government. Nothing was said about the Soviet system perversion. On the XX Communist Party Congress in February 1956, worshipping of Stalin was converted into the personal retaliations. Anti-Stalinist Company was tending to the opinion, that his repressive actions were conditioned by his Georgian origin.

Especially bitter was the critique of Stalin for Georgian youth, which was accustomed to the fanatical idolization of Stalin before by the official ideology. Besides, Georgian national feelings were offended. On March 3, 1956, separate manifestations took place in Tbilisi high educational schools, and on March 5, the situation in the city became unruly. Demonstrations and meetings were held, where people required rehabilitation of Stalin, criticized the XX Congress solutions. Nothing was anti-Soviet in this action, but the government cruelly suppressed youth protest. On March 9, Soviet armies shot the participants of the meeting in the center of Tbilisi. More than 100 people died and about 300 people were wounded (the exact numbers are not known).

In fact, after the March tragedy, the wide layers of population of Georgia lost the Communist ideology belief. In the 60s, there began the period in Soviet Union, which was called "the Period of Motionlessness" afterwards. In spite of that, the great "Communism" reconstructions still were running, party and state functioners of different ranks reported to the higher authorities about new achievements, in fact, their words were far from reality. Corruption became of a total character as well. No one believed in official propaganda any more.

Falsity and dissimulation of the state politic level morally corrupted the Soviet society. Since the 60s, in Georgia and other USSR Republics, there widely set so-called "Shade Economic", which was the result of ignorance of the economical objective rules under administrative governance system.

The most radical expression of the progressive part of the society, opposed to the existing system, was the dissident movement, which started since the 60s. Among the Georgian dissidents, the most devoted and spiritually strong person was Merab Kostava (1938-1989). He was arrested for several times by the state security committee and served his term in the far camps of Russia.

By the 80s, it became clear to everyone that the rotten Soviet regime had no future perspective. In 1985, the leader of the country, M. Gorbachov tried to overcome the crisis with cardinal reforms. The "Restructuring" ("Perestroika") began, but the liberalization and publicity, connected to this process, appeared the genie from the bottle for Soviet Union. Architects of the "Restructuring" ("Perestroika") didn't know that the Soviet system built with blood and iron, had no "immunity" for democratic freedom, and as a result, the swift decomposition of this process began.

"Restructuring" in Georgia began with emphasizing national aspiration. In 1987, the first legal national political organization – Ilia Chavchavadze Society – was created. In a while, other similar organizations appeared as well. The leaders of the national movement, which became of a wide scale by 1988, were former prisoners, Georgian dissidents. Soon, the motto of Independence of Georgia was evidently shown. Soviet government, which in spite of the "Restructuring" periodically kept trying to hold forceful methods, used armies and armored technique towards the peaceful meeting participants in the center of Tbilisi. On April 9, 1989, at night, the meeting was attacked. 20 persons were killed; most of them were women. It must be notified that the April 9 tragedy happened on the same place, as March 9, 1956 bloodshed. But in 1989, the general situation in USSR was quite different. The bloody action on April 9 angered not only the whole Georgia, but the progressive society of Russia, which firmly rebelled against this fact. In those days in Georgia, there took place the national integrity. The government was forced to step back.

After April 9, the leadership of Georgian Communist Party lost its influence in the Republic. National movement became the main motive power for the political life of Georgia. Unfortunately, among the leaders of this movement there was not unanimity at all. M. Kostava, who tried to maintain the integrity of national powers, died in the accident. After his death, the powers, struggling for the independence, finally divided into two camps. The most popular in the public was the political block "The Round Table". The famous leader of this block was the former dissident, philologist, Zviad Gamsakhurdia (1938-1993). Exactly his personal popularity conditioned the victory (62% votes) of "The Round Table" after October 28, 1990 elections

(the first many-partied elections in Georgia since 1921). Thus, it was a peaceful end of the Communist governance in Georgia.

Z. Gamsakhurdia soon became the president of the country, and during the period of his reign, the inner political situation in the Republic aggravated. Because of the inflexible, ambitious policy of Gamsakhurdia, the relations between the governing "The Round Table" and the rest opposite part became bitter. The condition in Autonomies was strained too, especially in Abkhazia and South Ossetia. Gamsakhurdia's nationalistic phraseology disturbed the ethnic minorities. If in 1981 the partial compromise with Abkhazia was managed, the conflict with Ossetia became the armed opposition. The reason of this was the abolishment of Autonomous Region of Ossetia by the Parliament of Georgia. This solution was provoked by the Ossetians, declaring the Autonomous Region as the Republic. It must also be notified that in Georgia of this period, one of the reasons of existing ethnical conflicts (and also the split in Georgian national movement), except the local radical actions, was, as it seemed, the hidden activity of special services of the Union, which used the tried imperial methods – "divide et impera".

Gamsakhurdia was on the way to the independence of Georgia in the relations with the Soviet center. On April 9, 1991, the Parliament of Georgia adopted the Declaration of Independence but this Act, as declared from one side, wasn't internationally recognized.

In autumn, 1991, opposition between the Presidential government and the opposite side reached the flammable level. The role of detonator played the suppression of the non-sanction meeting of the opposition by the police in Tbilisi. The split appeared even in the closest encircling of Gamsakhurdia. President was denied by a large part of his main force structure - the National Guard. On December 22, 1991, military movements began between the rebelled guard and the guard of the Presidential Palace. "Tbilisi War" lasted till January 6 and ended with the flight of the President from Georgia. The armed fight, during which the rival sides used artillery and reactive projectiles, considerably damaged the central district of the city.

While the two wings of the national movement were busy with retaliations, there occurred the most important event in the world: Soviet Union was decomposed and the world recognized the independence of its republics de-facto and then de-jure.

Because of the disorder existing in Georgia, its juridical recognition was comparatively complicated. But after returning of the former Minister of Foreign Relations of Soviet Union, the worldwide famous politician, Edward Shevardnadze, the things broke through March, 1992. E. Shevardnadze was the first leader of Georgia in the first half of the 70-80s, and was well acquainted to the local situation. His return filled the large part of the popula-

tion of Georgia with hope that the prolonged anarchy would end and the country would stand on the way to stabilization. Shevardnadze soon really managed to cease Georgian-Ossetian conflict through mediation of Russia. But the situation in Abkhazia and some Western regions, where the armed groups of the adherents of Gamsakhurdia acted, remained strained.

Return of Shevardnadze and coming of the temporary supreme governmental body of transitional period, State Council, into the supremacy became the signal for the world for juridical recognition of the state Independence. Already on March 23, 1992, Independence of Georgia was, recognized by the Euro-union countries. On July 31 of the same year, Georgia was adopted in the UN Organization as its 179th plenipotentiary member. Thus, Georgia again came into the list of liberal states. The dream of the best Georgian representatives of the XIX and XX cen. fulfilled.

Georgia in Post-Soviet Period (1992-2003)

State Council could not provide to establish peace in the country. Situation in Samegrelo Region, which was the main bearer for supporters of Gamsakhurdia, was unstable (the ex-president was hiding in Chechnya and invoked people for disobedience), and hard attempts of government to establish peace violently, in fact, were ended on the contrary. But the greatest mistake of the State Council, which is one of the main problems for Georgia, was to enter the troops into Abkhazia.

In Autonomic Republic of Abkhazia interethnic relations have been straining little by little in the period of Soviet government, especially since 40s. The main reason of it was vicious internal policy of the Communists (frame, demographic, school and etc.), though, as it is evident, sometimes interethnic confrontations were aroused on purpose by certain services of the Soviet Centre to keep Abkhazia, and whole Georgia under stricter control.

Statements of the Abkhazians with different demands periodically had mass character (1956, 1967, 1978). Sometimes a slogan requiring separation from Georgia was heard in those requirements that caused protest actions of Georgians. It should also be mentioned that Georgian-Abkhazian opposition on household level has not received ethnical antagonistic character, which is proved with flock of mixed marriages. From multiethnic population of Georgia the Georgians have closest cultural relationships with Abkhazians and Ossetians.

By the end of 1980s, in the period of crisis of the Soviet government, when in Georgia and Abkhazia national movements were formed and got influences, Georgian-Abkhazian relationships were extremely strained. Actions and demands of the organizations of the Nationalistic directions, as a

rule, had radical character. In spring of 1989 Abkhazia aroused the problem of separation from Georgia on social and political levels.

The burdening of the situation was encouraged by the policy of the leaders of the Communist Party who did not avoid even provoking the bloodshed. Ethno political confrontation in the Autonomous Republic got a worse form in summer of the same year when the very first bloody collision occurred. Fourteen people were killed.

Z. Gamsakhurdia, as it was mentioned, achieved certain compromise with Abkhazians in the legislative body – the Supreme Council – by allowing quotes, corresponding with it the Abkhazians who made 18% of Abkhazian population¹ received 43% of the deputy mandates. But the confrontation on other levels went on. The idea that modern Abkhazians came to the Black Sea coast 200-300 years ago and have not direct links with ancient population of those places dominated in Georgian propagandistic materials caused insults and offences of any representative of Abkhaz people, in spite of their political orientation. Such wrong theory that was not taken into consideration by the serious scientists became one of the main arguments of the Georgian side in the informational struggle since 1989.

After overthrow of Gamsakhurdia the State Council have not received the proposal about federalization of Georgia where Abkhazia would be represented as a subject of federation. On the background of civil confrontation existed in the country “the war of laws” started between Tbilisi and Sokhumi that minimized jurisdiction of Georgia in this autonomic unit.

After recognition of independence of Georgia the idea strengthened that the shortest way for restoration of jurisdiction of Georgia in Abkhazia was to show force to the “separatists”. Transferring of a lot of arms (tanks and other heavy machineries) by Russia to Georgia fostered the choice of regulation of the situation by force in favour of the centre in summer of 1992. It is supposed that Russian side did it on purpose, by involving Georgia into armed conflict to keep the handles of impact on the former Soviet Republic.

On August 14, 1992 Georgian governmental forces (that was not a regular army. Police contingents and especially different militarized formations, which received military skills during the civil war and Georgian-Ossetian conflict were sent to Abkhazia) crossed the administrative border of Abkhazia and entered Sokhumi – the capital of Autonomous Republic. At the same time in the remote North-West part of the country near Gagra navy

¹ The lack of specific share of ethnic Abkhazians among the population of Abkhazia was the result of their mass emigration in Ottoman Empire in 60-70s of XIX century and the development of deserted territories by other people

crew was landed, which occupied roads and rail lines connecting Abkhazia with Russia.

The State Council stated that operation as planned for protecting the railway crossing Abkhazian territory, but the actions of the soldiers invaded Sokhumi did not resemble the actions of the defenders of transport highways. One of the first actions they did was to throw Abkhazian flag from the roof of Government House, which was not recognized by Tbilisi, and to fix Georgian flag.

Abkhazian part of government of the Autonomic Republic that moved to Gudauta (in the centre of densely inhabited by ethnic Abkhazians) appealed its people for resistance. It cannot be said that Abkhazians did not expect such development of events. They have already had law enforcement infrastructure (though did not have enough amount of arms) and were in alliance with national movements of North Caucasus that had essential influence in the South part of Russia.

The leaders of Confederation of Highland People of the Caucasus (formed in 1991 in Sokhumi) demanded within ultimatum to withdraw military troops from Abkhazia, otherwise threatened by sending volunteers for carrying out military actions. Shevardnadze accepted rules of that game and claimed that in the squads of defence, formed in the whole Georgia responding to the ultimatum of the Confederates; more than 30 thousand people were united. Thus, the mechanism of war started and Georgia was involved into armed battles during more than one year.

By starting hostilities in Abkhazia the role of Moscow obviously appeared in this conflict. Both Georgians and Abkhazians struggled with Soviet arms supplied by Russia. It seems that supplying arms and other military equipments occurred through selling as well as through straight delivering.

People of the North Caucasus ethnically and culturally related (Kabardians, Adighei, Circassians, Chechens, Abazians and etc.) and the Abkhazian-Circassian Diaspora of nearest East supported Abkhazian minority².

In autumn of 1992 about 4-7 thousands of Highland Confederation fighters arrived in Abkhazia. Besides, a lot of people of Slavonic nationality fought on the side of Abkhazians, especially from militarized organizations of the Kazaks. These various forces were motivated in different ways in Georgian-Abkhazian war, but on the whole, the fact of their participation

² According to the last account of USSR population in (1989) there were 105 thousands people of Abkhaz nationality in this country. 96 thousands ethnic Abkhazs lived in Georgia, and 94 thousands – in the Autonomous Republic of Abkhazia.

enhanced victory of the Abkhazians. In spite of this, it should be mentioned that the main weight fell on ethnical Abkhazians in fighting against Georgians. Abkhazian formations represented the basic core of contradictory forces.

In October of 1992 Abkhazians took Gagra that activated the links between Gudauta and Gagra. The troops of State Council after that controlled only that part of Abkhazia, which was mainly populated by ethnical Georgians. Sokhumi became the key point for Georgians.

On October, 11 in 1992 Parliamentary elections were held in Georgia, which legitimised the authorities of the Country.

At the same time E. Shevardnadze was elected as a chairman of the Parliament and soon as a head of the State. Gamsakhurdia and his supporters in Chechnya did not recognise the legitimacy of October elections. The forces backing ex-president were acting evidently in Samegrelo region.

In such conditions it was difficult for Georgia to launch war against Abkhazia, furthermore the character of this war and main counter stayed to the end unknown for Georgian society. It was considered Abkhazian separatism or Russia, or Islamic "fundamentalism" (!?)

After losing Gagra the Georgian Army being a mechanical unity of different squads particularly defended itself. In the beginning of 1993 several attacks of the Abkhazians on Sokhumi were beaten off, but strategically important points in the suburbs of the city were moved to Abkhazians. In these circumstances on July 27 of 1993 the agreement on fire ceasing was achieved. The agreement envisaged the demilitarization of conflict zone and creating necessary terms for restoring legitimate governmental bodies. The military troops of Russia deployed in Abkhazia were entitled to maintain neutralities. For keeping order in the region pollinational militia and internal troops should be formed where Abkhazian regiment and Georgian subdivision. Other Georgian formations as well as Abkhazian allying squads should be withdrawn from the territory of Abkhazia after ceasing fire at least in 10-15 days time.

Georgian side began to take heavy machinery that was its advantage away from Sokhumi, but the process of withdrawing the forces was obstructed, as by this time Georgian army formation deploying in Abkhazia was mainly consisted of local inhabitants and their disarmament or withdrawal from the region was not easy to do.

The Abkhazians considered it as breakage of the agreement and on the 16th of September unexpectedly resumed the attack on Sokhumi. The heavy battles lasted 12 days and ended in leaving the city by Georgians (September 27, 1993). Tbilisi only maintained a hardly approachable gorge in the mouth of the river Kodori. Bigger part of Georgian population (245 000 people) had

to leave Abkhazia with the troops. These people became refugees in their own Country.

War lasting one year inflicted Abkhazia, the most beautiful area. Thousands were killed. Critical situation spread all over Georgia.

In these circumstances Z. Gamsakhurdia tried to regain authorities. In September he returned to his home country and led armed formations of his supporters. Ex-president made attempts to start marching from Samegrelo towards Tbilisi, but was defeated and died in uncertain circumstances (On 30th of December, 1993). According to the version spread Gamsakhurdia committed suicide.

* * *

In spite of defeat in Abkhazia after 1993 the authority of Shevardnadze significantly strengthened in Georgia. Most of population still believed in an experienced leader and hoped that after stopping hostilities economical revival would start and geopolitical function of Georgia would increase in the world. Those hopes were mainly based on the plans of turning the country into transport corridor between East and West that was much written and spoken about. At the same time the realization of the future achievements in public opinion (especially by the impact of official propaganda) related to the name of Eduard Shevardnadze, his private relations and influence on world policy.

In the middle of 90-s loosened State Body step by step became stronger in the last period. On the 24th of August Georgia accepted a new Constitution of independent State (symptomatically the terrorist attack on Shevardnadze coincided with this action, the Head of State and the others sitting in the car with him miraculously survived), Parliamentary elections were held, the post of president was restored, which was temporarily cancelled after overthrown Gamsakhurdia³.

President Shevardnadze was building Georgia with his old experience and with the help of old staff. A great deal of former party and Komsomol members came back to authority structures, who substituted the persons of anti-Soviet movement of "Perestroika". But Shevardnadze attracted some young politicians, who were not in touch with former party nomenclature. Their presence in government strengthened Shevardnadze's image of reformer and West orientation politician. Among those was the leader of Greens Party Zurab Zhvania, who in 1995 at the age of 32 took the post of Parliamentary speaker. The political bearing for Shevardnadze became a "Union of Georgian Citizens" that was formed by him, which obtained

³ Eduard Shevardnadze was elected in 1995 and 2000 as a president of Georgia.

majority of seats in the Parliament by elections of 1995. Thousands of people became members of the "Citizens", most of them aimed at arranging their own careers "under roof" of presidential party. Bureaucracy of State Body and increasing of corruption connected to this fact became the symbol of Shevardnadze's epoch.

Tendencies of economical rise, as if conceived in further period of Abkhazian war, by the end of 90-s completely disappeared. In fact the laws did not function in Georgia, e.g. three out of four legal regulations were not accomplished. The sources of State budget did not function well (by some data only 1/7 of tax incomes entered state treasury). Greater part of donations granted by the West was grabbed by ruling strata. Delaying this way and that low wages and pensions became regular. Pre-election promise in 1995 of the Citizens' Union to create 1 million working places appeared to be a complete fiction. Hundred thousands of Georgian people had to go abroad for seeking jobs. Neither boosted international economical projects had obvious results in spite in 1999 the first experimental oil pipe-line transiting through Georgia and the terminal of Supsa operated (in the South of Poti), which supplied Azeri oil to industrialized world. It became clear to the publicity that the reforms and combating corruption stated by the president bore a formal pattern. Constant black outs of electricity and gas caused the dissatisfaction of population.

Shevardnadze could not overcome political dead-end arose by Georgian-Ossetian and Georgian-Abkhazian armed conflicts. Self-claimed Republics of South Ossetia and Abkhazia did not recognize jurisdiction of Georgia.

Through the mediation of International organizations (UN and OSCE) and "friendly countries" (USA, Russian Federation, Great Britain, France and Germany)⁴ began the process of peaceful negotiations, but that did not gain any results; the sides kept complete contradictory positions that means that danger of restarting fire still exists.

Unsettlements of ethno political conflicts directly have impact on the fate of many refugees whose being in the country tenses current state even more.

Personality of Shevardnadze became the target of unsatisfied population caused by current situations (as before, he was expected to solve the key na-

⁴ The role of Russian Federation is to be notable, its troops with the status of peacemaking forces are in the conflict zones of Georgia-Ossetia and Georgia-Abkhazia (accordingly since 1992 and 1994). Many perceive it as hidden expansion in Georgia.

tional problems). In 1999 the Parliamentary and in 2000 the Presidential elections were held in such conditions. The Union of Citizens won again but rumour of great falsifications during elections in favour of the authority spread.

Total freedom of speech existed in Georgia during Shevardnadze's presidency was his merit. Great deal of mass media widely discussed situations underway and their acute critics towards authority and the president often got over the margins. But unfortunately, such freedom was associated with that total dissolution and impunity that reigned in the country.

On October of 2001 Georgian law enforcement bodies with the help of Chechen squads launched armed attack in Abkhazia was utterly defeated. It seems that the next failure of the government resulted in mass dissatisfactions of people. Attempt of coarse pressure on independent TV-company "Rustavi 2" by authorities became a detonator. On November of 2001 a spontaneous protest actions were held in front of the Parliament and State Chancellery. Gathered people required the resignation of Shevardnadze.

Gap between the president and young "westerners" of the Citizens' Union became obviously clear in this period. Zurab Zhvania left the post of parliament speaker. An outstanding representative of the new wing was a lawyer Mikheil Saakashvili who attracted attention in the Parliament for his critical statements towards officials. Reforms of the court system in Georgia related to Saakashvili's name. In 2002 Saakashvili became a chairman of Tbilisi Sakrebulo.

After Zhvania Nino Burdjanadze who was supposed to be a compromising figure between the presidential group and parliament opposition, took the post of the speaker, but soon after Burdjanadze supported the opposition.

By this time the authority of Shevardnadze has already been shaken in the opinion of the Western friends of Georgia observing the current situation in the country. They say that the West political circles approved Saakashvili and Zhvania.

Georgian political forces were thoroughly preparing for the elections 2003. Ambitious political leaders discussed those elections as a stage for presidential struggling when the last term of Shevardnadze's being as a head of the country was to end.

Forming of election blocks and alliances started. Soon it became clear that the unions formed by the politicians who had left the governmental party and joined by other political forces had a great influence⁵: 1) "National

⁵ In particular, political organizations have also been unified in the national movement: "Republic Party of Georgia" and "Union of National Forces", and the "Union of Traditionalists" have joined the block of United Democrats.

Movement” headed by M.Saakashvili, 2) “United Democrats” (leaders – N.Burdjanadze, Z.Zhvania). During pre-election period names of popular leaders appeared in the titles of oppositional blocks – “Saakashvili-National Movement” and “Burdjanadze-Democrats”, as a Georgian average voter votes more for a single leader than for political organization in whole.

24 election candidates took part in parliamentary elections appointed on November 2. Shevardnadze, whose bearing political organization – Citizens’ Union - has practically broken-up, that was left by the strongest political figures, formed an election union “For New Georgia”. That governmental block as it was called, differed with significant eclecticism. Different forces united under presidential “umbrella” were unified by wish of entering the Parliament.

In pre-election period with help of mass media and non-governmental organizations it transpired that mass falsification of the election lists were being prepared: essential part of potential electorate were not included in the voters’ lists. Instead they found the names of those who died long ago. In spite of great fuss shortcomings were not improved as the influential forces were interested in rigging.

Elections of November, 2 were held with great activities of the population. People wanted cardinal changes in the country, that’s why it was necessary to change existing authorities. But according to official results of elections that was published by Central Election Commission (CEC), the first place was gained by the governmental block “For New Georgia”, and the second place – by “Democratic Revival Union” led by Aslan Abashidze, head of the Autonomous Republic of Adjara. According to the same results “Saakashvili-National Movement” election block took the third place, and fifth place was gained by “Burdjanadze-Democrats”.

A lot of local and foreign observers attended the Parliament elections in Georgia. Non-governmental organizations carried out parallel counting of votes. The result obtained by them utterly differed from the results from CEC.

In particular, in regards with alternative sources the first place was gained by the block of “Saakashvili-National Movement”, the second place – “governmental block. Union “Burdjanadze-Democrats” gained the fourth place and the “Revival Union” – fifth one.

“National Movement” and “Burdjanadze-Democrats” did not recognize the results by CEC and on the 4th of November came out with protests in the streets of the capital. They were joined by thousands of Tbilisians and people from different regions of Georgia. For 20 days the streets of Tbilisi were crowded by demonstrators and police subdivisions, and the situation often got to be explosive.

The events of November, 2003 displayed how unpopular Shevardnadze's rule was. Practically he had no supporters in public except united group around the governmental block, which showed its inability of constructive actions.

Regardless, On November 22 Shevardnadze tried to open the first session of Parliament by the results of CEC, but Saakashvili and his supporters, who rushed into the Parliament hall, did not give the president that opportunity⁶. Demonstrators took up the buildings of the Parliament and State Chancellery. Police and armed forces went over to the people.

Next day, on November 23, the whole world turned its back to Shevardnadze⁷, who had to declare about his resignation from the presidential post.

Winner opposition, that has majority of supporters in Georgian society, came into the government of Georgia. Leaders of "National Movement" and "Burdjanadze-Democrats" called Mikheil Saakashvili as a presidential candidate, who gained absolute victory in the preterm presidential elections of January 4, 2004 (96% of voters). Such support of population gives authorities a chance to fulfil effective economical and social reforms in the country in order to take ascending way in Georgia in the beginning of XXI century.

*First was published in the book:
George Anchabadze. History of Georgia (short sketch). Tbilisi, 2005*

⁶ It is to be emphasized that Saakashvili was holding a rose whilst entering the Session Hall, that's why the November dramatic events were considered as a "rose revolution". It was the most peaceful bloodless coup d'état despite the participation of thousands of people.

⁷ In compliance with the published materials in press Shevardnadze was vainly trying to get a political support from the USA and Russia. The press secretary of State Department yet on November 20 claimed on the briefing that the elections were falsified in Georgia and expressed his deep disappointment towards working authority in the name of USA leaders. The West countries stated that they were not going to intervene in the internal affairs of Georgia. Similar statement has been made by the command of Russian troops deployed in Georgia.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და აფხაზეთის აჯანყება

აფხაზეთის ინტეგრაცია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. 1810 წელს აფხაზეთის სამთავრო რუსეთის პროტექტორატად გამოცხადდა, მაგრამ ქვეყნის შინაგანი მართვა-გამგეობა მთლიანად აფხაზეთის მთავრისა და სხვა ადგილობრივი ფეოდალების ხელში დარჩა: სოხუმში დისლოცირებული რუსული გარნიზონი მხოლოდ აკვირდებოდა სიტუაციას და არ ერეოდა ავტონომიური სამთავროს საშინაო საქმეებში.

XIX ს-ის 30–40-იან წლებში რუსული ადმინისტრაციის პირდაპირი მმართველობა უკვე აფხაზეთის ცალკეულ რაიონებზე ვრცელდება: იქმნება სამურზაყანოს და წებელდის საბოქაულოები, 1846 წელს კი მთავარ მიხეილ შარვაშიძის სამფლობელოებიდან ფულადი ანაზღაურების ფასად აფხაზეთის ნავსადგურები გამოიყო, თუმცა რუსული ადმინისტრაციისა და სასამართლოს მოქმედების არც შემოიფარგლებოდა ქ. სოხუმით. ამიტომ 1864 წლამდე აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი, თუმცა ოფიციალურად კარგა ხანია რუსეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა, სინამდვილეში ნაკლებად ემორჩილებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და თავისუფალი იყო ყოველგვარი ადმინისტრაციული დაქვემდებარებისაგან.

მრავალწლიანი კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალა კავკასიაში აქა-იქ შემორჩენილი ავტონომიური ერთეულების ლიკვიდაცია. აქტი აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შესახებ საჯაროდ გამოქვეყნდა 1864 წლის 12 ივლისს (ძვ. სტილით) და აქ შემოღებული იქნა ე.წ. სამხედრო-სახალხო მმართველობის სისტემა, რომელიც უკვე აპრობირებული იყო ჩრდილო კავკასიაში. ამის შემდეგ აფხაზეთს ოფიციალურად ეწოდა “სოხუმის სამხედრო განყოფილება”, რომლის უფროსებად რუსი სამხედრო ჩინები ინიშნებოდნენ.

პირდაპირი რუსული მმართველობის შემოღება ნეგატიურად იყო აღქმული აფხაზეთის მოსახლეობის მიერ. თავდა-ზნაურობის უკმაყოფილებას იწვევდა სახელმწიფო პოლიტიკა, მიმართული მათი უფლებების შეზღუდვისაკენ, გლეხობა კი ვერ ეგუებოდა უბრალო ხალხისადმი რუსი ჩინოვნიკების დამოკიდებულებას, რომლებიც ვერ ერკვეოდნენ აფხაზეთის ცხოვრების წესის

თავისებურებებში და არად აგდებდნენ ადგილობრივ სოციალურ და ყოფით სპეციფიკას.

პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში განსაკუთრებით დაიძაბა 1866 წლის ზაფხულში, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ აქ საგლეხო რეფორმის ჩატარების სამზადისი დაიწყო. აფხაზეთა რეაქცია შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა, რომლის ჩახშობის შემდეგ თურქეთში, ფაქტობრივად, ძალით იქნა განდევნილი 20 ათასამდე აფხაზი. თუ ამ ციფრს დაუშმატებთ კავკასიის ომის დასრულების დროინდელ ემიგრანტთა (მუჰაჯირთა) რიცხვს აფხაზეთიდან, ვნახავთ, რომ XIX ს-ის 60-იან წლებში აფხაზეთიდან ოსმალეთის იმპერიაში 40 ათასზე მეტი ადამიანი გადასახლებულა, რამაც თითქმის მთლიანად დააცარიელა მდ. ბზივის დასავლეთით მდებარე ტერიტორიები და კოდორის ხეობა.

აფხაზეთი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წინ. მკაცრი რეპრესიებისა და მოსახლეობის შეთხველების მიუხედავად ბუნტარული განწყობილება აფხაზეთში, რომლსაც აღვივებდნენ თურქეთიდან საიდუმლოდ მოვლენილი აფხაზი მუჰაჯირები, არ ცხრებოდა. უკვე 1876 წელს ხელისუფლება იძულებული გახდა შეექმნა სპეციალური საჯარისო დაჯგუფება, ე.წ. სოხუმის რაზმი, რომლის ძირითადი დანიშნულება იყო “აფხაზურ მოსახლეობაში წესრიგის შენარჩუნება”¹. 1877 წლის დასაწყისში სოხუმის რაზმში 4752 ჯარისკაცი და ოფიცერი ირიცხებოდა 4 სამთო ქვემეხით. რაზმი ემორჩილებოდა სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს გენერალ-მაიორ კრაჟნენკოს. სოხუმის განყოფილების ჯარების შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე აფხაზური მილიცია პოლკოვნიკ გრიგოლ შარვაშიძის მეთაურობით.

ეს იყო დრო, როდესაც მახლობელ აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური კრიზისი იწყებოდა. ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ბალკანეთის სლავური ხალხების ეროვნული თვითშეგნების ზრდამ, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და ბულგარეთში რამოდენიმე აჯანყება გამოიწვია, რომლებსაც სერბეთმა და ჩერნოგორიამ დაუჭირეს მხარი (1875-1876 წწ.). ამ მოვლენებმა მთელი ევროპის ყურადღება მიიქცევს და გაამწვავეს ბრძოლა დიდ სახელმწიფოებს შორის გავლენათა სფეროების განაწილებისათვის. განსაკუთრებით აქტიურად გამოდიოდა რუსეთი, რომელიც სლავი

¹ Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. на Кавказско-Малоазиатском театре. Т. V. Составлен в Военно-историческом отделе при штабе Кавказского военного округа полковником Фон-Климан. Тифлис, 1909. С. 256.

ხალხების დაცვის საბაბით ბალკანეთში ფეხის მოკიდებასა და შავი ზღვის სრუტეებზე გაბატონებას ცდილობდა.

1877 წლის 12 აპრილს რუსეთის იმპერიამ ოსმალეთს ომი გამოუცხადა და დაიწყო შეტევა საომარი მოქმედებების ორ სახმელეთო ასპარეზზე – ბალკანეთისა და კავკასია-ანატოლიის ფრონტებზე. შავ ზღვაზე, სადაც ოსმალები ბატონობდნენ (რუსეთს 1856 წლის პარიზის ზავით აკრძალული ჰქონდა აქ ფლოტის ყოლა), გათვალისწინებული იყო მხოლოდ სანაპირო ხაზის დაცვა.

რუსეთ-თურქეთის ომის საერთო მსვლელობა. რუსეთ-თურქეთის ომის მთავარ ასპარეზზე, ბალკანეთში, რუსეთის არმიამ დუნაი გადალახა და თურქების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად სტამბოლს მიუახლოვდა (1878 წ. იანვარი). რუსთა მოწინავე რაზმები 12 კილომეტრის დაშორებით იყვნენ ოსმალეთის დედაქალაქიდან, როდესაც ალექსანდრე II-მ, ევროპული სახელმწიფოების მოთხოვნით შეტევის შეჩერება ბრძანა. თურქეთის აზიურ ნაწილში რუსები არზრუმს მიაღწენ და აღმოსავლეთ ანატოლიის ამ მნიშვნელოვან სტრატეგიულ და ადმინისტრაციულ პუნქტს ალყა შემოარტყეს. ომი დასრულდა სანსტეფანოს ზავით (საზავო ხელშეკრულება გადახედილი იქნა 1878 წ. ბერლინის კონგრესზე). რუსეთმა მიიღო არტაანი, ყარსი და ბათუმი მიმდებარე ოლქებით და ტერიტორია დუნაის შესართავთან. გარდა ამისა ოსმალეთმა აღიარა რუმინეთის, სერბეთისა და ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა და დათანხმდა ავტონომია მიენიჭებინა ბულგარეთისათვის.

ომი და კავკასიის მთიელები. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამ კავკასიის მთიანეთში მღელვარება გამოიწვია. აქ კარგად ახსოვდათ რუსეთ-მთიელთა ომი და მთიელთა ოპოზიციის ბელადები რევანშზე ოცნებობდნენ. გარკვეულ როლს ასრულებდა აგრეთვე თურქეთის ემისართა პროპაგანდა, რომლებიც კავკასიის ხალხებს აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ და ოსმალთა დახმარებას პირდებოდნენ. ეს აგიტაცია შედეგს არ გამოიღებდა მთიელთა ფართო მასებში დიდი უკმაყოფილება რომ არ ყოფილიყო რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გამო. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შემდეგ ჩრდილო კავკასიის ზოგ რეგიონში (დაღესტანი, ჩეჩნეთი, ჩერქეზეთი) შეიარაღებულმა აჯანყებებმა იფეთქა. რუსეთის მთავრობამ, რომელსაც კავკასიის ომის განახლებისა ეშინოდა, ამბოხებულთა წინააღმდეგ დიდი ძალები დაძრა და მათი გამოსვლები სისხლში ჩაახშო.

1877 წელს აფხაზეთშიც მოხდა ფართო მასშტაბის შეიარაღებული გამოსვლა რუსების წინააღმდეგ, მაგრამ ჩრდილო

კავკასიისგან განსხვავებით აქ ოსმალთა ჯარებიც შემოიჭრნენ, რომლებსაც შეუერთდნენ აჯანყებული აფხაზები, რამაც საბაბი მისცა რუსეთის ხელისუფლებას ომის დამთავრების შემდეგ თითქმის მთელი აფხაზი ხალხი მოღალატედ გამოეცხადებინა.

აღსანიშნავია, რომ 1877 წლის აფხაზეთის აჯანყება, მიუხედავად მისი საერთო-სახალხო ხასიათისა, თითქმის შეუსწავლელია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ვინაიდან სახალხო გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ ოსმალთა ინტერვენტებთან ერთად, არ ეწერებოდა ოფიციალური ისტორიის სქემაში. ამ სქემის მიხედვით, რუსეთის არმია კავკასიაში განმათავისუფლებლის როლში გამოდიოდა და ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცე მხარდაჭერით სარგებლობდა. ამიტომ აფხაზეთის 1877 წლის მოვლენებზე საუბრისას, საბჭოთა ისტორიულ ლიტერატურაში, როგორც წესი, არ მახვილდება ყურადღება ანტირუსული გამოსვლის მასობრივ ხასიათზე და აჯანყებულთა წრე იფარგლება მხოლოდ “მოღალატე თავად-აზნაურებისა და პროვოკაციის ანკესზე წამოგებული გლეხების” მცირე ნაწილით.

ოსმალთა დესანტი და აჯანყების დაწყება. აფხაზეთში, რომლის მოსახლეობა ვერ ეგუებოდა კოლონიურ რეჟიმს, სახალხო მღელვარებები ომის გამოცხადებამდე დაიწყო, 1877 წლის აპრილის ბოლოს კი აფხაზეთის ნაპირებთან ოსმალთა სამხედრო გემები გამოჩნდნენ და რამდენიმე ადგილას აფხაზი და ჩერქეზი მუჰაჯირებისგან შემდგარი სადესანტო რაზმები გადმოსხეს. მართალია, ამ ძალების საერთო რაოდენობა 2-3 ათას კაცს არ აღემატებოდა, მაგრამ დესანტის გამოჩენამ დააბნია რუსული სარდლობა, რომელმაც სოხუმის რაზმს სანაპიროდან უკან დახევა უბრძანა.

დესანტის პირველი ტალღის გადმოსვლისთანავე გუდაუთაში ხალხმრავალი თავყრილობა გაიმართა. ოსმალეთის წარმომადგენლებმა სულთნის ფირმანი წაიკითხეს, რომელიც აფხაზებს რუსებთან ომისკენ მოუწოდებდა. ხალხის მხარდამჭერი ყიჟინის შემდეგ მოლამ ყურანი გამოიტანა და შეკრებილნი სულთნის ერთგულებაზე დააფიცა. თვითმხილველის აღწერით, აფხაზები გულსაკიდ ჯვრებს იხსნიდნენ, ხეებზე კიდებდნენ და ყურანს ემთხვეოდნენ. ამის შემდეგ სოხუმზე ლაშქრობის ბრძანება გაიცა².

² Абхазия и в ней Ново-Афонский монастырь. Составил И.Н. Москва, 1899. С. 208.

არ უნდა გვეგონოს, რომ ყველა აფხაზი მხარს უჭერდა შეიარაღებული აჯანყების იდეას. იყვნენ ისეთებიც, ვისაც ესმოდა, რომ შეცდომა ამ ვითარებაში მთელი ხალხისათვის ტრაგიკული შედეგით დასრულდებოდა. ეს ადამიანები მზად იყვნენ იარაღით ხელში გამოსულიყვნენ რუსეთის მხარეზე თუ სამთავრობო ჯარები აქტიურ წინააღმდეგობას გაუწევდნენ მტერს³. მაგრამ გენერალმა კრაჟჩენკომ, რომელსაც გაზვიადებული ცნობები ჰქონდა დესანტის რიცხოვნობის შესახებ, გადაწყვიტა გამაგრებულიყო წებელდის ტაფობში, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე განიხილებოდა როგორც ძნელადმისადგომი საყრდენი პუნქტი, სადაც რაიმე გართულების შემთხვევაში თავს შეაფარებდა აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის ჯარი. ამიტომ წებელდის ბაზა უზრუნველყოფილი იყო პროვიანტისა და საბრძოლო მასალების საწყობებით. ამრიგად, რუსებმა უბრძოლველად დათმეს აფხაზეთის სანაპირო ზოლი და მთელი გულაუთის უბანი, რითიც აფხაზებს მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლისკენ უბიძგეს.

სოხუმის რაზმის უკუქცევა. 2 მაისს ოსმალთა ხომალდებმა დაბომბეს სოხუმი, შემდეგ კი ქალაქი აჯანყებულებმა გაპარცვეს. მალე მთელი სანაპირო ზოლი ადლერიდან ოჩამჩირემდე ოსმალებისა და აჯანყებული აფხაზების ხელში აღმოჩნდა. სოხუმის რაზმი, რომელიც დამძიმებული იყო ლტოლვილებით (ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობა და ბერძენი, ბულგარელი და სხვა მოახალშენეები სოხუმის ახლომახლო სოფლებიდან), მთებისკენ იხევდა. რაზმს განუწყვეტელი მოგერიებითი ბრძოლის წარმოება უხდებოდა აფხაზებთან, რომლებიც ზურგიდან და ფლანგებიდან ემუქრებოდნენ მას.

კრაჟჩენკო წებელდაში ვეღარ გაჩერდა; მან მიიღო ბრძანება გაენადგურებინა პროვიანტის საწყობები და გადასულიყო კოდორის მარცხენა ნაპირზე. საისტორიო წყაროები ერთხმად აღნიშნავენ იმ სიძნელეებს, რომლებსაც სოხუმის რაზმი წააწყდა კოდორისკენ მსვლელობისას. “გზას თავდაპირველად არა უშავდა რა, – კვითხულობთ რუსულ სამხედრო ქრონიკებში, – მაგრამ ჯამპალთან⁴ მიახლოებისას იგი თანდათან მთის ბილიკად იქცა და რაზმს ხშირად უხდებოდა უფსკრულის პირას ციცაბო კლდეებზე სიარული. მოძრაობას უფრო აძნელებდა ადალი, მო-


³ მაჭავარიანი. ხალხის არეულობა აფხაზეთში/ / “დროება”, №154'1878.

⁴ ჯამპალი – მდინარე წებელდაში, კოდორის მარჯვენა შენაკადი.

ახალშენეთა საქონელი, და თვითონ მოახალშენენი მათი ოჯახებით⁵.

უკუქცევისას დაადგეს მთელი ადალი და საბრძოლო მასალების ნაწილი. დაიღუპა აგრეთვე XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიის უნიკალური წყაროთა მასივი – სოხუმის სამხედრო განყოფილების არქივი: ქაღალდების დასტებით დატვირთული ფორნები ერთ-ერთ ხეობაში მიატოვეს. თვითმხილველის ცნობით, რამდენიმე თვის შემდეგაც კი იქ მთელი არემარე საქმიანი ქაღალდებით იყო მოფენილი⁶.

საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთში (1877 წ. აპრილი-აგვისტო)



ყველაზე ძნელი აღმოჩნდა კოდორის გადალახვა ბაგაღის კლდეებთან. განუწყვეტლივ წვიმდა; სოხუმის რაზმი ორი დღის განმავლობაში გადადიოდა კლდეებს შორის დაკიდებულ ხიდზე, რომლის სიგრძე 28, ხოლო სიგანე 1,5 ნაბიჯი იყო; დაშლილი ზარბაზნები ხელით გადაჰქონდათ. ხიდის ქვეშ კი, 30 მეტრის

⁵ Война 1877 и 1878 гг. Т. III. Война в Азиатской Турции / Под. ред. генерал-майора Зыкова. Вып. 2. Батум, Сухум и стоянка на границе. С.-Петербург, 1882. С. 211.

⁶ Дьячков-Тарасов А.Н. Абхазия и Сухум в XIX столетии/ Известия Кавказского отдела Русского географического общества. Т. XX, №2. Тифлис, 1910. С. 207.

სიღრმეზე, მიქროდა აქაფებული კოდორი, რომელშიც ლტოლვილთა საქონლის დიდი ნაწილი დაიხრჩო. სანამ მდინარეზე რაზმის მთავარი ძალები გადადიოდნენ, ავადმყოფებით, დაჭრილებითა და ლტოლვილებით, არიერგარდი გრიგოლ შარვაშიძის მეთაურობით აფხაზთა შეტევებს იგერიებდა, რომლებსაც ოსმალთა ორი ზარბაზანი უმაგრებდა მხარს. 17 მაისს არიერგარდიც გადავიდა კოდორზე და ხიდი გაანადგურა.

ბრძოლები მდინარე დალიძეაზე. ამასობაში ოჩამჩირის ოკრუგში სოხუმის რაზმის დასახმარებლად გამოგზავნილი გენერალ-მაიორ ალხაზოვის (ი. ალხაზიშვილი) კოლონა შემოვიდა. ამ ორი დაჯგუფების გაერთიანების შედეგად შეიქმნა ახალი საბრძოლო ერთეული – ინგურის რაზმი, რომლის მეთაურობა გენერალმა ალხაზოვმა ჩაიბარა. აფხაზებთან რამდენიმე წარუმატებელი შეტაკების შემდეგ ინგურის რაზმმა კოდორიდან მდინარე დალიძისაკენ დაიხია, სადაც გამაგრდა და გადაკეტა სამურზაყანოსა და სამეგრელოში მიმავალი გზები.

ის ძალები, რომლებმაც რუსებს დალიძეამდე დაახვეინეს, ძირითადად მუჰაჯირებისა და აჯანყებულთა რაზმებისაგან შედგებოდა, რომელთა მხარეზე გადავიდა აფხაზური მილიციის დიდი ნაწილიც. ზღვიდან მათ მოქმედებას უზრუნველყოფდნენ თურქული ჯაგშნოსანი ხომალდები. რაც შეეხება ოსმალთა არმიის რეგულარულ ნაწილებს, მათი გადმოსროლა აფხაზეთში, ფაქტობრივად, რეგიონში საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ დაიწყო. ოსმალთა ჯარი, ძირითადად, სოხუმში იყო დაჯგუფებული და არ ჩქარობდა ბრძოლაში ჩაბმას. ოსმალური სარდლობა იმედს ამყარებდა აფხაზთა აჯანყებაზე, რომლებიც ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან ერთად რუსეთის კავკასიის არმიის გარკვეულ ნაწილს დააკავებდნენ. ამიტომ ოსმალთა გეგმებში არ შედიოდა საკუთარი ძალების აქტიური გამოყენება აფხაზეთში. სამაგიეროდ ოსმალები თანხებს არ ზოგავდნენ აფხაზთა შესაიარაღებლად: მათ მოსახლეობას ათასობით თოფი და დიდი რაოდენობით ვაზნები დაურიგეს. ამ იარაღის გარკვეულ ნაწილს შეადგენდა იმ დროისათვის სავსებით თანამედროვე პიპოდი-მარტინისა და ჰენრი-ვინჩესტერის შაშხანები, რომლებიც თურქეთის მთავრობას ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰქონდა ნაყიდი⁷. ცხადია, ყველა აფხაზ მებრძოლს არ

⁷ Щастливцев П. Наступление Сочинского отряда/ «Тифлисский Вестник» №201'1877; Война 1877 и 1878 гг. Т. III. Война в Азиатской Турции / Под. ред.

ეკნებოდა ასეთი თოფები, მაგრამ მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ თურქების მეოხებით, აჯანყებული აფხაზების სასროლი იარაღი ხარისხობრივად აღემატებოდა მოწინააღმდეგის შეიარაღებაზე მყოფ ნიმუშებს. 1877 წელს რუსეთის რეგულარული ჯარები კავკასიაში აღჭურვილი იყვნენ მოძველებული კარულეს სისტემის თოფებით⁸ და მხოლოდ ცალკეულ ნაწილებს გააჩნდათ თანამედროვე ბერდანის შაშხანები. რაც შეეხება ინგურის რაზმში შემავალ ქუთაისისა და სამურზაყანოს მილიციის მებრძოლებს, მათ საერთოდ კაჟიანი თოფები ჰქონდათ, რაც სრულიად არ პასუხობდა დროის საბრძოლო მოთხოვნილებებს. (მხოლოდ ომის მსვლელობაში გამოიცა ბრძანება მილიციის გადაიარაღების შესახებ ნაალაფევი თურქული შაშხანებით.)

რუსული ჯარებისაგან გაწმენდილ აფხაზეთში მოხალისეთა შეგროვება დაიწყო. “ბიჭვინტის ოკრუგს კომლზე ერთი კაცი გამოჰყავდა, კოდორის უბანში კი მდინარე მოქვამდე ჩვენს წინააღმდეგ ქუდზე კაცი გამოვიდა”, – ვკითხულობთ რუსულ სამხედრო-ისტორიულ ლიტერატურაში⁹. აჯანყებულთა ლაშქარი აფხაზურ თემებში შეკრებილი მილიციისა და მუჰაჯირთა რაზმებისაგან შედგებოდა, რომლებსაც მეთაურობდნენ გავლენიანი თავად-აზნაურები – რაშიდ გეჩბა, კამბულათ და სალაჰ მარდანიები, ხერიფს მარშანია, ედირბეი ცანბა და სხვ. აჯანყებულებმა დასავლეთის მიმართულების უზრუნველსაყოფად ადღერში ძლიერი რაზმი დააყენეს, მთავარი ძალები კი გადაისროლეს კოდორის უბანში. მათი მეთაურების ჩანაფიქრით იგეგმებოდა სამურზაყანოში შეჭრა და მისი მოსახლეობის მიმხრობა. ამ საშიშროებას რუსეთის სარდლობაც გრძნობდა: “უეჭველი იყო, რომ თუ ჩვენ ინგურამდე დავიხვედით უკან, აგვიჯანყდებოდნენ სამურზაყანოელებიც,” – თვლიდნენ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში¹⁰. საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამურზაყანოს მილიცია, როგორც ჩანს, არც თუ დიდი ხალისით იბრძოდა სამთავრობო ჯარების მხარეზე, განსაკუთრებით სამხედრო კამპანიის პირველ ეტაპებზე. კერძოდ, სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სამურზაყანოელები უტყვიო მუხტებს უშენდნენ აჯანყებუ-

генерал-майора Зыкова. Вып. 2. Батум, Сухум и стоянка на границе. С.-Петербург, 1882. С. 216.

⁸ Военное искусство капиталистического общества (1789-1917 гг.) / Сборник материалов для военных училищ. Москва, 1953. С. 162.

⁹ Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. С. 333.

¹⁰ იქვე. გვ.304.

ლებს¹¹, ცალკეული მილიციონერები კი მოწინააღმდეგის მხარეზე გადადიოდნენ¹².

2 ივნისს, გამთენიისას, აფხაზთა დიდმა მასებმა, ღალიძგის გადალახვის მიზნით იერიში მიიტანეს ინგურის რაზმის მარცხენა ფლანგზე, ილორთან. შეტევას ზღვიდან საარტილერიო ცეცხლით მხარს უჭერდა ორი თურქული ჯავშნიანი გემი. მართალია, სამთავრობო ძალებმა აფხაზთა პირველი დარტყმა მოიგერიეს, მაგრამ შუადღემდე შეტევა რამდენიმეჯერ განახლდა, თუმცა კვლავ უშედეგოდ. ამის შემდეგ აჯანყებულები ტყეს შეეფარნენ და რუს ჯარისკაცებთან ურთიერთსროლა გააგრძელეს¹³.

ილორის კოლონაზე დარტყმის პარალელურად აფხაზებმა ინგურის რაზმის მარჯვენა ფლანგსაც შეუტყეს სოფელ ფოქვეშთან (20 კმ-ით ზემოთ ღალიძგაზე), მაგრამ რუსთა კარგად გამაგრებული პოზიციების თავგანწირული შტურმი აქაც მოგერიებული იქნა თოფებისა და არტილერიის ცეცხლით. ამ დღეს აფხაზთა წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ გენერალ ალხაზოვს აგენტურული მონაცემები გააჩნდა აჯანყებულთა გეგმების შესახებ და დროულად გამოიყენა რეზერვები¹⁴.

მძიმე ზარალი, რომელიც აფხაზებმა განიცადეს 2 ივნისს, მათი თურქებთან უთანხმოების საბაბი გახდა. აჯანყებულები მოკავშირეებს პასიურობაში ადანაშაულებდნენ და მათგან უფრო აქტიურ ქმედებებს ითხოვდნენ. ოსმალო მეთაურებს თავისი რეგულარული ჯარისა და არტილერიის ნაწილის ოჩამჩირეში გადასროლა მოუხდათ. 13 ივნისს ინგურის რაზმის პოზიციებზე შეტევა განახლდა, რომელშიც აფხაზებთან ერთად უკვე ოსმალური ბატალიონებიც მონაწილეობდნენ. მაგრამ ალხაზოვმაც მიიღო მაშველი ძალა და ეს შეტევაც მოიგერია, ხოლო 15 ივნისს თვითონ განავითარა კონტრიერიში ოჩამჩირის მიმართულებით. ცხარე ბრძოლებში ორივე მხარე სერიოზულ ზარალს განიცდიდა. მარტო 15 ივნისს ინგურის რაზმის საერთო დანაკლისმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 368 კაცი შეადგინა¹⁵.

¹¹ Война 1877 и 1878 гг. Т. III. Война в Азиатской Турции. С.209.

¹² Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. С. 304, 333.

¹³ იქვე. გვ. 324-326.

¹⁴ Война 1877 и 1878 гг. Т. III. Война в Азиатской Турции. С. 215-216; Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. С. 326-328.

¹⁵ Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. С. 338.

რუსეთის ჯარების კონტრშეტევა და კამპანიის დასასრული.
პოზიციების მედგარი დაცვის მიუხედავად, ინგურის რაზმის თავდაცვითი ტაქტიკა აფხაზეთის მოსახლეობაში რუსეთისათვის სასურველ ეფექტს ვერ იწვევდა. “არა მარტო აფხაზები, არამედ სამურზაყანოელებიც კი აღარ ენდობოდნენ ჩვენი იარაღის ძალას და თურქების მხარეზე გადაბოდნენ,” – ნათქვამია 1877-1878 წლების ომის რუსულ აღწერილობაში¹⁶. ამიტომ აღხაზოვმა კონტრშეტევის დაწყება გადაწყვიტა. ივლისის დასაწყისში მისმა ჯარებმა, რომლებიც ამ დროისათვის ითვლიდნენ 12¼ ქვეით ბატალიონს, კაზაკთა 2 ქვეით ასეულს, 15 ცხენოსან ასეულსა და 20 ქვემეხს, სამეგრელოსა და სამურზაყანოს მილიციასთან ერთად¹⁷, განახორციელეს დარტყმა ფრონტის ჩრდილო უბანზე. ინგურის რაზმის მარჯვენა ფრთის კოლონამ “მტრის მედგარი წინააღმდეგობისა და თავდაცვითი ხერგების მიუხედავად” 19 ივლისს სოფ. ჯგერდას მიაღწია და აფხაზებს კოდორამდე დაახევინა. შემდეგ მდ. მოქვის მარჯვენა ნაპირით რუსები ზღვისაკენ დაეშენენ და გადაწვეს შემხვედრი სოფლები. ამ მანევრით ოჩამჩირეში მყოფი თურქები გათიშულნი აღმოჩნდნენ აფხაზებისაგან და სასწრაფოდ სოხუმში ევაკუაციას შეუდგნენ. ამრიგად, მთელი კოდორის უბანი სამთავრობო ჯარების ხელში აღმოჩნდა¹⁸. ადგილზე დარჩენილმა მოსახლეობამ მორჩილება განაცხადა, გასცა მძევლები და იარაღის ჩაბარება დაიწყო.

რუსეთის არმიისა და მილიციის რიგებში აფხაზეთის პრივილეგირებული წოდების არაერთი წარმომადგენელი იბრძოდა. კერძოდ, ბევრგან გამოიჩინა თავი პოლკოვნიკმა გრიგოლ შარვაშიძემ, რომელმაც 1877 წლის კამპანიისათვის გენერლობა მიიღო; სამურზაყანოელთა ასეულმა, რომელსაც თავადი ბათა ემუხვარი მეთაურობდა, ტყვედ ჩაიგდო აჯანყების ერთ-ერთი მოთავე ხერიფს მარშანია; თავადმა მისოსტ მარშანიამ რუსები საიდუმლო ბილიკებით გაიყვანა აჯანყებულთა ზურგში და მოტყუებით ააღებინა ერთ-ერთი თავდაცვითი ხერგი, რომლის ყველა დამცველი (48 კაცი) დახოცილი იქნა¹⁹.

¹⁶ იქვე. გვ. 333.

¹⁷ Война 1877 и 1878 гг. Т. III. Война в Азиатской Турции. С. 343. 1877-1878 წწ. ომის დროს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში ქვეითი ბატალიონში შტატით უნდა ყოფილიყო 682 კაცი, კაზაკთა ასეულში – 128 მხედარი.

¹⁸ «Кавказ» №147'1877.

¹⁹ Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. С. 343.

2 აგვისტოს რუსულმა სარდლობამ 1877 წლის აფხაზეთის კამპანიის უკანასკნელი ფაზა დაიწყო. საერთო მიმართულებით სოხუმზე სხვადასხვა მხრიდან დაიძრა სამი საჯარისო შენაერთი – ინგურის, მარუხისა და სოჩის რაზმები. გენერალ-მაიორ ალხაზოვის ინგურის რაზმი, რომელიც ამ დროისათვის 10 ქვეით ბატალიონსა და მილიციის 2 “დრუჟინას” ითვლიდა, კოდორის მხრიდან უტევდა სოხუმს. 3-ათასიანი მარუხის რაზმი (4 ბატალიონი, მილიციის დანაყოფები და 2 სამთო ქვემეხი) გენერალ-ლეიტენანტ ბაბიჩის მეთაურობით მარუხის უღელტეხილიდან დაეშვა, ხოლო სოჩის მხრიდან დაიძრა პოლკოვნიკ შელკოვნიკოვის კოლონა – 2500 კაცი (2½ ბატალიონი და კაზაკთა 4 ასეული) 2 ზარბაზნით. სამხედრო მოქმედებების საერთო ხელმძღვანელობა დაევალა ყველაზე ძლიერი რაზმის მეთაურს – გენერალ ალხაზოვს.

აფხაზეთში ამ დროისათვის მუჰაჯირთა მხედრობის გარდა ოსმალთა რეგულარული ჯარების დაჯგუფება იმყოფებოდა – 12 ბატალიონი 3 საარტილერიო ბატარეით²⁰. ამ ძალებითა და ბუნებრივ ზღუდეებზე დაყრდნობით შეიძლებოდა სოხუმის გარშემო ძლიერი თავდაცვითი ხაზის მოწყობა თუ აფხაზური მოსახლეობა ძველი ენთუზიაზმით გააგრძელებდა ბრძოლას. ეს კარგად ესმოდათ რუს მეთაურებსაც; ამიტომ კავკასიის არმიის სარდლის თანაშემწე, თავადი სვიატოპოლკ-მირსკი, თავის მიწერილობაში გენერალ ალხაზოვისადმი 1877 წლის 24 ივლისს აღნიშნავს: “ამ მიზნის მიღწევა (ოსმალთა აფხაზეთიდან განდევნა. – გ. ა.) ადვილი იქნება თუ რთული, ძირითადად დამოკიდებულია აფხაზთა განწყობაზე. ამიტომ ჩვენთვის ხელსაყრელია, რომ აფხაზეთში სამი მხრიდან ჯარების შეყვანის მუქარამ ან თუნდაც რაზმების მოძრაობის დაწყებამ, აიძულოს ადგილობრივი მოსახლეობა, დაგვიმორჩილდეს”²¹.

მირსკის აზრით, “აფხაზთა მუხანათობა <...> უმკაცრეს სასჯელს იმსახურებს, რომლის ზომა ხელმწიფე იმპერატორის უზენაეს ნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ამ უბედურმა ხალხმა ჯერ კიდევ შეიძლება შეიმსუბუქოს სვედრი და გარკვეული შეწყნარება დაიმსახუროს თუ თურქების წინააღმდეგ შეტრიალდე-

²⁰ ოსმალთა რეგულარული არმიის ბატალიონი (თაბური) 1877-1878 წწ. შტაბით ითვლიდა 774 კაცს, თუმცა, ფაქტობრივად, მისი რიცხოვნობა უფრო მცირე იყო ხოლმე. ბატარეა 6 ქვემეხისგან შედგებოდა და 110 ჯარისკაცს ითვლიდა.

²¹ Материалы для описания Русско-турецкой войны 1877-1878 гг. С. 354.

ბა და ჩვენს ჯარებს დაეხმარება მათი სოხუმიდან განდევნაში". აფხაზეთის "დაშოშმინება" რომ გამარტივებულიყო, სვიატოპოლკ-მირსკი ალხაზოვს ურჩევდა: "მოთავეთა გაცემას ნუ მოითხოვთ, ამ ზომამ შეიძლება მხოლოდ გაართულოს მოსახლეობის მასების დამორჩილება. დიდი უბედურება არ იქნება თუ ყველაზე დამნაშავე აფხაზები თურქებთან ერთად დატოვებენ მხარეს". მაგრამ ის თემები და სოფლები, "რომლებიც ჯიუტად გააგრძელებენ ურჩობას, უნდა დაისაჯონ იარაღის ძალით, ყველა აქედან გამოძინარე შედეგით. დაინდეთ მხოლოდ ქალები და ბავშვები"²².

მაგრამ კოდორის უბანში განცდილი დამარცხებითა და სოჩის რაზმის მიერ გაგრის გასასვლელის დაძლევი²³ დემორალიზებული აფხაზები, სერიოზულ წინააღმდეგობას აღარ უწყევდნენ რუსებს: ისინი ცეცხლს უკიდებდნენ თავიანთ სახლ-კარს და ოჯახებითა და საქონლით სოხუმისკენ გარბოდნენ, სადაც უკვე ევაკუაციის გამალებული სამზადისი იყო. ცხენოსანმა კაზაკებმა და სამურზაყანოელებმა, რომლებიც ლტოლვილებს მიდევდნენ, ასობით თავი საქონელი ჩაიგდეს ხელში. რამდენიმე მცირე შეჯახების შემდეგ სამთავრობო ჯარებმა სოხუმს მიაღწიეს და გარს შემოეწყვიტნენ მას. მზვერავები და გადმომრბენები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ოსმალები მოკლე ხანში აპირებდნენ ქალაქის დატოვებას.

ამიტომ გენერალი ალხაზოვი არ ჩქარობდა შტურმის დაწყებას, რათა თავიდან აეცილებინა ზედმეტი მსხვერპლი. ბოლოს მას აცნობეს, რომ ნავსადგურიდან გავიდნენ უკანასკნელი ხომალდები, ხოლო სოხუმს რამდენიმე მხრიდან ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული. ხანძარი ქალაქს ორი დღე ანადგურებდა. რუსთა პიკეტებმა, რომლებიც სოხუმში 20 აგვისტოს დილით შევიდნენ, მარტო მხრჩოლავი ნანგრევები და ათასობით დახოცილი ხარძროხა აღმოაჩინეს. ოსმალებმა, რომლებსაც არ შეეძლოთ თან წაეყვანათ ამდენი ცხოველი, ამოხოცეს ისინი, რათა "გიაურებს" არ დარჩენოდათ. მიუხედავად ამისა, სამთავრობო ჯარებმა აფხაზეთში მაინც ჩაიგდეს ხელში 50 ათასამდე მსხვილფეხა რქოსანი, რომელთა ნაწილი არმიას გადაეცა, ნაწილი კი ყუბანის ოლქში გადაარეკეს.

²² იქვე. Приложения, С. 200.

²³ გაგრის გასასვლელს იცავდა ძველ რუსულ ფორტში გამაგრებული აფხაზურ-ჩერქეზული რაზმი და ოსმალთა ჯავშნოსანი ხომალდი "თინა შეკქეთი", რომლის ზარბაზნებს სანაპირო გზა ჰქონდათ მიზანში ამოღებული.

ასე დასრულდა ოსმალთა ჯარების 1877 წლის ექსპედიცია აფხაზეთში და აფხაზთა სახალხო აჯანყება. სამ-ნახევარი თვის განმავლობაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებმა მკვეთრად შეცვალა ქვეყნის პეიზაჟი; აფხაზეთი განადგურებული იყო. “ცოტა ხნის წინ დასახლებულ და სიცოცხლით სავსე ვრცელ ფართობებზე მხოლოდ ნანგრევები იყო დარჩენილი, – ნათქვამია 1877–1878 წწ. ომის რუსულ ოფიციალურ ისტორიაში, – მთელს ტერიტორიაზე არსად ჩანდა ძე კაცისა! თურქებმა თან წაიყვანეს აფხაზეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარი, დანარჩენი კი აქეთ და იქით დაიფანტა. თურქებმა გადაწვეს რუსული, ბუღგარული, ბერძნული დასახლებები და იმ აფხაზთა აულები, ვინც არ ემორჩილებოდა მათ, ჩვენ კი იძულებულნი ვიყავით მოდალატე აფხაზების აულები დაგვენგრია! ომამდე გაშენებული სიმინდის ყანები, მშენიერი ბაღები და ვენახები ან განადგურდა ან მოსავლის ამღები აღარ ჰყავდა. მხოლოდ ძაღლებისა და ტურების ჯოგები დაძრწოდნენ ტყეებში, დაცარიელებულ სოფლებში და გამვლელებს ჰკებენდნენ”²⁴.

შედევები. 1877 წლის მოვლენების ყველაზე მძიმე შედეგი აფხაზეთისთვის იყო ახალი მასობრივი მუჰაჯირობა. აფხაზებს უძნელდებოდათ სამშობლოს დატოვება²⁵, მაგრამ ოსმალეთში მაინც ძირითადად ნებაყოფლობით მიდიოდნენ, რადგან რუსების მხრიდან სისხლიანი ანგარიშსწორებისა ეშინოდათ. იყო, ცხადია, ძალით წაყვანის ფაქტებიც. 1877 წელი გადასახლებულთა საერთო რიცხვით აღემატება დანარჩენ “მუჰაჯირულ” წლებს, თუმცა ზუსტი ციფრების დასახელება შეუძლებელია სათანადო სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო. ოფიციალური ცნობებითაც დეპორტირებულთა რაოდენობა 30 ათასს აღწევდა. ამ ციფრს ასახელებს კავკასიის ნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე²⁶. სხვა წყაროებში კი (უპირატესად 1870-

²⁴ Война 1877 и 1878 гг. Т. III. Война в Азиатской Турции. С. 227.

²⁵ ამ ამბების თანამედროვე, აფხაზეთის მკვიდრი ეროვნებით ქართველი მწერალი და პედაგოგი კონსტანტინე მაჭავარიანი მუჰაჯირების შესახებ წერდა: “უყვარდათ კი აფხაზებს თავისი მიწა, თავისი სამშობლო? დიახ უყვარდათ, თუკი ბევრ მათგანს თურქეთში გადასახლებილს პარკით მიჰქონდა მშობლიური მიწა, რათა სამარეში ჩატანა უცხო ქვეყანაში” (*Мачавариани К.Д.* Описательный путеводитель по Сухуму и Сухумскому округу. Сухум, 1913. С. 309).

²⁶ ციტირებულია: *Цвижба Л.И.* Этно-демографические процессы в Абхазии в XIX веке. Сухум, 2001. С. 82.

იანი წწ. მიწურულის პერიოდიკის შეფასებები) 1877 წლის მუჰაჯირთა რიცხვი 30-დან 50 ათასამდე მერყეობს²⁷. ეს მაშინ, როდესაც ომამდელ აფხაზეთში სულ, დაახლოებით, 75 ათასი ადამიანი ცხოვრობდა.

ამრიგად, საშუალო სიდიდე რომ ავიღოთ, გამოდის დაახლოებით 40 ათასი მიგრანტი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ომის დამთავრების შემდეგ მათი ნაწილი (ზოგი ცნობით, 15 ათასი კაცი) უკან დაბრუნდა. ამრიგად, მხოლოდ 60–70-იანი წლების მუჰაჯირობის შედეგად აფხაზეთიდან ოსმალეთის იმპერიაში 80 ათასამდე ადამიანი გადასახლდა, მთლიანად XIX საუკუნეში კი (1810 წლიდან მოყოლებული) – დაახლოებით 100 ათასი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის, რუსეთ-ოსმალეთის მეტოქეობისა და აფხაზეთა ეროვნული წინააღმდეგობის შედეგი გახდა აფხაზეთი ეთნოსის დიდი ნაწილის სამშობლოდან განდევნა²⁸.

აფხაზეთი შეიარაღებული ფორმირებები, რომლებმაც ოსმალებთან ერთად დატოვეს აფხაზეთი 1877 წლის აგვისტოში, როგორც ჩანს, რუსეთ-თურქეთის ომის სხვა ფრონტებზე იქნენ გადასროლი, მათ შორის, აჭარა-გურიის მიმართულებაზე. 1877 წლის 1 სექტემბრის “დროებაში” ვკითხულობთ: “ოზურგეთიდან ვე გვწერენ, რომ აქ დარწმუნებით ამბობენო, ვითომც მომეტებული ნაწილი იმ ოსმალოს ჯარებისა და აგრეთვე აფხაზებისა, რომელნიც სოხუმიდამ გავიდნენ, სულ ბათუმში და ციხის-ძირზე გადმოვიდნენო. თუ ეს ამბავი მართალია (და ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ჩვენს კორრესპონდენტს არ დაუფუჯეროთ), მაშინ ადვილი გასაგებია ის ზემოხსენებული გარემოებაც, რომელსაც ჩვენი ოზურგეთელი კორრესპონდენტი გვწერს, რომ მუხა-ესტატეს სამის მხრით მიადგნენ ოსმალოს ჯარებით”²⁹.

რეპრესიული რეჟიმის დამყარება აფხაზეთში. რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთზე კონტროლის აღდგენის შემდეგ სამშობლოში დარჩენილი აფხაზების სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა. აჯანყების მრავალი მონაწილე (როგორც გლეხები,

²⁷ დაწვრილებით იხ.: *Дзидзария Г.А.* Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982. С. 356-380.

²⁸ როგორც ფიქრობენ, აფხაზურ-აბაზური ეთნიკური ჯგუფის მუჰაჯირთა საერთო რაოდენობა 135 ათას ადამიანს აღწევდა, ხოლო უბიხებთან ერთად – დაახლოებით 180 ათასს (*Дзидзария Г.А.* Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. С. 373).

²⁹ “დროება”, №133/1877.

ასევე უმაღლესი კლასის წარმომადგენლები) გასახლებული იყო ციმბირსა და რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებში. გარდა ამისა, თითქმის მთელი აფხაზი ხალხი ოფიციალურად იქნა გამოცხადებული “დამნაშავე მოსახლეობად”, რომელსაც მცირე დაუნორჩილებლობისთანავე სამუდამო გადასახლება ემუქრებოდა იმპერიის სიღრმეში, კავკასიის ფარგლებს გარეთ. დასჯას გადაურჩა მხოლოდ სამურზაყანოს უბანი და მისი მომიჯნავე ორი თემი – ილორი და ფოქვეში, რომლებიც მთელი ომის განმავლობაში სამთავრობო ჯარების ხელში იყვნენ და აჯანყებას არ შეუერთდნენ. “დამნაშავე” აფხაზების უფლებები მნიშვნელოვნად შეიზღუდა: მათ ჩამოერთვათ მიწაზე საკუთრების უფლება და აკრძალათ აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ცხოვრება, სადაც მთავრობა დამკვერელი ტემპებით ცდილობდა მისთვის პოლიტიკურად უფრო სანდო ხალხების (პირველ რიგში, რუსების) ჩამოსახლებას. კერძოდ, აფხაზური დასახლებები არ შეიძლებოდა ყოფილიყო ზღვის სანაპიროზე, მაღალმთიან ზონაში და სოხუმის გარშემო – ქალაქიდან 25 კილომეტრის რადიუსში. ამან აფხაზთა ისედაც შემცირებული ეთნიკური ტერიტორია ორად გახლიჩა³⁰.

“დამნაშავე მოსახლეობის” სტატუსი აფხაზებს მხოლოდ 1907 წელს მოუხსნეს.

The Russo-Turkish War (1877-1878) and the Abkhazian Uprising

Summary

The direct Russian rule in Abkhazia started in 1864, when the autonomous Princedom of Abkhazia was abolished and the authority passed on to a representative of the Russian military administration. The colonial regime established in the country evoked strong discontent among the Abkha-

³⁰ ამის შესახებ უკვე 1897 წ. წერდა პეტრე ჭარაია: “...აფხაზები ახლა მიყოლებით ერთგან არ ცხოვრობენ სოხუმის ოლქში: ერთი ნაწილი ცხოვრობს კოდორის “უნასტკაში”, ოხურედსა და კოდორს შუა (აბჟუველები), მეორე ნაწილი (ბზიფელები) გუდაუთის ნაწილში. ესენი – აბჟუველები და ბზიფელები – თითქმის ორი დღის სავალზე არიან დაშორებულნი ერთმანეთზე, ასე რომ მათ შორის მისვლა-მოსვლა, კავშირი ერთმანეთში თავად-აზნაურობას თუ შეუძლია” (პ. ჭ-ა. მიწის-მგლობელობა აფხაზეთში/ / კვალი, №12'1897).

zians (the 1866 uprising). The Russo-Turkish war, started in 1877, stirred a new Abkhazian rebellion. The revolts were encouraged by the Turkish propaganda which was interested in instigating anti-Russian unrest in the Caucasus.

At the end of April 1877, Turkish military troops landed on the Abkhazian coast. They brought a great amount of weapons to the insurgent Abkhazians. Hostilities between Russian troops and Abkhazians, supported by several battalions of Turkish regular army, lasted three and a half months. The Abkhazian rebels were defeated after Russia sent additional military forces to the region. Approximately 40 000 Abkhazians, more than half of the pre-war population of Abkhazia, followed the Turkish troops when they left Sukhumi.

*პირველად დაიბეჭდა კრებულში: ნოდარ შენგელია 75
(ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ნოდარ შენგელიას
დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული).
თბილისი, 2008.*

აფხაზები

აფხაზები – ხალხი, აფხაზეთის აბორიგენული მოსახლეობა. 1989 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 95,9 ათასი აფხაზი, საკუთრივ აფხაზეთში – 93,3 ათასი, ხოლო მთლიანად სსრ კავშირში – 105 ათასი. 2003 წელს აფხაზეთში ჩატარებული აღწერის მასალების მიხედვით აფხაზთა რაოდენობა თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში 94,5 ათას კაცს უდრიდა. გარდა ამისა, მრავალრიცხოვანი აფხაზური დიასპორა (სავარაუდოდ, 400 ათას კაცამდე¹) განსახლებულია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (თურქეთი, სირია, იორდანია და სხვ.), ევროპის ზოგ სახელმწიფოში და აშშ-ში.

აფხაზური ენა, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩრდილო-დასავლურ, ანუ აფხაზურ-ადიღურ, ჯგუფს ეკუთვნის, აფხაზეთში დღეს წარმოდგენილია *ბზიფური* და *აბჟუური* დიალექტებით. პირველი მათგანი გავრცელებულია ძირითადად ქ. სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით, მეორე კი – სამხრეთ-აღმოსავლეთით. განსხვავებები აღნიშნულ დიალექტებს შორის პირველ რიგში შეინიშნება ფონეტიკაში: ბზიფურ დიალექტს უფრო რთული ფონეტიკური სისტემა აქვს, რაც გამოიხატება რამოდენიმე სპეციფიკური ბგერის არსებობაში, რომლებიც არ გვხვდებიან აბჟუურ დიალექტში.

გარდა ამისა, აფხაზურ დიალექტებს შორის გარკვეული სხვაობაა ლექსიკაშიც; კერძოდ, აბჟუურში ვხვდებით მეგრულ და ქართულ ლექსიკურ ელემენტებს, მაშინ როდესაც ბზიფურში, რომლის მატარებლებს წარსულში მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ ჩერქეზულ ტომებთან, შესულია ადიღური სიტყვების გარკვეული რაოდენობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსიკური განსხვავებები მთლიანობაში ხელს არ უშლიან აბჟუური და ბზიფური დიალექტების მატარებლებს ადვილად გაუგონ ერთმანეთს.

აფხაზურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს აბჟუური დიალექტი.

აფხაზურ ენასთან ძალიან ახლოს დგას ჩრდილოკავკასიელი აბაზების ენა. აფხაზური და აბაზური ენები, ფაქტობრივად,

¹ ეს ციფრი მოიცავს, როგორც საკუთრივ აფხაზებს, ასევე ჩრდილოკავკასიელი აბაზების შთამომავლებს, რომლებიც დიასპორაში ერთ ხალხად აღიქმებიან.

ერთ ენობრივ ერთეულს წარმოადგენენ. მხოლოდ ტერიტორიული დაცილებებისა და სალიტერატურო ენის ორ სხვადასხვა საფუძველზე ჩამოყალიბების გამო მიღებულია აფხაზური (სალიტერატურო) ენის გარჩევა აბაზური (სალიტერატურო) ენისაგან.

ჩრდილო კავკასიის ხალხებიდან ენითა და კულტურით აფხაზებს ენათესავებიან, აგრეთვე, ადიღები (ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები) და უბიხები. ეს უკანასკნელნი 1864 წლამდე დღევანდელი ქ. სოჩის მიდამოებში ცხოვრობდნენ, ხოლო ამჟამად ძირითადად თურქეთში არიან განსახლებულნი. გარდა ამისა, აფხაზები მრავალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებით უახლოვებიან ქართველებს, რომლებთან მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობამ და თანაცხოვრებამ გავლენა იქონია მათ ენასა და ანთროპოლოგიურ ტიპზე.

აფხაზთა საკუთარი სახელწოდებაა – *აფსუა*. ქართველები მათ “აფხაზებს” ეძახიან და ქართული ენიდან გავრცელებული ეს ეთნიკური ტერმინი დღეს ფართოდაა ცნობილი მსოფლიოში.

თურქულ და ზოგი ჩრდილოკავკასიელი ხალხის ენაში აფხაზების სახელწოდებაა “აბაზა”.

ისტორიული ნარკვევი

პრეისტორიული ხანა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უძველესი ნაკვალევი აშელის კულტურით თარიღდება (400-100 ათასი წლის წინ), რომელიც არქეოლოგიური პერიოდიზაციით ქვის ხანის ერთ-ერთი ადრინდელი საფეხურია. აფხაზეთში კარგად არის წარმოდგენილი აგრეთვე ქვის ხანის შემდგომი პერიოდების ძეგლები. ძვ.წ. V ათასწლეულის მეორე ნახევარსა და IV ათასწლეულის დასაწყისში კავკასიაში იწყება ლითონების ათვისება, დაახლოებით 1000 წლის შემდეგ კი – ბრინჯაოს ხანა, როდესაც ლითონმა, როგორც საწარმოო იარაღის დამამზადებელმა მასალამ, საბოლოოდ გაიმარჯვა ქვაზე. აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ უძველეს ბრინჯაოს ნივთებს სპეციალისტები ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე-მესამე მეოთხედით ათარიღებენ.

ბრინჯაოს ეპოქის ნაგებობებიდან აფხაზეთში შემორჩენილია მეგალითური სამარხი ნაგებობები – *დოლმენები* (ძვ.წ. III-II ათასწლ.). ამ ტიპის ძეგლები, რომლებიც ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანით თარიღდება, მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც გვხვდება (დასავლეთ ევროპა, აღმოსავლეთ აზია, ჩრდილო აფრიკა და სხვ.). კავკასიური დოლმენების გავრცელების არეალია ჩრდილო-დასავლეთ კავკასია მდ. ყუბანიდან მოყოლებული თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით (მდ. დალიძგამდე).

ძვ.წ. XIII-VII საუკუნეებში აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებულია ბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე *კოლხური კულტურა*. იგი მოიცავს ტერიტორიას აფხაზეთიდან ქ. ორდუმდე მცირე აზიაში, აღმოსავლეთით კი სცილდება ღიბის ქედს. ამ ვრცელ არეალში წარმოდგენილია კოლხური კულტურის რამოდენიმე ლოკალური ვარიანტი – აფხაზეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ჭოროხის აუზისა და სხვ. კავკასიის ისტორიის ამ არქაულ პერიოდში, რომელიც არ არის გაშუქებული წერილობით ძეგლებში, შეუძლებელია დაბეჭდვით ითქვას რაიმე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ, თუმცა ეთნოგრაფიული, ანთროპოლოგიური, ტოპონიმიური და სხვა სახის წყაროების მოშველიება გარკვეულწილად საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ ამა თუ იმ არქეოლოგიური კულტურის ეთნიკურ სპეციფიკაზე. კერძოდ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხური კულტურის მატარებელ ტომებში იყვნენ როგორც წინარე ქართველური, ასევე წინარე აფხაზურ-ადიღური ტომები. ასე, რომ ქართველი და აფხაზი ხალხების წინაპართა თანაცხოვრება და მრავალმხრივი მჭიდრო ურთიერთობები შორეულ წარსულში იღებენ სათავეს.

ანტიკური ხანა. ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორია წერილობითი წყაროების თვალთახედვის არეში ძვ.წ. VI საუკუნიდან ხდება. ბერძენი ავტორები აქ მრავალ სხვადასხვა ტომს ასახელებენ, მაგრამ მათი ცნობები ამ ტომთა შესახებ საკმაოდ მწიორია და ეთნიკური კუთვნილების საკითხი საკამათო რჩება.

შედარებით უკეთესად ვიცით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვითარება ახ.წ. დასაწყისიდან, როდესაც ეს მხარე რომის იმპერიის გავლენის სფეროში ექცევა. I-II საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩნდება ახალი ეთნიკური სახელწოდებები, რომელთაგან აღსანიშნავია *აფსილები* და *აბაზგები* (ქართულ წყაროებში: *აფსილები* და *აფხაზები*). ამ ტომების საერთო წარმოშობაზე უკვე მათი სახელწოდებები მიანიშნებს, რომლებიც მომდინარეობენ ერთი ფუძიდან – *ფს-ბზ*. ეთნონიმ “აფსილიდანაა” წარმოშობილი აფხაზთა საკუთარი სახელწოდება (ავტოეთნონიმ) “აფსუა”, ხოლო “აბაზგიდან” – ალოეთნონიმები “აფხაზი” და “აბაზა”.

წამყვანი მეცნიერების უმრავლესობა (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, ლ. ლაფროვი, ზ. ანჩაბაძე, ე. ხოშტარია-ბროსე, ნ. ლომოური, მ. ინაძე და სხვ.) მიიჩნევენ, რომ აფსილები და აბაზგები აფხაზურ-ადიღური მოდგმის ტომები იყვნენ და თანამედროვე აფხაზი ხალხის წინაპრები არიან.

ახ.წ. პირველ საუკუნეებში აფსილებს, აბაზგებს და მათ მეზობლად მცხოვრებ სხვა ტომებს საკუთარი ბელადები ჰყავდათ, რომლებსაც ბერძნულ-რომაული წყაროები მეფეებად მოიხსენიებენ. ეს “მეფეები” რომის იმპერატორთა უზენაესობას აღიარებდნენ, მაგრამ საშინაო საქმეებში დამოუკიდებლად მართავდნენ თავის საგამგებლო ტერიტორიებს.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომობრივი სამთავროებიდან IV-V საუკუნეებში განსაკუთრებით ძლიერდება *ეგრისი*, ანუ *ლაზიკა*, რომელიც დასავლურ ქართულ ტომთა გაერთიანებას წარმოადგენდა. ეგრისის მეფეებმა მოახერხეს სხვა ადგილობრივი ტომების, მათ შორის აფსილებისა და აბაზგების, დამორჩილება, თუმცა ამავე დროს თვითონაც აღიარებდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) უზენაეს ძალაუფლებას.

აფხაზეთი VI-VIII საუკუნეებში. ბიზანტიის გავლენა ეგრის-აფხაზეთში ხელს უწყობდა ქრისტიანობის განმტკიცებას, თუმცა ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების აღმოფხვრა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ბერძენი ისტორიკოსის ცნობით VI საუკუნეში აფხაზეთი ტომები ქრისტიანობის აღმსარებლები იყვნენ, მაგრამ შენარჩუნებული ჰქონდათ ხეების თაყვანისცემა და წარმართობის სხვა გადმონაშთები.

ეგრისის ვასალებიდან შინაგანი დამოუკიდებლობის ყველაზე მაღალი დონე ჩრდილოეთით მცხოვრებ აბაზგებს ჰქონდათ, რომლებმაც საკუთარი მეფე-მთავრების ინსტიტუტი შეინარჩუნეს. VI საუკუნის პირველ ნახევარში აბაზგები განუდგნენ ეგრისის მეფეებს და უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორს დაემორჩილენ. 550 წელს აბაზგები ბიზანტიელებსაც აუჯანყდნენ, მაგრამ იმპერატორის მიერ გამოგზავნილმა არმიამ დაამარცხა აჯანყებულთა ლაშქარი და იერიშით აიღო მათი მთავარი გამაგრებული პუნქტი – *ტრაქეა* (დღევანდელ ახალ ათონთან).

აბაზგებმა მალე მოიშუშეს 550 წელს მიყენებული ჭრილობები და VII საუკუნისათვის მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ. ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ ყალიბდება ადრეფეოდალური ტიპის აბაზგიის სამთავრო, რომლის შემადგენლობაში შედიან აფსილები და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ტომები. ამ პოლიტიკური გაერთიანების ფარგლებში VII-VIII საუკუნეებში აქტიურად მიმდინარეობს ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი. როგორც აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავს: “VIII საუკუნისათვის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აშკარა უპირატესობა აბაზგებმა მოიპოვეს. ეს ეთნიკური სახელი მალე უფრო

ფართო, განმაზოგადებელ მნიშვნელობას იძენს. მისი ქართული ფორმა – “აფხაზი”, რომელიც მიღებულია “აბაზგი”, “აბაზხი”–დან თანხმოვანთა შინაგანი გადაჯგუფების გზით, ქართული ენის ფონეტიკური კანონების თანახმად..., თანდათანობით საყოველთაო გავრცელებას პოულობს” (ს. ჯანაშია). მართლაც, VI-VIII საუკუნეებში წერილობით წყაროებიდან ქრება აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები შედარებით წერილი ტომური ერთეულების (მისიმიანები, სანიგები, ბრუქები, აფსილები) მოხსენიება და მათ ნაცვლად მემატიანები უკვე მხოლოდ აბაზგებს, ანუ აფხაზებს, ასახელებენ.

ამრიგად, აფხაზური ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბება, ძირითადად, VIII საუკუნეში დასრულდა. ამ პროცესში მთავარი როლი შეასრულეს აბაზგებმა და აფსილებმა. ამ მცირე ეროვნებების შერწყმამ ჩამოაყალიბა ფეოდალური ეროვნების ბირთვი, რომელსაც შემდეგში შეერწყნენ ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეთნიკური კომპონენტები.

აბაზგიის პოლიტიკური გაძლიერება ხდებოდა ეგრისის სამეფოს დაცემის ფონზე, რომელიც ძალიან დააზარალა მის ტერიტორიაზე მიმდინარე ხანგრძლივმა ომებმა. მას შემდეგ, რაც VII საუკუნეში ბიზანტიელებმა გააუქმეს ეგრისის სამეფო, კეგემონობა თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თანდათანობით აბაზგიის (აფხაზეთის) მთავრების ხელში გადავიდა.

ამ პერიოდში აფხაზთა მთავრები პოლიტიკურ კავშირებს ამყარებენ აღმოსავლეთ საქართველოსთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია VIII საუკუნის 30-იანი წლები, როდესაც ქართლის მეფეებმა მიძრმა და არჩილმა არაბთა შემოსევის დროს აფხაზეთს შეაფარეს თავი. 736 წელს აფხაზ-ქართველთა გაერთიანებულმა ძალებმა ანაკოფიასთან (ძველი ტრაქეა) არაბთა ძლიერი შემოტევა მოიგერიეს, რამაც არაბებს უკან დაახევინა და მალე მათ დასავლეთ საქართველოს ტერიტორია დატოვეს.

VIII საუკუნის 80-იან წლებში აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ თავისი ხელისუფლება მთელს დასავლეთ საქართველოზე გაავრცელა, რომლის მოსახლეობა, ბიზანტიელი და არაბი დამპყრობლების თარეშით შეწუხებული, დაინტერესებული იყო ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს შექმნით. პირველ ხანებში ლეონი II ჯერ კიდევ ბიზანტიის ვასალად ითვლებოდა, მაგრამ VIII საუკუნის ბოლოს მან ისარგებლა ბიზანტიაში ატეხილი შინაური შფოთით და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ლეონმა მიიღო “აფხაზთა მეფის” ტიტული და მის მიერ შექმნილი სახელმწიფო ისტორიაში შევიდა აფხაზთა სამეფოს სახელწოდებით.

აფხაზთა სამეფო. აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი იყო, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, რომელთა ხვედრითი წილი კიდევ უფრო გაიზარდა ლეონ II-ის მემკვიდრეების დროს, რომლებმაც თავისი ძალაუფლება აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე გაავრცელეს. ყოველივე ამან განაპირობა ის გარემოება, რომ აფხაზთა სამეფო თავისი ჩამოყალიბებიდან მოკლე ხანში აქტიურად ჩაერთო ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური წარმონაქმნების სისტემაში.

აფხაზთა სამეფო მონაწილეობდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში და ამ საქმეში დიდი პოზიტიური წვლილი შეიტანა. საკუთრივ აფხაზები, რომლებიც, ძირითადად, სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაში. როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი: “აფხაზთა და ქართველთა ასეთი ერთიანობა... იყო შედეგი არა ურთიერთ დაპყრობის, არამედ აფხაზთა თანდათან მშვიდობიანი შემოსვლისა ქართველთა კულტურულ სამყაროში”.

978 წელს აფხაზთა სამეფო ტახტზე ბაგრატ ბაგრატიონი ავიდა, რომელიც მამის მხრიდან სამხრეთ საქართველოს მფლობელი საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, ხოლო დედის მხრიდან – აფხაზთა მეფეების შთამომავალი. მან წარმატებით გააგრძელა წინაპართა გამაერთიანებელი პოლიტიკა და ისტორიაში შევიდა როგორც საქართველოს პირველი გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ III (978-1014).

ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენლობაში აფხაზეთი შედიოდა ძირითადად აფხაზეთის საერისთავოს სახით, რომლის სათავეში XII საუკუნიდან შარვაშიძეთა (აფხაზურად: ჩაჩბა) ფეოდალური საგვარეულო იდგა. აფხაზები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ერთიანი საქართველოს ცხოვრებაში. კერძოდ, აქტიურად მონაწილეობდნენ მის საგარეო ომებში, ხოლო როდესაც XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველო მონღოლებმა დაიმორჩილეს, აფხაზები ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაებნენ.

აფხაზეთის სამთავროს ჩამოყალიბება. ერთიანი ქართული სამეფო XV საუკუნეში რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად დაიშალა. აფხაზეთის საერისთავო დასავლეთ საქართველოს, ანუ იმერეთის, სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. დროთა ვითარებაში იმერეთის სამეფოში შემაგალი საერისთავოებიც გადაიქცნენ

სუვერენულ სამთავროებად (ოდიშის, გურიის, აფხაზეთის, სვანეთის), რომლებიც უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურად აღიარებდნენ იმერეთის მეფეთა უზენაესობას. აფხაზეთის სამთავრო, რომლის სათავეში შარვაშიძეთა საგვარეულო იდგა, თავდაპირველად ოდიშის მთავართა ვასალი იყო, მაგრამ XVI საუკუნის მეორე ნახევარში ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა.

აფხაზთა ნაწილის გადასახლება ჩრდილო კავკასიაში. ერთიანი სამეფოს დაშლის პერიოდში საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური ვითარება მიძიდება. ეს მდგომარეობა აფხაზეთსაც შეეხო. აქ აღარ მიმდინარეობს ტაძრების, ხიდებისა და სასახლეებისა მშენებლობა, რაც დამახასიათებელი იყო აფხაზთა სამეფოსა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს დროისათვის. როგორც ჩანს გართულებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ვითარებამ აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი აიძულა კავკასიონს გადაღმა გადასულიყო. XIV საუკუნიდან ჩრდილო კავკასიაში (მდ. ყუბანისა და მისი მარცხენა შენაკადების სათავეებში) მკვიდრდება აფხაზური ეთნოსის ნაწილი, რომელიც დროთა ვითარებაში ჩამოყალიბდა როგორც თავისთავადი აბაზა ხალხი. ამიტომ შემდეგი დროის ევროპელი ავტორები ისტორიულ აფხაზეთს “ძველ” ან “დიდ აფხაზეთად” მოიხსენიებენ, აბაზებით დასახლებულ მხარეს კი – “მცირე აფხაზეთად”.

აფხაზეთის სამთავრო XVII–XVIII საუკუნეებში. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ოსმალთა იმპერიის პოლიტიკური გავლენის სფეროში ექცევა. სანაპირო პუნქტებში (მათ შორის სოხუმში) ოსმალთა გარნიზონები დგებიან და ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულებს ხარკს ადებენ. ოსმალური ხარკი აფხაზეთსაც ჰქონდა შეწერილი, მაგრამ აფხაზები მას იშვიათად იხდიდნენ. ოსმალთა პოლიტიკურ გავლენას თან სდევდა აფხაზეთში ისლამის გავრცელება. XVIII საუკუნის ბოლოსათვის უკვე საკმაოდ ბევრი აფხაზი გამაჰმადიანდა, განსაკუთრებით თავად-აზნაურთა კლასიდან. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა აფხაზეთში არასოდეს ჩამკვდარა, რასაც ხელს უწყობდა ქართველებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება. ამ პერიოდში აფხაზეთის სამთავრო აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე დასავლეთ საქართველოს შინაომებში. ამ ომების პროცესში XVII საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთის მთავრებმა თავისი სამფლობელოები კოდორიდან ენგურამდე გააფართოვეს.

აფხაზეთის სამთავრო, როგორც ფეოდალური წარმონაქმნი, არ გამოირჩეოდა შინაგანი სიმტკიცით. მთავრის უშუალო მმარ-

თველობის ქვეშ მხოლოდ მდინარეების – ბზიფსა და კოდორს შორის მდებარე ტერიტორია იმყოფებოდა (ისტორიული ოლქები – *ბზიფი* და *გუმა*). მიწები მდ. კოდორიდან ენგურამდე (ისტორიული ოლქები – *აბუჯა* და *სამურზაყანო*) შარვაშიძეთა გვარის უმცროსი შტოების საუფლისწულო სამფლობელოებს წარმოადგენდნენ, რომლებიც სამთავროში ავტონომიის მაღალი დონით სარგებლობდნენ. მთავრებს მხოლოდ ნომინალურად ემორჩილებოდნენ აგრეთვე მთიანი აფხაზეთის თემები (*წაბალი*, *დალი*, *ფსხუ* და სხვ.) და ბზიფის დასავლეთით მცხოვრები აფხაზური ტომები – *საძები* (ქართული წყაროებით – *ჯიქები*). გარდა ამისა, მთავრებისა და უფლისწულების საგამგებლო ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი თავადური საგვარეულოების ხელში იყო, რომლებიც ასევე ნახევრადდამოუკიდებელ მფლობელებად აღიქვამდნენ თავს. ასეთი პოლიტიკური სისტემა ფეოდალურ ანარქიას უწყობდა ხელს, რითიც ოსმალები სარგებლობდნენ თავისი პოზიციების გასამტკიცებლად. აფხაზები ხშირად გამოდიოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ (1725, 1728, 1733, 1771, 1806 წწ. და სხვ.). ზოგჯერ ეს გამოსვლები ქართველ მეფე-მთავრებთან იყო კოორდინირებული.

რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მიერ იქნა ანექსირებული. ამან შემდგომში განაპირობა საქართველოს სხვა ნაწილების რუსეთთან შეერთებაც. აფხაზეთში რუსეთის ჯარები 1810 წელს შეიჭრნენ და ხელთ იგდეს ქ. სოხუმი. მაგრამ აფხაზეთის დანარჩენ ნაწილს რუსები დიდხანს ვერ აკონტროლებდნენ. ამიტომ პირველ ხანებში შენარჩუნებული იქნა აფხაზეთის მთავრების ხელისუფლება შეზღუდული ავტონომიის სახით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთის არმიამ გატეხა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგობა და სრული კონტროლი დაამყარა აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებზე, პეტერბურგში მიიღეს გადაწყვეტილება აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შესახებ. უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს, აფხაზეთში კი უშუალო რუსული მმართველობა შემოიღეს (1864 წ.).

ბრძოლა კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ და მუჰაჯირობა. აფხაზი ხალხი რუსული კოლონიური რეჟიმის დამყარებას მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. ფართომასშტაბიან შეიარაღებულ აჯანყებებს ადგილი ჰქონდა 1821-1827, 1840-1842, 1866, 1877 წლებში. აჯანყებების სისხლში ჩახშობას თან სდევდა აფხაზთა იძულებითი მიგრაცია ოსმალეთის იმპერიაში. 1864 წელს კავკა-

სიის მთიელი ხალხების დამარცხების შემდეგ რუსეთის მთავრობა შეუდგა ადრე შემუშავებული გეგმის განხორციელებას – მთიელთა განდევნას მშობლიური მიწა-წყლიდან, განსაკუთრებით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან. მაშინ აიძულეს ოსმალეთში გადასულიყო 700 ათასამდე ჩერქეზი, უბიხი, აფხაზი, ჩეჩენი, დაღესტნელი და სხვა მთიელი. სამშობლოდან განდევნილებს – “მუჰაჯირებს” უწოდებდნენ, რაც არაბულად “გადასახლებულს” ნიშნავს. 1864 წლის მუჰაჯირთა შორის აფხაზთა რაოდენობა 20 ათასს აღემატებოდა. დაახლოებით ამდენივე აფხაზი გადასახლდა ოსმალეთში 1866 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ხოლო 1877 წლის აჯანყების შემდეგ აფხაზეთი დატოვა კიდევ 30-40 ათასმა ადამიანმა. მთლიანობაში ოსმალეთში გადასახლებული აფხაზებისა და აბაზების საერთო რაოდენობას 135 ათასი კაცით ანგარიშობენ. ამრიგად, რუსეთის აფხაზეთში გაბატონების და აფხაზთა შეიარაღებული წინააღმდეგობის შედეგი იყო აფხაზური ეთნოსის დიდი ნაწილის სამშობლოდან გაძევება. საზღვარგარეთის აფხაზური დიასპორა (დსთ-ს ქვეყნებს გარდა), ძირითადად, XIX საუკუნის მუჰაჯირთა შთამომავალია.

“დამნაშავე მოსახლეობა”. აფხაზთა უკანასკნელი, 1877 წლის, აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის მთავრობამ სამშობლოში დარჩენილი აფხაზების სამაგალითო დასჯა გადაწყვიტა. პრაქტიკულად, მთელი აფხაზი ხალხი (მცირე გამონაკლისის გარდა) ოფიციალურად გამოცხადებული იყო “დამნაშავე მოსახლეობად” და მისი უფლებები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. აფხაზებს აკრძალათ, აგრეთვე, აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ცხოვრება: კერძოდ, ზღვისპირეთში, მაღალმთიან ზონასა და სოხუმის მიდამოებში – ქალაქიდან 25 კილომეტრის სიახლოვეს. “დამნაშავე მოსახლეობის” სტატუსი აფხაზ ხალხს მხოლოდ 1907 წელს მოუხსნეს.

აფხაზეთი 1880-1917 წლებში. აფხაზეთის დაცარიელებული ადგილებზე რუსული ხელისუფლება ასახლებდა კოლონისტებს – რუსებს, სომხებს, ბერძნებს და სხვ., რათა აქ მათი სახით მთავრობის ერთგული მოსახლეობა განჩილიყო. აფხაზეთში ჩასახლება დაიწყო ქართველებმაც, განსაკუთრებით, მეზობელი სამეგრელოდან. მეგრელთა გარკვეული ნაწილი აფხაზეთში ადრეც ცხოვრობდა, მაგრამ დიდი მასების გადასახლება სწორედ XIX საუკუნის ბოლოდან იწყება. ქართველების აფხაზეთში ჩასახლებას რუსეთის ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ეს პროცესი მაინც განვითარდა. თანდათანობით ქართველები

აფხაზეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი გახდა. ბევრი იყო აგრეთვე რუსი, სომეხი, ბერძენი. გარკვეული რაოდენობით ცხოვრობდნენ თურქები, ესტონელები, ბულგარელები და სხვ.

XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება აფხაზური კულტურის აღორძინება, ყალიბდება აფხაზური ინტელიგენცია, რომელიც მოწინავე ქართული და რუსული საზოგადოებრივი აზრის გავლენას განიცდის. აფხაზურ ენაზე ითარგმნა სასულიერო წიგნები (მ.შ. “ოთხთავი”), იქმნება აფხაზური ენის სახელმძღვანელოები და პირველი მხატვრული ნაწარმოებები.

დამწერლობა. აფხაზური ენა ახალდამწერლობიანი ენაა. ადრეულ შუა საუკუნეებში კულტურის იარაღად აფხაზეთში ბერძნულ ენა და დამწერლობა გამოიყენებოდა. აფხაზთა სამეფოს დროიდან მოყოლებული გვიანდელ შუა საუკუნეებამდე მწიგნობრობის, სახელმწიფო კანცელარიისა და ეკლესიის ენა ქართული გახდა. ოსმალთა დომინირების პერიოდში, განსაკუთრებით, XVIII საუკუნიდან, აფხაზეთში ვრცელდება აგრეთვე თურქულ-ოსმალური დამწერლობა, თუმცა არც ქართული იყო დაიწყოებული. XIX საუკუნის შუა ხანებიდან გავრცელებას იწყებს რუსული ენა და დამწერლობა. რუსულმა ადმინისტრაციამ აფხაზეთში ქართული და ოსმალური კულტურული გავლენის შეზღუდვის მიზნით საჭიროდ ჩათვალა შეექმნა რუსულ გრაფიკაზე დამყარებული აფხაზური ანბანი, რასაც მომავალში უნდა გაეადვილებინა აფხაზთა გარუსება. ასე იქმნება 1862 წელს პირველი აფხაზური ანბანი, რომელიც შემდგომ რამდენიმეჯერ შეიცვალა: 1926-1928 წლებში მოქმედებდა აკად. ნ. მარის მიერ შედგენილი ე.წ. ანალიტიკური ანბანი, 1928-1938 წლებში სარგებლობდნენ ლათინიზირებული დამწერლობით, 1938-1954 წლებში მოქმედებდა ქართული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი ანბანი, ხოლო 1954 წლიდან კვლავ რუსული გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული ანბანი გამოიყენება. დამწერლობის ასეთი ხშირი ცვლა, რა თქმა უნდა, ნეგატიურ გავლენას ახდენდა აფხაზური კულტურის განვითარებაზე.

აფხაზეთი 1917-1920 წლებში. 1917 წელს რუსეთში მომხდარი რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერია დაიშალა. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა – საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს (1918 წ. მაისი). აფხაზეთში რამდენიმე პოლიტიკური მიმდინარეობა იყო. კერძოდ, იყვნენ როგორც საქართველოსთან გაერთიანების მომხრეები, ასევე ჩრდი-

ლო კავკასიასთან ერთობის მხარდამჭერნი. საბოლოო ჯამში გა-
იმარჯვა საქართველოსთან ერთობის იდეამ. აფხაზეთი საქარ-
თველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა ავტონომიის
პირობით.

საბჭოთა ეპოქა. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუ-
სეთის ჯარებმა დაიპყრეს საქართველოს რესპუბლიკა. პირველ
ხანებში ფორმალურად ითვლებოდა, რომ ქვეყანა ინარჩუნებდა
დამოუკიდებლობას, შეიცვალა მხოლოდ პოლიტიკური წყობი-
ლება და საქართველო იქცა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბ-
ლიკად. თავიდან ასეთივე სტატუსი მიანიჭეს კომუნისტებმა აფ-
ხაზეთსაც (“საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აფხაზეთი”).
რამდენიმე თვის შემდეგ აფხაზეთის რესპუბლიკა ე.წ. ხელშე-
კრულების საფუძველზე შევიდა საქართველოს რესპუბლიკის
შემადგენლობაში. ეს ვითარება (რესპუბლიკა რესპუბლიკაში) გა-
გრძელდა 1931 წლამდე, როდესაც აფხაზეთის სტატუსი უკვე ავ-
ტონომიური რესპუბლიკის სახით იქნა განსაზღვრული და ასე-
თად დარჩა საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობები XX საუკუნეში. რო-
გორც ზემოთ დავინახეთ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს
ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. საუკუნეების მანძილზე ამ
ხალხებს შორის მჭიდრო და პოზიტიური ურთიერთობები სუფევ-
და. ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში (XIX – XX ს-ის დასა-
წყისი) აფხაზი მიჩნეულია გმირობის, ვაჟკაცობის, ერთგულების
განსახიერებად. მაგრამ საბჭოთა პერიოდში ამ ურთიერთობების
რღვევა დაიწყო. ეროვნებათშორისი ურთიერთობები აფხაზეთში
განსაკუთრებით დაიძაბა 1940-იანი წლებიდან. ამის ძირითადი
მიზეზი იყო კომუნისტების მანკიერი საშინაო პოლიტიკა (საკად-
რო, დემოგრაფიული, სასკოლო და ა.შ.), თუმცა ეთნიკურ დაპი-
რისპირებას, როგორც ჩანს, ზოგჯერ სპეციალურადაც აღვივებ-
დნენ საბჭოთა ცენტრის გარკვეული სამსახურები, რათა ამითი
აფხაზეთი და, მთლიანად, საქართველო უფრო ძლიერი კონტრო-
ლის ქვეშ პყლოდათ. აფხაზთა გამოსვლები სხვადასხვა მოთ-
ხოვნებით პერიოდულად მასობრივ ხასიათს იძენდა (1956, 1967,
1978 წწ.). ამ მოთხოვნებში ზოგჯერ ჟღერდა აფხაზეთის საქარ-
თველოდან გამოყოფის ლოზუნგიც, რაც ქართველთა საპროტეს-
ტო აქციებს იწვევდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყოფით დონეზე
ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას მთელი საბჭოთა პერიოდის
განმავლობაში არ მიუღია ეთნიკური ანტაგონიზმის ხასიათი,
რაც მთავრობს თუნდაც შერეული ქორწინებების სიმრავლე.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ძალიან დაიძაბა 1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლების კრიზისის პერიოდში, როდესაც საქართველოსა და აფხაზეთში ჩამოყალიბდნენ და გავლენა მოიპოვეს ეროვნულმა მოძრაობებმა. ნაციონალისტური მიმართულებების ორგანიზაციათა აქციები და მოთხოვნები, როგორც წესი, რადიკალურ ხასიათს ატარებდნენ. პოლიტიკურმა კონფლიქტმა მალე ეთნიკური დაპირისპირების ფორმა მიიღო და 1992-1993 წლების ომში გადაიზარდა, რომლის შედეგი გახდა ათასობით ადამიანის სიკვდილი. აფხაზეთის დეტოვება მოუხდა მისი ქართული მოსახლეობის (245 ათასი ადამიანი) დიდ ნაწილსაც.

ქართულ-აფხაზური ომის შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური ჩიხი დღემდე გადალახული არ არის, თუმცა ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები არ მიმდინარეობს. თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკა არ აღიარებს საქართველოს იურისდიქციას. საერთაშორისო ორგანიზაციების, გაეროსა და “მეგობარი სახელმწიფოების” (აშშ, რუსეთის ფედერაცია, დიდ ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია)² შუამავლობით 1994 წლიდან მიმდინარეობს სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესი, მაგრამ მას ჯერ-ჯერობით რაიმე საფუძვლიანი შედეგი არ მოუტანია; მხარეები კვლავ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციებზე რჩებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ აღმოფხვრილი არ არის ცეცხლის განახლების საშიშროება.

მეურნეობა და მატერიალური კულტურა

სოფლის მეურნეობა. აფხაზეთა მეურნეობის ტრადიციული დარგებია ინტენსიური მიწათმოქმედება და მეცხოველეობა; დამხმარე – მეფუტკრეობა და მონადირეობა. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან წამყვანი ადგილი ეკავა სიმინდს, რომელმაც ნაწილობრივ დაჩრდილა ღომი, წარსულში დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის ძირითადი პურეული მარცვლოვანი. გარდა ამისა მოჰყავდათ ქერი, ღობიო, მცირე რაოდენობით ხორბალი.

მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მეღვინეობა. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ბზიფის

² ამ მხრივ გამოსაყოფია რუსეთის ფედერაციის როლი, რომლის ჯარები, სამშვიდობო ძალების სტატუსით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ზონაში იმყოფებიან 1994 წლიდან. საქართველოში ამას ბევრი აღიქვამს, როგორც ფარულ ექსპანსიას.

აფხაზეთში (ახლანდელი გუდაუთის რაიონი) – მეღვინეობის ძირითად ზონაში – ყურძნის 30-ზე მეტი სხვადასხვა ჯიში იყო გავრცელებული, მთლიანად აფხაზეთში კი დაახლოებით ორჯერ მეტი. მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ ფართოდ დაინერგა ყურძნის ამერიკული მოსავლიანი ჯიში – *იზაბელა* (შემოიტანეს XIX საუკუნის ბოლოს), ადგილობრივი ჯიშების გავრცელება მნიშვნელოვნად შეიზღუდა, ზოგი კი საერთოდ გაქრა.

აფხაზური სოფლები ხილის ბაღებით იყო მდიდარი; ხარობდა ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი, გარგარი, თხილი, კაკალი, ლეღვი, ალუბალი და სხვა ნაყოფი. მოჰყავდათ ბოსტნეული კულტურებიც, რომელთაც XIX საუკუნიდან კომბოსტო და კარტოფილი დაემატა.

ტექნიკური კულტურებიდან გავრცელებული იყო ბამბა, სელი, კანაფი, რომლებიც თითქმის ყველა ოჯახს მოჰყავდა, რაც ნატურალური მეურნეობის გადმონაშთებით იყო გამოწვეული. XX საუკუნეში აითვისეს აგრეთვე მეთამბაქოეობა, მეციტრუსეობა, მეჩაიეობა.

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის მეორე უმნიშვნელოვანესი დარგი, როგორც აღვნიშნეთ, იყო მეცხოველეობა. დიდი რაოდენობით ჰყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონელი (ძროხა, კამეჩი, თხა, ცხვარი); აგრეთვე ცხენი, სახელარი, ჯორი. ისლამის გავრცელებამდე ფართოდ მისდევდნენ მეღორეობასაც, რომელიც შემდეგ უფრო აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში შემორჩა. საქონელი ზამთარ-ზაფხულს, პრაქტიკულად, ღია ცის ქვეშ ატარებდა. გაზაფხულის ნაწილსა და მთელ ზაფხულს საქონელი მთაში ჰყავდათ. აფხაზები საზაფხულო საძოვრებად იყენებდნენ კავკასიონის როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ ფერდობებს. წლის სხვა დროებში სარგებლობდნენ ზღვისპირა და მთისწინა ზოლებში არსებული საძოვრებით.

აფხაზეთის ზღვისპირა რაიონებში XIX საუკუნეში გარკვეულ როლს ასრულებდა საზღვაო რეწვა. კერძოდ, ნადირობდნენ დელფინებზე, რომლის ქონს ყიდულობდნენ ბერძენი და თურქი ვაჭრები. დელფინზე სანადიროდ აფხაზები ზღვაში გადიოდნენ მთლიანი მორისგან გამოთლილი ნავეებით. რუსი მოგზაური ფ. ტორნაუ, რომელმაც 1830-იან წლებში აღწერა დელფინების რეწვა აფხაზეთში, აღნიშნავს: “თევზაობის ეს წესი არც თუ უსაფრთხოა, რადგან ნავი ზოგჯერ იძირება დახოცილი თევზის სიმძიმისგან ან ყირავდება, დელფინის დაჯახებით, მაგრამ აფხაზებს ეს არ აშინებთ, ვინაიდან ისინი ისე ცურავენ, როგორც ველურები სამხრეთ ოკეანის კუნძულებიდან”.

ხელოსნობა. ნატურალური მეურნეობს პირობებში, რომელიც აფხაზეთში XIX საუკუნის შუა ხანებამდე შემორჩა, ხელოსნური წარმოება ბოლომდე არ იყო გამოყოფილი სოფლის მეურნეობისგან. საოჯახო მოხმარების საგანთა უმეტესობას (საშუშაო იარაღს, საოჯახო ჭურჭელს, ქსოვილებს, ნაბდებს, ტანსაცმელს, თოფის წამალს და სხვ.) ყველა ოჯახი თავისთვის თვითონ ამზადებდა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში იყვნენ ხელოსნები, რომლებიც, როგორც ჩანს, ძირითადად უკვე ბაზრისთვის მუშაობდნენ. კერძოდ, მესაჭურველები, ოქრომჭედლები, ნავეების მკეთებლები და სხვ. ადგილობრივი ხელოსნები კარგი ხარისხის თოფებს, ხმალ-ხანჯალსა და სხვა საჭურველს აკეთებდნენ, რომელიც ხშირად ოქრო-ვერცხლით იყო შემკული. XIX საუკუნის დასაწყისამდე აფხაზეთში დამცავი აბჯრების ჭედვაც გრძელდებოდა. გამოჩენილი გერმანელი ორიენტალისტის ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროთის ცნობით, რომელმაც 1807-1808 წლებში იმოგზაურა კავკასიაში, განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი ჯაჭვის პერანგები იწარმოებოდა “აფხაზეთა ქვეყანაში, შავი ზღვის სანაპიროზე”.

მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები ჰქონდა აფხაზეთში აგრეთვე ზღვაოსნობასა და გემთმშენებლობას. ძველი გემსაშენების მდებარეობაზე დღესაც მიანიშნებს სანაპირო ზოლში შემორჩენილი ტოპონიმები, რომლებიც აფხაზურიდან ითარგმნება როგორც “ნავის გამოსათლელი ადგილი”, “ხომალდის ასაგები ადგილი”, “ნავის ჩასაშვები ადგილი” და ა.შ. ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც XIX საუკუნის 20-იან წლებში მოინახულა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, აღნიშნავს: “გემთმშენებლობის ხელოვნებას ჩერქეზეთისა და აფხაზეთის სანაპიროზე გაცილებით უკეთ ფლობენ, ვიდრე ხობისა და ფაზისის მიდამოებში”. აფხაზური საზღვაო ნაგები, ძირითადად, ბრტყელძირიანი აფრიან-ნიჩბიანი ხომალდები იყო, რომლებშიც 80-100 კაცამდე ეტეოდა, მაგრამ აფხაზ ოსტატებს, როგორც ჩანს, უფრო დიდი გემების აგებაც შეეძლოთ. მაგალითად, არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის მთავარმა ქელემბეგ შარვაშიძემ XIX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის სულთანს საჩუქრად გაუზღავნა თავის სამფლობელოში აგებული 60 ზარბაზნიანი ხომალდი.

ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის ტრადიციები აფხაზეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოისპო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რუსეთის გაბატონებით გამოწვეული სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორების გამო.

დასახლებები და საცხოვრებელი გარემო. აფხაზურ სასოფლო თემს, რომელიც, როგორც წესი, რამდენიმე უბანს აერთიანებდა, დიდი ფართობი ეკავა – ზოგჯერ რამდენიმე ათეულ კვადრატულ კილომეტრამდე. სამოსახლოების გაფანტულობა აფხაზური სოფლისთვის დღესაც დამახასიათებელი ნიშანია. ძველებური ტიპის სახლი მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის ჩალით დახურული ფაცხა იყო. შექმნილი ოჯახების ეზოში, როგორც წესი, ორი სახლი იდგა: დიდი სახლი – სტუმრების მისაღებად და უფრო მცირე – ოჯახისათვის. გარდა ამისა, თუ ოჯახში ახლად დაქორწინებული შვილი იყო, მისთვის დამატებით პატარა ფაცხა იდგმებოდა. აფხაზური ეზოსათვის დამახასიათებელია აგრეთვე სამზადი სახლი მიწის იატაკითა და შუადეცხლით. ფაქტობრივად, ოჯახის წევრები დროის დიდ მონაკვეთს სწორედ ამ სამზადში ატარებდნენ.

პრივილიგირებული კლასის წარმომადგენელთა სახლები გლეხური ფაცხებისაგან ზომით, მასალითა და დაგეგმარებით განირჩეოდა. ყველაზე მსხვილი ფეოდალების სამოსახლოები კი ციხე-დარბაზული ტიპის ნაგებობებს წარმოადგენდნენ გამაგრებული კოშკითა და მტკიცე მესერიით, რომელიც ღრმა თხრილით იყო გარშემორტყმული.

XIX საუკუნის შუა ხანიდან მოყოლებული აფხაზურ სოფლებში დასავლურქართული ტიპის ოდა-სახლების მშენებლობა დაიწყო. თანამედროვე სოფელში უკვე ქვისა და აგურის ორსართულიანი და მრავალთახიანი სახლები სჭარბობს.

ეროვნული ტანსაცმელი, შრომის იარაღები და სხვ. – უმთავრესად დასავლეთ ქართული და კავკასიური ტიპისაა ზოგიერთი ადგილობრივი თავისებურებით. ტრადიციული საკვებია ღომი, ღობიო, რძე, რძის პროდუქტები (განსაკუთრებით ყველი და მაწონი), მწვანილი, ხილი, ნიგოზი, თაფლი. ხორცეულიდან – საქონლის, თხის, ცხვრის, შინაური ფრინველის ხორცი. აფხაზური სუფრისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ცხარე საწებელი და “აფხაზური მარილი” – აჯიკა.

საზოგადოებრივი და ოჯახური ურთიერთობები

საზოგადოებრივი წყობილება. XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთი თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით გარდამავალ საფეხურზე იდგა დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონებსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის პატრიარქალურ-ფეოდალურ საზოგადოებებს შორის. ამასთან ფეოდალური ურთიერთობები შედარებით განვითარებული იყო აფხაზეთის ზღვისპირა

რაიონებში, ხოლო მთაში მეტად იყო შემორჩენილი თემურ-გვაროვნული წყობის გადმონაშთები, თუმცა აქაც წამყვანი სოციალური ფენა ფეოდალური იყო.

აფხაზეთის ფეოდალური საზოგადოების სათავეში იდგა მთავარი (აფხ. აჰ) შარვაშიძეთა გვარიდან. ამ საგვარეულოს აფხაზეთი ფორმაა – ჩაჩბა. გაბატონებული კლასის ზედაფენას წარმოადგენდნენ თავადები (აფხ. ათაეად). პრივილეგირებული კლასის ქვედა კატეგორიას აზნაურები (აფხ. აამსთა) შეადგენდნენ, რომლებიც მთავრების, უფლისწულებისა და თავადების ვასალები იყვნენ.

ფეოდალურ კლასსა და გლეხობას შორის გარდამავალი ფენა იყო *აშნაყმა* (შინაყმა), რომლებიც ფეოდალთა შეიარაღებულ ამალას შეადგენდნენ ან მათ კარზე სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამსახურს ასრულებდნენ.

არაპრივილეგირებული წოდება შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა: *ანხაიუ* (თავისუფალი მეთემე), *ამაწურასგუ* (ყმა გლეხთა ზედაფენა, რომელსაც შენარჩუნებული ჰქონდა გარკვეული უფლებებრივი და ქონებრივი პრივილეგიები), *ახოიუ* (ტიპიური ყმა გლეხი), *ახაშალა* (საოჯახო მონა)³.

არაპრივილეგირებული წოდებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი ფენა იყო ანხაიუ (სიტყვასიტყვით: “მეურნე ადამიანი”, “მიწათმოქმედი”), რომელთა რიცხვი 1869 წელს 47 ათასი იყო აფხაზეთში იმჟამად მცხოვრები 65 ათასი ადამიანიდან. ე. ი. აფხაზეთა დიდი ნაწილი მოსახლეობის ამ კატეგორიას ეკუთვნოდა. იურიდიულად ანხაიუ თავისუფალი მეთემე გლეხები იყვნენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო (მამაკუთვობა, მფარველობა, მიწისმფლობელობის საკითხი და სხვ.) ისინიც დამოკიდებულნი იყვნენ ფეოდალებზე და მათ სასარგებლოდ შრომითი ბეგარა და გამოსაღები ემართათ. ზოგჯერ თავისუფალი გლეხების ექსპლოატაცია ნებაყოფლობითი სამსახურის, პატივისცემის, საჩუქრის ფორმით ინიღბებოდა.

რუსეთის ხელისუფალთა მიერ აფხაზეთში საგლეხო რეფორმის გატარებამ 1870 წელს ეს ფეოდალური იერარქია გააუქმა, რითიც შეიქმნა წინაპირობები საზოგადოების ბურჟუაზიული

³ როგორც ვხედავთ, სოციალური ტერმინების უმეტესობა აქ აფხაზეთში წარმოშობისაა, ნაწილი კი (ათავად, აშნაყმა) – ქართული ენიდანაა ნასესხები. ეს ფაქტი აფხაზეთის ისტორიული განვითარების სპეციფიკაზე მიუთითებს.

ტრანსფორმაციისათვის, მაგრამ გარდაქმნის პროცესი აფხაზურ სოფელში ნელა მიმდინარეობდა და რეფორმის შემდეგაც იგი დიდხანს ინარჩუნებდა ფეოდალურ-პატრიარქალური ყოფის გადმონაშთებს.

ოჯახი და ოჯახური ყოფა. გვიანდელ შუა საუკუნეებში აფხაზებისათვის დამახასიათებელი იყო დიდი პატრიარქალური ოჯახები, მაგრამ XIX საუკუნეში უკვე პატარა მონოგამური ოჯახი სჭარბობდა. ამასთან სამეზობლო თემში გამოიყოფოდა და დღესაც შემორჩენილია გვაროვნულ-პატრონიმიული გაერთიანებები.

აფხაზური წესებით საქორწინო ურთიერთობებში მკაცრი ეგზოგამია იყო დაცული. ქორწინება იკრძალებოდა არა მარტო ერთი გვარის წარმომადგენელთა შორის, არამედ იმ შემთხვევაშიც კი თუ ორი სხვადასხვა გვარი გადმოცემით ერთი ძირიდან მომდინარეობდა. ეგზოგამური აკრძალვები ვრცელდებოდა დედისა და ბებიების გვარებზეც, თუმცა უკანასკნელ შემთხვევაში ეს წესი ყოველთვის ზედმიწევნით არ სრულდებოდა. არ შეიძლებოდა აგრეთვე ქორწინება მამა- და დედამძუძუებით დაკავშირებულ სახლებს შორის. საკმარისი იყო ქალს ერთხელ მაინც მიეცა ძუძუ სხვა გვარის წარმომადგენელი ბავშვისათვის, რომ ამ ოჯახებს შორის საქორწინო კავშირი დაუშვებელი ხდებოდა.

ეგზოგამიური აკრძალვების დამრღვევებს, უპირატესად, გვარიდან გაძევებით სჯიდნენ.

ძველ აფხაზურ ოჯახში პატრიარქალური საწყისები იყო გაბატონებული. ყველა მნიშვნელოვან საქმეში საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ ოჯახის მამა, უფროსი მამაკაცი იღებდა. ქონების გაყოფის დროსაც გარკვეული უპირატესობით ყველაზე უფროსი და უმცროსი ვაჟიშვილები სარგებლობდნენ. ქალის მდგომარეობა არ იყო თანასწორუფლებიანი. იგი მამისა და მეუღლის მორჩილი იყო, არ გააჩნდა მემკვიდრეობის უფლება. მაგრამ ამავე დროს ქალი ადათით დაცული იყო ქმრის მხრიდან რაიმე უსამართლო ქმედებისაგან. ასეთ შემთხვევაში იგი თავისი ნათესავეებისგან პოულობდა დაცვას და დახმარებას.

აფხაზურ საზოგადოებაშიც ქალის როლი (განსაკუთრებით ხანშიშესულის) საკმაოდ მაღალი და დაფასებული იყო. ქალი არასოდეს არ იფარავდა სახეს, მონაწილეობდა თანასოფლელთა თავყრილობებში, თავისუფლად იღებდა სტუმრებს. მისი თანდასწრებით დაუშვებელი იყო უხეში გამოთქმის ხმარება ან ჩხუბისა და

ავალ-მავალის ატეხვა. მამაკაცისთვის ქალზე შურისძიება სირცხვილი იყო. სისხლის ძიების წესი ქალზე არ ვრცელდებოდა.

მამამშუქეობა. აფხაზებისა და ზოგი სხვა კავკასიელი ხალხის ტრადიციული კულტურის დამახასიათებელი ნიშანი იყო მამამშუქეობა (აფხ. *ააძრა*), რაც გულისხმობს ბავშვის გადაცემას აღსაზრდელად სხვა ოჯახში, რომელიც, როგორც წესი, სოციალური “კიბის” უფრო დაბალ საფეხურზე იდგა, ვიდრე ბავშვის ოჯახი. ამრიგად, პრივილეგირებული წოდების შვილები ბუძემწვორობიდან 8-13, ზოგჯერ კი 17-18 წლამდე, ქვემდგომი აზნაურებისა და გლეხების სახლებში იზრდებოდნენ. აღმზრდელი – მამამშუქე – აღსაზრდელ ვაჟს ასწავლიდა საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს, ცხენზე ჯდომას, იარაღის ხმარებას. მისი მეუღლე აღსაზრდელ გოგონას ასწავლიდა ხელსაქმეს, საოჯახო მეურნეობის გაძღოლას, ეთიკეტს და სხვ. ახალგაზრდა ადამიანის მშობლიურ სახლში დაბრუნების შემდეგ, აღმზრდელისა და გაზრდილის ოჯახებს შორის ახლო ურთიერთობა გრძელდებოდა. აღზრდილის ოჯახი ვალდებულად თვლიდა თავს მფარველობა გაეწია მამამშუქის ოჯახისა და მთელი მისი საგვარეულოსათვის. ითვლება, რომ მამამშუქეობა არბილებდა კლასობრივ წინააღმდეგობებს აფხაზურ საზოგადოებაში, მაგრამ ამავე დროს ეს ჩვეულება ამყარებდა ფეოდალიზმის საფუძვლებს და აძლიერებდა მოსახლეობის ქვედა ფენების დამოკიდებულებას თავად-აზნაურობაზე. აფხაზეთში მამამშუქეობის ინსტიტუტი XX საუკუნის დასაწყისამდე შემორჩა.

სამართალწარმოება. ფეოდალურ აფხაზეთში საზოგადოებრივ ურთიერთობებს ხალხურ წეს-ჩვეულებებზე დაფუძნებული სამართალი აწესრიგებდა. პასუხისგებისაგან არავინ იყო დაზღვეული და ყველას ჰქონდა უფლება სასამართლოში ეჩივლა თავის მხაგრელსა და შეურაცხმყოფელზე. წოდებრივ ან ნათესურ უპირატესობას აქ არავითარი მნიშვნელობა არ ეძლეოდა. მსაჯულებად ირჩევდნენ პატივცემულ და ადათ-წესების მცოდნე ადამიანებს, რომლებიც საჯაროდ არჩევდნენ საქმეებს. ორივე მხარე ირჩევდა მედიატორებსა და თავადებებს და დებდა ფიცს, რომ დამორჩილდებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას. მსაჯულები ყურადღებით მოისმენდნენ მოდავე მხარეებისა და მათ მოწმეების ჩვენებებს და სათათბიროდ გადიოდნენ. მსაჯულთა დაბრუნების შემდეგ ერთ-ერთი მათგანი დაწვრილებით გაიმეორებდა საქმის დეტალებს და სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოაცხადებდა. გადაწყვეტილების ძალაში მოყვანა თავდებთა

მეშვეობით ხდებოდა. სასიკვდილო განაჩენი აფხაზეთში წესად არ იყო მიღებული. თავადები და აზნაურები თავისი ქონებით აგებდნენ პასუხს, გლეხი კი პირადი თავისუფლებით, თუ მისი ქონება საკმარისი არ იყო ჯარიმის დასაფარავად. დაზარალებულს შეეძლო მონად გაეყიდა იგი ან თავისთან ყოლოდა ვიდრე ნათესავეები გამოსასყიდ თანხას არ შეუგროვებდნენ.

1864 წელს აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ძალაში დატოვა სახალხო სასამართლო, ვინაიდან მიჩნეული იყო, რომ კავკასიელი მთიელებით დასახლებულ რეგიონებში საერთო იმპერიული კანონმდებლობის გავრცელება ჯერ ნაადრევი იყო. მსაჯულებს ძველებურად მოსახლეობა ირჩევდა, მაგრამ სამართალწარმოების პროცესი მიმდინარეობდა უკვე რუსული ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ.

სისხლის აღება. მკვლევლობის შემთხვევაში სასამართლოს მხოლოდ ის ადამიანი მიმართავდა, ვისაც ძალა არ შესწევდა თვითონვე ეძია შური, ვინაიდან სისხლის აღების ძველი წესი მოკლულის ნათესავეებისაგან მოითხოვდა მკვლელის ან რომელიმე მისი ნათესავის მოკლას. ამ კანონის შეუსრულებლობა სირცხვილად ითვლებოდა. შურის ძიებას ვადა არ ჰქონდა და ზოგჯერ იგი თაობიდან თაობაზე გადადიოდა. სისხლის ღვრა განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს იქენდა, როდესაც თავადურ სახლებს შორის ჩამოვარდებოდა მტრობა; ასეთ შემთხვევებში ბრძოლაში ებმებოდნენ ამ თავადებზე დამოკიდებული აზნაურები და გლეხებიც. ცალკეულ შემთხვევებში, თუ დაუსრულებელი მტრობის შეწყვეტა სურდათ, არსებობდა სიტუაციიდან გამოსვლის გზები. მაგალითად, მიმართავდნენ საპატიო მოხუცთა შუამდგომლობას, რათა მათ დაეყოლიებინათ მოკლულის ნათესავეები, დათანხმებულიყვნენ სისხლის წილ მატერიალური ანაზღაურების მიღებას. “სისხლის ფასი” მოკლულის წოდებრივ კუთვნილებასა და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული.

სტუმართმოყვარეობა. სტუმარმასპინძლობის კანონი წმიდა-თაწმიდად ითვლებოდა. ჯერ კიდევ ვახუშტი წერს აფხაზეთზე: “უყუართ სტუმარი და პატივსა უყოფენ, და შეიწყნარებენ ფრიად”. აფხაზის სახლი სტუმრისათვის ყოველთვის ღია იყო. ნებისმიერ მგზავრს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, შეეძლო პირველივე ეზოში შესვლა და იქ მას დიდი პატივით მიიღებდნენ. სტუმარს არ ეკითხებოდნენ, თუ ვინ იყო იგი და რა

საქმეზე მიდიოდა. მშვიდობით მოსულ მტერსაც კი ვერაფერ ცუდს ვერ აკადრებდა მასპინძელი, საჭიროების შემთხვევაში კი ვალდებული იყო თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დაეცვა იგი. აფხაზებში, ისევე როგორც სხვა კავკასიელ მთიელებში, სტუმართმოყვარეობა სისხლის აღების კანონზე მაღლა იდგა.

ტრადიციული ხულიერი კულტურა

რელიგიური ვითარება. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე აფხაზთა შორის არიან მართლმადიდებელი ქრისტიანებიც და სუნიტი მუსლიმებიც. აფხაზეთში მათ თანაცხოვრებას არასოდეს არ გამოუწვევია რაიმე შინაგანი კონფლიქტი. ხშირად ერთი და იგივე ოჯახში იყვნენ როგორც ერთი, ასევე მეორე რელიგიის აღმსარებელნი. ქრისტიანები და მუსლიმები ერთად აღნიშნავდნენ რელიგიულ დღესასწაულებს, მაგალითად, აღდგომას. მსგავსი ვითარებაა დღესაც, თუმცა აფხაზეთში ქრისტიანები მნიშვნელოვნად ჭარბობენ მაჰმადიანებს (დიასპორის აფხაზები ძირითადად სუნიტი მუსლიმები არიან).

ქრისტიანობისა და ისლამის გვერდით აფხაზეთში ჩვენს დრომდე შემონახა ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები. ღმერთების პანთეონში, რომელსაც სათავეში უდგას მთავარი ღმერთი *ანცვა*, შედიან სხვა ღვთაებებიც და ყოველი მათგანი ამა თუ იმ სამეურნეო დარგის მფარველია. მაგალითად: *ჯაჯა* – ნაყოფიერების ქალღმერთი, მოსავლისა და მიწათმოქმედების მფარველი, *აითარი* – მეცხოველეობის ღმერთი, *ანანა-გუნდა* – ფუტკრებისა და მეფუტკრეობის მფარველი ქალღმერთი, *კვიკვინი* – სელისა და ბამბის მფარველი, *ერიში* – რთვისა და ქსოვის ქალღვთაება, *აჟეიფშა* – ნადირთა მბრძანებელი, მონადირეობის მფარველი, *აირვი* – ომის ღმერთი, *ძოდანი* – წყლის განმგებელი ქალღვთაება და ა.შ. ფართოდ არის გავრცელებული აგრეთვე წმინდა ხეებისა და მთების კულტი. სალოცავ ადგილებში დღესაც სრულდება ტრადიციული რიტუალები და ღოცვები, ხდება მსხვერპლშეწირვა. ამ ცერემონიალებში მონაწილეობენ როგორც ქრისტიანი, ასევე მუსლიმი აფხაზები.

ეპოსი და ხალხური ხელოვნება. აფხაზური ფოლკლორი მდიდარი და მრავალფეროვანია. უძველესი ეპიკური თქმულებები გვაროვნული წყობილების წიაღში იღებენ სათავეს. ასეთია, მაგალითად, თქმულება *აბრსკილზე* – სიკეთისა და სამართლიანობის ქომაგზე, რომელიც უცხოელთა შემოსევებისაგან იცავდა მშობლიურ მიწას, სდევნიდა ბოროტ და მავნე ადამიანებს, მფარველობდა მშრომელ ხალხს. ამაყი აბრსკილი თვით ღმერთსაც

არ ემორჩილებოდა. ამიტომ შეიპყრეს იგი ღვთის მსახურებმა და ღრმა გამოქვაბულში ჩაკეტეს.

აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნართების ეპოსს, რომლის თავდაპირველი ბირთვი, სპეციალისტების აზრით, “სამხედრო დემოკრატიის” პერიოდში ჩამოყალიბდა. ნართები იყვნენ ასი ძმა, რომელთა გმირული თავგადასავალი მრავალ სიმღერასა და პროზაულ თქმულებაშია გადმოცემული. ეპოსში განსაკუთრებით გამოირჩევა *სასრიყვა*, ყველაზე უმცროსი ნართი, მაგრამ საინტერესოდ არიან წარმოჩენილი სხვა პერსონაჟებიც. მათ შორის აღსანიშნავია ნართების დედა – *სათანეი-გუაშა*, რომლის მხატვრულ სახეში აშკარა მატრიარქალური ნიშნები იკვეთება.

არანაკლებ ძველია თქმულება ჯუჯა *აწანების* შესახებ, რომლებიც ერთი ვერსიით აფხაზეთის ტერიტორიაზე ნართებზე ადრე ცხოვრობდნენ, მეორე ვერსიით კი მათი თანამედროვენი იყვნენ.

პოპულარულია, აგრეთვე, სხვადასხვა სასიმღერო ჟანრები, ცეკვები, ეროვნული სპორტული თამაშობები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. *ბერძენიშვილი ნ.* აფხაზეთის შესახებ / *მისივე*. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. III. თბილისი, 1966.
2. *გიულდენშტედტის* მოგზაურობა საქართველოში. ტ. 2 / გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი, 1964.
3. *ვახუშტი ბატონიშვილი*. აღწერა სამეფოსა საქართველოსა / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973.
4. *ჟაკ ფრანსუა გამბა*. მოგზაურობა ამიერკავკასიაში / ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი, 1987.
5. *ჯანაშია ს.* ფეოდალური რევოლუცია საქართველოში / *მისივე*. შრომები, I. თბილისი, 1949.
6. Акты, собранные Кавказской Археографической комиссиєю. Том IV. Тифлис, 1870.
7. *Анчабадзе З.В.* Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959.

8. *Анчабадзе З.В.* Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976.
9. *Берадзе Т.Н.* Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тбилиси, 1989.
10. *Джанашиа С.Н.* [Абхазия в составе Колхидского царства и Лазики. Образование «Абхазского царства»] / *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.* №2'1991.
11. *Дзидзария Г.А.* Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982.
12. *Инал-ипа Ш.Д.* Абхазы (историко-этнографические очерки). Сухуми, 1960.
13. *Инал-ипа Ш.Д.* Абхазы / «Народы Грузинской ССР» / Народы Кавказа. II. Москва, 1962.
14. *Клапрот Генрих-Юлиус.* Путешествие по Кавказу и Грузии, предпринятое в 1807-1808 гг. / Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. / Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В.К.Гарданова. Нальчик, 1974.
15. *Коряков Ю.Б.* Атлас кавказских языков. Москва, 2006.
16. *Ломтатидзе К.В.* Абхазский язык / Языки народов СССР. Т. 4. Иберийско-кавказские языки. «Наука». Москва, 1967.
17. *Мачавариани К.Д.* Абхазские вина / *Его же.* Очерки и рассказы (Из наблюдений разных годов). Батум, 1909.
18. Новейшие географические и исторические известия о Кавказе, собранные и пополненные *Семеном Броневским.* Часть первая. Москва, 1823.
19. Статистический взгляд на Абхазии / «Тифлисские ведомости». № 24, 25 и 26'1831.
20. *Торнау Ф.Ф.* Воспоминания кавказского офицера. Москва, 2000.

პირველად დაიბეჭდა კრებულში: “ეთნოსები საქართველოში”. გამოცემულია საქართველოს სახალხო დამცველის, გაეროს განვითარების პროგრამისა და რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ერთობლივი პროექტის ფარგლებში. გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბ., 2008.

XVIII საუკუნის ორი ოსმალური დოკუმენტი სოხუმის ციხის შესახებ¹

ქვემოთ ვაქვეყნებთ XVIII ს-ის მეორე მეოთხედის ორ ოსმალურ დოკუმენტს. პირველი დოკუმენტი შედგენილია ჰიჯრის 1142 წელს (27.07.1729–16.07.1730), მეორე კი ჰიჯრის 1145 წელს (24.06.1732–13.06.1733). ორივე დოკუმენტი დაცულია ბუღაღარეთში, ქალაქ სოფიის კირილესა და მეთოდეს სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში (შემდეგ: НБКМ), სადაც, როგორც არაერთგზის აღნიშნულა, მრავალი ოსმალური საბუთი ინახება საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

დოკუმენტები ეხება შავი ზღვის აუზში ოსმალთა იმპერიის დომინირების ხანას, თუმცა რეგიონის სანაპირო ოლქებში ოსმალები ერთნაირი წარმატებით ვერ ახორციელებდნენ თავიანთ სამხედრო-ადმინისტრაციულ კონტროლს. კერძოდ, მეტად არამყარი იყო მათი პოზიციები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რომლის მოსახლეობა – ქართველები, აფხაზები, ჩერქეზები და სხვ. – არასოდეს შერიგებია ოსმალთა ბატონობას და განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის.

აფხაზეთის ფეოდალური სამთავრო, რომელიც ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა, დაახლოებით 1555 წლიდან 1829 წლამდე სტამბოლში განიხილებოდა როგორც ოსმალეთის ვასალური სამფლობელო, თუმცა ეს ვასალობა მეტწილად ნომინალური ხასიათსა იყო და არ სცილდებოდა სიმბოლური ხარკისა და გარეგნული მორჩილების ფორმებს. ამასთან პერიოდულად აფხაზები ამ მორჩილებიდანაც გამოდიოდნენ და თავს ესხმოდნენ როგორც ოსმალთა საყრდენ პუნქტებს ზღვის სანაპიროზე, ასევე ზღვაში ოსმალურ ხომალდებს. ხშირად ეს ოპერაციები ოდიშის მთავრებისა და იმერეთის მეფეების მოქმედებებთან იყო კოორდინირებული.

XVII-XVIII სს-ის აფხაზეთის მთავარი ქალაქი – სოხუმი ოსმალებმა ხელთ იგდეს 1578 წელს და ე.წ. სოხუმის, ანუ აფხაზეთის, ვილაიეთის ცენტრად გამოაცხადეს². ეს ფაქტი აფხაზეთში

¹ თანაავტორი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ შენგელია.

² Kurzioğlu M. Osmanlılar'ın Kafkas-Elleri'ni Fethi (1451-1590). Ankara, 1993. გვ. 19.

ოსმალთა ბატონობის დასაწყისად ითვლება³, თუმცა რეალურად სოხუმის ვილაიეთი არ შექმნილა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო. ოსმალებმა 1580 წლის ბოლოს სოხუმიც კი დათმეს.

ოსმალთა ახალი შემოტევა დასავლეთ საქართველოს სანაპიროებზე XVIII ს-ის დამდეგიდან იწყება. მათ ფოთის ციხე დაიპყრეს და ახლადშექმნილი ვილაიეთის ცენტრად აქციეს, რომელშიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზოგი სხვა პუნქტიც შევიდა (სოხუმი, ანაკლია და სხვ.). მაგრამ ოსმალო ადმინისტრატორების არაერთი მცდელობის მიუხედავად, მათი რეალური ძალაუფლება ამ ციხესიმაგრეების კედლებს არ ცილდებოდა. აფხაზეთის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ამ პერიოდში საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XVIII ს-ის მეორე ნახევრის ევროპელი ავტორი პეისონელი. მისი თქმით, «[ოსმალების მთავრობა] ამ ქვეყანაში თავის ბეგს გზავნის, რომელიც აფხაზთა ბუგად იწოდება, მაგრამ იგი მხოლოდ გამგებლის ტიტულით სარგებლობს, ყოველგვარი ძალაუფლების გარეშე. ბეგის რეზიდენცია სოხუმიშია. ამ ადგილების უზენაესი გამგებელია შავიზღვისპირეთის (ფოთის. – ვ.ა., ნ.შ.) ფაშა, მაგრამ აფხაზები არც მას ემორჩილებიან, და არც ოსმალო ბეგს. მხოლოდ ძალით თუ შეიძლება მათი მორჩილებაში მოყვანა»⁴.

ქვემოთმოტანილ დოკუმენტებში სწორედ ეს ვითარებაა ასახული. ვხედავთ, რომ თუმცა სოხუმს ოსმალთა ციხიონი აკონტროლებს, მის კედლებს გარეთ ოსმალთა გავლენა ფაქტობრივად არ ვრცელდება. ციხესიმაგრე მარაგდება იმპერიის ცენტრალური რაიონებიდან და სურსათის მოწოდების ყოველი შეფერხება გარნიზონს შიმშილს უქადის. რთულ პრობლემას წარმოადგენდა ციხესიმაგრის სასმელი წყლით მომარაგებაც, ვინაიდან მის მახლობლად გამდინარე მტკნარი წყლის ნაკადული, პრაქტიკულად, მიუწვდომელი ჩანს ციხის მცხოვრებთათვის. (საუბარია პატარა მდინარეზე «სუხუმ-ხაკი»; ამჟამად იგი ქალაქის ცენტრში გაედინება და ზღვას ერთვის ძველი ციხესიმაგრის აღმოსავლეთით, დაახლოებით 1,3 კმ-ის მანძილზე.)

³ *სენბიძე მ.* საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI–XVII სს. “მეცნიერება”. თბილისი, 1971 გვ. 186.

⁴ *Пейсонель М.* Исследование торговли на черкесско-абхазском берегу Черного моря в 1750-1762 годах / в изложении Е.Д.Фелицина. Северо-Кавказский филиал традиционной культуры, 1990. С. 29.

ქართული თარგმანი

დოკუმენტი №1

სოხუმის ციხიდან მოსული პეტიცია: უღემებისა, მეჩეთის მსახურთა, სახელმწიფო და ადგილობრივი ჯარისკაცებისა, ციხესიმაგრის სხვა მცხოვრებთა, საბრალთა და უძღურთა მხრიდან; შემცველი ჭეშმარიტებისა იმის შესახებ, რომ აღნიშნული ციხე მდებარეობს შავი ზღვის ბოლოს, გიაურ აფხაზებს შორის, შორ მანძილზე ტრაპიზონისა და ყირიმისაგან. გემები და ნაგები აქ არ მოდიან, მათი მოსვლისათვის განსაზღვრული დღეების გარდა, და ამ სპეციალური რაზმეულის მოლოდინში მოხუცები და ახალგაზრდები დიდ სიძნელეებს განიცდიან. იღონონ რაიმე ჩვენმა მალაშა ბატონებმა, რათა შეუნარჩუნონ სიცოცხლე ყველა საბრალოს, მისცენ მათ ფკვილი, რომელსაც ითხოვენ. სურსათის სხვა სახეობებთან შედარებით ეს მათი ყოველდღიური სარჩოა. კეთილი ინებონ დროულად შეუწყვიტონ მათ შიმშილი, კეთილი საქმით გამოიჩინონ მზრუნველობა. აგრეთვე ძალა იღონონ, რათა უწყლოობისაგან იხსნან ციხის მოსახლეობა. ციხის შიგნით, მის ახლომახლო შემოგარენში, სასმელი წყალი არ არის; იგი მხოლოდ მდინარეშია. და როდესაც შეწყნარებულ იქნა თხოვნა მდინარიდან სასმელი წყლის გამოყვანის თაობაზე, გამოვლენილი იქნა გულითადობა და მზრუნველობა. ამ საქმის შესრულება მიენდოთ გაღერების მეთაურებს – აბდულკადირ ბეგსა და კასიმ ბეიზადე მუსტაფა ფაშას. ხარჯების დასაფარავად და ჯებირების ასაშენებლად სახელმწიფო ხაზინის მიერ გამოიყო ხუთი ქისა ფული. 1142 წელს გაითხარა არხი, აშენდა ჯებირები და წყალი აღნიშნულ ციხეში მოვიდა. ჯებირები ქვების სამმაგი წყობით იყო ამოყვანილი, მაგრამ არ მოხდა დამბების გამაგრება კირით, სხვა სამაგრითა და კვით; უბრალოდ მიწით გაავსეს. ამიტომ სასმელი წყალი მხოლოდ 45 დღის განმავლობაში მოდიოდა ციხეში. და ვინაიდან ჯებირები სათანადოდ გამაგრებული არ იყო, აფხაზმა გიაურებმა მოიყვანეს რა თავიანთი ვერაგი მოძალადეები, წყალი მთლიანად გადააკეტეს. დღემდე ციხეს სასმელი წყალი არ მიეწოდება; ციხის მოსახლეობა წმინდა რამაზანის დღეებში და სხვა დროსაც მარილიან მლაშე წყალს სვამს⁵. დიდება მაღალ

⁵ 1831 წლის აღწერით სოხუმის ციხესა და შემოგარენში ოთხი ჭა იყო მომლაშო წყლით, რომელიც მაინც ვარგოდა დასალევად და საჭმლის მოსამზადებლად (Статистический взгляд на Абхазию/ «Тифлиские ведомости». № 24, 25 и 26' 1831).

აღაპს, ამჟამად ციხე სავსეა მოსახლეობით, ქალებითა და ბავშვებით. მოსამზადებელ სკოლაში ახლა 60-ზე მეტი ჩვენი ბიჭი სწავლობს. ყველანი ერთხმად ღოცულობენ დიდებული ფაღიშაჰის სახელმწიფოსათვის, რაც ღმერთისთვის სავსებით გასავებია. ცნობილია, რომ რომ თუკი უხვი და ძლიერი ბუნებრივი წყლისთვის ჯებირი კირით, სხვა სპეციალური მასალითა და ქვებით იქნება გამაგრებული, იგი საუკუნის მიწურულამდე არ დაინგრევა. ამ ამოცანის შესასრულებლად განწესებულმა გაღერების მეთაურებმა საქმე დაავალეს ტყვეებს და არ მოიზიდეს ხელოსანი მუშები. როგორც აღნიშნავენ, მათ არ მიიღეს სათანადო ზომები მნიშვნელოვანი ადგილების გასამაგრებლად, რათა არ გადახარჯულიყო ხაზინის ფული. ასე აშენებული არხი კი მთლიანად დაანგრის გაიძვერა აფხაზმა ყაჩაღებმა. წყალი შეწყდა, რის გამოც ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. არადა ცნობილია, რომ ვიმსახურებთ მოწყალებას, და მოგახსენებთ რა ბედნიერების საყრდენზე ვიმყოფებით; ამიტომ ვითხოვთ თქვენს მზრუნველობასა და დახმარებას.

1. თქვენი მონა-მორჩილი ისმაილი, ამჟამად სეკბანთა პირველი ასეულის მეთაური ხსენებულ ციხეში.
2. თქვენი მონა-მორჩილი ალი, ამჟამად სეკბანთა მეორე ასეულის მეთაური ხსენებულ ციხეში.
3. თქვენი მონა-მორჩილი აჰმედი, ამჟამად მარცხენა ფლანგის ჯამაათის მეთაური ხსენებულ ციხეში.
4. თქვენი მონა-მორჩილი აბუბეჟრი, ამჟამად მარჯვენა ფლანგის ჯამაათის მეთაური ხსენებულ ციხეში.
5. თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი, ამჟამად სოხუმის ციხის დიზდარი.
6. თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი, ამჟამად სოხუმის მცველი იანირების ალა.
7. ოსმალთა სახელმწიფოსათვის მლოცველი აჰმედი, ამჟამად სოხუმის ციხის მუფთი.
8. თქვენი მონა-მორჩილი ქეთხუდა ჰუსეინი, ხსენებული ციხის პირველი მუსტაფაზი.
9. თქვენი მონა-მორჩილი ალი, ამჟამად ქეთხუდა მარცხენა ჯამაათისა ხსენებულ ციხეში.
10. თქვენი მონა-მორჩილი ჰუსეინი, ამჟამად ქეთხუდა მარჯვენა ჯამაათისა ხსენებულ ციხეში.
11. თქვენი მონა-მორჩილი აჰმედი, ამჟამად ქეთხუდა მუსტაფაზების ჯამაათისა ხსენებულ ციხეში.

12. თქვენი მონა-მორჩილი სულეიმანი, ამჟამად თოფჩიების ალა ხსენებულ ციხეში.
13. თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედ ალა, ამჟამად ხსენებულ ციხეში.
14. თქვენი მონა-მორჩილი ილ ჰაჯი აბდალლაჰი, ამჟამად აზაბთა ალა ხსენებულ ციხეში.
15. თქვენი მონა-მორჩილი მუსტაფა, ამჟამად ხარჯის ვექილი ხსენებულ ციხეში.
16. თქვენი მონა-მორჩილი იბრაჰიმი, ამჟამად ხარჯის ვექილი ნ, სოხუმის ციხეში.
17. თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი, ამჟამად ხარჯის ვექილი 99-ე ჯამათისა სოხუმის ციხეში.
18. თქვენი მონა-მორჩილი იბრაჰიმი, ამჟამად ჯებეჯეების ოდაბაში ხსენებულ ციხეში.
19. თქვენი მონა-მორჩილი აჰმედი, ოდაბაში, ხსენებულ ციხეში ამჟამად.
20. თქვენი მონა-მორჩილი მუსტაფა, ამჟამად მე-ნ ჯამათის ოდაბაში სოხუმის ციხეში.
21. თქვენი მონა-მორჩილი ალი, ამჟამად 99-ე ჯამათის ოდაბაში ხსენებულ ციხეში.
22. თქვენი მონა-მორჩილი ოსმანი, ამჟამად პირველი ჩაუში სოხუმის ციხეში.
23. თქვენი მონა-მორჩილი პუსეინი, ამჟამად მარჯვენა ფლანგის ჩაუში ხსენებულ ციხეში.
24. თქვენი მონა-მორჩილი იუსუფი, ამჟამად მარცხენა ფლანგის ჩაუში ხსენებულ ციხეში.
25. თქვენი მონა-მორჩილი პუსეინი, ამჟამად ქეთხუდა თული სოხუმის ციხეში.
26. თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი, ამჟამად მარცხენა ფლანგის ჯამათის სერბოლუქი ხსენებულ ციხეში.
27. თქვენი მონა-მორჩილი ომერი, ამჟამად მარჯვენა ფლანგის ჯამათის სერბოლუქი ხსენებულ ციხეში.
28. თქვენი მონა-მორჩილი პალილი, ამჟამად მუსტაფა ზების სერბოლუქი სოხუმის ციხეში.
29. თქვენი მონა-მორჩილი ხანდაკ იუსუფი, ამჟამად ჯარისკაცი ხსენებულ ციხეში.
30. თქვენი მონა-მორჩილი დაუდი, ამჟამად მეციხოვნე ჯარისკაცი ხსენებულ ციხეში.
31. თქვენი მონა-მორჩილი ალი, ამჟამად მეორე ჯარისკაცი ხსენებულ ციხეში.

32. თქვენი მონა-მორჩილი სულეიმანი, ამჟამად ჯარისკაცი ხსენებულ ციხეში.
33. თქვენი მონა-მორჩილი მუსტაფა, ამჟამად პირველი ჯარისკაცი ხსენებულ ციხეში.
34. თქვენი მონა-მორჩილი ჰალილი, ამჟამად მარცხენა ფლანგის ჯარისკაცი ხსენებულ ციხეში.
35. თქვენი მონა-მორჩილი მაჰმუდი, ამჟამად მარჯვენა ჯამათის ჯარისკაცი ხსენებულ ციხეში.
36. თქვენი მონა-მორჩილი მაჰმუდი, ამჟამად მარჯვენა ჯამათის ჯარისკაცი ხსენებულ ციხეში.
37. თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი, ამჟამად უმაღლესი სამეუფო კარის ჯებეჯიების ალა ხსენებულ ციხეში.
38. თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი, ამჟამად თულის ალა, უმაღლესი სამეუფო კარისა, ხსენებულ ციხეში.
39. თქვენი მონა-მორჩილი სულეიმანი, ამჟამად უმაღლესი სამეუფო კარის მეექვსე ჯამათის ჩორბაჯი.
40. თქვენი მონა-მორჩილი ჰასანი, ამჟამად უმაღლესი სამეუფო კარის მეშვიდე ჩორბაჯიების ალა.
41. მე, აჰმედ ეფენდი, მონა-მლოცველი შეიხი, ამჟამად მეჩეთის ხატიბი სოხუმის ციხეში.
42. მე, მონა-მლოცველი იბრაჰიმი, ამჟამად მეჩეთის პაფიზი სოხუმის ციხეში.
43. მე მონა-მლოცველი მუსტაფა ხალიფა, ამჟამად მეჩეთის მუეჰინი სოხუმის ციხეში.

დოკუმენტი №2

სწორია !

თელხისის საფუძველზე შესაბამის ადგილზე იქნეს რეგისტრირებული და პატიოსანი ბრძანება დაიწეროს. სწორია 145 წლის 28 რები ულ-ეველი⁶.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ რამდენადაც სოხუმის ციხეს არსებითად არ გააჩნია სასმელი წყალი, ციხის მცხოვრებნი განიცდიან მის უკმარისობას. ამის გამო დროულად იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული, რომ ხსენებულ ციხემდე გამოყვანილი ყოფილიყო წყალი ნახევარი საათის სავალ მანძილზე არსებული მდინარიდან, რომელსაც ეწოდება სუხუმ-ხაკი, ისე რომ წყალი ციხისგან არც თუ ისე შორს დაცემულიყო ზღვაში.

⁶ 1145 წლის 28 რები ულ-ეველი – 18.09.1732 წ.

ამისათვის საჭირო იყო გაეთხარათ არხი და ზოგიერთ ადგილებში ამ წყლის ნაკადს რომ მისცემოდა მტკიცე გზა, უნდა გამოეყენებინათ გასამაგრებელი მასალები და კირი, შეკრულიყო სანაპირო შემაერთებელი ნაგებობებით. ამ საქმის შესრულება, 2500 ყურუში დანახარჯით, ამას წინათ დაეკავდა სახლვარ ძალეების ერთ-ერთ მეთაურს, აბდულკადირ ფაშას. მთავარ საფინანსო უწყებას გაეგზავნა მოთხოვნა სახელმწიფო ხაზინიდან აღნიშნული თანხის გამოყოფის შესახებ. მაგრამ იმის გამო, რომ აღნიშნული არხის ჯგებირები არ იყო სათანადო სიმტკიცით გაკეთებული და გამაგრებული, ზოგი ადგილი, რომლებიც ცუდად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან, მოიშალა და ამჟამად მდინარის დინება ხსენებულ ციხეში მთლიანად შეწყდა; ციხის მოსახლეობა წყალთან მიმართებაში რჩება გართულებულ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, თქვენ, რომელიც ბრძანდებით ფოთის დაცვის მეთაური და მონიტჰებული გაქვთ უფლება წესრიგი დაამყაროთ ამ ადგილებში, ღოცვა-დადადით მოგახსენებენ თქვენი მსახური ჰაჯი ხადიდ ფაშა, სოხუმის ყადი და აგრეთვე ციხის მცხოვრებნი, და მოგმართავენ აჯით, უარი არ ეთქვას მათ თხოვნას – გაკეთდეს, რაც საჭიროა ხსენებული წყლის არხის აღსადგენად, ვინაიდან ამ საქმის განხორციელება იქნება მიზეზი ციხის მცხოვრებთა კეთილდღეობისა.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ არც თუ დიდი ხნის წინ არსებითად ჩატარდა სამუშაოები აღნიშნულ ციხეში სასმელი წყლის გამოსაყვანად, რისთვისაც დაიხარჯა 2500 ყურუში, ყოველგვარი დადებითი შედეგის გარეშე. როგორც თქვენ ინებეთ გცოდნოდათ, ახლა სამუშაო ჩატარდება მიზანსწრაფულად, უმნიშვნელო განსხვავების ფარგლებში; ამჟამად ეს ღონისძიება განხორციელდება თქვენი მონა-მორჩილის უშუალო ზედამხედველობით. ხსენებულ უფროსს, სამუშაოების დამთავრებისას ხაზინასთან ექნება შესაბამისი ზომიერი ხარჯები. რაც კი მოითხოვს შეკეთებას ციხეში, წყლის არტერიის გამოყვანას, სათანადო მზრუნველობითა და მეცადინეობით მინიმალური ხარჯით იქნება სწრაფად გაკეთებული. ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ზომიერი თანხა იქნება გადებული და გადაწყვეტილი, გატარდება დავთარში და შარიათის აქტში. იგი იქნება შესრულებული შარიათის უმაღლესი პირობით და მუსლიმური ხაზინა დაცული იქნება ზედმეტი დანაკარგებისაგან. ყოველივე ეს დაფიქსირდება შესაბამის ადგილას, რათა გამოვიდეს სათანადო უმაღლესი ბრძანება. ამასთან ერთად, ნება და განკარგულება ეკუთვნის მის უდიდებულესობას, ყოველისმძღესა და ჩემს კეთილი გულის მქონე სულთანს.

ტერმინოლოგიური შენიშვნები

ახაბები - სამხედრო გემების მეზღვაურები და მებრძოლები. შედიოდნენ აგრეთვე ზღვისპირა ციხესიმაგრეთა გარნიზონებში.

ალა - სხვადასხვა კატეგორიის სამხედრო და სამოქალაქო უფროსების წოდება. ფართო მნიშვნელობით: პატივისცემის გამომხატველი სიტყვა, რომლითაც მიმართავდნენ ხნიერ ადამიანს, ოჯახის თავს, შეძლებულ და გავლენიან მოქალაქეებს.

დიზდარი - ციხესიმაგრის კომენდანტი, ციხისთავი.

ვექილი - გარკვეულ საქმეთა განმგებელი, რწმუნებული, მოადგილე.

თელხისი - მოკლე შინაარსი, რეზიუმე, დიდგვზირის წერილობითი მოხსენება სულთნისადმი.

თოფჩები - რეგულარული ჯარის მეზარბაზნეები. ასე ეწოდებოდათ არტილერიისტებსაც და, ხშირად, ზარბაზნების მკეთებლებსაც.

იანიჩარები - იანიჩართა კორპუსის - ოსმალთა რეგულარული ქვეითი ჯარის ძირითადი კატეგორიის - მეომრები.

მუჟდინი - მეჩეთის მსახური, რომელიც მინარეთიდან მრევლს სალოცავად უხმობდა - ახანს წარმოსთქვამდა.

მუსტაფაზი - საკარგავის საფუძველზე არსებული ლაშქარი, რომელსაც ძირითადად ევალებოდა ციხეების, გამაგრებული ადგილებისა და სამხედრო ბანაკების დაცვა.

მუფთი - მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო წოდების წარმომადგენელი, ღვთისმეტყველი და სამართლისმცოდნე. მუფთიებს შორის უპირველესი იყო შეიხ ულ-ისლამი - მუსლიმთა სასულიერო წოდების მეთაური ოსმალეთში.

ოდაბში - აქ: იანიჩართა ასისტავი.

სეკბანები - იანიჩართა კორპუსის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილის მეომრები.

სერბოლუქი - ცხენოსანი ან ქვეითი რაზმის, პოლკის მეთაური.

ქეთხულა - სხვადასხვა სახეობის ჯარებისა და სახელმწიფო დაწესებულებების უფროსთა მოადგილეები, რომლებსაც ძირითადად სამეურნეო საქმიანობა ევალებოდათ.

ქისა - ქისა, ტყავის პარკი, ფულის საზომი ერთეული, რომლითაც იზომებოდა ოქროსა და ვერცხლის მონეტების რაოდენობა. მისი ღირებულება დროთა ვითარებაში იცვლება. ე.წ. რუმელიური ქისა, რომელიც ევროპის ქვეყნებთან ალებ-მიცემობაში გამოიყენებოდა, ითვლიდა 500 ყურუშს.

ყადი - მოსამართლე, რომელიც განსჯიდა შარიათისა (სასულიერო სამართლი) და ადათის (ჩვეულებითი სამართალი) საფუძველზე.

ყურუში [<სლაჰ. "გროში"] - ვერცხლის მონეტა. ოსმალეთში ოფიციალურად იჭრებოდა 1687 წლიდან.

შეიხი - აქ: მუსლიმი ღვთისმეტყველი და სამართლისმცოდნე.

ჩ ა უ შ ი - განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე. იგზავნებოდნენ ელჩებად, ბრძანებები და განკარგულებები მიჰქონდათ პროვინციებში, მხედართმთავართა ბრძანებებს გადასცემდნენ რაზმების მეთაურებს.

ჩ ო რ ბ ა ჯ ი - რეგულარული ჯარის და, კერძოდ, იანჩართა კორპუსის უფროსი ოფიცერი.

ხ ა ტ ი ბ ი - მოქალაქე, მეწეთის მსახური, რომელიც პარასკეობით ხუტბას (ლოცვას) ადავლენდა ხელმწიფის სახელის მოხსენიებით.

ჯ ა მ ა ა თ ი - მუსლიმური თემი, საკრებულო, საზოგადოება. ამ შემთხვევაში: ციხესიმაგრის მცველები, საჯარისო დანაყოფი.

ჯ ე ბ ე ჯ ი ე ბ ი - მეთარაღები, მებაჯრეები. ასე ეწოდებოდათ გასამხედროებული სამეურნეო ორგანიზაციის მსახურებს, რომელთა ამოცანა იყო იარაღის, სამხედრო აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალების მოვლა-შენახვა და დამზადება.

პ ა ფ ი ზ ი - ყურანის ზეპირად მცოდნე მუსლიმი.

Два турецких документа XVIII века о Сухумской крепости

Резюме

Статья содержит перевод и комментарии двух турецких документов о Сухумской крепости, являвшейся в начале 30-х гг. XVIII века опорным пунктом турецкого владычества в Абхазии. В документах речь идет о стесненном положении турецкого гарнизона, с которым враждовали абхазы, разрушившие канал, по которому в крепость поступала питьевая вода.

Соавтор статьи проф. Н.Н.Шенгелия.

Two Turkish documents of the XVIII century about Sukhumi fortress

Summary

The article contains the translation and the comments on two Turkish documents about Sukhumi fortress – a strong point of Turkish dominion in Abkhazia at the beginning of thirties of the XVIII century. The documents are about straitened circumstances of the Turkish garrison. Namely, the local dwellers who were at enmity with the garrison destroyed the canal through which drinking water came in the fortress.

Co-author Nodar Shengelia.

პირველად დაიბეჭდა კრებულში: “საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, IX”. თბ., 2008.

ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარების ძირითადი ეტაპები უძველესი დროიდან ერის ჩამოყალიბების სტადიამდე

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, აკად. ნ. ბერძენიშვილი თავის დროზე წერდა: «ჩვენს ისტორიკოსებს (და მით უფრო არაისტორიკოსებს) ჰგონიათ, რომ “საქართველო” in principe სულ მუდამ იყო იქ, სადაც ქართველთ მოდგმა ცხოვრობდა. არაა საჭირო გრძელი საუბარი იმისათვის, რომ ასეთი შეხედულება მცდარია. ქართველი მოდგმის განსახლების ტერიტორიაზე რამდენიმე სხვადასხვა ორგანიზაცია, სხვადასხვა წარმოებით-კულტურული ორგანიზაცია არსებულა, ე.ი. რამდენიმე სხვადასხვა “ხალხი” არსებულა. ქვეყანა სწორედ ეს თითოეული ორგანიზაციაა და არა ტერიტორია და მასზე მსხდომი მოდგმა. ტერიტორია და მოდგმა (ეთნიკური) შეიძლება დიდხანს უცვლელი რჩებოდეს, მაშინ როცა ქვეყანა მრავალგზის იცვლებოდეს: წინაკლასობრივი ქვეყანა, მონათმფლობელური ქვეყანა, ფეოდალური ქვეყანა და ა.შ.»¹.

მეცნიერის ეს სიტყვები სრულიად ესადაგება ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარების პროცესს. «სხვადასხვა “ხალხი”», რომელსაც ნ. ბერძენიშვილი ახსენებს, – ქართველი ეთნოსია განსხვავებულ ისტორიულ ეპოქებში, გინაიდან საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ყველა სტადიას ეთნოსის მისთვის დამახასიათებელი ტიპი შეესაბამება. ჩვეულებრივ გამოყოფენ ეთნოსის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამ ტიპს:

1. ტომი (წინაკლასობრივი და ადრეკლასობრივი საზოგადოებებისათვის /შესაბამისად, საგვარეულო და ტერიტორიული ტომები/);
2. ეროვნება (ადრეკლასობრივი, მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოებებისათვის);
3. ერი (კაპიტალისტური საზოგადოებისათვის).

ეთნოსის სამივე ტიპი სათანადო ფორმაციის სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებს ემყარება და წინამორბედისგან გამოირჩევა კონსოლიდაციისა და მდგრადობის უფრო მაღალი ფორმებით.

¹ ნ. ბერძენიშვილი. “მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის”. მისივე, *საქართველოს ისტორიის საკითხები* (მეცნიერება, თბილისი, 1990), გვ. 199-200.

წინამდებარე წერილში ეროვნებისა და ერის პარალელურად ჩვენ ვიყენებთ აგრეთვე ფართო მნიშვნელობის ტერმინს “ხალხი”, ოღონდ ეთნიკური გაგებით, ანუ ეთნიკური ერთობის აღსანიშნავად მისი განსაკუთრებული ენით (თუ ენებით), განსახლების ისტორიულად ჩამოყალიბებული არეალითა და ეთნოგრაფიული თავისებურებებით.

* * *

ქართველები მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ხალხია. ქართველური ტომები – მესხები, კოლხები, სასპერები, იბერები, ჭანები, სვანები და სხვ. მოიხსენიებიან უკვე ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ წყაროებში. მათი განსახლების ზონა მოიცავდა თანამედროვე საქართველოს და ზოგ მეზობელ რეგიონს, განსაკუთრებით ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ამასთან, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ აგრეთვე აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური ტომები, რომლებსაც ქართველთა წინაპრებთან კულტურული და ეთნიკური ნათესაობა აკავშირებდათ.

ძველი ქართველური ტომები იყოფოდნენ სამ ახლომონათესავე ჯგუფად – ქართვები, ზანები (მეგრელ-ჭანები) და სვანები². პროტოქართველური ენის დაყოფა ქართულ, ზანურ და სვანურ შტოებად, როგორც ფიქრობენ, ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარში ხდება (სხვა მოსაზრებით – ძვ.წ. II-I ათასწლეულის დასაწყისში). ბუნებრივია, რომ პრეისტორიულ ხანაში, ისევე როგორც წერილობითი ისტორიის ადრეულ ეტაპებზე, არ არსებობდა ერთიანი ქართველი ხალხი და არ იყო ეთნიკური ერთიანობის გრძნობა არა თუ ქართველურ ტომობრივ ჯგუფებს შორის, არამედ, სავარაუდოა, ამ ჯგუფებში შემავალ ცალკეულ ტომებს შორისაც. ერთიანობის შეგნება მოდის ეთნოპოლიტიკური განვითარების შედეგად, როდესაც ჩნდება პირველი ადრესახელმწიფოებრივი გაერთიანებები, ვინაიდან, პირველ რიგში, სწორედ სახელმწიფო ორგანიზაცია განაპირობებს მონათესავე თუ არამონათესავე ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკურ და ეთნოკულტურულ კონსოლიდაციას ერთი ცენტრის გარშემო.

² პირველი ორი ტერმინი ამ მნიშვნელობით მწიგნობრული გზით არის შექმნილი.

ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეს ზოგჯერ ძველ აღმოსავლურ წყაროებში მოხსენიებული დიაოხისა და კულხას პოლიტიკურ წარმონაქმნებს უკავშირებენ (აქ არ ვეხებით საკითხს, თუ რამდენად არის დასაბუთებული დიაოხის ქართულ სამყაროსთან დაკავშირების თეზისი), თუმცა ამ გაერთიანებებმა ვერ უზრუნველყვეს ეთნიკური განვითარების შესამჩნევი მასშტაბები. მაგალითად, დიაოხის შთამომავლობა ძვ.წ. V საუკუნეში ჭოროხის ხეობის ერთ-ერთი რიგითი ტომის – ტაოხების – სახელით მოიხსენიება.

ეთნიკური კონსოლიდაციის ცხადი ნიშნები არც ძველი კულხას მემკვიდრე – ანტიკურ კოლხეთში შეიმჩნევა. ბერძნულ-რომაული წყაროები აქ მრავალ სხვადასხვა ტომს ასახელებენ, რომელთა შორის არიან კოლხებიც, რომლებიც ეთნოსოციალური განვითარებით აღემატებოდნენ სხვა ადგილობრივ ეთნიკურ კოლექტივებს, რის გამოც მათი სახელი მთელს რეგიონზე გავრცელდა.

მთავარი მიზეზი იმისა, რომ დიაოხისა და კულხა-კოლხეთის ბაზაზე რაიმე მნიშვნელოვანი ეთნიკური ერთობა არ წარმოქმნილა, უთუოდ მათი, როგორც პოლიტიკური გაერთიანებების, უმწიფარობა იყო. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: “კოლხეთი რომ სახელმწიფო ყოფილიყო, ისე როგორც ეგრისი იყო გვიან, ის არც აგრე ადვილად გაქრებოდა და ტომები, რომელნიც ასე თავშემონახულნი აღმოჩნდა კოლხეთის დაშლის შემდეგ, გაითქვიფებოდნენ კოლხთა სახელმწიფოში”³.

* * *

ქართული პოლიტიკური ერთეული, რომელსაც წილად ხვდა მიეღწია სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე მაღალი ფორმისათვის ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, იყო ქართლის სამეფო, ანუ იბერია, რომლის ჩამოყალიბებას ძვ.წ. IV ს-ის დასასრულით ან III ს-ის დასაწყისით ათარიღებენ. (ჩვენი ვარაუდით ფარნავაზი გამეფდა ძვ.წ. 312-301 წწ. შორის⁴.)

³ ნ. ბერძენიშვილი. “მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის”, გვ. 365.

⁴ გ. ანჩაბაძე. “ძველი ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების დროისა და პირობების შესახებ”. *ანალები*, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უკრნალი №2 (1999), გვ. 21.

ქართლის სამეფო ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. ფარნავაზამდე კარგა ხნით ადრე ახლანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ადრესახელმწიფოებრივი გაერთიანება არსებობდა, რომელთა შორის მიმდინარეობდა პირველობისთვის ბრძოლა. ერთ-ერთი ასეთი ეთნოპოლიტიკური წარმონაქმნი მდებარეობდა მტკვრისა და არაგვის შესაყართან, სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელ ადგილზე, სადაც იკვეთებოდა სამხრეთ კავკასიაზე გამავალი მაგისტრალური გზები. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ ადგილას სახლობდა ქართველთა ტომი, რომელიც ერთ-ერთი ადგილობრივი ეთნოტერიტორიული წარმონაქმნი იყო ცენტრალური ამიერკავკასიის ქართველურ თუ არაქართველურ ტომებში.

6. ბერძენიშვილის აზრით აღნიშნული გაერთიანების უძველესი ცენტრი მდებარეობდა ქართლის მთაზე, სადაც შემდგომში არმაზის ციხე-ქალაქი გაშენდა, ხოლო ტერიტორია მოიცავდა მცხეთა-არმაზისა და წიწამურის სანახებს (მტკვრის ორივე ნაპირს ქსნიდან ზემო ავჭალამდე და ხერკამდე). როგორც ჩანს, თავდაპირველად სწორედ ამ გაერთიანებას ეწოდებოდა *ქართლო*⁵.

დროთა ვითარებაში ქართლის პოლიტიკურმა ცენტრმა მცხეთაში გადმონაცვლა და იგი (ჯერ კიდევ ფარნავაზამდე) ახლანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტომების უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და საკულტო ცენტრად იქცა, “რამეთუ, – წერს ლეონტი მროველი, – ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდდეს დედა-ქალაქად”⁶.

ასეთ პირობებში, როგორც ჩანს, ქართველთა ტომის განსახლების აღმნიშვნელმა გეოგრაფიულმა ტერმინმა – ქართლმა – ზოგადი მნიშვნელობა შეიძინა და გავრცელდა ძვ.წ. IV ს-ის ბოლოს მცხეთის ჰეგემონობით ჩამოყალიბებულ ვრცელ სამეფოზე, რომელიც უცხოურ წყაროებში *იბერია*დ იწოდება.

ამ დროიდან მოყოლებული რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქართლი-იბერია ყველაზე ორგანიზებულ ძალად გვევლინება ქართველურ ეთნოკულტურულ არეალში. შემთხვევითი არ არის, რომ ეროვნული ტრადიცია ქართული სახელმწიფოებრიო-

⁵ ნ. ბერძენიშვილი. “მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის”, გვ. 208.

⁶ ქართლის ცხოვრება / ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. (სახელგამი, თბილისი, 1955), გვ. 11.

ბის დაბადებას სწორედ ქართლის სამეფოს უკავშირებს. ამ სახელმწიფოს შექმნა მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული ტომების ეთნიკური კონსოლიდაციის ისტორიაში.

ქართლის, ანუ იბერიის, სამეფო მოიცავდა ტერიტორიას ჭოროხის სათავიდან ალაზნის ველამდე და კავკასიონიდან ბამბაკის ქედამდე. ამ მიწებზე ქართველური მოსახლეობის გვერდით სხვა ეთნიკური წარმომავლის ჯგუფებიც ცხოვრობდნენ. ლეონტი მროველის ცნობით, ქართლში თავდაპირველად ექვს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ⁷, მაგრამ ფარნავაზის დროიდან მოყოლებული მხოლოდ ქართული ენა გაბატონდა და “არღარა იხრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუნეირ ქართულისა”⁸. აქ გამარტივებულად არის წარმოდგენილი ის რთული ეთნიკური პროცესი, რომლის შედეგად ქართლის სამეფოს ფარგლებში ყალიბდება ადრეკლასობრივი ტიპის პროტოქართული იბერიული ეროვნება.

უცხოელი ავტორები ქართლის მოსახლეობას, კოლხეთისგან განსხვავებით, სხვადასხვა ტომებისაგან შემდგარ კონგლომერატად კი არ აღიქვამენ, არამედ ერთიანად “იბერებს” უწოდებენ. ამასთან მათთვის ცნობილი იყო, რომ იბერებს შორის განირჩევიან ცხოვრების წესითა და, შესაძლოა, აგრეთვე, ეთნიკური წარმომავლობით განსხვავებული ჯგუფები. კერძოდ, სტრაბონი წერს: “დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი, ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილნი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნებისა არის, უჭირაეს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიცა და ნათესავებიც არიან”⁹. მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, სტრაბონისთვის, ისევე როგორც სხვა ბერძენ-რომაელი ავტორებისათვის, ისინი ყველანი “იბერები” იყვნენ. ამრიგად, სახელწოდება “იბერი” მათთვის იყო არა მხოლოდ ეთნიკური, არამედ უკვე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ცნება.

* * *

თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ანალოგიური პროცესები ვითარდება ჩვენი წელთაღრიცხვის პირ-

⁷ *ibid*, გვ. 16.

⁸ *ibid*, გვ. 26.

⁹ თ. ყაუხჩიშვილი. *სტრაბონის გეოგრაფია* (თბილისი, 1957), გვ.128. – ამ შემთხვევაში სკვითებისა და სარმატების ქვეშ იგულისხმება იმიერკავკასიის მთიელი ტომები.

ველ საუკუნეებში და დაკავშირებულია ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს გაძლიერებასთან, რომელმაც თავის აპოგეას IV-V საუკუნის პირველ ნახევარში მიაღწია.

ეგრისის მეფეთა პოლიტიკური გავლენა მთელს ისტორიულ კოლხეთზე ვრცელდებოდა, თუმცა ადგილობრივი ეთნოტერიტორიული ჯგუფები მათ სახელმწიფოში სხვადასხვა სტატუსით სარგებლობდნენ:

1) სამეფო ადმინისტრაციაზე უშუალოდ დამოკიდებული იყო ახლანდელი დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობა, ძირითადად ზანურენოვანი. აქ ყველაზე სწრაფად განვითარდა ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი. თუ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებში წერილობითი წყაროები აქ ასახელებენ ლაზებს, ეგრებს, სედოხეზებს, ძიდრიტებსა და სხვა ტომებს, V საუკუნისათვის კოლხეთის დაბლობზე, პრაქტიკულად, მხოლოდ ერთი ხალხს ვხედავთ, რომელსაც ბიზანტიელი ავტორები უწოდებენ *ლაზებს*, ხოლო ქართული წყაროები – *მეგრებს*, *მეგრულებს*. სავარაუდოა, რომ ამ ეთნოსის შემადგენლობაში გარდა ზანური ტომებისა, გაითქვიფა აგრეთვე სვანებისა და აფშიღების ნაწილი;

2) კოლხეთის დაბლობის ჩრდილოეთით მოსახლე მთიელი ტომები (აფშიღები, მისიმიანები, სკეიმნები, სვანები) გარკვეული ავტონომიით სარგებლობდნენ ეგრისის სამეფოში. წერილობითი წყაროები აქ მოიხსენიებენ ადგილობრივ მთავრებსა და წარჩინებულებს, რომლებიც ეგრისის მეფეთა დასტურით აკონტროლებდნენ თავიანთ სატომო ტერიტორიებს, აქ განლაგებული სიმაგრეებით. ამ ავტონომიური ტომების ინტეგრაცია მეგრულ-ლაზურ ეთნოსში არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ მოსაზღვრე ჯგუფებს, რომელთა შესახებ ზემოთ იყო ნათქვამი. ამის მიზეზი იყო არა იმდენად ენობრივი სხვაობა ზანებსა და კოლხეთის მთიელ ტომებს შორის (თუმცა ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია), არამედ ეთნოკულტურული და ეკონომიკური კავშირების სისუსტე;

3) ბოლოს, შინაგანი დამოუკიდებლობის ყველაზე მაღალი დონე ეგრისის პოლიტიკურ სისტემაში ჰქონდათ დღევანდელი აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ აბაზებს (აფხაზებს). მათ საკუთარი მეფეების ინსტიტუტიც შეინარჩუნეს, რომლებიც VI საუკუნემდე ლაზთა მეფეების უზენაესობას აღიარებდნენ, ხოლო შემდეგ უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორის ვასალები გახდნენ.

(დ. მუსხელიშვილის დაკვირვებით ასეთი დიფერენციაციის ანარეკლი ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერიტორიაშიც აისახა: «ქართული და უცხოური წყაროები აშკარად ასხვავებენ “ეგრისს” ან “ლაზიკს” “აფხაზეთისაგან”¹⁰. «ვიწრო ეთნიკური “ლაზიკე” ზოგჯერ გვხვდება აფშილეთის, სვანეთისა და ლეჩხუმის გვერდით, მაგრამ პოლიტიკური “ლაზიკე” ამ უკანასკნელთ გულისხმობს, ხოლო აფხაზეთს – არა»¹¹.)

ამრიგად, ახ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც ძლიერდება, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, იგი შეეხო, პირველ რიგში, სამეფო ხელისუფლებისადმი უშუალო ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში მყოფ მოსახლეობას, ხოლო ნაკლებად – ავტონომიურ ეთნოპოლიტიკურ ორგანიზმებს. კოლხეთის დაბლობზე ზანური ტომების საფუძველზე მიმდინარეობს ეგრისელი ხალხის ჩამოყალიბება. IV საუკუნის ეგრისელების შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს: “ეს უკვე ხალხი იყო, სადაც ეგრები პირველობდნენ და მეზობელი ტომების ასიმილაციას აწარმოებდნენ, იქმნებოდა მეგრული ხალხი, რომელსაც ახსოვდა კოლხეთის მორტყმულობა, პოლიტიკური ძლიერება და თავი მის მემკვიდრედ მოჰქონდა”¹². მაგრამ ქართლისაგან განსხვავებით ეგრისის სამეფოში ეს პროცესი მხოლოდ მისი მოსახლეობის ნაწილზე გავრცელდა და ისტორიულ პერსპექტივაში განვითარება ვეღარ ჰპოვა. ამის მიზეზი იყო, ჯერ ერთი, ეგრისის სახელმწიფოს დაცემა და, მეორე, ერთიანი ქართული ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ადრეული იბერიული ეროვნების ბაზაზე დაიწყო და შემდგომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც გავრცელდა.

* * *

ქართველთა გავრცელება ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე და მათ მიერ დასავლეთქართველური მოსახლეობის ასიმილაცია, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაიწყო. კოლხეთის აღმოსავლეთი პროვინცია არგვეთი (მარგვი, მარგუ

¹⁰ დ. მუსხელიშვილი. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, I (მეცნიერება, თბილისი, 1977), გვ. 138.

¹¹ *ibid*, შენ. 237.

¹² ნ. ბერძენიშვილი. “მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის”, გვ. 365.

ეთი), როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, თავდაპირველად მარგის (=მარგალი, მეგრელი) ტომით იყო დასახლებული, თუმცა პოლიტიკურად იმთავითვე ქართლის სამეფოში მოექცა და მალე “გაქართველდა”, რასაც ხელს უწყობდა ქართული და ზანური ენების სიახლოვე.

ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში (IV–V სს.), როდესაც აქტიურად მიმდინარეობს ზანური ტომების ეთნიკური კონსოლიდაცია, ქართიზაციის პროცესი ეგრისში შეიკვეცა, მაგრამ ვითარება იცვლება VI–VIII საუკუნეებიდან. ეგრისის სამეფო VI საუკუნიდან დაცემის გზას დაადგა. მას მიძიმე შედეგი მოუტანა ირან-ბიზანტიის ხანგრძლივმა ბრძოლამ, რომლის ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი ახლანდელი დასავლეთ საქართველო იყო. შექმნილი სიტუაცია გამოიყენეს ბიზანტიელებმა, რომლებმაც ეგრისში ადგილობრივი სამეფო ხელისუფლება გააუქმეს და ქვეყნის სათავეში თავისი ადმინისტრატორი დააყენეს შეზღუდული ავტონომიური უფლებებით (VII ს.).

ამ პერიოდში ლიხს იქითა ოლქებში კვლავ იზრდება ქართულენოვანი მოსახლეობის რიცხვი. ქართლელთა დასავლეთში გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი უცხოელთა შემოსევები იყო. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს: “ჯერ კიდევ სასანელთა ბატონობის დროს დევნილნი, თუ ლტოლვილნი, ქართლ-კახეთითგან დასავლეთ საქართველოში, ლაზიკაში, გადადიოდნენ იქ ეგრისში თუ აფხაზეთის მთებში კპოულობდნენ თავშესაფარს. მცხოვრებთა გახიზვნა თუ გადასახლება მეტის-მეტად გახშირდა არაბთა ბატონობის დროს, განსაკუთრებით მას შემდგომ, როდესაც სარწმუნოებრივი შევიწროვება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ხოლო ხარკი წინანდელთან შედარებით გაორკეცებულ და გასამკეცებულ იქმნა. ამ დროსაც ქართველთათვის ჩვეულებრივი თავშესაფარი და კერა დასავლეთ საქართველო ყოფილა... უეჭველია ყველანი არა ბრუნდებოდნენ უკან; რაკი მათს სამშობლოს დიდხანს დაწყნარება არ ჰქონდა, ისინი იძულებულნი იყვნენ იქ დარჩენილიყვნენ და მკვიდრობა მოეკიდებინათ”¹³.

მაგრამ მოსახლეობის მიგრაცია აღმოსავლეთიდან დასავლეთში მხოლოდ ლტოლვილობა-ხიზნობით არ აიხსნება. VIII საუკუნის პირველ ნახევარში ადგილი აქვს აგრეთვე ფეოდალურ ექსპანსიას ქართლიდან და სამცხიდან. მაგალითად, ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი ატენის სიონის წარწერაში მოხსენიე-

¹³ ივ. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, წ. II (საბჭოთა საქართველო, თბილისი 1965), გვ. 88.

ბულია როგორც “ქართუელთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალი”, რაც ეგრისში ქართლელ ხელისუფალთა განმტკიცებაზე მიუთითებს¹⁴. ერისმთავართა მმართველობა ეგრისში კარგა ხანს გაგრძელდა, სტეფანოზის შემდეგ აქ მეფობენ მისი შვილები – მიჰრი და არჩილი, შემდეგ კი ამ უკანასკნელის ვაჟი – იოანე¹⁵.

VIII საუკუნის რომელიმე მონაკვეთში, როგორც ჩანს, ოძრხის ერისთავებიც ავრცელებენ თავის ძალაუფლებას ლაზეზის ძველ სატომო ტერიტორიაზე ჭოროხის შესართავსა და რიონის ქვემო დინებას შორის. მესხური და ზანური მოსახლეობის შერევის შედეგად აქ ყალიბდება ახალი ქართული სუბეთნიკური ჯგუფი – გურულები, რომლებიც თავდაპირველად ოძრხის ერისთავებს ემორჩილებოდნენ, ხოლო აფხაზთა სამეფოს შექმნის შემდეგ მას შეუერთდნენ და, ამგვარად, პოლიტიკურადაც დასავლეთ საქართველოში გაერთიანდნენ¹⁶.

ამრიგად, VIII საუკუნეში თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პარალელურად მიმდინარეობს ქართველური ეთნიკური ჯგუფების ერთმანეთთან დაახლოებისა და დასავლეთქართველური ტომების ნაწილობრივი ქართიზაციის პროცესი.

* * *

საქართველოს ისტორიაში VIII საუკუნის ბოლო და IX საუკუნის დასაწყისი აღინიშნება ახალი ფეოდალური სახელმწიფოების ჩამოყალიბებით. აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე ადრე კახეთის სამთავრო წარმოიშვა. კახეთში, რომელიც ძველი იბერიის ნაწილი იყო, უკვე დიდი ხანია მიმდინარეობდა სხვადასხვა ადგილობრივი ტომების შერწყმა აქაურ ძირითად ქართულ ტომთან – კახებთან. ძველი ეთნიკური ერთეულების სახელები კახეთის ბარში ამ დროისათვის, ფაქტობრივად, მხოლოდ ტოპონიმიურ რეალიებში გვხვდება (წობენი, კუხეთი, სუჯეთი...). ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ IX საუკუნის შუა ხანების

¹⁴ გ. აბრამიშვილი *სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში* (თბილისი, 1977), გვ. 36, 65.

¹⁵ *ქართლის ცხოვრება* / ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, გვ. 241-243, 249.

¹⁶ ვახუშტი ბატონიშვილი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* / ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (საბჭოთა საქართველო, თბილისი 1973), გვ. 789.

გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე ილარიონი, ტომით კახი და კახეთში დაბადებული, ილარიონ ქართველად იწოდება¹⁷.

რამდენადმე განსხვავებული სიტუაცია იყო კახეთის მეზობელ სამთავროში – ჰერეთში. ეს ძველი ალბანური მხარე ქართლის სამეფოში შედარებით გვიან შევიდა, ვახტანგ გორგასლის დროს¹⁸. ამიტომ VIII–IX საუკუნეებში და, ნაწილობრივ, შემდეგაც აქ შემონახული იყო ადგილობრივი ლინგვისტურ-ეთნოგრაფიული სპეციფიკა. მიუხედავად ამისა, სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით ჰერეთი უკვე ქართული სამყაროს ნაწილი იყო, რაც საბოლოოდ გაფორმდა X–XI საუკუნეებში ჰერეთში ქართული მართლმადიდებლობის გავრცელებითა და მისი კახეთთან გაერთიანებით ერთიან კახეთ-ჰერეთის სამეფოში.

VIII საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ცვლილებები ხდება ლიხსიქითა მხარეში, რომელიც ჯერ კიდევ ბიზანტიის ხელდებულ ქვეყნად ითვლებოდა. ამ დროისათვის აქ დომინირებდა აფხაზთა (აბაზგების) სამთავრო, რომელიც მოიცავდა აგრეთვე აფშილეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ტომთა ტერიტორიებს. ამ პოლიტიკური გაერთიანების ფარგლებში VII-VIII საუკუნეებში აქტიურად მიმდინარეობს ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი. აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავს, რომ «VIII საუკუნისათვის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აშკარა უპირატესობა აბაზგებმა მოიპოვეს. ეს ეთნიკური სახელი მალე უფრო ფართო, განმაზოგადებელ მნიშვნელობას იძენს. მისი ქართული ფორმა – “აფხაზი”, რომელიც მიღებულია “აბაზგი”, “აბაზხი”-დან თანხმოვანთა შინაგანი გადაჯგუფების გზით, ქართული ენის ფონეტიკური კანონების თანახმად..., თანდათანობით საყოველთაო გავრცელებას პოულობს»¹⁹. მართლაც, VI-VIII საუკუნეებიდან წერილობით წყაროებში ქრება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები შედარებით წვრილი ტომური ერთეულების (აფშილები, სანიგები, მისიმიანები, ბრუქები) მოხსენიება და მათ ნაცვლად მემპტიანეები უკვე მხოლოდ

¹⁷ ი. აბულაძე (რედ.). *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წ. II (XI–XV სს.) (თბილისი, 1967), გვ. 10.

¹⁸ დ. მუსხელიშვილი. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, I, გვ. 219.

¹⁹ С.Н. Джанашиа. “Абхазия в составе Колхидского царства и Лазики. Образование «Абхазского царства»”. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*. 2 (1991), გვ. 39.

აბაზგებს, ან აფხაზებს, ასახელებენ. ამრიგად, VIII საუკუნეში ძირითადად სრულდება აფხაზური ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბების პროცესი. მთავარი როლი ამ პროცესში აბაზგებმა და აფშილებმა შეასრულეს, რომელთა შერწყმით იქმნება ერთიანი ეროვნების ბირთვი, და რომელსაც თანდათანობით შეუერთდნენ ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული სხვა ეთნიკური კომპონენტები²⁰.

VIII საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზთა მთავრები კავშირს ამყარებენ აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ძალებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ 730-იანი წლები, როდესაც მურვან-ყრუს შემოსევის დროს ერისმთავრებმა მიჰრმა და არჩილმა აფხაზეთს შეაფარეს თავი. 736 წელს აფხაზ-ქართველთა გაერთიანებულმა ძალებმა ანაკოფიასთან არაბთა ძლიერი შემოტევა მოიგერიეს, რამაც მურვანს უკან დაახევინა და მადე მან ეგრისის ტერიტორიაც დატოვა. “ამის შემდეგ, – წერს პ. ინგოროყვა, – აფხაზთა სახელი განსაკუთრებით პოპულარული უნდა გამხდარიყო და გამხდარა კიდევ ქართულ წრეებში”²¹.

VIII საუკუნის 80-იან წლებში აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ თავისი ხელისუფლება მთელს ახლანდელ დასავლეთ საქართველოზე გაავრცელა, ხოლო 797 წლის ახლოს, ისარგებლა რა ბიზანტიაში ატეხილი შინაური შფოთით, დამოუკიდებლობა გამოაცხადა და “აფხაზთა მეფის” ტიტული მიიღო. ლეონის მიერ შექმნილი სახელმწიფო ისტორიაში შევიდა აფხაზთა სამეფოს სახელწოდებით. ამის შემდეგ წერილობით წყაროებში ფართოდება ცნება “აფხაზეთი” და იგი მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს.

ახალი ქართული ფეოდალური სახელმწიფოებიდან ყველაზე გვიან ტაო-კლარჯეთის სამფლობელი ჩამოყალიბდა (IX ს-ის 20-იანი წწ.). ეს ქვეყანა (მესხეთი ფართო გაგებით) ოდითგანვე ქართლის (იბერიის) ნაწილი იყო და ქართული ტომების ეთნიკური კონსოლიდაცია აქ უკვე შორს იყო წასული. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: “მესხეთში ქართველ ტომთა შერწყმის პროცესი კიდევ უფრო შორს იყო წასული ვიდრე სხვაგან

²⁰ З.В.Анчабадзе. *Очерк этнической истории абхазского народа* (Алашара, Сухуми, 1976), с. 51-52.

²¹ პ. ინგოროყვა. “ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი “ჰამბავთა მწერალი” მე-8 ს-სა”, აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, X (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941), გვ. 127. შენ. 1.

და შავშ-კლარჯ-ჯავახ-სამცხელნი დიდი ხანია თავანკარა ქართველები იყვნენ ერთ, კულტურით, რელიგიით”²². ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ 888 წელს ტაო-კლარჯეთის მფლობელი ბაგრატიონების სახლის მეთაურმა მიიღო ტიტული “ქართველთა მეფე”. ამ შემთხვევაში ტერმინი “ქართველი” უნდა გავიგოთ როგორც “ქართი”, და არა თანამედროვე მნიშვნელობით, ისევე როგორც ტიტული – “აფხაზთა მეფე” ნიშნავდა სრულიად დასავლეთ საქართველოს სუვერენს და არა მხოლოდ საკუთრივ აფხაზთა მმართველს.

* * *

ერთიანი ქართული ფეოდალური ეროვნების შექმნისთვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინაპირობები ყალიბება X საუკუნისათვის, როცა დასასრულს უახლოვდება ქართული სამეფო-სამთავროების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესი. ამ საქმეში შეუძლებელია ქართული ეკლესიისა და დამწერლობის როლის უგულებელყოფა. აფხაზთა მეფეების პოლიტიკამ, შეემცირებინათ ბიზანტიური გავლენა თავის სამფლობელოებში, ახლანდელ დასავლეთ საქართველოში ფართოდ გაუხსნა გზა ქართულ ენასა და დამწერლობას, რომელიც აქ ბერძნული კულტურის ერთადერთ ალტერნატივას წარმოადგენდა. ქართულის გავრცელებას ეგრის-აფხაზეთში, ბუნებრივია, ხელს უწყობდა რეგიონში ქართულენოვანი მოსახლეობის არსებობაც. კერძოდ, VIII საუკუნეში უკვე ქართულენოვანი უნდა ყოფილიყო აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი, “სადაც უფრო ადრე, ვიდრე დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში განვითარდა ქართული ეროვნული კულტურა, იმ ხანად უპირატესად საეკლესიო, ქართლიდან მომდინარე”²³. ამრიგად, “აფხაზთა დინასტია სათავეში ჩაუდგა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შენებას, ქართული კულტურის სამსახურს”, – შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი²⁴. თანამედროვეთათვის, როგორც

²² ნ. ბერძენიშვილი. “საქართველო XI–XVIII საუკუნეებში”. მისივე, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წ. VI (მეცნიერება, თბილისი, 1973), გვ. 13.

²³ С.Н.Джанашиа, Г.В.Хачапуридзе, З.В.Анчабадзе. “Абхазская АССР. Исторический очерк”. *Большая Советская Энциклопедия*. Т. I. 2-е изд. (Москва, 1949), с. 47.

²⁴ ნ. ბერძენიშვილი. “მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის”, გვ. 592.

ჩანს, ქართულ ენაზე დაფუძნებული ღვთისმსახურების (და მასთან ქართული დამწერლობის) არეალის გაფართოვება ქვეყანა “ქართლის” (კულტურულ-საეკლესიო გაგებით) გავრცობად აღიქმებოდა. ამიტომ გასაგებია, რომ გიორგი მერჩულეს ცნობილი ფორმულა – “ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ღოცვად ყოველი აღესრულებს”²⁵ – მოიცავს არა მხოლოდ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ქართლს, არამედ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საქართველოს მთელ ტერიტორიას.

მაგრამ ტერმინი “ქართლი” ამავე დროს ინარჩუნებს ძველ, ვიწრო გაგებასაც. ამიტომ დროთა განმავლობაში (საერთოდ კი “დიდი ისტორიული გზის გამოვლით”²⁶) წარმოიშვა ქვეყნის აღმნიშვნელი ახალი ტერმინი – “საქართველო”, რომელიც გიორგი მერჩულესეული “ქართლის” ფართო გაგებას ესადაგება. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ამ ტერმინის წარმოშობა უკავშირდება ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების მომენტს²⁷. «ეს ფაქტი (ახალი ტერმინის გაჩენა. – გა.), – წერს ნ. ბერძენიშვილი, – თვალსაჩინო მოწმობაა იმისა, ფეოდალურმა წარმოებითა ორგანიზაციამ ამ ორგანიზაციისათვის ახალი სახელი მოითხოვა, რომ ძველმა ტერმინმა “ქართლმა” ვერ მოიცვა ახალი ორგანიზაცია <...> ეს ახალი ორგანიზაცია გასცდა ძველი ეთნიკური ტერმინით მოცულ საზღვრებს»²⁸.

“ახალი ორგანიზაციის”, ანუ ერთიანი საქართველოს, წარმოშობა დაკავშირებულია მეფე ბაგრატ III-ის სახელთან, რომელიც მამის მხრიდან ტაო-კლარჯეთის მფლობელი საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, ხოლო დედის მხრიდან – აფხაზთა მეფეების შთამომავალი. ბაგრატი 978 წელს ავიდა აფხაზეთის ტახტზე და თავისი ხანგრძლივი მეფობის განმავლობაში (გარდ. 1014 წ.) ქუთაისის გარშემო თითქმის ყველა ქართული ტერიტორია გააერთიანა. ბაგრატ III-ისა და მისი მემკვიდრეების სახელმწიფო

²⁵ ი. აბულაძე (რედ.). *ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. წ. I (V–X სს.) (თბილისი, 1963), გვ. 290.

²⁶ ნ. ბერძენიშვილი. “მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის” გვ. 386.

²⁷ ს. ჯანაშია. “ქართველი ერის წარმოშობის შესახებ”. მისივე, *შრომები*, VI (მეცნიერება, თბილისი, 1988), გვ. 180; ნ. ბერძენიშვილი. “მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის” გვ. 200, 385.

²⁸ ნ. ბერძენიშვილი. “მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის” გვ. 200.

პოლიტიკის გატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მცხოვრები აფხაზებიც, რომელთა მხრიდან რაიმე წინააღმდეგობას სამეფო დინასტიის შეცვლასთან დაკავშირებით, ადგილი არ ჰქონია. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზთა სამეფოს გადაზრდა ერთიან ქართულ სახელმწიფოში თანამედროვეთათვის შეუმჩნეველად ხდება, ვინაიდან აფხაზთა სამეფო თავისი არსით იგივე ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო სამეფო ტიტული – “მეფე აფხაზთა” – ერთიანი საქართველოს მეფეების ტიტულატურაში პირველ ადგილზე დარჩა. ამიტომ XI–XIII საუკუნეების ბევრი უცხოელი ავტორი გაერთიანებულ საქართველოს სამეფოს – “აფხაზეთად” მოიხსენიებს, ხოლო “ქართველის” სინონიმად ხმარობს ტერმინს “აფხაზი”²⁹. “აფხაზთა და ქართველთა ასეთი ერთიანობა... – აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, – იყო შედეგი არა ურთიერთ დაპყრობის, არამედ აფხაზთა თანდათან მიშვიდობიანი შემოსვლისა ქართველთა კულტურულ სამყაროში”³⁰.

* * *

ერთიანი საქართველოს წარმოქმნის პარალელურად ფართოვდება ტერმინ “ქართველის” მნიშვნელობაც, თუმცა ისე, რომ პირვანდელი ვიწრო გაგება – ქართლელი – არ დაუკარგავს.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

თაძარის პირველ ისტორიკოსთან 1195 წლის ამბების აღწერისას მოტანილ სამეფო ლაშქრის შემადგენლობაში ვკითხულობთ: “პირველად რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით, მოეგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი; და შემდგომად ამისა ჰერნი და კახნი; შემდგომად ქართველნი (აქ და ქვემოთ გამოყოფა ჩვენია. – გ.ა.); და შემდგომად მესხნი და თორელნი, შავშკლარჯ-ტაოელნი; შემდგომად სომხითარნი; შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურიელნი თანა რაჭა-თაკუერ-მარგუელითურთ, და თუთ კარვის კარსა ჰელისუფალნი და შინაურნი”³¹.

²⁹ ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: З.В.Анчабадзе. *Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.)* (Абхазское государственное издательство, Сухуми, 1959), с. 171-177.

³⁰ ნ. ბერძენიშვილი. “აფხაზეთის შესახებ”. მისივე, *საქართველოს ისტორიის საკითხები*. წ. III (მეცნიერება, თბილისი, 1966), გვ. 287.

³¹ *ქართლის ცხოვრება* / ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (გამომც. საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1959), გვ. 65.

“ქართველი” ვიწრო გაგებით გვხვდება “უამთაბამწერელთა-ნაც”, როდესაც ისტორიკოსი აღწერს ლაშა-გიორგის მხედრობის განლაგებას განჯის გარშემო: “რამეთუ ერთ-კერძო მკარგრძელნი დგეს, და ერთ-კერძო ჰერ-კახნი და სომხითარნი, ქართველნი და თორელნი, ერთ-კერძო აფხაზნი, დადიან-ბედიანნი და ლითიქითნი ზემოკიდებით ურთიერთას”³².

ქართულ წერილობით წყაროებში ტერმინი “ქართველი”, ქართლელის მნიშვნელობით, XVIII საუკუნემდე შემორჩა (მაგ., “ქართველთა და კახთა დიდებულთა კაცთათვის”³³).

XI-XIII სს-ის ქართული წერილობითი წყაროებში, ტერმინ “ქართველს” აქვს მეორე, შედარებით ფართო გაგებაც, რომლითაც აღინიშნებოდა ქართი, ანუ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ტომობრივ-ტერიტორიული ჯგუფების (ქართლელები, კახები, მესხები, კლარჯები, მარგველები და სხვ.) წარმომადგენელი. ცნება “ქართველის” ასეთ გაგებას ვხედავთ, მაგალითად, ხალხთა მონათესაობისა და განრიგების კვლევებში, რომლებიც ეყრდნობოდნენ ბიბლიურ ტრადიციას წარდგენისშემდგომი კაცობრიობის ნოეს ოჯახიდან წარმოშობის შესახებ. ასეთი კვლევების წარმოება მიღებული იყო ბიზანტიასა და მის კულტურულ არეალში შემავალ ქვეყნებში. შუა საუკუნეების საქართველოშიც არსებობდა ინტერესი “თუ რაოდენნი ნათესავნი არიან ქუეყანასა ზედა”³⁴. კერძოდ, შემორჩენილია ბერძნულ მწერლობაზე დამყარებული ექვთიმე ათონელის (955-1028) ნაშრომი, სადაც ჩამოთვლილია ავტორისათვის ცნობილი ხალხები. აქ სემის შთამომავალთა შორის ებრაელების, ინდოელების, სომხების, გერმანელების და სხვათა გვერდით, ასევე გამოყოფილად ვხედავთ ქართველებს, ჰერებს, აფხაზებს, მეგრელებს³⁵. შემონახულია მეორე ანალოგიური ქართული ძეგლიც, რომელიც XIII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს, რადგან მასში მოიხსენიებიან თათრები. აქაც ცალ-ცალკეა დასახელებული “ქართველნი”, “აფხაზნი”,

³² *ibid*, გვ. 153.

³³ პაპუნა ორბელიანი. *ამბავნი ქართლისანი* / ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა (მეცნიერება, თბილისი, 1981), გვ. 212.

³⁴ ციტ.: კ. კეკელიძე. “ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში”. მისივე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურისა ისტორიიდან*, I (თბილისის სახ. უნტის გამომცემლობა, თბილისი, 1956), გვ. 179.

³⁵ *ibid*, გვ. 171.

“სვანნი”, “მეგრელები”, “დვალნი”³⁶. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ხალხთა კლასიფიკაცია ემყარება მკაცრად ენობრივ ფაქტორს: ერთი ენა უდრის ერთ ხალხს, ერთ “ნათესავს”. ცნება “ქართველი” ამ გაგებით მოიცავდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ ქართველებს, დასავლეთ ქართველური ჯგუფების გარეშე.

იგივე მიდგომას ვხედავთ XI საუკუნის ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებში – ლეონტის მროველის თხზულებაში “ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა”, რომელიც, სავარაუდოდ, უფრო ადრინდელ ქართულ წყაროებს ეყრდნობა. თხზულების შესავალ ნაწილში, რომელიც ნახევრად მითიურ ხასიათს ატარებს, კავკასიის ხალხები წარმოდგენილი არიან ერთი წინაპრის, თარგამოსის, შთამომავლებად, რომელიც თავის მხრივ ნოეს მესამე შვილის, იაფეთის, ძისწული იყო. თითქოს ბაბილონის გოდოლის დაქცევის შემდეგ იაფეთი თავისი ოჯახით არარატის მთასთან დასახლდა და კავკასიის ტერიტორია თავის ვაჟებს დაუნაწილა. ლეონტის აზრით, ამ უკანასკნელთა სახელებიდან – ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკოს, ჰეროს, კავკას და ეგროს – წარმოდგება მათი შთამომავლების, კავკასიის მეზობელი ხალხების (შესაბამისად, სომხების, ქართველების, რანების, მოვაკელების, ლეკების, ჰერების, კავკასიანებისა და მეგრელების) სახელწოდებები³⁷.

როგორც ვხედავთ, XI საუკუნის ქართველი ავტორის წარმოდგენით ქართველებს (ქართველებს) და მეგრელებს ერთმანეთთან იმავე ხარისხის ნათესაობა აკავშირებდათ, როგორც ლეკებთან, სომხებთან, ალბანელებთან (რანებთან) და სხვა მეზობელ ხალხებთან. ანუ აქაც ეთნიკურობის განმსაზღვრელი მომენტი ენაა – ქართველები ეწოდებოდათ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ტომებს. თუ რომელი ტომები იგულისხმებოდა ქართლოსიანებში (ქართლოსის შთამომავლებში), ვიგებთ ქართველთა მითიური ეპონიმის შვილებისა და შვილიშვილების სახელებიდან – მცხეთოსი, კახოსი, კუხოსი, ოძრხოსი, ჯავახოსი და ა.შ.³⁸

ბოლოს, ერთიანი ქართული სამეფოს ჩამოყალიბებამ მოიტანა ცნება “ქართველის” მესამე, ყველაზე ფართო გაგება. თუკი აქამდე ამ ტერმინს მხოლოდ ეთნიკური (“ქართლოსიანი”) და პოლიტიკური (ქართლის სამეფოს ან საერისთავოს წარმომადგენელი) მნიშვნელობა ჰქონდა, ამჯერად მან უკვე კულტურულ-სო-

³⁶ ibib, გვ. 179.

³⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 3-6.

³⁸ ibib, გვ. 8-10.

ციალურ-სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა. ამ ფართო გაგებით “ქართველი” “ტერიტორიული ქართლის მკვიდრს კი არ ნიშნავს, არამედ გარკვეული ნიშნების მატარებელ ადამიანს, გარკვეული კულტურული იერის ადამიანს, დამოუკიდებლად მისი სადაურობა-წარმოშობისა”³⁹; ანუ “ქართველი” ეწოდებოდა ყველას, ვინც “მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, აღიარებდა ქართულ ქრისტიანობას (დიოფიზიტურს), ნახიარები იყო ქართულ ფეოდალურ ურთიერთობებს და ქართულ კულტურულ თუ პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობდა. ამასთან სარბიელს მხოლოდ ქართლი (თუნდაც პოლიტიკური მნიშვნელობით) კი არ წარმოადგენდა, არამედ მასში ეგრის-აფხაზეთიც, ჰერეთიც, კავკასიის მთიანეთიცა და მოსაზღვრე სომხური მიწებიც ივულისხმებოდა”⁴⁰. ამრიგად, დაახლოებით, XI საუკუნეიდან ტერმინი “ქართველი” ფართო გაგებით ფარავს უკვე არა მარტო ცნებებს – “ქართლელი” და “ქართი”, არამედ მოიცავს დასავლეთქართველურ ჯგუფებსაც (მეგრელებს, სვანებს) და მათთან ერთად აფხაზებს, ჰერებს, დვალებს, ხოლო გარკვეულწილად აგრეთვე ჩრდილოკავკასიელ მთიელებსა (ალანები, დურძუკები, ხუნძები და სხვ.) და ქალკედონიც სომხებს.

(თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, ივანე მხარგრძელი, როდესაც დარწმუნდება მართლმადიდებლობის /“სარწმუნოება ქართველთა”/ უპირატესობაში, მოუწოდებს თავის ძმას, ზაქარიას, ქართველთა რჯულის მიღებას, მაგრამ ის უარზეა და ამბობს: “მე არა შევერთვი ქართველთა”⁴¹. ამ ეპიზოდიდან ჩანს, რომ სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით ისეთი უეჭველი ქართველიც კი, როგორც იყო ზაქარია ამირსპასალარი, დიოფიზიტობის გარეშე “სუფთა” ქართველად მანც არ ჩაითვლებოდა.)

ფართო გაგებით იყენებს ტერმინს “ქართველი” თამარის ისტორიკოსი 1202 წლის ამბების აღწერისას: მისი ცნობით, რუჟენ აღ-დინის წერილი თამარ მეფისადმი შეიცავდა სიტყვებს: “შენ გიბრძანებია ქართველთათვის ადებად ჳრმალი მუსლუმანთა ჳოცად”⁴². ცხადია, ამ შემთხვევაში “ქართველი” ფართო გაგებით

³⁹ ნ. ბერძენიშვილი. “ მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის” გვ. 200.

⁴⁰ მ. აბდუშელიშვილი, დ. მუსხელიშვილი, ი. სურგულაძე. “ქართველები”, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10 (თბილისი, 1986), გვ. 460.

⁴¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 88, 90.

⁴² ibib, გვ. 93.

არის ნახმარი და არა ქართლელის ან ქართის მნიშვნელობით. ასევეა შემდეგაც, ბასიანის ბრძოლის აღწერაში⁴³. ბრძოლის ველზე საკუთრივ ქართლელთა კონტინგენტი საბრძოლო წყობის მარცხენა ფლანგზე იმყოფებოდა, მაგრამ ისტორიკოსი მოწინავე რაზმის შემრებსაც (მესხები, თორელები, სომხითარები და მეწინავე სადროშოს სხვა წარმომადგენლები) ქართველებს უწოდებს (“ქუეითნი ქართველნი”)⁴⁴. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება⁴⁵, მაგრამ ესეც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ: XI–XIII საუკუნეებში ქართულ წერილობით წყაროებში ტერმინი “ქართველი” სამი მნიშვნელობით იხმარება:

ქართლელი;

ქართი;

საქართველოს სამეფოს წარმომადგენელი და ქართული ეკლესიის ადეპტი (ქართველი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური გაგებით).

* * *

ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბების შემდეგ მეზობელ ხალხებს უპირატესად სწორედ ფართო მნიშვნელობით ესმით ქართველობა და თვლიან, რომ ქართველები ცალკეული ტომობრივი ერთეულების კრებულს წარმოადგენენ. კერძოდ, ასეთ სუპერეთნიკურ გაერთიანებად წარმოუდგენია ქართველები XII საუკუნის ბიზანტიელ ავტორს იოანე ცეცესს, რომელიც წერს:

იბერები და აბაზგები ერთი ტომისა (არიან),

იბერნი პირველობენ, აბაზგები მეორენი არიან,

ხოლო აღანებს უკანასკნელი, მესამე ადგილი უჭირავთ⁴⁶.

ქართველი ხალხის შემადგენლობის შესახებ მსგავსი ხედვა აქვს აგრეთვე XV საუკუნის სომეხ ისტორიკოსს თოვმა მეწოფე-

⁴³ ibib, გვ. 96, 97.

⁴⁴ ibib, გვ. 97. არდაველზე გალაშქრებისას 1205 წელს იგივე ავტორი უკვე ვიწრო მნიშვნელობით ხმარობს ეთნონიმს “ქართველი” (“უბრძანა მესხთა, თორელთა, თმოგუელთა, ჰერ-კახთა, სომხითართა; ქართველნი არა წარიტანნეს, რათა არ აგრძნან არდაველს მყოფთა” / ibib, გვ. 102/).

⁴⁵ ibib, გვ. 15, 81, 86, 89, 90, 93, 102 და სხვ.

⁴⁶ ს. ყაუხჩიშვილი (რედ.). *გეორგია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტ. VII (თბილისი, 1967), გვ. 23.

ცის. მისი ცნობით, ქართველთა “მოდგმა” რვა “ენისგან” შედგება: “დრალი (დვალი. – გ.ა.), ოსელი, იმერელი, მეგრელი, აბხაზი, სონი, ქართველი (ქართლელი. – გ.ა.), მესხი”⁴⁷.

ამრიგად, სომეხი ავტორი ქართველებში აერთიანებს როგორც ქართველებს (დასახელებულია: ქართლელები, იმერლები, მესხები), ასევე დასავლეთ ქართველურ ტომებს (მეგრელებს, სვანებს), და მათთან ერთად დვალებს, ოსებსა და აფხაზებს. ის მომენტი, რომ დვალები, ოსები და აფხაზები ენობრივად ქართველურ ჯგუფს არ ეკუთვნიან, შუა საუკუნეების ავტორთათვის ხელისშემშლელი ფაქტორს არ წარმოადგენდა, ვინაიდან “ქართველი” მათთვის, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ცნება იყო.

ქართველობა ფართო გაგებით, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა სუპერეთნოსის შემადგენელი ულემენტების გაქრობასა და ასიმილაციას საკუთრივ ქართველებთან (თუმცა ამისი მაგალითიც არსებობს – ჰერები). «თითოეულ ტომს თუ ხალხს, – წერს ნ. ბერძენიშვილი, – თავისი კულტურა ჰქონდა, თავისი სატომო ენაც ჰქონდა, მაგრამ ქრისტიანობა მეტად დიდი ახალი ფენომენი იყო, ახალ ურთიერთობასთან შეგუებული, ფეოდალიზმის დიდი იარაღი და მისი ენაც ქართული იყო. ბუნებრივია თუ ყველა ეს სატომო ენა და კულტურა “საშინაო” გახდა. მათი არსებობა-განვითარების საკითხი არც იდგა და არც ერთი მეგრელი, დვალი, ჰერი თუ აფხაზი არ ცდილა თავის შინაურ ენაზე მწიგნობრობის შემოღებას და კმაყოფილდება ქართულს, რომელიც ყველა მათ საერთო ენად იქცა»⁴⁸.

სამწუხაროდ, წყაროთა სიმწირის გამო ძნელია განსაზღვრა, თუ რამდენად ღრმად იყო საქართველოს სამეფოს მოსახლეობის ფართო ფენებში “კულტურულ-პოლიტიკური” ქართველობის შეგრძნება, მაგრამ ცხადია, რომ ფეოდალური კლასი და მწიგნობარ-სწავლულთა წრე საკმაოდ მკაფიოდ აცნობიერებდნენ ამ ფაქტს. «ამიტომაც იყო, რომ არავითარი ტომობრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ფეოდალურმა საქართველომ არ იცოდა, ფეოდალები “საქართველოს” განსახიერება იყვნენ, ქართული ფე-

⁴⁷ თოვმა მეწოფეცი. *ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შტამომავლები-სა / ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ (მეცნიერება, თბილისი, 1987), გვ. 24.*

⁴⁸ ნ. ბერძენიშვილი. “ მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის” გვ. 415-416.

ოდალური საზოგადოების თანასწორად შემომქმედნი იყვნენ»⁴⁹.

ტერმინ “ქართველის” ამ ფართო მნიშვნელობით ხმარება ქართულ მწერლობაში XVIII საუკუნემდე გვხვდება. ევროპაში დიპლომატიური მოგზაურობიდან გამობრუნებული სულხან-საბა ორბელიანი 1715 წელს კუნძულ მალთაზე თანამემამულეებს შეხვდა: “ქართველნიც ვნახე: ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისთვის წაერთმიათ. ენა ისევ კარგა იცოდნენ. აფხაზმა რატომ იცოდა, ის გამიკვირდა, ქართული!” – წერს იგი⁵⁰. როგორც ვხედავთ, საბას ცნება “ქართველში” აფხაზიც შეჰყავს, თუმცა მან იცის, რომ აფხაზები სხვა ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო ქართული ენის ცოდნა მათში იშვიათობაა.

ასეთივე ფართო გაგებით ხმარობდა “ქართველს” კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში ამ ცნებაში აერთიანებს როგორც ეთნიკურ ქართველებსა და აფხაზებს, ასევე კავკასიის მთიელებს:

ვახუშტის უქებ ღეოღრაფის ცნობასა,
ისტორიათ თქმას, ვრცელ ბრძნად გარდმოცემას.
ამან დაწყებით ქართუშლთა ისტორია, –
კახთ, მესხთ, აფხაზთა, მეგრელთა სუან კავკასთა, –
აღწერა, დაჰშურა, შეეწია ქართუშლთა.

“ტერმინის ასეთი გაგება... მისაწვდომი იყო მშობლიური წარსულის კარგად მცოდნე პირებისათვის” – წერს ს. ჯანაშია⁵¹. იგი იმ ეპოქის გამოძახილი იყო, როდესაც ფეოდალური საქართველო კავკასიის ხალხების პოლიტიკური გამაერთიანებლის როლში გამოდიოდა. მაგრამ XVIII საუკუნეში, როდესაც მოდგაწეობენ სულხან-საბა და ანტონ I, ტერმინ “ქართველის” ასეთი გაგება უკვე ნაკლებად შეესაბამებოდა რეალურ ვითარებას, განსაკუთრებით, ჩრდილო კავკასიასთან მიმართებაში. გარდა ამისა, აღარ არსებობდა ის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ბაზა – ერთიანი ქართული სამეფო, რომლის საფუძველზე წარმოიშვა ამგვარი გაგება ტერმინისა “ქართველი”. იცვლება თვით ცნება “საქართველოს” გაგებაც. ერთიანი სამეფოს დროს საქართველო

⁴⁹ *ibid*, გვ. 416.

⁵⁰ სულხან-საბა ორბელიანი. *მოგზაურობა ევროპაში* / ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით (ფედერაცია, თბილისი, 1940), გვ. 129.

⁵¹ ს. ჯანაშია. “გიორგი შარვაშიძე. კულტურულ ისტორიული ნარკვევი”. მისივე. *შრომები*, VI, გვ. 55.

ეწოდებოდა მთელ იმ ტერიტორიას, რომელსაც მოიცავდა ბაგრატიონთა მონარქია, ცალკეული რეგიონების ეთნოკულტურული სპეციფიკის მიუხედავად.

(XIV საუკუნის 30-იან წლებში ყირიმში მოღვაწე სომეხი გადამწერი ტერტერ ერევანცი თავის თავზე წერს: “მე, ტერტერი, უღირსი მწერალი, რომელმაც ეს წიგნი, ვარდანი დავწერე... მოვედი საქართველოდან, ხორ-ვირაპის და ენშიაძინის მეზობელი შესანიშნავ ქალაქ ერევნიდან”.)

ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ ტერმინმა “საქართველო” დაკარგა პოლიტიკური შინაარსი და, ფაქტობრივად, ეთნოგეოგრაფიული ხასიათის ცნებათ დარჩა. მაგრამ ხუთსაუკუნოვან ერთობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ერთიანი საქართველოს ნანგრევებზე აღმოცენებული სამეფო-სამთავროების აღსანიშნავად ჩნდება ტერმინი “საქართველონი” (მრავლობით რიცხვში)⁵², რაც საერთო-ეროვნულ თვითშეგნებაზე მიუთითებს. ამ დროისათვის ქართველები უკვე წარმოადგენენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ შედარებით მყარ ეთნოსოციალურ ერთობას. ამიტომ ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და განუწყვეტელი შინაომების პირობებშიც არ გამქრალა წარმოდგენა საქართველოზე, როგორც საერთო სამშობლოზე. აღსანიშნავია, მაგალითად, ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის დიპლომატიური მიმღწერა რუსეთის მეფესთან, სადაც ლევანი თავის თავს ასე უწოდებს: “იგერიის ქვეყნის მეგრულ მხარეში მცხოვრები ლევან დადიანი”⁵³. ასევე ცალკეული ქართული პოლიტიკური ერთეულების მოსახლეობა ქართველებად იწოდებოდა და ლოკალური განსხვავებების მიუხედავად ინარჩუნებდა ეროვნულ-კულტურული მთლიანობის შეგნებას.

რამდენადმე განსხვავებული ვითარება შეიქმნა მხოლოდ აფხაზეთში, რადგან აფხაზთა ეთნოკულტურული ინტეგრაცია ქართულ სამყაროში საკმარისად მყარი არ აღმოჩნდა. ამასთან თვითონ აფხაზებს (ყოველ შემთხვევაში მათ ფეოდალურ ზედაფენას, რაც მტკიცდება XVIII–XIX ს-ის დასაწყისის წყაროებით) კარგად ახსოვდათ, რომ ერთიანი ქართული სამეფოს დროს მათი ქვეყანა ამ სახელმწიფოს ნაწილი იყო.

აფხაზეთის ერთგარი ჩამოშორება სრულიად საქართველოსაგან შესამჩნევი ხდება XV–XVI საუკუნეების შემდეგ, რისი ერთ-ერთი პირველი ნიშანი იყო აქ ქრისტიანობის შესუსტება.

⁵² მაგალითად, იხ.: *ქართლის ცხოვრება*, ტ. II, გვ. 349.

⁵³ С.Белокуров. *Материалы для русской истории* (Москва, 1888), с. 300.

აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოება, როგორც ჩანს, ადრევე შედარებით ზედაპირულად იყო გავრცელებული. ნ. ბერძენიშვილი ამ მოვლენის კონკრეტულ მიზეზებსაც ხსნის: “ქრისტიანობა აფხაზეთში, – წერს იგი, – უცხო ენაზე იყო გავრცელებული და ასეთადვე რჩებოდა, რამდენადაც აფხაზები ამ ქრისტიანული ენების (ბერძნულის, ქართულის) მიმართ ენობრივად უცხონი იყვნენ და უცხონივე რჩებოდნენ”⁵⁴. ქართული ენა აფხაზეთში მხოლოდ გაბატონებული კლასისათვის იყო ხელმისაწვდომი, ხოლო მოსახლეობის ფართო ფენები მას არ ფლობდნენ. ამის მთავარი მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ აფხაზური ეთნოსი ქართულენოვანი მოსახლეობისაგან დასავლეთქართველური ენების ბარიერით იყო გამოიჯნული. ამიტომ ქრისტიანობამ ვერ მოახერხა აფხაზეთში ამოეფხვრა ტრადიციული კულტები და რწმენა-წარმოდგენები, და როდესაც საქართველოში პოლიტიკური და კულტურული დაცემა დაიწყო, აფხაზეთში ქრისტიანობა თითქმის მოიშალა და ძველი სარწმუნოებრივი შეხედულებები აღორძინდა, რასაც XVIII საუკუნიდან დაემატა ნაწილობრივი, ასევე ზედაპირული ისლამიზაცია. ამიტომ წერს ვახუშტი: “აფხაზები არღარა მონებენ [ქრისტიანულ] რჯულსა და სარწმუნოებას”⁵⁵. XVII–XVIII საუკუნეებში მკვეთრად მცირდება ქართულ-აფხაზური კულტურული კავშირების ინტენსიურობა, თუმცა მთლიანად ეს კავშირები არასოდეს არ გაწყვეტილა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო XVII–XVIII საუკუნეების უცხოელი დამკვირვებლები, ადრინდელი პერიოდისაგან განსხვავებით, აფხაზეთს აღარ განიხილავენ საქართველოს ნაწილად. მაგალითად, პატრიარქი მაკარი ანტიოქიელი, რომელმაც XVII საუკუნის 60-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში, ქართული სახელმწიფოების ჩამოთვლისას ასახელებს მხოლოდ იმერეთს, კახეთს, ქართლს, სამეგრელოსა და გურიას. “და მთელი ქართული მიწები, – წერს იგი, – [გადაჭიმულია] მდინარე ალაზნიდან და კახეთისა და ყიზილბაშთა საზღვრიდან – აფხაზეთამდე” (“И все грузинская земли есть от реки Алезани и до Кахетцкие пределы и Кызылбашские до Опхазия”)⁵⁶.

⁵⁴ ნ. ბერძენიშვილი. “მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის” გვ. 593-594.

⁵⁵ ვახუშტი ბატონიშვილი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, გვ. 785.

⁵⁶ მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა, შედგენილი პავლე აღუპოელის მიერ) / ტექსტი

ანალოგიური სურათია გიულდენშტედტის თხზულებაში, სადაც საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის აღწერისას ჩამოთვლილია მისი მეზობელი ქვეყნები და დაღესტნის, ქისტეთის, ოსეთის, ბალყარეთის, თურქეთისა და სპარსეთის პროვინციების გვერდით დასახელებულია აფხაზეთიც (*Abchasia*)⁵⁷.

XVII–XVIII საუკუნეების ოსმალურ დოკუმენტებშიც აფხაზეთი (أبازا 'Abaza') არ იგულისხმება საქართველოს (گرجستان 'Gurjistan') შემადგენლობაში. კერძოდ, XVIII საუკუნის დასაწყისის ოსმალურ რელაციებში, რომლებიც სტამბოლში იგზავნებოდა შავიზღვისპირეთიდან, ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ანაკლიისა და რუხის ციხეები მოხსენიებულია, როგორც სასაზღვრო პუნქტები საქართველოსა და აფხაზეთს შორის⁵⁸. როგორც ვხედავთ, თურქი მოხელეები ოდიშის სამთავროს, მისი პოლიტიკური ავტონომიურობის მიუხედავად, განიხილავენ უფრო დიდი ქვეყნის – საქართველოს შემადგენელ ნაწილად, ხოლო აფხაზეთს კი ცალკე ტერიტორიულ ერთეულად მიიჩნევენ.

ამრიგად, აფხაზური ეთნოსი, რომელიც თავიდანვე მონაწილეობდა ერთიანი საქართველოს შენებაში და მისი ხალხის ნაწილად აღიქმებოდა ფართო, სოციალურ-პოლიტიკური, გაგებით, შუა საუკუნეების მიწურულში, ფაქტობრივად, გამოდის ამ ფარგლებიდან, მიუხედავად იმ მრავალი “ძაფისა”, რომელიც კვლავინდებურად აკავშირებდა ფეოდალურ აფხაზეთს საქართველოს ცენტრალურ რეგიონებთან. ამიტომ, როგორც ჩანს, აფხაზეთში, იგივე სამეგრელოსგან განსხვავებით, ფეხი ვერ მოიკიდა ერთიანი ქართველი ხალხისადმი კუთვნილების შეგნებამ.

აფხაზეთის სამთავროს გამოცალკეებაზე ქართული პოლიტიკური სისტემიდან ისიც მოწმობს, რომ აფხაზები არ მონაწილეობენ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების მიერ საერთო ძალებით გატარებულ პოლიტი-

გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა (მეცნიერება, თბილისი, 1973), გვ. 70.

⁵⁷ *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, ტ. 1 / გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა (თბილისი, 1962), გვ. 182-183.

⁵⁸ *ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII–XVIII სს.)* / თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილდებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ (მეცნიერება, თბილისი, 1982), გვ. 40, 91.

კურ აქციებში (ტყვის სყიდვის აკრძალვა, საეკლესიო საქმეთა მოვარების ცდები, 1790 წლის სამოკავშირეო ტრაქტატი და სხვ.).

1790 წლის “ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა”, რომლის გაფორმებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართლ-კახეთის სამეფოს ვიცე-კანცლერს სოლომონ ლიონიძეს, ჩვენი გამოკვლევისათვის მნიშვნელოვანი წყაროა. ტრაქტატის ტექსტი საყურადღებოა იმითი, რომ აქ დასტურდება ტერმინ “ქართველის” ახლებური განმარტება, დაფუძნებული მკაცრად ეთნოკულტურულ და ლინგვისტურ ფაქტორებზე. კერძოდ, ტრაქტატის პრეამბულაში ნათქვამია: “ვინათგან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ-მორწმუნეობა, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის”⁵⁹.

ქართული შუასაუკუნეების მიწურულში მოცემული ეს განსაზღვრება, დამყარებული სარწმუნოების, ენისა და ეთნიკური წარმომავლობის მომენტებზე, ძალიან ახლოა ილია ჭავჭავაძის ცნობილ გამოთქმასთან: “მამული, ენა, სარწმუნოება”, რომელიც ქართველი ბურჟუაზიული ერის ფორმირების დროს იყო ნათქვამი.

ამრიგად, XVIII საუკუნის ქართულ წერილობით წყაროებში ვხედავთ ფართო გაგებით აღებული ტერმინ “ქართველის” ორ მნიშვნელობას: 1) ტრადიციული, დაფუძნებული კულტურულ-ისტორიულ ფაქტორებზე (სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ კათალიკოსი) და 2) ახალი, მხოლოდ ეთნო-კონფესიურ რეალიებზე დამყარებული (სოლომონ ლიონიძე). პირველ შემთხვევაში ცნებაში “ქართველი” აფხაზიც იგულისხმება, მეორე გაგება კი მოიცავს მხოლოდ ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფებს.

ეს განსხვავება ქართული ინტელექტუალური ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შეხედულებებში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აიხსნას აღმოსავლეთ საქართველოში (საიდანაც იყო ეს სამივე მოღვაწე) მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებით, რამაც ისტორიულ-საზოგადოებრივი შეხედულებების ტრანსფორმაცია გამოიწვია. სულხან-საბა ორბელიანზე დაახლოებით ასი წლით გვიან დაბადებული და ანტონ კათალიკოსის უმცროსი თანამედროვე სოლომონ ლიონიძე უკვე სხვა ეპოქის

⁵⁹ პ. იოსელიანი. *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა* (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1978), გვ. 18.

შვიდი იყო. მისი მოღვაწეობის ხანა ემთხვევა ქართლ-კახეთში ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რღვევის დასაწყისსა და კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობების ჩასახვას. როგორც ჩანს, ახალმა სოციალურ-პოლიტიკურმა ფონმა ეთნიკურობის განსაზღვრის ახალი კრიტერიუმები წარმოშვა. ამრიგად, XVIII საუკუნის ბოლოს მთლიანობაში იკვეთება ქართველი ხალხის ის შემადგენლობა, რომელიც საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობების გამარჯვების შემდეგ ქართულ ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბდა.

*პირველად დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის
(26–27 ნოემბერი, 2007) მასალების კრებულში – “ქართველი ერის
დაბადება”.*

*“ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა”,
თბ., 2009.*

Principal Stages of Ethnical Development of the Georgian Nation from Ancient Times to the Phase of Nation Formation

Prominent Georgian historian, Academician N. Berdzenishvili wrote in his time: "Our historians (moreover, non-historians) believe that "Georgia", in fact, has always been situated on the place where the Georgian race has lived. There is no necessity of discussing that this is a wrong opinion. There have existed several different productive-cultural organizations, i.e. several different "peoples" on the placement territory of the Georgian nation. A country is exactly each of these organizations and not the territory and the people dwelling on it. Territory and race (ethnic) may remain unchanged for a long time, while the country may be experiencing repeated changes: a pre-class country, a slavery country, a feudal country, etc."

These words of the scientist are absolutely adequate to the ethnic development of the Georgian people. "Different 'peoples'", as mentioned by N. Berdzenishvili, means Georgian ethnos in different historic epochs, since every phase of social-economic development corresponds to an ethnic type characteristic to it. Usually there are three types of historically formed ethnos:

1. tribe (for pre-class and early-class society /family and territorial tribes/);
2. nationality (for early-class, slavery and feudal societies);
3. nation (for capitalist society).

All three types of ethnos are based on social-economic basis of a definite formation and are distinguished from the previous one by higher forms of consolidation and stability.

In the given article, alongside with nationality and nation, we use another term "people"-the word of a wide meaning, but with its ethnic sense, i.e. to denote ethnic unity with its specific language (or languages), with the historically formed area of placement and ethnographic peculiarities.

* * *

Georgians are one of the most ancient people. Georgian (*kartvel*) tribes – Meskhs, Colkhs, Saspers, Ibers, Chans, Svans and others are mentioned as early as in Ancient Eastern and Classical sources. Their placement zone covered modern Georgia and some neighboring regions, especially in the north-east part of Anatolia. Furthermore, on the territory of present Georgia there

have also lived Abkhaz-Adighe and Nakh-Daghestani tribes since ancient times, who had cultural and ethnic relation with ancestors of the Georgians.

Ancient Georgian (*kartvel*) tribes were divided into three closely related groups – Karts, Zans (Megrel-Chans) and Svans¹. It is believed, that dividing the proto Georgian (*kartvel*) language into Georgian, Zanian and Svanian branches occurs at the end of the III millennium and the beginning of the II millennium BC (according to another opinion, in the II - the beginning of the I millennium BC). Naturally, in Pre-historic epoch, as well as at the early stages of written history, there did not exist Georgian people and there was no sense of ethnic unity not only among Georgian tribal groups, but, presumably, among separate tribes involved in these groups either. Understanding of unity arrives as a result of ethno-political development, when there appear first early state unions, since, first of all, it is the state organization that conditions political and ethno-cultural consolidation of related and non-related ethnic groups around one centre.

The origin of the Georgian statehood is sometimes related to the political formations of *Diaukhi* and *Culkha*, which are mentioned in ancient Eastern sources (here we do not consider the topic of how well-documented the subject of *Diaukh*'s relation to the Georgian world is), although these formations did not manage to provide appreciable scale of ethnic development. For example, in the 5th century BC the descendants of the *Diaukh* are mentioned under the name of the *Taokhs* as one of the tribes of the Chorokh valley.

Neither Colkhida – *Culkha*'s heir - revealed vivid signs of ethnic consolidation. Greek and Roman sources name numerous different tribes here, among which are the Colkhs too, who prevailed other local ethnic groups by ethno-social development. This is why their name disseminated throughout the region.

The main reason of why not a single important ethnic union originated on the basis of *Diaukhi* and *Culkha-Colkhida*, must be their immaturity as political unions. Academician N. Berdzenishvili states: "If Colkhida had been a state, just like Egrisi was later, it would not have vanished so easily and the tribes which appeared so self-protected after the disintegration of Colkhida, would have mixed up within the state of the Colkhs

* * *

The Georgian political unit that managed to reach the highest form of the state organization as early as the old era was kingdom of Kartli, or Iberia,

¹ The first two terms were created with this meaning through literacy.

the formation of which is dated back to the end of the 4th c or the beginning of the 3rd c BC (we presume that Parnavaz, who, according to national tradition, is considered to be the first Georgian king, reigned between 312 and 301 BC).

Kingdom of Kartli did not generate from an empty space. Much earlier before Parnavaz there existed several early-state unions that fought among each other for leadership. One of such ethno-political formations was situated at the confluence of the Mtkvari and the Aragvi, a very favorable location in terms of strategy and economy, which was intersected with main roads running across South Caucasia. Presumably, this was the very place where the tribe of Kartvels² resided. It was one of the local ethno-territorial units among Georgian and non-Georgian tribes of central Transcaucasia.

According to N. Berdzenishvili the ancient centre of the mentioned formation was situated on *Kartli* Mountain, where later the citadel of Mtskheta – Armazi Castle was constructed. Its territory embraced both banks of the Mtkvari from the river Ksani to the modern border of Tbilisi. Apparently, it was this union that was originally called *Kartli*.

In the course of time the political centre of Kartli moved to Mtskheta and it turned into (yet before Parnavaz) the most important economic and religious centre of east Georgian tribes, “since, - as the 11th century Georgian historian Leonti Mroveli comments, - the city of Mtskheta was privileged most of all, and was called the capital”.

In this situation, apparently, the geographical term Kartli - denoting the placement of a Georgian tribe, obtained general meaning and spread across the vast country which was formed with the leadership of the city of Mtskheta at the end of the 4th century BC and which is called *Iberia* in foreign written sources.

Since that time for several centuries *Kartli-Iberia* represents the most organized power throughout the Georgian ethno-cultural area. It is not accidental that the national tradition links the birth of Georgian statehood right with the kingdom of Kartli. Creation of this state is a significant phase in the history of ethnic consolidation of Georgian tribes.

On the territory which integrated within the kingdom of Kartli or Iberia groups of other ethnic origin lived alongside with Georgian population. According to Leonti Mroveli, in Kartli six different languages were spoken originally, although since Parnavaz’s times only Georgian language predominated and “no other language was spoken in Kartli any more but Georgian”. Here we give a simplified explanation of complicated ethnic processes as a

² Kartvel – Georgians’ self name.

result of which an early-class type proto-Georgian Iberian nation is formed within the borders of the kingdom of Kartli.

Foreign authors perceive the population of Kartli, unlike the one of Colkhida, not as a conglomerate made up of different tribes, but call them “*Ibers*” on the whole. Furthermore, they were aware of the fact that among the *Ibers* there were groups distinguished by the lifestyle and, probably, also by ethnic origin. In particular, Strabo writes: “The plains are occupied by the *Ibers* who are mostly farmers; they are inclined to peace, are organized like the Armenians and Medians. A larger part, which is of more militant nature, occupies highlands and leads the lifestyle like Scythians and Sarmats³, whose neighbors and relatives they actually are”. Despite this, as mentioned above, for Strabo, as well as for other Greek and Roman authors, they were all *Ibers*. Thus, they considered the name “*Iber*” not only as an ethnic but also as a state and political concept.

* * *

On the territory of modern west Georgia an analogous process takes place in the first centuries AD and is connected with reinforcement of the kingdom of Egrisi (Lazika), which reached its apogee in the 4th and the first half of the 5th century.

Political influence of the kings of Egrisi was spread throughout the historic Colkhida, although local ethno- territorial groups had different statuses in their state:

1. the population of the plains of present western Georgia, mainly those using the *Zan* language, directly depended on the royal administration. Here the process of ethnic consolidation was the fastest. Written sources of the first centuries AD mention Lazes, Egrs, Sedoxezes, Zidrits and other tribes living on this territory, while by the 5th century here actually only one group of people is represented, which is called *Lazes* in Byzantine sources and *Megrs* in Georgian ones. It is presumable, that apart from the *Zan* tribes the Svans and a part of Apsils were mixed too;
2. mountain tribes populated to the north of Colkhida plains (*Apsils*, *Misimians*, *Skvims*, *Svans*) had certain autonomy in the kingdom of Egrisi. Written sources mention local princes and nobles who controlled their tribal territories by fortresses situated on the area, which was approved of by the kings of Egrisi. Integration of these autonomous tribes within the Megrel-Laz ethnos did not occur here, if

³ In this case Scythes and Sarmats mean North Caucasian mountain tribes.

we do not consider separate bordering groups mentioned above. The reason for this was not the language difference between the Zans and the mountain tribes of Colkhida (although this factor also has to be considered), but weakness of ethno-cultural and economic links;

3. finally, the highest level of internal independence in the political system of Egrisi was owned by Abazgs living in the western part of present Abkhazia. They even retained the institution of their own kings who recognized the sovereignty of the Laz king until the 6th century, but later they became direct vassals of Byzantine emperors.

Thus, in the first half of the I millennium AD the process of ethnic consolidation on the territory of present western Georgia too becomes more intensive, although, as mentioned above, first of all, it concerned the population that was under direct administrative subordination of royal power, and less intensely - the autonomous ethno-political units. On the basis of Zan tribes formation of the *Egrs* is going on in the plains of Colkhida. Academician N. Berdzenishvili writes about the *Egrs* of the 4th century: "These were already the people, among who the *Egrs* were privileged and carried out assimilation of neighboring tribes, the *Megrs* were being formed, who remembered wealth and political strength of Colkhida and considered themselves its heirs." However, unlike Kartli, in the kingdom of Egrisi this process took place only among one part of its population and did not develop through the historic outlook. The reason was, firstly, the collapse of the kingdom of Egrisi and, secondly, the process of formation of the united Georgian feudal nation, which commenced on the basis of early Iberian nation and later disseminated over the territory of west Georgia.

* * *

Spread of the Karts on the territory of historic Colkhida and assimilation of west-Georgian population by them, presumably, began as early as the Classical period. Eastern province of Colkhida – *Argveti* (*Margvi*, *Margveti*), as it seems from its name, was originally inhabited by the tribe of *Margs* (*Margal*, *Megrel*), although politically it found itself within the kingdom of Kartli and soon "*Kartvelized*", which was promoted by proximity of Georgian and Zan languages.

At the height of development of Egrisi kingdom (4th -5th cc), when there occurs intensive ethnic consolidation of Zanian tribes, the process of Kartization in Egrisi reduced, but the situation changes from the 6th -8th centuries. Egrisi kingdom began to decay in the 6th century. Continuous fight between Iran and Byzantine, whose one of the main arenas was present western Georgia, had bad effect upon it. The Byzantines took advantage of the situation:

they abolished the local royal power and appointed their administrator with reduced autonomous rights at the head of the country (7th c).

At the time in the regions west to the Likh mountain⁴ range the number of Georgian-speaking population grows again. One of the reasons for the migration of the Kartli population to the west was foreign invasions. As I. Javakhishvili says, “yet in the times of the Sassanid rule the exiles or the refugees moved from Kartli and Kakheti to west Georgia, Lazika, Egrisi or found shelter in the mountains of Abkhazia. Migration of the population became more frequent during the Arab rule, especially when religious oppression became an ordinary phenomenon and taxes were doubled and even tripled. At these times too Georgians usually found shelter and hearth in western Georgia... It is doubtless that not everybody returned to their homes; as their country was not favored with peace for a long time, they had to stay there and settle down”.

However, migration of the population from east to west cannot be explained only by refuge and exile. In the first half of the 8th century there occurred feudal expansion from Kartli and Samtskhe. For example, Prince of Kartli Stepanoz is mentioned as “suzerain of Kartli and Megrel eristavs”, which points to establishing Kartli authorities in Egrisi⁵. The rule of Kartli princes in Egrisi continued for a good long time. After Stepanoz here reigned his sons Mihri and Archil, and then Archil’s son – Ioane.

At some period during the 8th century it seems that the Odrzkhe⁶ eristavs also disseminate their authority over the old tribal territory of the Lazes between the Chorokh estuary and the lower part of the Rioni. As a result of mixing Meskh and Zan population a new ethnic Georgian sub-ethnic group-Gurul- is formed, who were originally subordinated to the Odrzkhe eristavs, but after forming the Abkhaz kingdom they joined it and, therefore, became part of western Georgia politically too.

Thus, in the 8th century, on the territory of present west Georgia there occurs the parallel process of drawing the Georgian ethnic groups together and partial Kartization of the west-Georgian tribes.

* * *

In the history of Georgia the period of the end of the 8th century and the beginning of the 9th century is marked by forming new feudal states. In east Georgia Kakhet principedom appeared the first. In Kakhet, which was the part

⁴ Likh mountain – mountain range in the middle part of Georgia dividing east and west parts of the country.

⁵ Eristav – ruler of the province in ancient Georgia.

⁶ Odrzkhe – an ancient town in Meskheti, south Georgia.

of ancient Iberia, there had already started the process of assimilation of different local tribes with the main local Georgian tribe – the Kakhs. By this time names of old ethnic units in the plains of Kakhet survived, in fact, only in toponymy. . This is why it is natural that the outstanding religious figure of the middle of the 9th century- Ilarion is called “Kartvel”.

Rather different situation was observed in Heret - the neighboring principedom of Kakhet. This ancient Albanian region joined the kingdom of Kartli relatively late, in the 5th century. This is why in the 8th -9th centuries, and, partly, later too, this area preserved its specific local linguistic-ethnographic character. Despite this, Heret had already become a part of the Georgian world from social and political points of view, which was eventually legalized in the 10th -11th centuries by spreading of Georgian Orthodoxy throughout Heret and by unifying it within the united Kakhet-Heret kingdom.

In the second half of the 8th century great changes take place in the region beyond the Likh Mountain, which was still considered to be the country under Byzantine protection. At this time the principedom of Abkhaz (Abazg) dominated here, which also embraced Apsilia and the territories of other tribes of the north-east coast of the Black Sea. Within the limits of this political union there occurs intensive process of ethnic consolidation in the 7th -8th cc. According to Academician S. Janashia, “by the 8th century on the territory of present Abkhazia the Abazgs had gained obvious privilege. This ethnic name soon obtains wider and more general meaning. Its Georgian form “Aphhazi”, which is derived from “*abazg*”, “*abazkh*” by the internal regrouping of the consonants according to the phonetic rules of Georgian language..., gradually becomes common throughout the area”. Actually, from the 6th -8th cc written sources do not mention relatively small tribal formations residing on the present Abkhazian territory (*Apsils*, *Sanigs*, *Misimians*, *Bruks*) any more and instead of them chronicles name only the Abazgs or Abkhazs. Thus, in the 8th century the process of forming the Abkhaz feudal nation comes to an end. In this process Abazgs and Apsils played the main part, whose merging creates a core of united nation and which was gradually joined by other ethnic components living on the territory of historical Abkhazia.

In the first half of the 8th century Abkhaz princes come into contact with political forces of eastern Georgia. In connection to this fact the 730s must be particularly mentioned, as it was then that during the invasion of the Arab commander Marwan princes of Kartli Mihr and Archil found shelter in Abkhazia. In 736 the joint Abkhaz-Georgian forces repelled the Arabs' attack near Anakopia, which made Marwan retreat and soon he left the territory of Egris too. "After that, - says P. Ingoroqva, the name of the Abkhaz had to become particularly popular in Georgian circles and it did".

In the 80s of the 8th century the Abkhaz prince Leon II spread his authority throughout present western Georgia and close to 797, taking advantage of the disorder which broke out in Byzantine, declared independence and received the title of the "King of the Abkhazs". The state created by Leon entered the history under *Abkhazia kingdom*. Since then the term "Abkhazia" expands in written sources and covers the whole western Georgia.

Among new Georgian feudal states Tao-Klarjet was last to be formed (the 20s of the 9th century). This country was a part of Kartli (Iberia) from the beginning and ethnic consolidation of Georgian tribes had started far before. As N. Berdzenishvili wrote, "in Meskheti the process of merging the Georgian tribes had gone much further than anywhere else and Shavsh-Klarj-Javakh-Meskhs had long ago become genuine Georgians in terms of language, culture, religion". This is why it is not accidental that the head of the Bagrationi royal house, who were the owners of Tao-Klarjet, received the title of "King of Georgians" in 888. In this case the term *Georgian (kartveli)* must be understood as "Kart" and not with its modern meaning, just like the title - "King of Abkhazs" meant the sovereign of all western Georgia and not just the ruler of properly the Abkhazs.

* * *

Social-economic and political pre-conditions necessary for creating united Georgian feudal nation had formed by the 10th century, when the process of integration of Georgian princedoms as one state was coming to an end. In this process the role of Georgian church and writing cannot be ignored. The policy of decreasing Byzantine influence in their princedoms, carried out by the Abkhaz kings, proved favorable to developing Georgian language and writing in present western Georgia, the language, which was the only alternative to Greek culture in the area. Naturally, spreading of Georgian language in Egris-Abkhazia, was also promoted by the existence of Georgian-speaking population in the region. In particular, in the 8th century the capital city of Abkhazia kingdom - Kutaisi- must have already been a Georgian-language city, where Georgian national culture, which was mainly religious in those times and generated from Kartli, developed earlier than in any other city of western Georgia. Thus, it is not surprising that "the Abkhaz dynasty led the building of the Georgian feudal society and culture", as N. Berdzenishvili comments. For the contemporaries, apparently, expanding the area of liturgy, which was based on Georgian language (alongside with Georgian writing), was perceived as expanding the country of "Kartli" (with cultural-religious sense of the word). This is why it is natural that the well-known formula of the 10th century Georgian writer Giorgi Merchule --

“ ‘Kartli’ is the name of the country throughout which service is conducted in Georgian language”- covers not only historic and ethnographic Kartli, but the whole territory of Georgia being in the process of forming.

But, at the same time, the term *Kartli* retains its old, specific meaning. This is why in the course of time there originated a new term for the country – “Sakartvelo”⁷, which coincides with Giorgi Merchule’s term *Kartli* with its widest sense. Georgian historiography remarks that origination of this term is connected to the moment of political unification of the state. “This fact (the appearance of the new term – *G. A.*), - N. Berdzenishvili says,- is a vivid evidence that the feudal productive organization demanded a new name for this organization, that the old term *Kartli* did not manage to embrace the new organization <...> This new organization went beyond the limits of the old ethnic term”.

Formation of the “new organization”, or the united Georgia, is connected to the name of King Bagrat III, who was the representative of the family owning Tao-Klarjet on the father’s side, while on the mother’s side he was the descendent of the Abkhaz kings. Bagrat occupied the throne in 978 and during his long reign (died in 1014) unified almost all the Georgian territories. The Abkhazs, who lived in the north-west part of the kingdom, were actively involved in carrying out the state policy of Bagrat III and his successors. The Abkhazs never showed any resistance in connection with changing the royal dynasty. It can be said, that growing the Abkhaz kingdom into the united Georgian state becomes unnoticed by the contemporaries, since the Abkhazian kingdom (in its essence) was the same as the Georgian state, while the royal title – “King of Abkhazs”- remained at the top of list of titles of Georgian kings. Therefore, many foreign authors of the 11th -13th centuries refer to the united Georgian kingdom as “Abkhazia”, and use the term “Abkhaz” as a synonym of “Georgian”. Academician N. Berdzenishvili remarks: “Such a unity of the Abkhazs and the Georgians (Kartvels) was not the result of conquering each other, but the result of the Abkhazs’ gradual peaceful integration within the cultural world of the Georgians”.

* * *

In parallel with forming united Georgia, the meaning of the term “Georgian” expands too, although in the way that it did not lose its original narrow meaning – “Kartlian”(“Georgian”), or the inhabitant of one of the east-Georgian provinces. In written monuments the term “Georgian” (*Kartvel*) was in use until the end of the 18th century in the sense of “Kartlel”.

⁷ Sakartvelo – this is the Georgian name of Georgia

– На общественном уровне об этом, разумеется, думают, но в то же время мы должны учитывать и то, в каком сложном положении они находятся. В Абхазии сознают, что фактически оказались в тупике, но думают, что кроме отношений с Россией у них нет другого выхода.

Я говорил и раньше, 6 лет тому назад, и статьи писал о том, что Грузия должна способствовать предоставлению Абхазии большей возможности маневрирования. Когда мы давим на них, например, экономическими санкциями, этим, фактически, толкаем их к России. Если мы дадим Абхазии возможность маневрировать, их отношение к Грузии изменится.*

– Создается впечатление, что Россия мало что у них спрашивает. Заявления, которые слышны из Сухуми, ориентированы на противостояние. Необходимости в таких заявлениях с их стороны сегодня точно не вижу.

– Определенная часть понимает, что активность России направлена против Грузии, а не в защиту Абхазии. Активность России ставит целью представление Грузии в темном цвете.

– Батоно Гия, я знаю, что вас не было в Сухуми, когда президент Саакашвили обратился к абхазскому и осетинскому народам, но каково их отношение к первой инициативе Саакашвили, рассматривается ли вообще озвученная в этих предложениях проблематика?

– Мы потеряли очень много времени, многое изменилось и пропасть между грузинами и абхазами становится все шире, но ресурс реального диалога между ними еще не исчерпан. Главное, что в абхаз-

ском обществе нет патологической ненависти к грузинам. При наличии желания с обеих сторон можно найти такую модель взаимоотношений, которая будет приемлема для обеих сторон. Конечно, это труднодостижимо, потребуется много времени и труда, возможно, они откажутся от предложений, возможно, сами предложат что-то, но то, что такие предложения есть, я приветствую, потому что это всегда лучше хотя бы одностороннего диалога.

Хотя диалог никогда не был односторонним, все эти годы происходили какие-то встречи, но часто лишь для того, чтобы отметить, что встреча состоялась.

Если мы наметим целью поиск реального компромисса и будем думать не только о наших максимальных требованиях, а о том, как воспримет другая сторона это требование, что мы можем предложить им такого, что может стать для них предметом обсуждения, думаю, можно будет найти приемлемую для обеих сторон модель отношений.

– Я понимаю, что власти не обсуждают предложения президента Саакашвили, но интересно, каковы соображения абхазской интеллектуальной элиты по поводу нынешней обстановки?

– Когда я был там, все были переключены на то, начнется или нет война. История самолета все перекрыла. Я не говорил ни с кем на эту тему, но они знают про инициативы, так как это не было скрыто. До населения дошла информация о том, что президент сделал абхазской стороне предложения, автономия и так далее.

– Какова была реакция на эти предложения, хотя бы на международные гарантии безопасности, гарантированное представительство в парламенте, право вето и так далее?

– К сожалению, переброска войск вызвала большой ажиотаж. За этим последовало уничтожение самолета, все говорили только об этом, а не о предложениях президента Саакашвили.

– С учетом того фона, который сопровождает грузинско-абхазские отношения, в каком настроении вы вернулись из Сухуми? Дорога не близкая, а в пути человек думает особенно много.

– Так как я регулярно посещаю Абхазию, то это не связано с особенными эмоциями. Я заметил, что оборот капитала там усилился. Ведутся строительства, собираются построить телецентр, осуществляются большие проекты. В Сухуми идет большая реконструкция республиканской больницы, экономические изменения на лицо.

– Когда мы знакомимся с заявлениями власти, то остается такое впечатление, что ресурса для диалога почти не осталось, хотя

вы заявили, что такой ресурс существует. Что дает вам возможность утверждать это?

– Теоретически возможность для диалога существует. В отличие от официальных встреч, проводятся неофициальные. Я не бывал на таких встречах, однако его участники говорят, что не все окончательно потеряно.

– Российские сайты часто стремятся упрочить мнение о том, что грузины и абхазы не смогут вместе жить. Абхазы не желают жить с грузинами и т.д.

– Нельзя однозначно так говорить. Конечно же, там есть люди, которые настроены антигрузински. Результаты войны в силе и там действует послевоенный синдром, однако в то же время есть люди, которые, не против возвращения беженцев. Однако и эти люди говорят, что это не должно быть связано с входом Абхазии в состав Грузии. Люди, о которых я говорю, подразумевают более горизонтальные отношения, а не сожительство в едином государстве с Грузией. Подчинительное отношение Абхазии по отношению к Грузии – непопулярно среди населения.

Коба Бенделиани

Информационное Агентство ИНТЕРПРЕССНЬЮС,

6 мая 2008

«В жизни выбираю сложные пути»

Георгий Анчабадзе – профессор, доктор исторических наук, представитель фамилии, не одну сотню лет верно служившей отечеству, недавно, в составе авторского коллектива завершил работу над школьным учебником по истории. С этой темы и началась наша беседа.

– Почему вы решили заняться учебниками?

– Я – член авторской группы одного из учебников по истории Грузии для 9-го класса. Он издан в сотрудничестве с издательством “Логос-прес”.

– Чем отличается этот учебник?

– Установка следующая – помимо передачи фактологического материала, большое внимание уделяется публикации источников. Это могут быть как тексты из летописей и других исторических документов, так и карты, иллюстрации и т.д. К источникам всегда прилагаются вопросы. Это приучает ребят к самостоятельному мышлению, интерпретации тех или иных исторических фактов.

– Круг ваших научных интересов, по-видимому, не ограничивается написанием учебников?

– Я считаю, что каждому ученому необходимо участвовать в педагогической работе. Имею в виду и работу со студентами в вузах, чтение лекций, и написание учебников. С одной стороны, это долг ученого, а с другой – помогает ему в собственных научных изысканиях.

– Каков ваш научный диапазон?

– Он довольно разнообразен. Я по образованию востоковед, моя специальность – история Ближнего Востока, в частности, история Турции. Этой теме была посвящена кандидатская диссертация, которую я защитил в 1975 году. После этого некоторое время работал в области источниковедения и историографии. В 1983 году я выпустил книгу “Димитри Бакрадзе, как источниковед и археограф”, потом переключился на другую тему – военную историю. В советское время военная история Грузии почти не была разработана, я первым стал читать в вузе этот курс. Издал книги. Я автор 14 исследований, как сугубо научных, так и научно-популярных. Их хронологический диапазон – от древнейших времен до XX века.

– Ваша фамилия принадлежит к известному абхазскому роду. Вы родились в Сухуми?

– Я родился в Тбилиси. Мой отец Зураб Анчабадзе был известным историком, членом-корреспондентом АН Грузии, профессором, человеком, популярным в Абхазии, но с 1942 года он работал в Тбилиси. Отец был первым ректором Абхазского университета. Дед окончил Петербургскую императорскую военно-медицинскую академию. Был военным врачом. Участвовал в первой мировой войне. После революции стал членом народного совета Абхазии. Уже в советское время он много сделал для курортного строительства в Абхазии, был наркомом здравоохранения Абхазии и начальником курортного управления, между прочим, единственным беспартийным наркомом в Грузии. В 1937 году он был арестован и расстрелян. Арестовали и его супругу. Семь лет она провела в лагерях. Мой прадед – Тарас Анчабадзе был военным, дослужился до чина подполковника царской армии. Его супруга – Машо Дадиани была бессменной руководительницей Сухумского отделения Общества распространения грамотности среди грузин. По ее инициативе в Сухуми была открыта первая грузинская школа. Вместе со своим братом, писателем Шалвой Дадиани она создала в Абхазии профессиональный театр.

– Вы много лет преподавали в Абхазском университете...

– После кончины отца в 1984 году университет предложил мне принять участие в его работе. Тогда это была апробированная методика. Молодому университету не хватало кадров, поэтому для чтения курсов лекций часто приглашались ученые из разных городов СССР.

Когда в 1989 году грузино-абхазский конфликт вышел из латентной фазы и перешел в открытую, я решил использовать свои двойные грузино-абхазские корни. Участвовал в грузинском национальном движении, организовал несколько встреч между представителями грузинского и абхазского национальных движений. Актив грузинского национального движения не раз слушал мои лекции об абхазах, то же я по собственной инициативе делал в Сухуми, рассказывая о том, что происходит в Тбилиси, говорил, что грузинский национальный проект не опасен для абхазов, что можно найти точки соприкосновения. К сожалению, события стали развиваться в ином направлении, восторжествовали иные тенденции, что в результате привело к войне.

– Как вас воспринимали в Абхазии?

– В Абхазии меня знали как сына Зураба Анчабадзе, но так как я родился и вырос в Тбилиси и мой родной язык – грузинский, абхазского я,

к сожалению, не знаю, считали, что я человек, полностью огрузинившийся, и все мои интересы связаны с Грузией. И все-таки я был, пожалуй, единственным, кто в предвоенный, очень тяжелый период был вхож и в штаб-квартиру абхазского народного движения “Аидгилара”, и в грузинский цхум-абхазский национальный комитет.

После известных событий зимы 1991-1992 гг. в Тбилиси новая власть направила в Сухуми Давида Бердзенишвили, Ивлиана Хаиндрава, Ираклия Мачавариани и меня. Мы встречались с руководством Абхазии, после чего привезли в Тбилиси, с моей точки зрения, очень здравые предложения о возможности создания системы – Республика Абхазия в составе Республики Грузия и распределения полномочий, при этом абхазская сторона предлагала оставить за Тбилиси такие ключевые компетенции, как оборона, внешние отношения и финансы. Стоял февраль 1992 года. К сожалению, тогдашняя власть в Тбилиси отнеслась к этим предложениям без должного внимания и просто несерьезно. Потом началась война – самая тяжелая пора грузино-абхазских отношений.

– Тогда вы вступили на стезю народной дипломатии?

– Во встречах подобного рода я участвовал с 1995 года. Они уже проходили при содействии иностранных партнеров. В частности, в тот период многое сделала для налаживания первых грузино-абхазских контактов на неправительственном уровне профессор Калифорнийского университета (город Ирвайн) Пола Гарб. В Сухуми мне предложили возобновить чтение лекций в университете. Я дал согласие и с 2001 года регулярно езжу обычно на три недели в Абхазию. Читаю курс: "Историческая география Абхазии". Читал также краткий курс истории Османской империи, спецкурс "Абхазия и Кавказская война".

– Когда вы последний раз были в Сухуми?

– В апреле нынешнего года. Обычно я созваниваюсь с факультетом в Сухуми, договариваюсь о дате своего приезда, и к этому времени для меня там составляют график. Правда, сейчас произошли из ряда вон выходящие события, посмотрим, как сложится обстановка, но я надеюсь, что мои лекции будут продолжаться.

– Как складываются ваши взаимоотношения с тамошними студентами?

– В Абхазии еще сохраняется традиционное уважение к старшим. Мои первые лекции обычно ограничиваются предметом, но потом постепенно начинают задавать вопросы, связанные как с политической ситуацией, так и личного плана.

К сожалению, чем больше времени проходит после 1992 года, тем больше мы отдаляемся друг от друга. Но я хочу сказать, что особо антагонистического отношения у абхазов к грузинам нет, как и у грузин к абхазам. Конечно, есть люди, настроенные более радикально, но в целом враждебности к народу нет. Это оставляет у меня надежду, что все же удастся найти точки соприкосновения, чтобы на взаимно приемлемых началах возобновить контакты.

– **В Тбилиси вы тоже преподаете?**

– Я работаю в Институте истории и этнологии, кроме того, являюсь профессором Государственного университета имени И.Чавчавадзе, преподаю историю народов Кавказа и историю Грузии. В 2006 году я опубликовал книгу “Грузино-абхазские взаимоотношения”. Это единственное исследование подобного рода, получившее положительные отзывы как в Грузии, так и в Абхазии. Книга вышла при поддержке английской неправительственной организации “Международная тревога”. Эта организация с 1998 года активно действует на Кавказе, способствуя развитию гражданских инициатив в области неформальной дипломатии.

– **Чем занимаются ваши дети?**

– У меня две дочери. Старшая, Элисо, работает в международной организации Фонд Евразия в Тбилиси. Младшая, Нино, пошла по моим стопам. Окончила факультет востоковедения, завершает курс магистратуры в Стамбульском университете, у нее интересная работа. Несколько недель назад у нее появилась маленькая дочь, так что теперь с наукой ей придется подождать.

– **Что вы больше всего не приемлете в людях?**

– Не люблю меркантильную хитрость.

– **Ваше жизненное кредо?**

– Не задумывался. Иногда ловлю себя на мысли, что в жизни выбираю сложные пути.

Марианна Хубуа

«Вечерний Тбилиси», 28 октября 2008 г.

Справка из материала «Царское венчание»

– А какие исторические связи существуют между грузинскими и абхазскими династическими родами? Об этом мы попросили рассказать доктора исторических наук, профессора Георгия Анчабадзе.

– Царем-объединителем Грузии считается Баграт III. По отцовской линии (его отца звали Гурген) он происходил из династии Багратионов, владевших тогда Южной Грузией (Тао-Кларджети) и носивших титул «царь картвелов». Мать Баграта, царица Гурандухт, была дочерью могущественного абхазского царя Георгия II. Владения Георгия Абхазского охватывали всю Западную Грузию с Абхазией и Зихией (историческая область, расположенная примерно между современными городами Туапсе и Анапа), а также часть Восточной Грузии – Картли и Джавахети.

Вскоре после смерти Георгия II возникла кровавая вражда между его сыновьями, оспаривавшими власть друг у друга. В результате престол достался слепому Феодосию, последнему, оставшемуся в живых царевичу. В правлении слепого царя «пошли неурядицы по всей стране, и изменились законы и распорядки, установленные первыми царями. Видя все это, были все вельможи страны той в большой печали», – говорится в грузинской летописи. В такой обстановке, сильнейший из грузинских владык того периода, Давид Куропалат, происходивший из другой ветви Багратионов, поддержал влиятельную группировку феодалов Абхазского царства, которая хотела заменить немощного Феодосия молодым и энергичным Багратом, претендовавшим на абхазский престол, как внук Георгия II. В 978 г. Баграт был возведен на трон, приняв титул своих предков по материнской линии – «царь абхазов». За время своего долгого правления (до 1014 г.) он сумел распространить свою власть на большую часть Грузии и вошел в историю как ее первый объединитель – Баграт III Великий.

Таким образом, в пределах царства Баграта с течением времени оказались и исторические владения Багратионов и он принял также титул предков с отцовской стороны – «царь картвелов», который в сочетании с его первоначальным титулом принял форму: «царь абхазов и картвелов». При этом надо знать, что в строгом смысле тут не идет речь об этнических названиях. Под «абхазами» подразумеваются подданные Абхазского царства – этнические абхазы, часть грузин и др. Под «картвелами» же – подданные Тао-Кларджетского царства. Однако Баграт по-

прежнему особо подчеркивал свою генетическую связь с абхазской династией. Этот момент специально оттеняется в одном из его актов, т. н. «Диване абхазских царей», который составлен между 1008 и 1014 годами и по определению акад. С.Н.Джанашиа «представляет собой нечто вроде исторического меморандума, в котором Баграт III подчеркнул свою связь с абхазской династией и свои наследственные права». В нем Баграт перечисляет всех правителей Абхазии, своих предков по материнской линии, отмечая срок правления каждого из них. В конце документа, где список правителей доходит до самого Баграта, сказано: «И после сих царей, по воле Бога, я, Баграт Баграториани (Багратиони – Г.А.), сын блаженной памяти Гургена и сын дочери Георгия, царя абхазов, завладел страной Абхазией, материнским своим наследством, и сколько лет я проживу в своем царствовании, то ведает Бог».

Прямыми потомками Баграта III являются позднейшие правители Грузии, включая Давида Строителя и царицу Тамар, а после распада единого грузинского царства, цари Каргли, Кахети и Имерети.

«Абхазский меридиан», февраль, 2009 г.

არსებობს კი პერსპექტივა?

რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის სეპარატისტული რეგიონების ცალმხრივმა აღიარებამ და ამ რეგიონებთან მიმართებაში დღეს არსებულმა გაურკვეველმა პერსპექტივამ საზოგადოებაში აზრთა ჭიდილი განაახლა. თუ კი საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევდა რომ ეს იყო ქართულ-აფხაზური თუ ქართულ-ოსური კონფლიქტი, დღევანდელი გადასახედიდან ამ კონფლიქტს ცალსახად რუსულ-ქართული კონფლიქტი დაერქვა.

აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოებრივი მოძრაობის „დაბრუნება“-ს თავმჯდომარე იურისტი მალხაზ პატარაია მიიჩნევს:

– აგვისტოს მოვლენების შემდგომ, მგონი, ყველაზე დიდ სკეპტიკოსებსაც კი აღარ ეპარებათ ეჭვი იმაში, რომ ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი. უბრალოდ, ვიღაც ამას აშკარად ამბობდა, ვიღაცა (პირველ რიგში, შვედარდნაძის ხელისუფლება) კი, რაღაც მოსაზრებების გამო, ამას ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებს უწოდებდა. მაგრამ აგვისტოს მოვლენებმა ამ დემაგოგიასაც არ დაუტოვა არანაირი საფუძველი. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ეს იყო და არის რუსეთის აგრესია საქართველოში და არის განგრძობადი აგრესია, რაც დამთავრდა ამ ოკუპაციისა და აგრესიის იურიდიული გაფორმებით.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ანჩაბაძე წლების მანძილზე ჩარულია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში.

– *ბატონო გიორგი, დღევანდელ ვითარებაში, როდესაც კონფლიქტის მოგვარების შუამავლად წოდებული რუსეთი დღეს დაპირისპირებულ მხარედ არის აღიარებული, თქვენი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეს არის ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტი ისევ უცვლელია?*

გ. ანჩაბაძე: მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს იყო ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები იმიტომ, რომ პრობლემა ჩვენს ერებს შორის იყო. რუსეთი, რა თქმა უნდა, დაინტერესებული მხარეა. ის ომის დაწყებასაც ხელს უწყობდა. ჩემს წიგნებში: „საქართველოს ისტორია“ (თბ., 2005 წ.) „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები (თბ., 2006 წ.) აღნიშნული მაქვს, რომ მოსკოვი ორივე მხარეს აიარაღებდა. როცა ორივე

მხარეს აიარაღებ, ესე იგი მათი შეჯახება გინდა. მაგრამ ვინაიდან პრობლემა მაინც ჩვენს შორის იყო გადასაწყვეტი, ჩვენ რომ გვეკონოდა სურვილი არ შევეჯახებოდით ერთმანეთთან და თავიდან აგვეცილებინა კონფლიქტი, რუსეთი ვერაფერს გააწყობდა ასეთ შემთხვევაში, ისევე, როგორც ვერ მოახერხა კონფლიქტის გაჩაღება ბალტიისპირეთში, თუმცა იქაც იყო მცდელობები ხან „ინტერფრონტის“ მოწყობისა ესტონეთში, ხან კიდევ ლიტვაში მცხოვრები პოლონელების გააქტიურებისა. მაგრამ იქაური საზოგადოება უფრო მომწიფებული აღმოჩნდა თანამედროვეობისთვის, ვიდრე ჩვენი კავკასიური და სამხრეთკავკასიური საზოგადოებები, იქ რუსეთმა ვერ გააკეთა ის, რაც მოახერხა ჩვენთან. ამიტომ როდესაც ამბობდნენ, რომ ეს იყო თავიდანვე ქართულ-რუსული კონფლიქტი, არ არის სწორი. ეს არის ყურადღების გადატანა მესამე მხარეზე და საკუთარი პასუხისმგებლობის მიჩქმალვის ცდა. კიდევ გავიმეორებ, რომ რუსეთი არ არის, ასე ვთქვათ, „მამა აბრაამის ბატკანი“, მაგრამ პრობლემა ჩვენს შორის იყო: ქართველებსა და ოსებს, ქართველებსა და აფხაზებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. ქართველებმა კი იმდენი მოვახერხეთ, რომ ბოლოს და ბოლოს, რუსეთს პირდაპირ შევეჯახეთ; ჩვენზე თავდასხმის საბაბი მივეცით, რაც რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ შესანიშნავად გამოიყენა. ჩვენ სულ გვინდოდა, რომ რუსეთისთვის დაგვეპირისპირებინა დასავლეთი ამ კონფლიქტების მოგვარებაში, მაგრამ იმას მივადვლიეთ, რომ ახლა, პრაქტიკულად, დასავლეთი და რუსეთი აგვარებენ საქმეებს უჩვენოდ.

ჩვენი პრობლემები კი აფხაზებთან და ოსებთან ჩვენ თვითონვე უნდა მოგვეგვარებინა დიალოგის გზით, რაც საკვებით შესაძლებელი იყო. 1980-იან წლებში, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები არ იყო ისე დაძაბული, რომ ვერ მოგვეხერხებინა სისხლიანი კონფლიქტების თავიდან აცილება (რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებითაც). სავალალო მდგომარეობამდე ისევე ჩვენმა გაუაზრებელმა პოლიტიკამ მიგვიყვანა. მე არ ვამბობ, რომ მეორე და მესამე მხარე არაფერ შუაშია, მაგრამ ქართულ მხარეს უფრო მეტი დაფიქრება, მეტი მოთმენა სჭირდებოდა, ვინაიდან ის წარმოადგენდა სახელმწიფოს, ცენტრალურ ხელისუფლებას. ამის ნაცვლად ჩვენ ძალიან ადვილად გადავწყვიტეთ “უმცროსი” ძმების ძალისმიერი გზით “მორჯულება”. მსგავსი შეცდომები იქნა დაშვებული იმ დროს სომხეთ-აზერბაიჯანში, მოლდოვაში და ზოგ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში. ამაში გარკვეული როლი იმ პოლიტიკური ძალები

ბის გამოუცდელიობამ ითამაშა, რომლებიც, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მოვიდნენ ახალი სახელმწიფოების სათავეში; პასუხისმგებლობის წილი აკისრიათ, აგრეთვე, ეროვნულ მოძრაობებში არსებულ ექსტრემისტულ ძალებს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე რეგიონალური მოძრაობების მომხრეთა შორის.

დღესაც, როდესაც რეალურად ვიხილეთ რუსეთის ჯარების შემოჭრა საქართველოში, მისი შედეგების დასაძლევად კვლავ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარებაა აუცილებელი.

– 2008 წ. 26 აგვისტო არის ის წყალგამყოფი ხაზი, რომელმაც სრულიად სხვა ჭრილში გადაიყვანა ეს კონფლიქტები. 15 წლის მანძილზე საზოგადოების გარკვეული ნაწილი (არასაბთავრობოები, მეცნიერები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსთა ნაწილი) მეტ-ნაკლებად მუშაობდნენ ამ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაზე. 26 აგვისტოს შემდეგ ეს შრომა წყალში ჩაყრილი ხომ არ გამოდის და რა პერსპექტივები აქვს მეორე მხარესთან ნდობის აღდგენას?

გ. ანჩაბაძე: ბუნებრივია, რომ 26 აგვისტოს შემდეგ ძალიან ბევრი რამე შეიცვალა და, სამწუხაროდ, საქართველსათვის არც თუ სასარგებლოდ. ის რომ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი წლების განმავლობაში მუშაობდა ნდობის აღდგენაზე, არ არის წყალში გადაყრილი შრომა, თუმცა მის შედეგებს თითქმის აბათილებდა პარალელურად მიმდინარე კონფლიქტების ესკალაციის პროცესი. მხედველობაში მაქვს ისეთი მოვლენები, როგორსაც ადგილი ჰქონდა გალის რაიონში 1998 წელს, კოდორის ხეობაში 2001 წელს, ცხინვალის რეგიონში 2004 წელს (რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო წვრილმან ფაქტებზე). დღეს, როგორც აღვნიშნე, ძალიან რთული მდგომარეობაა, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა არ გადაიჭრება. ახლა ძნელია კონკრეტულად თქმა, თუ რა ფორმით გადაწყდება იგი. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ქართველები, ოსები და აფხაზები მონახავენ მათთვის მისაღებ მოდელს, ვინაიდან ჩვენ ყველანი ამ მიწაზე ვცხოვრობთ და სადმე გადასახლებას არ ვაპირებთ.

დაახლოებით ოცი წლის წინ დაიწყო საქართველოში ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები, და მთელი ამ ხნის განმავლობაში გვესმის მხოლოდ, რომ მალე ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც ჩვენ გვინდა. რეალურად კი ეტაპიდან ეტაპამდე საქმე უფ-

რო ცუდად მიდიოდა. ახლა მაინც გემართებს მომხდარის გააზრება, გაანალიზება. უნდა გავიგოთ, რომ მთავარია ხალხებს შორის ურთიერთობების გამოსწორება. ეს გადაწყვეტი პირობაა პოლიტიკოსებისათვის სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. ხშირად ამბობენ, რომ სანამ ჩვენს შორის რუსის ჯარია, ერთმანეთს ვერ დავეღლაპარაკებითო. რატომ? შეიძლება დალაპარაკება! აგერ, ათობით და ასობით ადამიანი, არასამთავრობო სექტორიდან, წლების განმავლობაში ხვდებოდა ერთმანეთს. გალისა და ზუგდიდის რაიონის საზღვრებზეც იყო შეხვედრები. ბოლოს და ბოლოს მარტო შეხვედრები არ არის მთავარი. რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ, ვწერთ, ვამბობთ, ყოველივე ამას იქ გულდასმით უსმენენ და კითხულობენ. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ იმ მხარეს ჩვენი გულწრფელობა ვაჩვენოთ. ძალისმიერი მეთოდით კონფლიქტის მოგვარება კი საერთოდ უნდა გამოირიცხოს, როგორც უპერსპექტივო და დამღუპველი გზა.

მ. პატარაია: კონფლიქტის მეორე მხარესთან მოლაპარაკების დაწყება ან წარმოება უპერსპექტივოდ მიმაჩნდა ადრეც და, მით უფრო, ასე მიმაჩნია დღესაც. საერთო, ეს ე.წ. სახალხო დიპლომატია იყო რუსეთის იმ პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც ჩვენ მორჩილად ვახორციელებდით. ეს ამართლებდა რუსეთის ჯარის ყოფნას საქართველოში ანუ იყო ანტურაჟი ე.წ. სამშვიდობო პროცესისა. თორემ რეალურად არავითარი აზრი, პერსპექტივა, თან დაიხარჯა უამრავი ფული (თან, სხვადასხვა ვალუტაში) არც მაშინ ჰქონდა მას და, მით უმეტეს, არც ახლა აქვს ამას. ერთი ძალიან მარტივი მიზეზის გამო: იქითა მხარე, რომელსაც აფხაზურ მხარესაც უწოდებენ (და ამასაც არასწორად) არ არის საკუთარი ნების თავისუფალი გამოხატვის პირობებში. ის არის ოკუპაციის ქვეშ, რუსეთისავე ხელისუფლება (ყველა სტრუქტურებით, მათ შორის – ძალოვნები, უშიშროება, ეკონომიკა) მართავს ტერიტორიებსა და მოსახლეობას. ამიტომ, როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ, „რკინის ფარდის“ და ასეთი „ხუფის“ ქვეშ მყოფი ადამიანებისაგან რაიმე პოზიტიური იმპულსი? ეს მეტად სახიფათო იყო მაშინ მათი ფიზიკური არსებობისათვის და, მით უმეტეს, ახლა, როცა ეს ორივე რეგიონი გაძეპკილია რუსეთის ჯარებით, აზრი ამას არ აქვს. რაიმე გონივრული არ-გუმენტაცია მთელი ამ ხნის მანძილზე მე არ მომისმენია, რომ ასეთ ურთიერთობაში პერსპექტივის მიღწევა შესაძლებელია იმის კვალობაზე, თუ რამდენად შესუსტდება რუსეთის გავლენა ამ რეგიონებზე. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ქართვე-

ლებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობა საზღვარგარეთ, თუნდაც იგივე რუსეთში: ისინი იქ ნორმალურად ცხოვრობენ და თანაარსებობენ. მაგრამ როგორც კი საქმე შეეხება აფხაზეთის მოსახლეობის ნების გამოხატვას პოლიტიკურ საკითხებზე, ეს შეუძლებელი ხდება აფხაზეთის ტერიტორიაზე. სხვათა შორის, ეს სახალხო დიპლომატია, ელჩობები თუ რაღაც სხვა, არც ერთი არ ატარებდა ამ შინაარს იმიტომ, რომ ორივე მხარიდან ოფიციალური სტრუქტურები იყო ჩარეული. ეს არ იყო „ქვემოდან“ წამოსული ინიციატივა.

- თქვენი შეხედულებით სამშვიდობო მოლაპარაკებების გაგრძელებას არავითარი აზრი არა აქვს?

მ. პატარაია: საკუთრივ სამშვიდობო პროცესს აზრი როგორც არ აქვს, მაგრამ მთავარია, თუ რა შინაარსს ვდებთ აქ. ის, რაც ადრე ხორციელდებოდა, სამშვიდობო პროცესი არ იყო. ცნებები იყო ჩანაცვლებული. ეს არის ტოტალიტარული აზროვნების კლასიკური ნიმუში. ეს შეგვიძლია წავიკითხოთ ჯორჯ ორუელის ანტიუტოპიაში „1984“. იქ ძალიან კარგადაა წარმონედილი ტოტალიტარული საზოგადოება და აზროვნება: ომს მშვიდობა ერქვა და მშვიდობას კი ომი და ა.შ. ტოტალიტარულ აზროვნებას ახასიათებს ცნებების ჩანაცვლება. ასეთივე სიტუაციაა იმასთან დაკავშირებით, რასაც ჩვენ „სამშვიდობო პროცესს“ ვუწოდებდით. სინამდვილეში ეს იყო ოკუპანტების მიერ მათი ოკუპაციის ნაბიჯ-ნაბიჯ დაკანონება. სხვათა შორის, ამ „სამშვიდობო პროცესში“ უფრო მეტი მსხვერპლი გვაქვს ქართველებს, ვიდრე – საომარი მოქმედებების დროს. ესეც ხომ ფაქტია.

რეალურ სამშვიდობო პროცესს, რა თქმა უნდა, აზრი აქვს. ოღონდ მასში რუსეთი არ უნდა მონაწილეობდეს, თუნდაც მინიმალურადაც კი, თორემ ყველაფერი უაზრო გახდება იმიტომ, რომ რუსის ინტერესებში არაა ამ კონფლიქტის მოგვარება. მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ ამ პროცესში კრემლი არ მონაწილეობს: გააკეთებენ კი, ამ დროს, ბაღაფში და კოკოთი ისეთ განცხადებებს, როგორსაც დღეს აკეთებენ? ისინი რუსეთის მიერ ზურგამაგრებულები და, ფაქტობრივად, კრემლის ინტერესების გამხმომავანებლები არიან. ეს ხომ ანბანური ჭეშმარიტებაა. ამიტომ, ჩვენი სახელმწიფოს მთავარი მიზანი უნდა იყოს რუსეთის მოცილება საქართველოდან. იმ ზოგად ამოცანებს, რომელსაც წარმოადგენს ოკუპანტის გაყვანა ჩვენი ქვეყნიდან, იმ ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც დღეს არის, ლოკალურ ამოცანებში

შევიდა გარკვეული ცვლილებები. ფაქტია, რომ დღეს არ არის ის მდგომარეობა, რომელიც აგვისტოს წინ იყო. დღეს ჩვენს წინაშეა შეუნიღბავი აგრესორი, რომელსაც სათანადო პასუხი სჭირდება. ასეთი სათანადო პასუხის გაცემა კი შესაძლებელია, თუ კი სახელმწიფო მოწოდების დონეზეა. მე ვგულისხმობ ასეთ რამეს: ჯერ ერთი, აქტიურად გასაგრძელებელია რუსეთის აგრესიის მხილება ყველა დონეზე და ყველა საერთაშორისო ბერკეტის გამოყენება ამისათვის. თუმცა ბოლო პერიოდში გარკვეული პასიურობა შეინიშნება ამ მიმართულებით. გრძელდება ტერაქტები, ირღვევა ე.წ. სარკოზი-მედვედევის შეთანხმება. გასაკვირია, რომ აქ მხოლოდ ამ ორი პრეზიდენტის სახელი ფიგურირებს და არსად ჩანს სააკაშვილი, რომელმაც, ასევე, ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს. ძალიან მიკვირს, რომ არავინ საუბრობს კოდორის ხეობაზე. რაც რუსეთს წარმოუდგენია „ბუფერულ ზონად“, ეს ტერიტორია არანაირად არ ჯდება ამ განმარტებაში. ერთი სიტყვით, საქართველოს მხრიდან დაკავებული უნდა იყოს ხისტი და ძალიან მკაფიო პოზიცია, რომელიც უნდა იყოს ინტენსიური და საყოველთაო ხასიათის. მსოფლიოს უნდა დავანახოთ, რომ ქართველები ამ აგრესიას არ შეეგუებიან. რაც შეეხება კონკრეტულ საქმეებს, ასეთები ძალიან ბევრია. დაწყებული ინიცირებით „მაუდ ქვეშ“ ამოღებული იმ სისხლის სამართლის საქმეებისა, რაც არსებოს აფხაზეთზე და ცხინვალზე და დამთავრებული მნიშვნელოვანი დემარშებით ყველა სტრუქტურებისა – სასამართლო, უფლებადაცვითი, სახელმწიფოთაშორისი.

– კონფლიქტურ ზონებში დღესაც ცხოვრობენ ქართველები, მაგრამ იქაური დე-ფაქტო დღევანდელი ხელისუფლებები მათზე მუდმივ ზეწოლას ახდენს იმ მოტივით, რომ ან საერთოდ გააძევიან იქიდან ან მოახდინონ მათი ასიმილაცია, ხდება მოსახლეობის დატერორება. საერთაშორისო ორგანიზაციებმა აღიარეს ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდა ამ რეგიონებში. დე-ფაქტო ხელისუფალთა ასეთი პოლიტიკა რამდენად შეუწყობს ხელს ჩვენს ერებს შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციას?

გ. ანჩაბაძე: მშვიდობიან მოსახლეობაზე ყოველგვარი ზეწოლა დასაგმობია. თუმცა, იგივე ზეწოლები ჩვენთანაც განხორციელებულა, თუნდაც ოსების მიმართ: 90-იანი წლების კონფლიქტამდე საქართველოში იყო 160 000 ოსი და აქედან 100 000-ზე მეტი ცხოვრობდა ყოფილი ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ. მათგან დღეს მარტო 30 000-ია დარჩენილი. რაშია საქმე?

ჩვენ ისეთი პირობები შევუქმენით მათ, რომ იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ სახლ-კარი და წასულიყვნენ. სამივე მხარე (ქართული, აფხაზური, ოსური) ღაპარაკობს მის მიმართ განხორციელებულ გენოციდზე, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის გაერო, არ გვეთანხმებიან ამაში, ვინაიდან გენოციდს, ანუ მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების განადგურებას რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით, არ ჰქონია ტოტალური ხასიათი (მხედველობაში არ მაქვს ფაქტობრივი ეთნოწმენდა, ანუ ხალხის მასების გადაადგილება საბრძოლო მოქმედებების გამო). როგორც ქართული ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშ მყოფ რეგიონებშია დარჩენილი აფხაზური და ოსური მოსახლეობა, ასევე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ცხოვრობენ დღემდე ქართველები (მაგალითად, აფხაზეთში ქართველები ცხოვრობენ არა მარტო გალის და ტყვარჩელის რაიონებში, სადაც უმრავლესობას წარმოადგენენ, არამედ სოხუმიც, ოჩამჩირეშიც, გაგრაშიც და სხვ.). ეს დადებითი ფაქტია, თუნდაც სომხეთსა და აზერბაიჯანში შექმნილ მდგომარეობასთან შედარებით და გარკვეულ იმედებს იძლევა.

კახა კვაშილავა.

“პოსტ ფაქტუმ”, №4 2008

“აფხაზეთისადმი რუსეთის ინტერესს ხშირად ქართველი პოლიტიკოსები და დიპლომატებიც აძლიერებდნენ”

აგრესორი რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას გარკვეული დროით გაართულება და შეაფერხებს. ცხადია, რომ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ე.წ. დამოუკიდებლობას ადვილად არ დათმობს, რადგან მათი თქმით, დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფო საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. რამდენად მართალია ეს მოსაზრება, ისტორიულად როდიდან არსებობენ აფხაზები ამ მიწაზე? ამის შესახებ პროფესორი, ისტორიკოსი გიორგი ანჩაბაძე გვესაუბრება.

ბატონო გიორგი, ქართულ საზოგადოებაში არსებობს ორი ერთმანეთის გამომრიცხავი აზრი აფხაზების შესახებ: 1) აფხაზები აფხაზეთში აბორიგენები არიან; 2) აფხაზები ამ მიწაზე XVII საუკუნეში ჩამოსახლდნენ.

ამ საკითხზე არსებობს ერთადერთი მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი: აფხაზები აფხაზეთის აბორიგენული მოსახლეობაა. ისტორიული წყაროებით აფხაზური ტომები I-II საუკუნეებიდან შიგნით ჩანან უწყვეტად დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუმცა სავარაუდოა, რომ აქ ისინი უფრო ადრეც ცხოვრობდნენ. ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, ო. ჯაფარიძე და სხვა ცნობილი ქართველი მეცნიერები იმასაც ვარაუდობდნენ, რომ შორეულ წარსულში (რამდენიმე ათასი წლის წინ) თითქმის მთელი დღევანდელი დასავლეთ საქართველო გურია-აჭარამდე და უფრო სამხრეთითაც აფხაზურ-ჩერქეზული მოდგმის ტომებით იყო დასახლებული. შემდეგ ქართველური ტომები მიაწვნიენ მათ და ჩრდილოეთისაკენ შეაეიწროვეს

რა ხასიათის იყო ისტორიული ქართულ-აფხაზური ურთიერთობები?

ქართველურ და აფხაზურ ტომებს უძველესი დროიდან მჭიდრო ეთნო-კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობები ჰქონდათ. ისტორიულ წყაროებში ასახულია მათი საერთო ბრძოლა გარეშე მტრების წინ

ნაადმდეგ. “ქართლის ცხოვრებაში” მოტანილია საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ 737 წელს, გაერთიანებული ძალებით არაბების დამარცხებისა და ეგრის-აფხაზეთიდან მათი განდევნის შემდეგ ქართველმა მეფემ არჩილმა და აფხაზთა მთავარმა ლეონ I-მა “ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორისა მათსა”. შეიძლება ითქვას, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის დადებული ეს ფიცი მთელი შუა საუკუნეების პერიოდში არ გატეხილა. რა თქმა უნდა, ფეოდალებს შორის ხდებოდა შეხლა-შემოხლა, თავდასხმები, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, მაგრამ ამას არასოდეს არ მიუღიათ ქართველებსა და აფხაზებს შორის ეთნიკური დაპირისპირების ხასიათი.

ასევე მნიშვნელოვანია აფხაზთა როლი ერთიანი ქართული სამეფოს ჩამოყალიბება-გაძლიერების საქმეში. როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი: “აფხაზთა და ქართველთა ასეთი ერთიანობა... იყო შედეგი არა ურთიერთ დაპყრობის, არამედ აფხაზთა თანდათან მშვიდობიანი შემოსვლისა ქართველთა კულტურულ სამყაროში”. შემთხვევითი არ იყო, რომ თამარ მეფემ თავის ერთადერთ ვაჟსა და ტახტის მემკვიდრეს, გიორგის, დამატებით სახელად “ლაშა” უწოდა, რაც აფხაზურ ენაზე დღესაც მანათობელს, ანუ სინათლის სხივს ნიშნავს.

ბატონო ვიორგი, როდის იწყება რუსეთის დაინტერესება ამ რეგიონის მიმართ და რა იყო ამის მიზეზი?

რუსეთის ინტერესი აფხაზეთის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, მისი გეოგრაფიული მდებარეობით განისაზღვრებოდა. შავ ზღვაზე გაბატონებისათვის ბრძოლაში რუსეთს სურდა სოხუმის ნავსადგურის ხელში ჩაგდება. გარდა ამისა, რუსეთს აინტერესებდა აფხაზეთის ტყეებიც, სადაც საუკეთესო გემთსაშენი ხის ჯიშები იზრდებოდა (შემდგომ ხანებში რუსეთის შავი ზღვის ფლოტი, ძირითადად, სწორედ აფხაზეთიდან გატანილი ხის მასალისგან შენდებოდა). აღსანიშნავია, რომ იმ ხანად რუსეთის ინტერესს აფხაზეთისადმი ზოგჯერ ქართველი პოლიტიკოსები და დიპლომატებიც აძლიერებდნენ. მაგალითად, 1787 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, იმერეთის ელჩი ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) რუსეთის მთავარსარდალს ურჩევდა ჯარები შეეყვანა აფხაზეთში, ვიდრე მას თურქები დაიკავებდნენ.

დასავლეთ საქართველოში რუსეთის განმტკიცების შემდეგ (პირველად აქ ოდიშის სამთავრომ აღიარა რუსეთის უზენაესობა

1803 წ.) აფხაზეთისადმი რუსეთის ინტერესი უფრო იზრდება, როგორც ოდიშისა და ყირიმის დამაკავშირებელი რკოლისადმი (ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სანაპირო რუსეთის კონტროლს არ ექვემდებარებოდა 1864 წლამდე). ამას მოჰყვა რუსეთის ფლოტის მიერ სოხუმის დაბომბვა და იერიშით აღება (1810 წ.).

ახლა, როდესაც რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, რა შანსი აქვს საქართველოს მის დასაბრუნებლად და როგორ წარმოვიდგენიათ ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრება მომავალში?

მოდით ცოტა ხანს მაინც ნუ ვილაპარაკებთ აფხაზეთის ტერიტორიის დაბრუნებაზე, არამედ ვიფიქროთ როგორ გამოვასწოროთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობები. ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ მას შემდეგ რაც მოხდა, აფხაზები აქეთ აღარ გამოიხედავენ. ყველაფერი, პირველ რიგში, ისევ ქართველებზეა დამოკიდებული. ბოლო ათწლეულების მანძილზე (საბჭოთა პერიოდის დასრულებული) ქართული პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ, ძირითადად, მცდარი იყო: არ ითვალისწინებდა არც აფხაზი ხალხის რეალურ ინტერესებს, არც ჩვენი ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას. ამიტომ, ახლა მაინც გადავუხვიოთ ამ გზიდან, რომელმაც კარგი არაფერი მოიტანა. საჭირო არ არის ცხელ გულზე აქტიური მოქმედებები (სპეციალური კანონების მიღება, კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა და ა.შ.). ამის გაკეთება ყოველთვის მოესწრება. უმჯობესია ჯერ დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ რა მოხდა, დავაკვირდეთ შექმნილ სიტუაციას, და მერე მივიღოთ გადაწყვეტილებები.

თქვენ ხშირად ჩადიხართ აფხაზეთში, ხვდებით მოსახლეობას, რამდენად გულწრფელია აფხაზი ხალხის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ და რამდენად რეალურია რუსეთის გვერდით აფხაზეთის დამოუკიდებელი არსებობა?

დიახ, ჩავდიოდი აფხაზეთში, თუმცა ახლა როგორ იქნება არ ვიცი. რაც შეეხება დამოუკიდებლობისაკენ აფხაზი ხალხის სწრაფვას – იგი გულწრფელია. თავს ნუ მოვიტყუებთ. თანამედროვე ეტაპზე (აფხაზეთის ომის შემდეგ) აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი (გაღელ ქართველებს არ ვგულისხმობ) აღარ განიხილავს თავს საქართველოს მოქალაქედ. რაც შეეხება რუსეთთან აფხაზეთის მომავალ ურთიერთობებს, აქ შეიძლება რამ-

დენიშე წლის შემდეგ კრიზისს ველოდოთ. აი, ასეთ შემთხვევაში როგორი იქნება საქართველოს პოზიცია – მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მომავალი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ხასიათს.

ღალი პაპასკირი

ჟურნ. "რევიტივი". №36(308), 15.09.2008

282.026
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა



გიორგი ანჯაბაძე.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ასწავლის აგრეთვე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის მრავალი ნაშრომის ავტორი (მათ შორის 17 წიგნის), რომლებიც ძირითადად ეხება საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის, სამხედრო ისტორიის, ისტორიოგრაფიისა და წყა-

როთმცოდნეობის პრობლემებს.

1980-იანი წლებიდან გ. ანჯაბაძე არასამთავრობო დონეზე მონაწილეობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე. წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია როგორც მისი სტატიები აფხაზეთის ისტორიისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ცალკეულ საკითხებზე, ასევე ხედავ დღევანდელი კონფლიქტის მიზეზებისა და მოგვარების შესაძლო გზების შესახებ.

ГЕОРГИЙ ЗУРАБОВИЧ АНЧАБАДЗЕ.

Доктор исторических наук, профессор государственного университета Ильи. Преподает также в Абхазском государственном университете. Автор многих работ (в том числе 17 книг). Сфера его научных интересов – история народов Грузии и Кавказа, военная история, историография и источниковедение.

С 1980-х годов Г.З. Анчабадзе на неправительственном уровне работает над трансформацией грузино-абхазского конфликта. В настоящем издании представлены его статьи об отдельных моментах истории Абхазии и грузино-абхазских отношений, а также суждения о причинах и возможных путях решения грузино-абхазского конфликта.